



# ლიტერატურა და სეროენება

N11  
11/2007

*მელიქი*  
გურამ  
ლორთქიფანიძე

*მთის*  
გურამ  
ლორთქიფანიძე

*მეზი*  
გურამ  
ლორთქიფანიძე


*მეფობა*  
ლადო  
გუდიაშვილი

*მთის*  
ვაჟა  
ლორთქიფანიძე

*მთის „მთისი“*

# ლადო გუდიაშვილი

კაფე როტონდა



ფიროსმანის პორტრეტი



ფიროსმანი თაყაიშვილი



დაჭრილი შველი



საავტორო უფლებები ეკუთვნის  
ლადო გუდიაშვილის ოჯახს

სუქურთმა



# ლიტერატურა და ხელოვნება

N11(23)

11/2007

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ლადო გუდიაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge



ქართული გამოცემის  
სულიერების, კულტურისა და  
მეცნიერების ადვოკატიზმისა და  
განვითარების  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
საერთაშორისო საქველმოქმედო  
ფონდის მხარდაჭერით

წიგნების საცემო

 VTB

ს ა რ ჩ ე შ ი

ქრონოს, ქოროს

- 3 ქაბუა ამიხეიბი - მილოცვა ჰატიხაიხს
- 4 გუხამ დორანაშვილი - ხაც უფრო მახსოვს,  
და შეტად მაგონდება /hომანი/  
33 ვაჟა ოთარაშვილი - ღუქები
- 37 ვახუშტი ურუჯიშვილი - ჩემი წუთისოფელი /მეზუაჩები/  
46 დავით თედოსაძე - ღუქები

ქრონოს „ქარნასი“

- 48 ნომინატები - ხომეხტ სტუქა  
ზაზა აბოხანიძე  
ქეთევან ელაშვილი  
ვაჟა ოხიზაძე  
გიორგი ჯალანდია  
დამანა მედიქიშვილი  
გობა მაღალაქელიძე  
ანჯა ჯალატოხიშვილი  
ვალერიან მიუჯაშვილი

ქრონოს

- 62 ნმიდა ილია მახილის დღესასწაულზე  
სამების საკათედრო კაძაში

ქრონოსი

- 69 ნათედა სალიხაშვილი - ილია და იაკობი
- 72 ზეინაბ ღომეაჩია - ილია ქაქვაძის სუხათის  
მფლობელის შესახებ

მხატვრობა

- 79 ავთანდილ ვახთაბავა - ფეხთა წეხის  
კავშირებით მეფე  
(ღამ ბუღიაშვილი)

- 84 ფოტოაქტივიდან

საქონსუფროსი საზღო:

ქაზეს ამირჩიანი, ზაზანა ზოგვაძე, ნანი ზოგვაძე,  
 ბრუნ ზედაძე, ანა ზედაძე, პაპია ვინაძე,  
 ნათია ურუშაძე, ჯანსუგი ჩანკიაძე, თეიმურაზი ჩხეიძე,  
 თამარ ჩხეიძე, ვაჟა ჩხეიძე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
 პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
 ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
 ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



საქართველოს მახორბაილიაბელი  
ჯანაიის ჰათორიხოლ-  
ჰატიჩაქს, ჯანიდასსა და  
ჯანაქს  
ილია II-ს,

ერისკაცობით  
XX-XXI

საუკუნეების ქართველთა შორის  
უღიდესა და უბრწყინვალეს  
მამულიშვილს, ბატონ  
ირაკლი დუღუშაურ-შიოლაშვილს

მაპატიეთ, რომ ასე მოგმართაეთ,  
მაგრამ ყველა ქართველი მამულიშვილის  
აზრით, თქვენ არამართო ჩვენი ეკლესიის  
საჭეთმყრობელი ბრძანდებით, არამედ  
ჩვენი ერის, მისი არსებობისა და  
სულიერების გადასარჩენად უუმძიმესი  
ტვირთისა და პასუხისმგებლობის  
მზიდველი ადამიანიც.

ეს წერილი დამსახურებული ხოტბის  
წყურვილმა კი არა, აღტაცებამა და  
სასოებამ მომანერინა; აღტაცებამ თქვენი  
მუხლწაუხრელი მოღვაწეობისა გამო,  
ხოლო სასოებამ, რომ ქართველი ერის  
ხსნისთვის ღმრთივ მოვლენილი მოღვაწე  
ხართ, და თუ რამ აგვაშორებს აღგვას  
პირისაგან მინისა, ეს თქვენი მხნეობა

და თავდადება, სამაგალითოდ ყოველი  
ქართველისათვის.

თქვენი ეპისტოლეებიდან და  
ყოველწოთიერი მოღვაწეობიდან  
ნათლად ჩანს, რომ ხედავთ ქართველი  
ერის დაუძინებელ მტერთა ყოვლის  
დამაქცეველსა და მომსპოველ  
მოქმედებას და ამით შეწუხებული  
ცდილობთ გზა გადაუღობოთ სატანისეულ  
ძალისხმევას.

თქვენმა შემხედვარემ შეუძლებელია  
არ ვირწმუნო, რომ ღმერთი მართლაც  
„ჩვენთან არს“ და ეს მაღლი თქვენის  
წყალობით არის.

გილოცავთ აღსაყდრების ოცდაათ  
წლისთავს. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი  
მაღლით აღბეჭდილ დროში ვცხოვრობ  
და ღმერთს მაღლობას ვწირავ, რომ  
მართლმადიდებელ ქართველ ერს თქვენი  
სახით მხსნელი მოგვივლინა.

ულრმესი პატივისცემით  
ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბი

ქართული აზროვნება  
წ.წ. 09. 2007

ქმარ ვაჟა!

გიგზავნი მასალას ილია II-ის  
აღსაყდრების აღსანიშნავად ოქტომბრის  
ნომრისთვის — გაითვალისწინე, რომ ამას  
სხვაგანაც გამოუაქვეყნებ, მაგრამ შენი  
ჟურნალის პუბლიკაციის შემდეგ.


„სდექ მკვიდრად და ურყვევლად“ —  
შენი ძმა — ჭაბუა ამირეჯიბი

თბილისი  
28. 09. 2007.

P.S

სამწუხაროდ, როდესაც ქართული  
მწერლობის კლასიკოსის, ბატონ ჭაბუხას ეს  
წერილი მივიღეთ, ჟურნალის მე-10 ნომერი  
უკვე დაბეჭდილი იყო.

საქართველოს  
პარლამენტის  
პროცესული  
ბიბლიოთეკა



კურამ  
ფოხანაძე

ჩას უჩო მახოვს, და  
მახე მახონება:

(ეგრეთწოდებული  
„ამტოპიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

იმ დღეს ნაშუადღევს 2 საათიდან არ შევ-  
ყოლილვართ ჩვენებრ-„დროსტარებასა“-  
ცეტურს და ბრიყვულს რადგანაც ჯონდომ,  
ყოველგვარ სიკეთესთან ერთად ზვიადის  
სიგრძეზე-დ ხტუნვის ნორმალარმა და სან-  
ტიმეტრობით კონტროლმა თანაც, გვითხრა,  
ზეგ ჩემი დაი, მარინე (მასაც ჯონდოსავით  
ორი სახელი ერქვა, შინ დოდო-ს ეძახდნენ)  
ხელს აწერს და სიძეს ქორნილში ხომ არ  
გაგაცნობთ, უხერხულია, მანამდე უნდა გა-

განაცნობოთ და რესტორანში რა გვინდა  
რაიმე ხიფათს არ გადავყაროთ და ამიტომ  
სალამოხანს ჩვენ-რომელიმეს ოჯახში შე-  
ვიკრიბოთ და მთვრალეები არ მოხვიდეთ არ  
შემარცხვინოთ წესიერი კაცია აბა თქვენ-  
სავით კი არ დახტუნავს სიგრძე-სიგანეზე  
და კიარ გარბიგამორბის გამოსაქანებლად  
აქეთ-იქითკენ-აო ( — ჩამიკრა თვალი, აქ, ხო-  
ლო ზვიადმა — მოუყრუა, და დაამთქნარაც,  
ვითომ...), და, იმ დღეს კითხვასაც კი ვერ და-  
ვუდე, რატომღაც, გული — ეს დანაკლისი მე  
მეკითხა თორემ შექსპირს და ლონგფელოს  
— უჩემოდ-ურადაც, აბალა, რა... და, ანრი-  
ალეზული, იმ სტუდენტულ წავედი სადაც  
ხშირად მინია მთლად-სხვა-დასხვაგვარ ამ-  
ბებსა და გარემოებებში ყოფნამ, რატომღაც  
მარტოკა წავედი ახლა აღარ მახსოვს რაღაც  
ვითო-საქმეზე (მაშინ რომ „საქმე“ მეგონა...  
საქმე კი არა... ნეტა რას ნიშნავს „იხვის ტოლ-  
მა“ ანდა რა გემოსია თუნდაც უ-მიხაკდარი-  
ჩინოდ ასეთ შემთხვევაში „ფიგურალურ“-  
ულ გამოთქმად რომ იხმარება) და დაცდა  
დამჭირდა და იქვე-სტადიონზე გავიყვან  
დროს-მეთქი ხოლო იქ კი ჩვენი-„ისტორიუ-  
ლი“-სა (იხემც...) ფაკულტეტის უფროსკურ-  
სელები ფეხბურთში ერთმანეთს „მაზიანზე“  
ანუ ქეიფზე ეჯიბრებოდნენ და შეეყურებ  
მარტოკადმჯდარი წყნარად და პატიოსნად  
სპორტულ-შმაგ ჭიდილს და ტრიბუნელთა-  
გან დიდგანსხვავებით არის მინდორზე ფეხ-  
დადებანი და მხრებ-იდაყვიებისაკვრანი და  
„პასი-პასი მომე“ და „აგერ ვარ მომანოდე“  
და „გამოიხედე შე ბრუტიანო და გაინძერი შე  
ლენჩო“-ს ძახილი პირშიმთქმელური ხოლო  
მე ჩემთვის ვზივარ (თუ, „ვზი“?.. — გამოთ-  
ქმიდან „არ ვტირი“, „არ ვყვირი“ და არა „არა  
ვტირივარ არა ვყვირივარ“ და ასე შემდეგ,  
ეეჰ, გრამატიკავ... მუდომარეთათვისაც კი,  
შემართული შენ), მოკლედ, ვსხედვარ თუ  
ვსხედ მე-აულელებებელი ვ. პ. მუავანაძესავით  
(მგონი და თურმე არ ყოფილა გლახაკაცია, კი,  
შედარებითია ყველაფერი...) ამ-დ შემთხვე-  
ვამი-ლ თორე ცეკა-სი პირველ მდივნობამდე  
ნამდვილად ძანბვერი მიკლდა (ხუთპირიანი  
ხმნაა „მიკლდა“ აქ, წყალი რომ სუარ გაუვა  
ისეთი: „მიკლდა“ — ანუ მიკლდა მე-მის —  
მუავანაძისა ვ. პ. — თანამდებობამდე-დი-  
დათებვერი მიკლდა ამ-მე-ს რაც მართალია  
მართალია) და გინდ დამიჯერეთ და გინდაც  
პირიქით ანუ ნუ დამიჯერებთ მაგრამაც ეს-  
მე მის ტახტ-საეარძელს არცა ვცდილობდი  
არამედ მისულის ამ-პავეჯისა-გან დიდგან-  
სხვავებით სულაც უზურგო გრძელსა-მერ-  
ხზედ ვისხედ იმ დროისათვის მისსა დროით

თანამედროვე ანუ გაქუცულს სტუდენტულად ნეტადი როდის ვაგვი-სად-დებდა ორპირიანად აი ესა-ეს ერთპირიან-და-პიროვნული სიტყვაი ანუ „სტადიონი“, თუნდ, და სხვადასხვაგვრული სანახაობანი გარკვეულურულ-შეგებისმომგვრელნი და შეგებისამგვრელნიც ხოლო სტადიონთან-იმ ჩემი სხვენიც თუ ნახვერადსარდაფიცაც კი აბა რა იყო აგრეთვე ამდღევანდელსა-როგო-ძრიალ პრ.-რომელიც ბეკინგემის სასახლესთანაც იორკშირლიც ყოფილიყო თუგინდაცდა ეს თუ სადანაა ამ-ჩვე-ქალაქსთან-სტუდენტურ, სთან, და იქვე თურმე ჩემი კურსელი, გურამ ჩხაიძეც იჯდა თავისთვის და შესცქეროდა აგრეთვე-თავისთვის, თამაშს, ხელი აუწუნი, მივესალმეთ ერთმანეთს ოლონდაც როგორღაც მო-ნაი-ციყო სალამ-ქალამი იყო ესა; გურამისათვის არც მანამადე გამოცია ხმა, — წყნარი, უთქმელი ბიჭი იყო, კურსზე უმისილადც საკმაოდ მყავდა ძმაკაცები ხოლო ლექციით უმრავლესობას, განსაკუთრებით პარტისტორიებს და სხვადასხვა „მატ“-ებს ხომ საერთოდ არ ვეკარებოდით ზოგიერთები, იმ საგნებთანა დანა-სისხლადც და ტყინა-სისხლადც, შორსა-ვიყა-თ (ეს — აღმოსავლურ-ქართლურა-და თორე, დასავლურ-სამტრედიოლათ და ოზურგეთულათ? — რალაცას იქოურებიც ეძახიან ჭრელ-ჭრელა მატ-ეფს, აღარ-კი მახსომს, მგონია სულაც „დეილუმოს ისი“-ს,) დაა, კვლა-დასავლურად „შორსე ვეგდენი“ НЕОТВРАТИМО — ჩრდილოურად ეს, და ნანიშ-ჯან КЛАНУСЬ ანუ ვფიცავარ — ესა ჩვენზე-დაც-კი სამხრეთულად — და თუ მე-აქა ვიტყუილიებოდესასა ვქამდე? — პასლენი ვიყო, — დია-აპს,) და ამ ლინგვისტობანამ ძაანაც შორესა როარ მიტაცოს აკანაბტელნა გურამი კარგი ბიჭი ჩანდა, ვოვასავით 1940 წელს ყოფილა დაბადებული და კიდევაც უმცროსად გამოიყურებოდა სიმალისა და საოცრად ლამაზი და დაბლი ხმის მიუხედავად (ეს ყველაფერი მერედა ვავიგე და მოვისმინე), და მთელი თავისი გარეგნობით როგორღაც სათნო-მშენივრად, ბეჭმურად გამოიყურებოდა; რატომღაც „სალამოს სკოლა“ უქონებია დამთავრებული სადაც ძირითადად მუშა-ახალგაზრდობა ანდაც სწორგზაზედ მოგვიანებით დამდგარები სწავლობდნენ და ისი-სკოლა ვერცხლის-ღირსების მედალზე (მერედამერე რაც იმ-სკოლასა და იმა-მენ-დალზე ვეტილიკებო-დით...) და ჯერჯერობით თურმე კარგა-პატიოსნად სწავლობდა უნივერსიტეტშიაც და წარმატებით განუვლია I კურსი და აგრეთვეც II კურსის I სემესტრის სტიპენდიანტურად დამთავრებაც წინ

ელოდა ჯერჯერობით ანუ სანამ ჩვენ, მის-დამი ერთდროულად ვითომ და თანაც მართლად-კეთილგანწყობილებთან, დაახლოვდებოდა სწორედ იმდღევანდელი შემთხვევის (შემთხვევა ეძახე...) წყალობით — მე ხომ ენაზე აბა რა გამიჩერებოდა, — არადა, როგორი ნაღდი, და უღალატო მეგობარი გახდა ჩვენი... მოკლეც, მაშინ კი ცალკე-ცალკენადა ვსხედით და ვუყურებთ ფეხბურთს სხვებთან ერთად ის იქითა და აქეთკენ მე შუაშია-კი ბლომად მაყურებელი ჯილარიან, სხვა-უფროსკურსელები და არც იმათში გავრეულვარ, როგორღაც მთლად მარტოდყოფნა მომინდა იმ დღეს, და თანაც რატომღაც (მაგრამ თურმე სამართლიანად და შესაფერისად) დიდ-სვედიანი ვიყავ იმ დღეს მე-ლაზღანდარა ოლონდ ეს

მინამ ჩამოხველებოდა და სუფრას მივუსხედით, ხოლო ფეხბურთს კი ერთ-ერთი ჩვენზე მთელი რამდენიმე წლით უფროსი შასანა ნადირაძეც თამაშობდა, თავისი გუნდის რაღა თქმა უნდა თავკაცი და ერთით ნოლს აგებდა, ხშირად ისედაც მრისხანე და როგორი სუსხიანი (თუმც მაშინ ახლოს კი არა საერთოდ არ ვიცნობდი, სხვებისაგან და მისი გარეგნობით ვიცოდი ეს) და ახლა კი დიდად გაცეცხლებული შასანა, მთვერისიტორიის ფაქულტეტის კი არა და, უნივერსიტეტისაც და მთელი ქალაქისაც ერთ-ერთი გამოკვეთილად ვოჩი, ახლა გავვეტუული მიმორბოდა ამტან მოედანზე; არადა, ნუ ვაიკვირებთ იმის დიდად შემძლეობას ჩხუბებში რადგან ცალხელა იყო და მერე, როცა დავახლოვდით არ მახსოვს ვინმესთან ჩხუბში (კარადა, რაღა, ჩხუბში) იყო, ხელის პირველ-მოქვევისთანავე მოწინააღმდეგე ფეხზე ეგლარ ედგა) თავი, ან ფეხი როდესმე ესმარდა და გამოიყენებინოს ისე-უბრალო პანდურს-გარდა, ხოლო იმ ერთადერთ ხელში ძალა ედგა? —

ორი ხელისა კი არა და, იმ-ერთსა ხელში? — გახუთმაგებული, მერედამერე, მინახავს მისგან მის-დიდ-მუშტომხვედრილები ოლონდ მე, ვისაც ჩემი უგუნურებით ნოკაუტების ხილვა დიდად მიხაროდ-მსიამოვნებდა (ეგება ესაც ზოგიერთისათვის კარგახანს გამოყოლილი მწერებისა თუ წვრილცხოველების წვალება..., სავით..., საცოდავთა, იყო...) მაგრამ შასანას მივე ჩემგან-შესწრებულთა გულშელონებანი? — ვიმეორებ რომ, იმჩემს მობოროტად ცერცეტაულობისასაც კი რომკი მეგონა ვაპბიჭო ეს რაკაი ბედი მქონია რა-მავარსა და როგო-



კარგა ჩხუბს შევეცნარი-მეთქი — ვაი ჩემს პატრონს, ჩემით... — მაგრამ ახლაკი ჰასანასი მსხვერპლობას, მე? — არავითარ მტერს, და არსად-მტრისას არ ვისურვებდი და ვერ ვიკულისნადებდი, თუნდც არცაღ Ni-Ni-ს, — ეი...

მაგრამ მერე და მერე, რომ დაგახლოვდით, ჰასანა ბუნებით თურმე საკმაოდ კი-უცნაურად მაგრამ სათნო და დიდადკეთილი, გულიანი კაცი აღმოჩნდა მაგრამ ეს მაშინ რა ვიცოდი, ერთი დიდი, დიადი ქართველი პოეტი შოთა ნიშინანიძე ყოფილა კიდევ ასეთი, იმდენად ფაქიზ-ამაღლებული დამწყაზარგულიანი რომ ერცხვინებოდა კიდევ ამის და, ისე ეჭირა თავი რომ თუკი ძალიან არ გაიცნობდი დიდად უმძრახი და კუშტად უკარება და შავად-ყოფოჩივ კი გეგონებოდა მაგრამ არა, არა, შოთა ნიშინანიძე, ეს ღვთით როგორ ძალიან და რა-სიღრმეებით გამოჩენული ზენით-პოეტი? — უფთხილესი, და რა ნატოფად უსათნოესი, გულჩვილცი როგორ, მართლაცა კაცი, და, ქართველობისდა საბედნიეროდ ეს რაპოეტი, ზენიჭ-როგორ-ბედდაყოლილად, რა სანეტაროდ სანატრელი იყო, ც, იქნებაც დღევანდელური თავ-დამაადგილისაცგასიებულთა მიუხედავად, — რამ გამახსენა შოთასთან მსგავსი აზვედითუბი, და შოთას თუ მხოლოდ სხვათა ზეირიანსა ოხუნჯობებზეც-კი გულიანი და ამასთანვეე როგორღაც მაინც მორიდებულად თავშეკავებული ღიმი სჩვეოდა, ჰასანას კიდევ? იმას ისეთი იუმორის გრძნობა და ენამახვილობა და ორღესულ-თქმანი და მარლიცნად მოსწრებულსიტყვაობა და ენახსარტობა და მოლაღეობა აღმოაჩნდა რომ, და არა-მხოლოდ ეს? — აჰ, ჰასანას რა უფაღღესი, რა-არტიტული დახვენილობით ამბის მოყოლა?, იმას-სცოდნია?

დამდგარიყავ (და არა დამდგარიყავ, მოსახსენისა-მისგან, ნინარე...) და,

გვერდი ყური, აჰ ისა ჰგოლდად მოსაყოლისა ვერეთნოდებულ-კომპოზიციას? ანდაც, ყოვნების დაცვა იცოდა დიდად-საჭირო? მსმენელისაგან რა მოუთმენლად მომლოდინე სიტყვებისა-წინ?

და, ხოლო მის სხვა ღირსებებისა და მის შესანიშნავ ოჯახზე მერე მოგახსენებთ თორემ გათავდა ის იმდღევანდელი უკუღმართი ფეხბურთობანა და ისაა... —

მაგრამ ფეხბურთი ისე მოულოდნელად, პირველი ტაიმის შუაგულშივე ძალიან იგრე მოულოდნელად დამთავრდა, რომ, —

პირდაპირ და სწორედაც რომ, — გადასარევი:

ჰასანას მეკარემ მეორე ბურთიც რომ გაუშვა იმ ოღრო-ჩოღრო სტადიონისა შეუფერებელ, შტანგებიანსაც კი, გოლში, ჰასანამ ორიოდ არცთუ სასურველი სიტყვა — რომელთაგანაც „შევირიშვილო“ სხვებს დიდად სჯობდა — უძღვნა მეკარეს, პატარა ხანში იმ გოლიკებრმა, ენა-ისედაცაყალაბულმა, მორიგი ნახტომ-ეპიზოდისას ფეხის მძაფრი ტკივილი მოიმიზეზა და ხაზგასმული კოჭლობით დატოვა ბურთიდამოუდანი, ჰასანამ კი, მაყურებლებს შეავლო-რა გამომცდეღულურად აზრონ-დამწონი თვალი, რატოღაც გურამ ჩხაიძე ამოაჩნია და, უთხრა, მოდიბიჭო შენ დადექი კარში-ო და, ჰასანას უარს ვინ შეებედავად, დადაე ეს ჩვენი (თუმცა, ჩვენი კი არა არამედ ჯერ მხოლოდ სა-ჩვენო) გურამი გოლში კარისდარაჯის ჰადგილზედა და, მაგრამ, პირველივე დარტყმული ისეთი იოლი ბურთი რომ, იბურთი შესაძლოა ჩვენს ავდღევანდელურ გადაბეყილ მინისტრსაც-ცაკი აედო, გაუშვავა და,

მთლადც გა-შავზნელებულმა ჰასანამ, მთლადც დებიუტურულს, გურამს, ეს ვინ ბოთე და ბენტერა ყოფილხარ შე გამოლენჩებულოო და ესაც არ აკმარა და ყველაზე მწარე გინებაც მიაყოლა, და, რეზიუმეთი — ახლავე გად-დაიკარგე მოედნიდან-ო, მკაცრად უბრძანა და, შეაქცია, ზურგი, — ახალიაშინის ამოსარჩევად,

ჰასანას ბრძანებას აბა ვინღ გადავიდოდა, მით-უმეტეს ეს 17-18 წლის ბიჭი და, გურამიც მაშინვე-წამსვე მოსწყდა გოლურსა-ადგილს-დაუშობსაბურებელს მთლადაც უნიჭო კარიერისტივით ეგრევე-ჩამოქვეითებული მაგრამ მინდვრის განივი მიმართულებით კი არ დატოვა ვაიდ-ასპარეზი არამედ სწორედ ჰასანასკენ გაიქცა რაც ნამდვილად არ მესიამოვნა — ალბათ ბოდინის მოსახდელად, მაგრამ, რაცმე მაშინ ენახე? რას შევეცნარი? იშვიათად თუ გამკვირვებია მთელს ჩემს მოულოდნელ და ფათურაკებით აღსავსე ცხოვრებაში მსგავსად არაფერი — ჰასანასთან საგულდაგულოდ კი-მიიჭრა, მაგრამ, თურმე, პატიების თხოვნითა და წრფელი ბოდინის მოსახდელად კი არა არამედ ყოვლად უბოდიმოდ გაუქანა და, უკანდამ, არ ხლინა მუშტი? აი ისე რომ, თითან ჰასანას, თვითონს, ტუჩი გაუხეთქა... —

პოიი, ბიჭო, და სანამ კი-იშვიათად საუცხოოთე გაკვირვებული რა არა და, მთლადც გადაოგნებული ჰასანა მინამ გონს მოვიდოდა, მოვარდენენა და შემოეხვიენენ, ჰასანას, თანაგუნდელებიც, მისი კურსელი მაყურებლებიც — შემოაკვდება ნალდად, ო, არადა

გურამი ფეხს არ იცვლიდა — ეს ახლახანადა სრულწლოვანი მზარდი-მოზარდი, სუბთლად გოჯუნდაც არ იხედა როგორულ-ანტიპროლეონივით მიუხედავად კარგ-ადამიანების მრავალ-პირული „გაიქეციბიჭოგაიქეცი“-ო, და, მოვიდა-რა — მისდაბნევასთან აბა-რომელი შოკ-ნოკაუტი — ჰასანა, გონს? — რამოდენიმე გამშველებელი ცალხელურათე მჭახედ კი-ფრინა მაგრამ, სულ ახლები და ახლები უფარდებოდნენ და ეხვეოდნენ ფერხთ და ფეხთ და ხოლო მე კი, ის მერე რა რომ გურამი ჯერ სულაც არ იყო ჩემი ძმა და მეგობარი კი არა, „მატ“-ების გამო ხეირიანად ნაცნობიც კი მაგრამ, კურსელი, აკი იყო და, დაფუძექი, შეუძინებელ-გვერდით, ხოლო ამაზე ჰასანა ხომ სუბთლად დადივდა — თან, გურამი როცა ძალისძალით გაიყვანეს ჩაშლილ-ფეხბურთის მაყურებლებმა და ახლა მთლად ჩემკენ იწვედა: „მაგის მახს იტყერ (მაგასე-თანამდგომლობ?)-ო) ხომ შე ტურა შენ“-ო, — აქა კი, მეორედ შეცდა — რაცგინდ გამხდარი, რომელი ტურა მე ვიყავი, რაცგინდა გაკანჭულხებით? — მაინც ორფეხი, ხოლო ჰასანას კურსელებმა რადგან იცოდნენ რომ არც ჰასანა იყო თავისი გამანარებიდან გადამხვევი და არც ჩემი ძმაკაცები დაიხვედნენ გინდაც მის წინაშე და ხელით-გაულახავ ჰასანასთან რაცკი შედეგი მოჰყვებოდა ჩვენს რბილათ-რომე ვთქვათ შეხლა-შემოხლას? და, იაზრა ერთმა:

— მაგისგან რა გინდა აგერ ნამოდი იმშენ დამრტყმელს გაჩვენებ სადაც იმალება, ო, და,

გაჰყვა,  
და კიდევ კარგი რომ დაუჯერა იმ დალოცვილად-მატყურას მე კი, დაბნეულს, როგორ — ვინაა მაინც ეს ჰასანა, ამ ცალხელასი ყველას რომ ასე ეშინია და, გულს ვიმხნევებდი (თანაც, დავიდებ გულზე ხელს და — გაყვანილი ჰყავდათ განზე) — გამოეშვათ-რა, დიდი ამბავი, ფეხებში მეტი ღონე არაა ვინემ რაცგინდა ხელში-მეთქი ვითომ გულალა-ლად და თურმე რა არასწორად ფიქრობდი ასე რადგან ჰასანას იმ ხელის ძალა თუნდაც „სხეებზე“ არ შენახა ჯერ, და დიდად მხედ (თუ, გასამხნევებდა?) ფიქრობდი ასე თუმცკი მუხლები ძაან-არა მაგრამ დიდად-საგრძნობლად, მიკანკალებდა, —

და აქაც ვიკეთებდი გულს — ძივ ძივი მხოლოდ შოშმა არ იცის, რაღაც კიდევ-სხვა, აზარტულივით აღსაგზნები გრძნობაცაა, მეთქი,

კი,  
ხოლო ჩემს ბიჭებს რომ უუამებ იმავ სა-  
ლამოს, შუადღეინდელი,

შეფიქრიანდნენ — ჰასანასი გადაკიდება არ იყო, არა, უბრალო საქმე

მაგრამ გურამის გამბედაობამ? — ალაფ-რთოვანათ, თუმცკი იმდენად შევედი მის მდგომარეობაში, რომ, დაეცხმაროთო, გადაგ-წყვიტეთ, და ეს ხვალ მოვიფიქროთ სასიძოს-თან ჩომვერ ვილაპარაკებთ ამაზედ-აო; მაგრამ თურმე არავითარი ჩვენგან შეწვენა და როგორმე-გატანა არ სჭირდებოდა, ეს მერეღა გავიგე ციხეში ვოვამ რომ მინახულა „ოფიციალურ პაემანზე“ — ჰასანას, თურმე, მეორე დღესვე, გამშავებამ რომ გადააურა, დაფიქრებულა ჯერ, მერე სახე ვაბადრვია და, გაღიმებულს, უთქვამს: „აბა რა მეგონა შე-სულელს, რომ ვაგინებდი ჭკუა სად მქონდა, ხო ვადამაბირუნა კაცო ტური, რა ბავშვი ყოფილა მაგასკი ვენაცვალე გულში და ხელში“, ო, და ჩემზეც, ყოფილტურაზე მოწონებით უთქვამს: „აბა ვის გვერდით დადგებოდა, ჩემი მე-ტურე მისი კურსელი ყოფილა და მე კი ვინ ვარ იმისი“, ო,

ასე რომ, იმ დღეს დიდად მოგვეწონა გურამის თავი ანუ იმ თავს-მორჩილებული გურამის ხელის-საქციელი, და,

მაშინ კი,  
ნამოდი კაცო ხვალემ იცის ხვალისაო და, ჩვენს „საქმე“ს ვენიეთ და, შეეუდექით, საქეიფო გზას — რომელიც მითომ-ც და მართლაც ფართოა, მაგრამ, თურმე რად გინდა...

— ქეიფი მერაბის მამის, ძია ვანოს — როგორი ნაღდი ვაჟკაცი-კაცის, რამდენჯერ-მეგზის პოლიტიკურზე ანუ ნმ-ე მუხლით „დაჭერილისა“ და დაბატირებულის, ძმასთან — ცნობილ მსახიობ გრიგოლ (გრძმა) კოსტაევასთან ერთად (ხოლო მსახიობის ამბავი ძალიან მეტად ვრცელდებოდა ქალაქში ძია ვანო კი, ნაკლებ-იცოდნენ), მათ მშობლებთან, მერაბის ძალიან კარგ (აბა რა იქნებოდნენ, გრიშა და ვანო კოსტაევას მშობლები) ბებია-ბაბუასთან გადაგვანყვეტინა მერაბმა, სადაც მათი ოჯახისა და ჯონდოს ერთობლივი ძალისხმევით (პროდუქტხმევითაც ანუ) მშვენიერი სუფრა დაგვახვედრეს და, ცხაკაიას (ერთ-ერთი ბოლშევიკური ხვითო-სი) ქუჩის ორ თუ სამსართულიან სახლში მასპინძლებს გარდა — მერაბის ბაბუა-ბებია, ძია ვანო, მერაბი — ხუთნი ვიყავით, სტუმრები: ჯონდო, ჯონდოს სასიძო მერაბ დადიანი — შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, ჩვენზე კარგ-ბევრად უფროსი, ჯონდოზე სამი წლით უფროსი მარინე მეტრეველისა და მერაბ დადიანის წყვილივით სანაქებო და თვით თბილისურ გამორჩეულ წყვილებშიაც



ვედით და შევეკითხეთ ოქროს სანმისის-და-რაჯ დიდლოჯებიან ხარს რა იყო არამედ უნივერმაგის უკბილოც დამცველს რაშია ბიძაჩემო საქმე, თქო, იმან კი — არა-არაფერი, ისე ყვიროდით რომ მე მეგონა ისეთი ჩხუბი გქონდათ [გვექონდა არა, ის... ესაცა, შენიგრამატიკა, ხუთპირიანი — ჩხუბი გქონდათ 1.თქვენ-2.-ერთმანეთში- 3.ჩხუბი 4. დაუნდობელი- 5. სქ...], ო, და, ჩვენ რომ გულმართლად ავუხსენით რომ არამედ მხოლოდდა ფილმ „ველოსიპედისტის სიკვდილი“ზე ვფაობდით, ამოისუნთქა შევებით, ამასობაში იქვე ხუთიოდ ნაბიჯზე შეჩერდა რაც მართალია მართალია ბუმბულის ვერა-ფრთებიანი მაგრამაც მაინც კუბიდონისებრ ფრთა-შინელისასახელოებ-მალშიალი მილიციანერი, და, ალბათ ეგონა თუ ჩვენე რომ უნივერმალსა ვძარცვამდით სინამდვილეში კია-ჩვენე ხმელ-ხმელეთისამეკობრებზედ რამდენად უმფრო-ვარესები — ანტისაბჭოთა ელემენტები-ჩვე (სასიძოს გარდა), და, დასაშინებლად, მილიციანერმა? — იელოვა რა იყო არამედ აიღოვა და, არ გაისროლა?, კუბიდონისაც მთლადც დაუნომრავი მშვილდ-ოქროსისრიანი რა იყო არამედ მთლადც დანომრილი პისტოლეტი-დან (დამბაჩა; მაუზერი; დურა; ცეცხლსასროლი), კაცო? და, შემინდა იქით ისიც, აქეთ ჩვენც, და მთელი ჩვენი რუსთაველიც ძილში ალბათე როგორა შეხტნა და, ვდგავართ ასე პატარახანს ისე ძალიან დაბნეულები, რომ, — რადგან დარაჯმა, — არა, კი არ მძარცვავდნენ არამედ ვილაც ველისაპეტისტი კინოში უნახამოო (რუსულად უთხრა, ეს, რადგან იკაცო, ეე ბოდიშით არამედ მილიციანერი მარჩუკი იყო, გვარად — ყველასა გვაქვენ), და რალა ჩვენდაჭირად უკრაინიდან თუ ვუმფროცმო-რიდან ჩამოსული საქართველოში უკეთესური მომავლისა მოსაძიებლად და კიც დაუმსახურ-მოუპოვებია, კუსონიკობა, და, იმავე წლუს არ მოიჭრა ჩვენთან, „ვილის“-ი? მილიციანრებითულრული, თანაც?

და, გადმოხტნენა ხტომა-ხტუნვებში ისეთი მარჯვე მილიციანრები რომა სუყველა ისი-ყველანი სათითაურად თითან ზვიადი, მძლეოსნობაში თანრიგოსანი, კამაროვანადმხტომელური, გეკონდობოდათ, და იყვნენ, აასე მ-ათნი და, მთლად დარჩეულინი თურმე, ტალიკ-ტალიკი (ისეც...), მილიციისა ოპერატიულ-ოპერ-ები... — ეს იყო, საქმე? აბა სად ოპერ-რწმუნებულები და სად ოპერა თუგინდაც ზედაცდართული ბალეტისაც ოპერ-მუშაკულ თუგინდაც სუსტხუსუსტი სცენურადმცეკვე კიროვიეთა ს. მ., და ჩვენ რომ პისტალეტების „მუშკა“-ზედ მარჯვედ

აგვიყვანეს, დაეკითხნენა იმ ჩვენდაჭირად მოგ ზაურულად მარკო პოლოსა ჩამოსახლებულის, მშობლიურულისა უკრაინისა ემსაქართველოზედ გადამცვლელისა მარკო პოლოსა ვერჩამომგვანებულს რადგანაც მარკო აკი დაბრუნდა იტალიაში და ნიგნიც დანერა თუმც მკვლევარები იმასაც იძახიან მარკო და პოლო მთლად-საერთოდაც არ არსებობდნენ-ო მაგრამაც ესა სხვა-საკითხია, ნაგვიყვანს შორსე, და ჰკითხეს იმა-კუსონიკის (სუ დამავინყდა დროზე-დ ამეხსნა რომ მილიციანრებს მოფერებითე ასეც ეძახდნენ,) რა იყო რატო გაისროლე, ო, იმან კი სხვა ვერაფერი უკეთესი ვერ მოიფიქრა და, იარაღს მართმევენინო და, ეს უნდოდათ, აბსოლუტურსა-სმენიანებ-მომსმენლებსა-ოპერაულთა? — გვსტაცეს ხელი და, ხოლო მანქანაში ჩვენსა-შეყრას? ტყუილს აბა როგორ გაკადრებთ და, არცთუ თავაზიანად გვიპირებდნენ და არც ისაა დასამალი და სახვამი-ალო რომ ნამდვილათე არ გვესიამუნა ჩვენ, ეს, და, რაც მათ გადახბათ მანქანაში ჩვენს შესაყრელად? — ალბათ თვით დოდოსაკვი, ქვადარკინისას აშკარად ნაკლებ-დასჭირდებოდა გინდც არა-ერთგზისად გათხოვილ-დგამოთხოვილი მრავალ ქმრებ-ბოკვერებიან ფოცხვერთანა ერთრამისათვის ჭიდილი, კი, ხოლო ჩვენიკი ჩხუბი ისეთ ოპერებთანა ასე-მეგალითად როგორებიცაა „დონ ჟუანი“ და „რიგოლეტო“ რა იყო არამედ უმცროს-სერჟანტ და უფროს-ლეიტენანტ ოპერებთანა იმით დამთავრდა რომ სუყველანი „ვილის“-ში აღმოვჩნდით მარჩუკის გარდა რომელმაც, ალბათ, კალინინისა რაიონის ჩვენსა-მშობლიურივით მილიციანში სამშობლო-როგორუარყოფილმა ტკბილპანგებთან უკრაინისა ნაცვლად შორეულ მხარე-მხარეში-მხარეს კუსონიკობა იმჯობინა და, ხოლო არამშობლიურს ქართულურსა მილიციანიდ ჩასვლამდე უნივერმალის დარაჯ-ყარაულ-გუშაგ-მზირი და მუციხოვნი ალბათ ძანაც მკაცრად, დამუქრებითაც გააფრთხილა იცოდე უნდა დამემომშო რომ იარაღს მართმევენენ, თორემ... — გაფითრებული იქნებოდა ისი-სადკო, მთლად, იქამდე მუქლურჯ-შინელია-ნა, რადგან მთლდაც სრულიად საბჭოთა ს., რ., კ.-სა დროში დაუშვებელი და ყოვლად არა-რეკომენდირებული იყო უმიზეზოთე ტყვიისა სროლა, ის კი არა და თვით მილიციის უმფროსებსაც კი მკაცრათე ჰქონდათ დათვლილი ტყვია-ნამალი (ნამალი, კი-კი...) გინაცრო ჯონდი-მემსაჯე-ნახტომთაცმოთავე და თავი და პურმარილურ-ერის-თავი ზვიადაურსა ნახტომ-კამარას



ზუსტად ითვლიდა (კი-კი... მიართმევდა-ყე  
ზუსტ-სანტიმეტრობით ემ-მარჯვენიჩლას  
კამარებისა აღნუსხვასა, კი... გულისჯიბე-ით  
ფულიანსა, კი, ეს — კი), და, ი „ვილის“ში ერთ-  
თი-ორი რომ მოგვხვდა პატარახანს კი-ვით-  
მინეთ, რადგან — ასე სრულიად-მთავად  
უდანაშაულოები მგონი პირველად ვილაგით,  
მაგრამ „ვილის“ში რომელსაც კაბინაში და-  
საჯდომ-ვინრომერხები განზე ჩასდევდა და  
ამიტომაც ჩვენაცა და სულაც არა-გულ-ვარ-  
დიანები (ხელ-ვარდიანები მემრე შიქმენე)  
თუმცე გაჭირვებით მაგრამ ფრიადს-სივინ-  
როვეში მაინც მოვთავსდით როგორცდაც  
მჭიდროდ-აფართხალეულები და, ყველა  
ისინი თუმცად „შტატსკიშიაცმული“ ოლონ-  
დაც ვილისელთაგან უმრავლესობა? ანუ  
ისინი? — გადაცმულები, სამომავლო შტირ-  
ლიც-ებივითა, ოლონდაც ჩვენა აბარასა გა-  
მოგვაპარებდნენ — მილიცანრები იყვნენ პა-  
ლაღ-ნი, და ალბათ ვერც-ერთს უფარგოდათ  
ტენორ-ბანები თუმცე ოპერა-ტიულს სამუშა-  
ოებს ჩემულობდნენ, კი,

ხოლო „ვილის“-სა-შინა-ჩხუბი ემაშინ მარ-  
თლა გამაფრდა ჯონდოს-რო თავსში კარ-  
გა-მაგრა-რო ჩააფარეს და, ძაან ვიყვირე —  
„მაგას თავი გაანებეთ მაგას თავში პლატინა  
უდვებს“-მეიქი რაც რასაკვირველია უშნოდ-  
შაყირი ეგონათ ჩემგან და, თავს-ზედ უფრო  
მიესიენენ სამართლისა — კიი ხოლო პლა-  
ტინის ვერა-მცველნი, და, გადაეფოფრეთ,  
ჯონდ-ერისთავსა ოლონდ ნარსულს-ანმყო-  
ში ჯონდოკო კი ჩვენსა-ქვემოდაგან ცოლის  
ძმურადა ამოიყვირებოდა: „მე მირტყით  
თქვე... — ასეთისეთებო-ც, — ოლონდაც  
იმას ხელი არ ახლოთ“ო და, ძველქართუ-  
ლიც მოიშველია, განსამტკიცებლად სასიძო-  
სი: „ეგა ნეფეა, ნეფეა“-ო, რომელი „ნეფე“-ც  
„მეფე“ ეგონათ ოპერა-ტორებს აკი ცნობილ-  
ობერა „ნაბუქო“-ში ხომაა ერთხანს-გვირგვი-  
ნოსანი ნაბუქო, მეფე ის მეფე რა რომ — შე-  
ვარცხვინე ისეთი ქალიშვილი — აბიგაილის  
მიერ როგორ მწარედ, როგორულ მთლადც  
სამარგალოში მოყვანილი ჩინურ-ვითოკოპ-  
ნია წინაკასავით უუცხარესად განწირული  
ნაბუქო-იგი ვითომეფე მაგრამაც მაშინ  
ჩვენ ეს ოპერა აბასად ვიცოდით, მერე-ლ აღ-  
ვგვსერულდა (და ჰაკი გრამატიკაი ვერა-ვი-  
ციო, მე-მ?) მისი მოსმენას რადგან იმხანურ  
სსრკ-ში თავისუფლებასა და დამონებაზე  
მთელრიგ ადვილას ნამღერ-ოპერის მოსმე-  
ნინება ჩვე-საბჭოთაებისათვის არ იყო, არა,  
არადავერა, მიზანშეწონილიისე-თამამი ოპე-  
რები სადღაცასე რომ სულაც 58-ე მუხლს და  
იმის შვა-გულსაც ლავინიანა ჩამოჰგავდნენ,

ჩვენთვის მხოლოდდა ისეთ ოპერებს, სერ-  
ჟანტულებს და ლეიტენანტურთ, თუ იმეტებ-  
დნენ, კი, ასე-მაგალითად „ტრავიატა“ს მაგ-  
რამ რომელ-ოპერამიაც ვიოლეტასა დეკოლ-  
ტი-ისი არამცდარამც არ-უნდ ჰკეთონდა,  
კი,

ხოლო კი ამა „ვილის“-შიდა-ოპერებ-ულთა  
და ბალერონ-ოვანებზე (თუმცა თეთრ-თეთ-  
რნი რეიტუზნი სულაც არ ემოსათ არამედ  
რომელიდაცა-მატერიის შალვრებში იყვენ  
მატერიალისტიები, ის,) უცებ დიდად გან-  
ცვივრვდი (ადვილ-ჰყოფილა გრამატიკა  
თუ რაც შეიძლება მეტ-გვ“-ს იხმარე, ვ,) რად-  
გან ისეთი გულმოდგინეობით აბაკუნებდნენ  
„ვილის“-ის რკინის იატაკზე ფეხებს რომ,  
— კაცო ესენი მართლა ოპერა-ელები და ბა-  
ლეტ-ელები ხო არ არიან პოპაკ-ურები“ც,  
მეთქი, და, ზედაც ვიფიქრე „ისე არ ცივა  
გასათობად ამ შუაჩხუბში ფეხებით ასეძა-  
ლიან რომ ბაკუნუკობენ“-მეთქი, და, მერედ  
მკრთალად გაეარჩიე („ვილის“-ში ჩვენი უხ-  
ვობისაგან დიდი სიბნელე იდგა) — თურმე  
ზვიადი პირქვე გაეგლოთ ფეხქვეშ და იმაზე-  
დ ბაკუნუკობდნენ და, არიქა-ახლა მის საშვე-  
ლად გაძრომას ვლამობდით და,

მოკლედ?  
ამასობაში?

კიც-მიგვიყვანეს, მოგვიყვანესა ყოვლად-  
უფულოდ კალინინისა რაიონის ეს მერამდე-  
ნედ გასამშობლიურებულსავით მილიცანე-  
რიაში, და,

იქა კი? — ახლა ახლადგაცნობილი ახა-  
ლინეფე გადავეკრია: „როგორ ზედავთ რომ  
უდანაშაულო მოქალაქებს ასე გვირტყამთ  
სადაა თქვენი სამოქალაქო ზრუნვა და მო-  
ქალაქეობრივი პასუხისმგებლობა-ო, — ალ-  
ბათ პირველად იყო მილიციაში, ჩვენამდე  
ყოვლად-უხინჯო კაცი, და იმას ამა-შენიშ-  
ვნისათვის მილიცანრები ჩვენი არ იყოს ისე  
ძალიან დაუახლოვდნენ რომ, მეტადეც —  
თავიანთურეც ოთხთავ-კიდურით? — ჯონ-  
დო რომ ჩვენი და ნეთვის დაახლოებას-ასეთს  
სუვერა ინატრებდა ოდიოტანურადე ასეთს-  
ქართველურ, სა, იმა-თავის ფანტაზიურადეც,  
ნარმოიდგენდა ვერ,

არადა, მილიცანრებსაც სუმთლა-ბოლომ-  
დეც ვერ გავემტყუნებთ, თვარ ივარჯიშეს  
იმათა ხვარ დაწყებიან მოდუნებასა ანტი-  
საბჭოურს თუ-არ გვერამსთ და, — ისევე  
1957 წლის 1-2 სექტემბერი მიმობილეთ რო-  
მელ ნყალგაუვალსა კლდეკარულ კვირასა-  
და-ორშაბათიდამ მთელს ერთსა სრულა-ნე-  
ლინადაზედაც მეტიუფრო დრო, გაჰსულიყო  
ჩვენით რაცგინდა ძნიად-ფონს, და,



მეცა (ანუ მე-ც და არა მეცა-მეტეკა-ცეკა) იქა-მაშინ, რომეი მაინც გათენდა როგორც წესია უწესობისათვისაც კი? — მეცა ის (აქა-კი — მეტეკა) კაიპაზრი და წარმოდგანა იმისა რომ — პახმელიაზე გამოსასვლელად გულს ვიკეთებდი — აი, მოვა საცაა ჩვენი ძია ბახვა-ბიძია-უფროსი და ის გამოგვიშვებს, გავვიშვებს ყველას, ო, და ერთს ვემრიელად წავუძინებ (მილიციაში ვერ იყო კარგა საძინებლები თუკი ვსტყუოდე უფროდაც-ფინთი, ვიყო,) და საღამოთი კი რა ქორნილი გვიძევსა წინ ამ მილიცანრულადასა ამღვლეღვრეულობე-ბიდანა ფონს-გასულელებს, თქო, ჩვე-სუყველანი ვფიქრობდით ასე და ჩუმად ვსხედდით, გამოცდილები, ნეფისა ვარდა რომელიცა-რომ რალაცაულ-რომელიცა ცაურ იურის-პრუდენციებიო თუ რას ეძახიან აი იმასა ჩემულობდა თავეკრძულად და — და კიდეე კარგი ცოტა ხმადაბლა მეტყველებდა, ცოტა ფრთხილათე, არ-საკიდურებო-დ იმუქრებო-და, აფეოპატებიოთ,

და მაინც, გამობრძმედილ-და-გამოჯე-კილნი-ჩვე ვიკეთებდით-ყე ახალგაზრდულ გულს დიდი ამბავი მილიცანრები პატარათი თუ ვაყოჩაღეთ-თქვა მაგრამ კი ხოლო-ის ძანაც არ-გვესიამუნა ბიძიო ბახვა რომ სწორედ წარსულ-წინადალით შევებულემაში სულაც-უჩვენოდ გასულიყო, და,

ამაზედაც, —  
 ოპტიმისტურად —

„ეგ არაფერი, ჩვენი პერბეტუშუშ-მსხსელი სივონისაძე იმის მოადგილეს საკუთარხელთი დაურეკავს და ბახვაბიძიასავით დაა ისიცა კვირდ-ბიკოლასავით მთლად სწორა-გზაზე დაგვაცყენებს“-თქვა,

და ჯონდომ ზვიადს ისიც უსაყვედურა სადაა ბიჭო ამდენხანს მამაშენი, რად არ გა-კითხავს, შეილი თუ არა შეილისთვის გატა-ნებული ფულით უდანაკარგოდ შექნილი ნიგნები მაინც არ მოესურვილა-ვო?

და, როგორ მოგვეშვა პატარახნით გულს როცა მოგვესმა „აბა გამოდით-გამოდით თქვე“ რალაცისშვილებოო — არადა, მრავ-ლობითში ნეტა რად მოგვმართეს აკი შეილი-ზე მხოლოდდა ჩემი გვარი და ისიც როგო-რე იშვიათი მთავრდებოდა, მაგრამ თბილისი საქართველოსში გარდა ხომეი იყო სა-ქარ-თელეთი-ში და სამეი მეგრულიც (ზვიადი, მე-რაბი, ნეფე) ალბათ ამიტომ გააქართლელეს, მეთქი, — კარგა არ ავხსენ, იი-შვილობა?

ხოლოკი, იმათ ამას ოლონდ რატომდაც დაამატეს, თითო-თითოდ გამოდითო და,

და „რა მოეჩვენათ“ რომ გავიფიქრე გაკ-ვირვებულმა,

კიდეეცა მეტად ის გამიკვირდა, რომ, სე-ვასტიანთუაგესენტიან მსუბუქ-სუბუქი მანქანის ნაცვლად მოურიდებლად პირში რა იყო და არამედ ტანშიმთქმელი (რადგან თე-ლიტინათი შევგავადეს შითე, კაცოო... სადა და — ( — „Чёрная ворона-ში) ვინაც არ იც-ნობთ ტრანსპორტის ამა-სახეობას ნუმც გაგვეცნოთ მაგრამ აქ როგორ არ ავიხსნათ რომ, ესა? — რკინის ურჩხულ-მინადმფრინ-ველი დაჭერილურთა ტრანსპორტია უტრანს-სპარანტოთ ყოვლათ ასეთი და ყველაფრისა არ იყოს ერთიე პლიუსი იმას ისააქ რომა ყოვლათ-უფასოთ გემსახურება, ალტრუის-ტული, — გველოდა თურმე ყორანი-იგი რა-ლა არ ხდება და ნეფებისციკი გადა-შე-მსან-სლავი და რალა „თურმე“ გველოდა — თურ-მე კი არა დოკუმენტურულ-რეალისტურად გვიკრეს თავი იქ, ჩვენ-ჩვენი თავი როგორც ასეთი ოლონდაც ზედაც ტანიაანა და, შეგვეჭე-დესა მინიატურულს რკინულს-საკენებშია როგორც ასეთი და, ნეტაი სადა მიეცაერთო გავიფიქრეთ ჩვენ როგორც ასეთი,

და,  
 მთლადაც მალე, პირშიმთქმელურის-შეუ-ფერხებლიე ვავიგეთ ესრადგან „კაპეზე“ (ანუ K-amera П-предварительного 3-аключения-ში... — ქართულად ალბათ ნ-წინასწარი და-პა-ტიმრების ს-აქანია ანუ წდს ანუ მთლადსწო-რად ნანი-დონი-სანი მაგრამ მე ჯერ არსად, ასტრონომებს რომ სულაც თავი გავანებოთ სივით ფილოლოგებშიაცკი არ და საერთო-დაც არცერთაულსა ჰუმანიტარულეში არ გამიიფა „კაპეზე“-სა რომ „წინაიღონისანი“-სა ეძახდეს რაცინდ ვ-ებიანი გრამატიკოსი), და ესა-სავით ერთდაგვარი, „კაპეზე“-ური, ახლოს სყოფილა — და გინდაც ციმბირში ყო-ფილიყო ფულს მაინც გადაგვახდევინებდნენ-არ, იმათთან აბა ვის გაუვიდოდა „ქართველო ხელი ვიბეს იკარ“-ი მაგრამ ნამეტურადაც არ გავვათამამეს რადგან პატარახანი ამას დიდდენაჩვეუი ჩემი საათი მთლადაც-სულე-ციფერბლატინა ჩამომართვეს და, აი იქა კი რალაც ოთახში კაცო ისეთ შიშველში რომ კი-როვის სურათიც კი არ ეკიდა, კი — სუ-ხელ-მკლავებით შეგვიყვანეს, იმ ოთახიდან კი პი-რიქით უ-პადრუქებოდ, თითო-თითოდ გავ-ყავდით და აბა რომელი მოგბრუნდებოდით, რადგან კაპეზე-ურის თვითშემოქმედების განსამტკიცებლად პიანინო-ზედა ცალთითე-ბურად დაგვაკერვინეს მიუხედავად იმისა რომ მერაბიცა და ზვიადიც ათივთ თითით ფლობდნენ სახელწოდებით ინსტრუმენტს-იმას ოლონდაც ნალდ პიანინოს ესა დაკვრაკი ისევედაისეე თითებისა ანაბუქვების ასაღე-



ბად გვამუსიკავენს-გვამუსიკოსებსა და, გადაგვიდეს ნატურალური ფოტოსურათებიც ასევე ანფას-პროფილში (ჩეკუას გავლენა) და ახლა არ ვიცი როგორაა მაგრამკი მაშინკი ესაკი-ყველაფერი უფასო იყო გავრის „ფან-ტანკი“ის წყლისა არ იყოს,

კი,

და, ნამუსიკოსობარზე კი მეცადინეობით ხვარ გადაგველაღნენ ბიჭებოი და, დასვენებისათვის დასასვენებლად კვლავ საითთაოდ ჩავიყვან-ჩავგვლანეს სარდაფში, სადაც, მე ბედისწერით ბედისწერული ნუმერ II საკანი მერგო, და, თავაზიანად — რადგან თავისით გამიღეს რკინისა-კარი და, წინც-გამატარეს ოღონდაც შით არ შემომყოლია გამყოლი იგი — გადაწყვებოდა, ახლა, ჩემობატონო, თან, — და ხოლოკი მეკი იქ რომ შევედი ჯერ მეგონა-თუ ბურუსია-თქვა შმორის ისეთი დამყაყებულად აღზევებული სუნი იდგა? — ეპპ კავებე კაპეზე-სა რამდენად ვუმფრო ნა-ჯობნარა მიუხედავად იმისა რომ სახელწოდებებით ერთთებთან ერთიმეორეს აი-ესენი სოლიდარობა-კავებე-კაპეზე ვით დავმინ ბედნის — ილიჩისა და ხურუშქოვისა ბაირო-ნისა — ჩაანკინკ-ებულ-ქებულ ტაეპთა ყივანა რითმათსავით ოღონდც ყივანა-ხველურ რითმათქმნადობას საქმე-საქმეზედ, და, პოეზიად იქით იყოს

და,

მუსიკალურად თუ შავხედამთ კვარტეტი დამხვდა მე-საკინტეტეს იმა-სარდაფში? — ეპპ, სხვენები, ეპავე სხვენნი ჩემნი, არ-სარდაფულნი, და,

ხოლო პირველი ვაჰხდ-შესუნთქვისა შემდგომ ასევე პირველივე არცთუ ამო-საამო ანუ ძაანაც არასასურვი ნოტი ისაა საკნად შესვლისას ზურგსუკან კარს რომ ავი-ღრჭი-ალით ჩავიკეტავენ, ხმა არი სულაც ძაან-უმუსიკო-უპარმონი უსმენთა-თვისაც-კია ტანშიდამბურძენი და, მე ამა-მე-ს, რა დამრჩენოდა, მივესალამე აიმ-შმორშია უცნობ-მასპინძლებს ოღონდ ძალიან-ყოველად-უპურმარილოებსა მაგრამ სიმართლედ? — მაინც სიმართლედ და არც მე, სტუმარს, მიმიტანია ა-იმათთინა სუნნელოვანი თუ უსუნოებ-ყვავილებიცკი რაც მართალია მართალია, და აგრეთვე არც შიკალადები და არც იმათა მოურბენინებ-მოუწოჩილებით ჩემკე მურთაქიანი სავარძლები არამედ ფიცრულს-შემადლებულ ნარზე უმბრლოდ მითხრეს, ჩამოჯექიო, და, შევარცხვინე იმათი ესრეთ-მასპინძლობა — დავგვიანებისათვის არც ზორბა ყანნით დავუჯარიმებივართ — იმა-ოთხიდან სულაც არც-ერთს მოუნოდებია არც აზარფეშა და არც ჭინჭილა გინდ დაიჯერეთ ეს და გინდაც — არა...

თქვენი ნებაა, ეს.

თავისუფალთა (ისემც...), თქვენ — რადგანაც გარეთ, რაცინდ-ჰაერზე მყოფთათათვის...

მაგრამ „ჰაერზეყოფნა“ აქ პირობითი, რადგან ბევრმხრივი, მრავალსახოვანი სიტყვაა, საკანშიაც კი-იყო ჰაერი ამ შემთხვევაში, ჰაერი როგორც ასეთი ანუ ისეთი რომ, რა-გასაჭიროდ, გვჭირდა, თუმცკი ერია რა-ღაც-რადაც ნამცეცაური ნაწილაკები სულ-მოსათქმელად, და იმდენად და იმდენზედაც გვეყოფინდა რომ იყო აგრეთვე ზომიერ-ხმიანობითაც ლაპარაკისა შემძლებულობა და უფლებაც კი ამისა რამიც საკმოდ მალე დავრწმუნდენ რადგან იმ კვარტეტიდან თურმე პირველმა ვიოლინომ, რომელ ნამყვანურ უღერადობასა (ხმაჩახლეჩილად, თუმც...) ვინმე შალიკო „უა“-ზე დამთავრებულგვარიანი ასრულებდა, ხოლო ხმისგან განსხვავებით ტექნიკა ჰქონდა როსტოვიდან ჯერ აქეთა ნახევარსფეროსი ადგილებისა გავლით სულაც იქითა-გადასული აგრეთვე მევიოლინე ე. ციმბალისტივით ისეთ-მშვენიერი რომ მაშინვე იგრძნობდი რომ ისი-იყო ლიდერ-თავკაცი...

ნამდვილად.

უცილობლად, კი, რადგან „დაჯექი გენარსვალ“-ო იმან პირველმა და გულთბილად, მითხრა.

თვითონ კი, თავად, უკვე მართლა იჯდა.

და, თანაც ქურდად.

ოღონდაც თურმე. გავიგებთ ყოველს, მემრე.

მდე გავიგე, რალა თქმა უნდა, ეს. მომავალში. საკნებშიც კია, მომავალი.

ხოლო მეორე ვიოლინოდ ვინ იჯდა თუ ინვა, აღარ მახსოვს, ისე კი — ალბათ ყოველგვარ ეჭვს გარეშე და უსიკვდილოდ, რადგან ხანდახან მე მგონი ნყალს ალბათ ყლუპობით სვამდა თორემ სხვა არაფერი მისგან მე სუ-არ მახსოვს, — არა, ვერ იყო შთამბეჭდავი პოლიტიკურულ ლიდერივითა მიუხედავად იმისა რომ მათად-მსავალად ექნებოდა, კი, რამე სახელ-გვარი თუმც უცილობლად არც სჭირდებოდა მგონი ესა, კი, თუმც! — როგორ არა, — აბა მისსა თითებისა ანაბეჭდებსა სხვათ-გან როგორ გამოერჩიათ გონებაფხიზელ სამართალდამცავებსა, და აგრეთვე დიდადცე არი მგონი საჭირო გვარდასახელი ასევე — პასპორტისთინა, და დაბადების მოწმობისც ასლისთვის როა საჭირო კინაღამ სულაც დამავინყდა თორემ უიმა-ასლოდ? — თორი ამტკიცე რამდენიცინდა რომ ნამდვილათე ხარ-და-არსებოვ, ალტზედ კი ერ-

თიცა ანიელა, ასე-ერთადა გვჭყო კამერამა, ალბათ სახლიკაცებ-და-ნათესავებიანა უტყვევებულბაი სიკვტივკარშია გაყინულივითი (— იეაც კი არიან), და მაინც როგორღაც შენიღბულათე მოეშმაკო აი ისე რო მთლადაც უმ-უჭუჭუ-იფიფ ოქრომჭედელი „დანიელა ურია ჩვენში რამ გაურია“? — რამ გა-ურია და, საბჭ-კოდექსმა, იყო მეალტე ისი და, ხოლო მეთხე? — მთლად კახალსივით მუსიკალური ვერა მაგრამ ზე-კონტრაბასივით ვილონჩელოზედ კი ამ საკრავისა ტოლფარდი ერთიცა კასპისრაიონელი, ამა-კაპეზეში მთლად-უკაპიკოდ-ჩაუნყობლად და მაინც შალაის დამსახურებით მთლად-დელევატი... — ბანდიტი იყო. მაგრამ ამ ოთხკედელშუა ძაან ხმადაბოტი მოუბრობდა თუკი შალიკო რაიმს ჰკითხავდა; ჭკუით ვერ იყო ალბათ ჭკვასრულობითე გადაცეპულად დატვირთული — სად მე-როგორმა არიფ-მაფმაცკი ვიცოდი რომ ბანდიტები და ქურდები არა მოყვრობენ ბოლშევიკ-და-მენშე-ვიკიეპსავეთ ისი კი ემ-შალიკოთი დიდად ნაბმული აშკარად იყო, და თავის-ჭკუისა მაგრა-ჯინზედ სამაგიეროდ ისეთ-ისეთი გასაოცარი ჯანისა, ჩანდა და, ალბათ, იყო-ც? ისეთად იყო ტანსაცმლიანა, ჩაკირული? — ტანად თუმც საშუალოდა თუ იქნებოდა მაგრამ უბრალოდ მხარბეჭიანი კი არა — მხარ-ბეჭით მთლადაც გამოუყოფლად ჰქონდა მკერდ-ზურგ-მკლავებთავან და მთელს ზედ-მეტადაც მრთელსც სახელთანაც რკინადათქვეფილი როგო-არ-იყო, მაგრამ, ეტყობათ ხოლმე — გიმნასტიკური და სულელური მანტელე-ესპანდელებით ნავარჯიშევადა კი არა ტანსაცმელს მიღმაც კუნთების ისეთ-ისეთი გადახლართვა ჰქონდა, რომე... აბა რომელი ნანლავებისა გადახლართვა ანდ ბულიონის რა იყო და — ბუდიონისა სრული უღაში, ჩასკენილი იყო ყოვლისმომცველურად, თავით ფეხამდე... თუმც, თავი არ მახსოვს... — ჰქონდა? არქონდა?... მოკლედ, მთლადც ბუნებრივი ზე-ჯანითა, გადატვირთული ძაალიააან, იყო, როგორღაც ქართულ-კასპურულ-ხალხურის-ჯანით-ცხოვე-ლმპყოფელურ-ძალუმობით? — ისეთითა რომ, მოკლედ — ჯაან, ისერივ იყო შედულაბებული, რომ, საქმე-საქმეზედ? რომელი ერთი სათვალვითადღივო მაგაღით... — ჰო! — თვით ჩვენს დიდოს, თანრიგებ-ოსანს, ხელებიდამა ნებისმიერსა საიმსაქმეოდ ატატიბულსა ფოცხვერსაც კი გააგდებინებდა. კი. ხოლო ქვეყნად არსებულ ამდენ უამრავ დარგ-მიმართულებათავან? — რის ვილონჩელისტობა, თუმც მევილონჩელოე-ობა სულაც არაა ხელნამოსაკრავი დარ-

გი, ასე მაგალითად ერთიც მომავალი დირიჟორი ახალგაზრდობაში სწორედ ამ საკრავზე რომ უკრავდა, იმ ორკესტრს ერთხელაც უკვე დიდადცნობილი კომპოზიტორი დირიჟორობდა და, სწორედ მან სუმილად პირველად შეამჩნია იმ ახალგაზრდას დიდადმალი მონაცემები, და, თუმც სიტყვაძუნწმა როგორ, იმ ახალგაზრდას დიდი მუსიკალური მომავალი უნინასწარმეტყველ და ეს ალბათ იმან გამახსენა რომ შალიკო... — უა ძაან თბილათე ეტეკოდა ამა-მრბეველს თუმცა არც იბანდიტად-ობიექტი იყო მეორკესტრანტე არტურო ტოსკანინი და არცვერც ხელმრუდი შალიკო გახლდათ მავსტრო ვერდი რადგან შალიკოსაც და მის პროტეტეს რისა-ჩელო და მე-ვილონჩელო-ბა და ბგერათაქმან ახლებური არამედ მაინცდამაინც სწორედ ქურდობა და სწორედაცა (თუ, არასწორად) ბანდიტობა, კი, ამოერჩიათ.

ახლა არ გიცი როგორაა და იმხნად კი ამა-საქმეში სახელოვანი კასპ-ძეგვისა-რაიონელი ხელ-ოვანათე ცივ-და-ცხელიარალიანი ჩვენისაკნისა ბანდიტი გახლდათ ხოლო საკანში? ამ სავანე-ში? დამბაჩაი და ხრმალი კი არა ერთი საქმითვი მახათი-ცა კი ვერა ჰქონდა.

უსაქმოსა, კი.  
ჰაფსუს.

მეხსუთე მე გახლდით; ახლაც არ ვიცი, რომელ საკრავად შეველ კვარტეტში.

მე მგონი, ხამად-არიფაული პიკოლო, ვიყა.

და ჩვენსა იმ-ყოფას რადა თქმა უნდა შალიკოსი ეგრეთწოდებული „ნამდვილი ამბის აღწერიტ“ დავიწყებ, მაგრამ — ეს ახლა ვიცი, და არა მაშინ — აქ უფრო მეტად გამახსენდა, მკითხველო (ანუ ნამკითხავო, მკითხავო — რადგანაც რახან წარმოსახებუბინო, ც, დაო ვადამკითხველოცკი), ნაღდი ამბების გადმოცემა რომ — უმფროდ ძნელი და სახიფათოა... იმას საკნიდან დიდი ხნის შემდეგ ერთიც უურნალის (— „ერთიც“ იმიტიმ რომ რედაქტორი ყვანდა ისეთი...) რედაქციაში რომ ვმუშაობდი არცთუ იშვითად მიწედა რაიმ-მოთხრობის ან თლათც-რომანისა გაბრუნება იმ მიზეზით რომ, „დამაჯერებელი“ არ არის, „დაუჯერებელია“-თი... არადა, იმათე-ყველათ გულში რეგვენი ვეგოვთ, რადგან, „მართალ ამბავსა“ აღწერდენ, ჰლსწერდენ, ავტოდ-ოპუსში... ზოგიხნამალღივ-ც მუეზნებოდა, ნატურალიზმსა, ამას, მაგრამ, კაცოო, შენ თუკი იცი მშვენიერად ის რომ შესწამეზობელს ალექსისა როგორი ცხვირი და ნარბეზი და ყრონჭი ჰქონდა ეს მეცკი უნდა წარმო-



მადგენინო და დამანახო თორემ შენთვის თუ ისე ნამდვილი, რომ ცოცხალია და ამოძრავებულია და ასე შემდეგ და დამარწმუნებელი? — მე რაღას მჩრი იმას გინდაც ბითურულს რედაქციაში ემაგ მხოლოეთ იმ-შენისას ოლონდაც იმა ჩემისას-პირობაზედ მთლად გონ-ტან-ნაკეთნამხდარს, შენით იმ როგორ-გულშემოყრილს, რომელიერთი ნიშადური იმას თვალეზსა აახელინებს, ჩემთვის, და, თუ გურულია, მაშინ — ჩემზა, და, ყოფილიყო ის თანისთვის და მეკიდე, ჩემთვის, კაცო, იმას ვაინა კიდევაც მეტად ბლაგვი თითებით ძალიან ჩენა და ხელიდან ხელში შეჩეჩება აკლდალა, განა? არადა, ეგრეთნოდებული ავტორი ისეც-ისედაც ისეთი უნდა იყოს, რომ, რაცგინდ შორეული-ვინმ აღწეროს, გინდაც-და დიდად მიუღებელი და აუტანლად გაუსაძლისი, და მისი ყოფა — შეუშურეველ-სულ-დგმულისა? — ისი სენი საკბილო კი არა და, არამედ შენივებულ-ჩამამტვრევი? და, მას, მისთანასაც კი გადამკიდე შენ მაინც იმდენად უნდა იყვე მისი ცხოებისა თუგ ა-ქანდაკებისას თავად ის, იგი, ის-იგი-ისი ყოვლად, რომ, როგორ ძალიან უნდა მოერიო შენს მისებურ თავს და როგორმე უნდა კეთილინებო-უნდა და, — მთლად ნემსის ყუნწში, თან დაისრულსა და ცეცხლოვანში უნდა გაძვრე, როგორმე უნდა თან გაეყარო როგორც რაცგინდ უძნელეს-ყუნწს და თანაც არ უნდა გაეყარო და დაშორიშორდე რაგინდ უსურველს, როგორმე უნდა, შესაზიზღლაც კი, უნდა-როგორმე განეყარო-არ, და ისე უნდა შეძერ-გაძვრე მას-ში აი-ისეც რომ შანთებზე შეგრჩეს გონების, თვით თავად გულისც-ნაფლეთები და, მთელი ჯანი და კიდევ კარგი რომ საფანელი, გადატანითი მნიშვნელობით, აღმდგენადია და რაგინდ-ხრიოკად ძალგამოცლილად მივარდნილს ისე, რომ, აღარაფრის არაქათი გაქვს მაგრამასულმცირეძილით? ამუცნაური, დროებითი გარდაცვალებით ისეც შემერთულს გმობს სიმნელეების როგორ-მომხენი და, შენ, სახემქცევადას, სახეცკლისა როგორმე-ოსტატს როგორ არ უნდა გაგახსენდეს აის დიადი, რადიადი გამონათქვამი — „ემა ბოვარი, ეს — მე ვარ“, —, — რა სიმართლეა, — თვით პროზის ღირსი, და ჩვენ ჩვენი გავისხნეთ, ჩვენი დიდი ილია, მასავით ნაღდი ღურსაბი თვით თათქარიძეც როარ ჰყოფილა, და, როგორ რა-ბრძენი, დიდი ილია, მართლაც მართალი? — სახეცკევადი ძაან-რადგანაც, და მერე, როგორი: ის გაჯანჯლებული გლახა ჭრიაშვილიც და-ნამდვილ-ებით კიუნდა ყოფილიყო ეს დიდად-მალალთა-სიტყვათმესიტყვე, რადგან — მეტყველებითაც? —

როგორ სარწმუნოდ ძაან წყალწმინდა — ის მერე რა რომ, ამღვრეულობით-გინდაც, ეს უცნაურად ჩაქსოვილი ბუნდოვანება და ყურ-შისაცემი ღვარჭნილობა და თან სიმქრქალე მაინც როგორღაც ჩახლართულად გამჭვირვალი უნდა იყოს მესიტყვეთი, კი, რადგანაც გლახა ჭრიაშვილი? — ეს, ავტორია, თავად ილია ჭავჭავაძე, ჭრიალიების, ჭრიაშვილობის ნაღდი თავადი, ასე რომ მთლადაც ადვილად მისანდომი არ უნდა იყოს გინდ გამოგონილის განამდვილება და სინამდვილისა ამ სირთულისა ხომ... — ვერა ჰყოფილა მთლადც საადვილოდ ილია-საქმე, ეს,

ხოლო როდესაც ჩემს ემ-საქმეს, ამა-საქმისა, თავსაგადალასამკვდროს, შევეჭიდევი, ავად თუ კარგად თუ ცრუდ თუ მართლად მაგრამ სუყველაზემდელ კატორლად შემდგარს — ამ შემთხვევაში რაის-ნამდვილი კატორლა, კაცო, — ბერეი ნლის შემდეგ, ერთისგან მესმა ჩემს ეგრეთნოდებულ მოქმედ პირზე ანუ რაღა თქმა უნდა, ჩემზე-ც, და აი იმ ერთმაც არა-კეთილმოსურნემ მე-ზე ისიცა თქვა, რომ, როგორ შეიძლება ასეთი უმსგავსი მსოფლმხედველობა აქუნდეს ავტორს აი ესა ხომ აკი არახაბჭობა მკრეხელობა-აო ხოლო ჰაზრები-ესი-ჩემი სპორტის ერთ-ერთი სახეობის, ვატერპოლოსი ყოვლად უხამსი, უშვეერი მწვრთნელის, ტლანქად უხეიო „აღმადგენელი“ს, ერთიც სახელით — რექსაჩი-ის იყო, და როგორ აღეშფოთდი ასეთი რამ რატომ და როგორ და რომ მაკადრა, მაგრამ, რამოდენიმე წლისა შემდგომ, კელავაც — „მადად ბოვარი, ეს, — მე ვარ“ის გახსენებზე, გაკვირვებისაგან მთლად შემცბარმა: „ნეტავი რაზე-დ ეწინშატდები მე-გონებავერმოქნილი, რადგან, ეს რა წარმატებულად სირთულისაქმნადობაი, უბოძებია, ამ შედარება-გაიგივებით იმა ოპონენტს ემ-ჩემთვის, ჩემზა, მართალია უნებურად მაგრამ იმ ვითომაცადა ვერამოკეთეს კი არა და, როგორ რამდენად-კეთილმონყალეს, თურმე, ქათინაურმდღენილს ემ-ჩემთვის რადგან ისე სწორა-ძალიან შევმძვრალავარ სხვისა ტყავში რომ რექსაჩი და მე მთლად ავრევივართ, ერთიმორედს მესამეში ანუ ჩვენ-ორში, ერთად“...,

როგორ ძნელად მისაღწევი ათქვეფა ჩემგან, —

ეს, და, სხვაფრივაც ისე აენყო ჩემი საქმე რომ — საქართველოსი უმრავლესობაურ „შუბანიტარულ კრიტიკოსებ“-ზე (და არა ლიტერატორებზე რადგან „ლიტერატორი“ მე გინდ ფილოლოგებზე არანაკლებ თუნდ მათემა-



ტიკოსებსა და ფიზიკოსებში მეგულება...) ვუმფროდაც ადრე რუსმა ამ-განხრისებმა თბილად, კეთილგანწყობით მიმიღეს რაც ძალიან ძლიერ გამეხარდა მაგრამ აქა-კი, დიდ ბოლოშს გიხდით მითომაც ცზაზე და თანაც სწორზე რომ გაყენებთ — გრუზე რამდენად ძნელია, სწორზეა, — მაგრამ ნამით არ გაიფიქროთ და არ დამდოთ ბეზლი ანუ „ბეზღება — შესმენა ანუ გამოტყუვება“ — საბა, რომ ქართველ მკითხველს არაქართველი მიჩვევნია და სხვათ-სხვეებისა აზრთ მეტ პატივსა ვცემ და მნიშვნელობას ვანიჭებდე — სრულიადაც არა! — არამედ, ქართულში, სადაც ამკარა თუ ფარულ რიტმს ვიცავ და იმდენად მივდე — ეს ახლა და არა იქა-კაპე-ზეში — და ვაყურადებ მარცვალთადადგენას და არ ვიცი რამდენად უფრო სწორი ვაარ თუ ახირებულ-ვარ — მაგრამ არამცთუ ვერ-ლიბრი, თვით თეთრი ლექსიც კი პროზისა და დრამატურგიის საქმე უფრო მგონია ვინემ ისევ-მაღალი პოეზიისა მო-ფუთრადმო-ლექსეთაგან ორ დიდადკარგ პოეტს თუ არ ჩავთვლით, და როგორღაც უფრო ვაფერად-დონებ ამბებს, და სიტყვებს, მთელი ჩემური მონდომებით და ეს-ცდა-კი არა მგონია მთლად ამაოებისაკენ სწრაფვა გახლდეთ და ფუჭი იყოს რადგან ფლობერი, თარგმანშიაც კი, — იგრძნობა როგორღაც, ეს, — ვერლიბ-რისა და თეთრი ლექსის კაცია, და თურმე მართლა რა სალუქ-მიჯრალად აკონინდება სწორედ იმ მარცვლებს რომლებითაც რომ როგორ ურთულეს და გადახუნძლული პროზისა, მაინც როგორღაც ბასრის ხელით თავმეკავებულს, ჰქმნიდა, ლეთისა შენეგ-ნით, და, როგორ ძლიერ აპართლებდა იმ სა-მადლობელს ლეთისადმი, რომ: „მმადლობელ-ნი უღირსნი ესე მონანი შენნი, უფალო, დიდ-თა ქუელისმოქმედებათა შენთათვის, რომელიცა ჰქმნენ ჩუენ ზედა“, და, იქვე განმეორებულ: „ქუელისმოქმედებათა შენთა და ნიჭთა უსასყიდლოდ ღირს-ქმნილი მონანი შენნი, მეუფო“, და, ეგებ მთლადაც „უსმარ-ნი“ არა, რადგან: „და მადლობასა ძალისაებრ შევსწირავთ“, ხოლო ეს „ძალისაებრ“? — გახლდათ და გახლათ მუშაკობა რა უცნაურ-რად რაკეთილი — სიკეთისათვის, სასოწარ-მკვეთადც სისასტიკემდე უძლებად შრომა და გამუდმებით მრისხანება ოღონდ საკუ-თარ-თავისადმი რომ არ დასჯერედ მიღწეუ-ლად არც-რაიმეს და არ გაიბზარო და გახ-სოვდეს მუდამ ეს ჩასაბეჭდი გულში, გონებას რომ გინდაც რა-უხვად სწორედ შენთვის რა უსასყიდლოდ გამზადებულ-და-მონოდებუ-ლი, ბოძებული როგორ წყალობად იმ სიკე-

თებისა დიდი წმიდა სამებისაგან რომ-რო ინწვია რაოდენმა, რომელთაგანაც უმრავ-ლესობა რა ბედნიერად ჭკვიდამ შემოიღნი რადგან სწორედაც სუთლად უმაღლეს ზე-ქვესა იდგნენ, გავარგარებულ ცხელ-ცხელი გულთით, თან — საოცრება — როგორ ძალი-ან ამწონ-დამწონი და თუკი საქმე მოითხო-ვდა? — ცივისსხლიანნიც, კი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითად და მუდმივად-კი? როგორ სუნთქავდნენ, როგორა ჰფეთქდნენ, მბედნიერები თავიანთ-გან, ემ-ამე ჩვენ-თვის, და ჩვენკი, ქართველებიც ლეთისა-წყალობით გვყავს რაოდენნი, და, მგონია რომ, უსპეტაკესი? — ესა, ვაჟაა, ერთიც სოფ-ლეელი, სოფლის ვლესკაცი, მხნელ-მთესველი და, ამასაქმით მითო-უმბრალო მაგრამ — ! — ქართული ენით, და ამ ენისა რამადლიანი კილოვებით — როგორის ჯილდოდქმნილი-სათვის, — რაღა გლესუქა!, მრავალმხრივო-ბით მრავალგვარი ის მაინც არა, ვერაა მეს-ხვადასხვი რადგან, აისა? — ღვთისაა, და ღვთით ბოძებული, ის — სიოცაა უნაზესი და გრივალთა თავსდატეხილი დაა ჩვენიკი მი-წასამომწვევები იმიტომა რომ მიწაზედ უფრო დაგაფუძნოს ოღონდაც ძაან-ამაღლებულად და თუ რა-როგორ სილამაზესთან, სათნოე-ბასთან გქონია საქმე, და თავადა კი? ადამი-ანის პირობაზე მთლად-ყოვლისშემძლე? — ერთს-რამს კი ძაანაც ტყვილა დაროდება აკი — ნვიმად რატომ არ მოვედოდა... წვიმად კი-არა! — მთლადაც მათა-მაღალთა-მაღლივ-თაგან მოვარდნილ, მომწყდარ მოზავთებად ღვარცოფადა და, „მზე პირს იბანს“ — ა-სავი-თაცა, კი, როგორ გვევიმდა, გვანვიმდა, რო-გორ მოვდა, და მოგვემც, ვაჟა, რომელი ნვიმ-თავლისმიერი, როგორ გვანვიმს ჩვენ, — მისგან როგორად ნაბატრონალეს, ჩვენ, ამა-ჩვენი, როგორ-ჩვენი, ემ-სამშობლო-თი, და, ქართველები არცთუ მცირენი ფე-რადონებდნენ, და აფერადონებენ-ც ამ-ბებს, სიტყვით, და მისითა და ფიროსმანით ჩვენთანაც, ჩვენშიც როგორ კითოეს, და კიცგვწველაც მაგრამ ძალმოსილ-რიჟრაფ-დება და, რა სითეთრეა ტავად როგორ, თოვ-ლებითა და უთვალავი ფერითა ქვეყნის ქვეყნად ცოტათიც-ცოტაც ჩვენცა ვწვიმთ, ეგებ ვინვიმებთ ისეთი წვიმა დაგვედის თავთ-სა ვაჟასმიერად სიტყვისმიერი და როგორ გვათოეს გინდაც ხვატში-სიტყვათქბნისას, რა ფაციციურის ყარაულობით — მხვერობი-სას ბგერათხრეკისა — და უსასტიკესი ტან-ჯვაც, შებაც, — ერთიმეორე, და თარგმანში თუ ეს-ბევრირამ თუმც იკარგება მაინც რომ კიდევ კიდენა-მაინც ყყოფიღვართ, თურმე,



მისაღები, რა ვქნა და ესა მიხარია, და თუნდაც ესი „მიხარია-ნ“ აბა როგორღა უნდა თარგმნო-ნ, ხომ გაუქრებათ „მიხარია“-სი ეს სამკაულად-რამშენი „ნ“, რადგან, აბა როგორღ-როგორღად გადაიტან, — „მიხარია“? — სადღანაა, „ნ“, ამოგლეჯილი, გულს, რომელიცა რომ ცოტათი ნაღდად საჭიროა? — არა, მთლადაც-სულაც სრულიად-მშენი, ეს მითომაცადა იოლ-სიტყვა, რა დასჯილი, ჰყვანთ, არადა, როგორ მკვეთრად ვიცი, რომ, თვითოდ კიხოტი, თავად თვითმისიბრწყინება ვახლდათ ძენძილი სერვანტისი, ამაყი როგორ, ისა მითომც იწილო-ბინილოებით შეკონინებული ვითორანდი? — ვითო-რანდი კი არა და, სრულიად ქვეყნის, უკეთურთა, ამღებად, იქმნა დიადის ხელით, და, ფიროსმანის ჟირაფიც რომ... — ისიცა ვითომ, დახმებავი, მითო-ვუმბრლო მხატვარი იყო, „პრინციპალი-პრინციპისტი“ად შერაცხილი რადგანაც სურო-არაფერი ძალიანა და ხშირამსმელი (და არა ლოთი!) ნიკალა, ვისაც, დაცინვით? — არა, პატივისცემით „გრაფ“-ს ეძახდნენ და მარა იყო — სიამაყით და ამპარტავნებით კი არა — რადგან თავის წყალობათ, მალდით მოძებულთ ხომ უნებურად, მიუღებდა ყურს, და გრაფ-ზედაც კიდენ რამდენადმეტი ბრძანდებოდა-უ, რამდენად მეტი რადგან, — თავისი წილი, ანუ თითანაც აკი უპირველესი ჟირაფი და, თვით ლომი გახლდათ!, და, რისი ლომი, ლომიც კი — აბა რას შესწევებოდა, რაგინდ ქანგებით რადგანაც, რადგან ადამიანთა და ცხოველებისც ის — მეფე გახლდათ, და მბრძანებელი და უმდიდრესი ჯიბითქესატი იმა-ქვეყნისა სადაც რომ არნივი, ტახი, ლომი, კურდღლები... შვლები, ირმები, ცხენები და სახე-დარები და ადამიანები? — წყალსაც სვამდნენ და ღვინოსაც სომდენ და, ენაფებოდნენ, არნივივით, სისხლს, ც, და მიმოწვლიდათ თუ დამდგარდა მსხდარი ადამიანები, კენტი-ნიკალასი განმგებლობით, რა თვითმპყრობელს — შემირცხენია ემ-ხელმწიფესთან მერამემდენელაცაუცა ფილიპეები და კარლოსები თუ ბისმარკა და ნაპალევან რადგან — შემოქმედისა, არა-მნგრეველის, — აღმაშენებლის-ნიკალასი და, მერე როგორ, დიდნიკალასი ის უზრუნველად მოქეიფები... მაგრამ არა, არა, რადვაც საეჭვოდ, გეგვ, შენიღბისათვის? ვითომ? ჰა? — რაღაც საეჭვოდ გაჯემულიყვნენ, და ალაღად-თუმც კი მეთევზე-კია იდგა ტერფების კოჭებზეითად წარმკვეთ ნელინელ მაგრამ იდუმალს წყალში — ნითელპერანგა მებადურიც, სხვების არ იყოს, ნაღდასა ჰპრობოდა — თავად ქრისტეითი დაშვებული

საკვებისათვის, და ნაგავი რომ ნაგავი იყო და ნაგავია ისიცა ჯაფას მოითხოვდა აიისეთს რომ — ლოყები მისებრ-ფიროსმანისებრ ლამის ძანაც ჩაცვივინოდა და თვალეიცა გეყინებოდა მაგრამ მაინცაც რაღაცაც იდო მეეზოვეში — რაღაც კი არა, შრომისწილი იყო, შრომისახვედრი ცოტა-თავისიც და როგორ მეტწილ — თვით ნიკალასი და იმისით ეყრა ინსტრუმენტად — როგო-საჭირო გრძელი ცოცხი-წარმოსადგენი ანუ რა და როგორი ძნელად დასაჭერი ანუ გასაგველებს მისი მეტი რა გვეყავსთუგვავესა, ადამიანებს, და ეს რა-რარიგ საჭირო სწორედაც მისი ფუნჯი, ფუნჯ-ყალამი ეს, უცნაური, მეეზოვისა, თვით ნიკალასი წილხვედრისა, გამასუფთავებლის ხოლო თოფებ-ძანაცვადაკიდულნი ყაჩაღები კი მთვარიან ღამით, ღრუბლებსცქვეშე აპ-რარიგ-ავად, ბოროტულად დასიერნაობდნენა და როგორი სხვები, და რა მკვეთრები იყვნენ ერთმანეთ-ერთიმეორისათვის იქით მდიდარი კინტოსშვილი და ბუშტიანი გოგონა და აქეთკი — ღარიბი ქალის სადა-შვილები დასაპურებნი, ღვითთ, და ისინიც კი მთლად უცხოები და გადამთიენი არ იყვნენ, არა, ერთი-მეორე-შესამისათვის რადგანაც მეფე, მბრძანებელი საერთო ჰყვდათ — ნიკო-ნიკალა №1, კი!, რა დიდბატონი... მეფეთამეფე!!! ხელმწიფეთაგან, მართლაცდა-როგორ, — შეუდარებელი!, და რა უბადლო, უბრალოებით გაუგონარი? — განდიდებული! და, ჯიბე-მაგრაგახვეტილობითც? რა უმდიდრესი მეფეთამეფე, ეფიროსმანი, კიბისქვეშეთის უფლის-წული, მზვაობარი, უთქმელად ურჩი, ჩამოკონკილი ბრწყინვალეა ეს, მისი რაგინდანაირ დიდებულთაგან-უდიდებულესობა აი ისეთი რომ თუნდ დიბა-ატლასებს განივთებულად და ცილინდრებსა და თვით გვირგვინებს აბა რა თავში იხლდა, რადგან... — რა თვალეები და ხელი და გული — მაინც როგორი, რაგულიპქონდა!!

და, ისიც იყო უცნაური რომ, ან ჯორჯონესავით ცალიქალი უნდა გყოლოდა, ანდაც რომელი დონ ჟუანი ამოგიდგებოდა ისეთთა-ქალთა პატრონი იყავ, შემოქმედებითს ანუ მთლადმადალს სინამდვილები, და ან „ჯამბაზები“ ვით, ანაცდა „სოფლის პატიოსნება“-სავით თითო კინკილად მაგრამ მთლად წარუშლელი ოპერა თქვენ-ორს უნდა ცალად გბადებოდათ და, ანდაც, დონიცმეტივით 70-ზე მეტი ოპერა უნდა გენერა, ანდაც, ვერდივით და როსინივით, ამდენი არა მაგრამ, ათეულობით? — კი, და, მრავალმხრიობით და ადამიანთა და ბევრათავართობლიობით ყვე-

ლაზე უხვნი და მდიდარნი, უუმდიდრესნი! —  
 ბახზე აკილა მოვახსენეთ და, — და მოცარტი  
 და ანაც შექსპირი, იყვნენ, არიან, „ნიჭთა  
 უსახიდლოდ“ მხოფარისაგან უკიდევანოდ,  
 ნანაყოლოვნენ, და ირგვლივითა-„მინაურე-  
 ბი“ უბრალოდ ასეც რომ ეძახდნენ — ვოლ-  
 ფი და ბილი, და შენ ვოლფიდაბილი ეძახე  
 იმით და, რა მრავალმხრივი — ვოლფი ყოვე-  
 ლი მუსიკალური ფანრისა-როგორიმფლობი  
 და ბილი კიდე — მოპიესე და ცალკეცობო-  
 ტი რომელსაც რომ — გინდაც სუვერა იყო-  
 დე ინგლისური — კომენტარებით როგორ  
 ნათლად ჩანს ისე რომ რარიგ ნცვიფრდები  
 სიტყვათა რარიგ უხვად ქმნადობა, ჰქონია,  
 ბილის, როგორ სცოდნია ყოველი დარგი,  
 მედიცინაცკი თავად ხალხური უწყაოდ, ბი-  
 ლიმ, და ვერონასი ყოველი კუთხე, საღივ და  
 მანეე ყველა კუნჭული ყოველმტკავლობით  
 როგორ სცნობია თუმცე იძახიან იტალიაში  
 სუარ იყო ნამყოფი მაგრამ რა ნამყოფობა  
 და თვალისმიერი ნაეალობა იმას სჭიროდა,  
 სულიწმიდათი ძალიან მჭყრეტელს რადგა-  
 ნაც იქა, ვერონაში მისი რომეო და მათი ვუ-  
 ლიეტა, ყმანვილობას ვერ აცილებულნი მაგ-  
 რამ მარადნი, დაიარებოდნენ ვერონაში, და  
 იარებიან სად და სად აღარ გინდა, ძალიან,  
 ახლაც, რადგანაც თავიანთ დროზე მათ დი-  
 დი ბილი არონინებდა — „რონინი — ხელით  
 ტარება“ — ალბათ, კალმისტრითაც, და თუ  
 იმ-ვე ქვეყნის ვენეციაში იქაურ-მგონის ასაკი  
 უნარიანად დაფარული ააქვსა, ბილის, იაგო  
 ბილით თურმე მხოლოდლა 27 წლისა ყოფილა  
 და ვით-როგორ, რა-ფრა-რიგ-ძალით და სად  
 მოასწრო იმა-ერთგვარად დიდნიჭიერმა —  
 მარადიული პარტახისათვის! — იმდენმზაკ-  
 ერობის შეკოვება-შეკონინება რა უნარიან-  
 ფხაშნიანად, ვითომ, — თავისდაჭირად!

და, ხოლოკი ვოლფის — ამ უბრალო თვა-  
 ლით შორიდან... და გინდაც ახლოშეხედვით  
 რა თავქარიანი, ქარაფშუტა მონავარდესი  
 ოლონდ მუსიკის გარდა — მუსიკას სხვა  
 რამ მონავარდებობი, ხამდა, და მისი სი-  
 ცოცხლის მცირეოდ — ეს გრინეჩიულად —  
 ნლებში ბოლოდროს-მანცე ძაანც-მაგრა-ნა  
 გალოთებულს და ახალგაზრდულს ასაკშია  
 გარდაცვლილისა როგორ-უსაზღვრო შემოქ-  
 მედების გადაწერას ჩემობატონო თურმე 3  
 დიდათე გამოცდილი მთლად კალიგრაფი-  
 დიდადმორუდუნე კი არა და თლათც სწრა-  
 ფა-იოდ-გადაბლაჯიანი წყვილ-ნახევარი გა-  
 დამწერი? — თურმე ბეერსა-ათულ სრულ-  
 ნელინადასა, — გრინეჩით ესაც, — მოანდო-  
 მებდა, —

უცნაურია, როგორ... — არა?

და, რა მხატვრები — რა უტყყად მაგრამ  
 როგორ-მეტყველი თვით თავად სიტყვის,  
 რაგვარ-მეფერილ ფერად სიტყვათა, და  
 ახალ-ახალ უცნობთაც ხაზთა, როგორ ტეხი-  
 ლადს და ნიაღთ-რბილსვლითაც, რარიგ, —  
 მათგან კი, ერთიც გასაოცარი, გადასარევი,  
 პირდაპირ რომ გამოავნებლად საკვირველი  
 ფერმწერ-ვერმერი, ესა-ეს ვითარ და რა-  
 გზით ბეჯითინვდომით მთლად უბადლოო  
 ჯადოქარი — გრძნეული როგორ, დიდად  
 თანხლებ თავსიმეფითაცკი! — შემლოცვე-  
 ლივით, გრძნეული როგორ! — და თანაც რი-  
 თი, — სინატიფით... ხოლო ისეთით, ფარდის  
 ნაკეცში მთლად მთელსამყაროს რომ ათავ-  
 სებდა, და, ეს (უნებურად) გაფრენილი სიტყ-  
 ვა არაა — და ათავსება —

ზოგნახატები, ძლიერ რჩებიან, და, —  
 ველასკესი! შეკვეთებისა ასრულების სამ-  
 სახურისაც მიუხედავად, განა-სრულებდა,  
 ანუ დიდადმსგავს სახეს და შემკეთისა ად-  
 დიდებულურ ხატ-სახეებს რომკი ქმნიდა... და  
 ქმნის! — ვინმე ეგრეთნოდებულ-წარჩინებუ-  
 ლისას, რა დიდადა აი იქაც რადგან რომ თურ-  
 მე თუმცეკი დამაჯერებლად უნარჩუნებდა  
 იერ-სახეს გაჯგომულ შემკვეთს და მშვენიერ-  
 საგ ტეხნებზე — უკეთესებზე, ვიდრე თავად  
 სინამდვილეში — სეაშდა, აჯუნდა მაგრამ,  
 როგორა სჭვივის ერმიტაჟ-შიც იმ დიდებულ-  
 თში ყველაზე მეტად — ავზნიანობა, — ამ-  
 პარტაგნებდა, ბაიყუშური, ღვარძლიანობაც,  
 ბორიკეული და რა სიღრმაცე მის სამ შემკე-  
 დეში ხოლო როდესაც თვით მის მშობლიურს  
 პრადო-ში მისი „ინფანტას ოჯახი“ მე-სსრკ-  
 დან გასვლის რამდენ-გრძელაანლით აკრძა-  
 ლულმა, ვინაზე? — როგორ და, ისე რომ რო  
 აბა რა გითხრათ... მხოლოდ ისა, რომ, ექვსი  
 საათი მქონდა პრადოსთვის და როგორ ხარ-  
 ბთვალამ რომ რა-ჩაჭინებით და ჩაჯინებით  
 ვათვალთვრე ბოსხი, დიურერი, და ძალიან-  
 რამდენიმენიანი, ხუთგზისი მინცე გოია და  
 იქა-ცალი ბრეიგელი — მონადირეები თოვ-  
 ლზე, ხოლო ველასკესის ამ ერთ ნახატთან,  
 ამა-სურათის ნინარე კი, კიი, სუცოტაც მთელ  
 საათნახევარს... — დრო აღარ მქონდა, ტოლ-  
 დომიუნდა ნავეყვანეთდონ კიხოტიან-სანწო-  
 იან სერვანტესის დათქმული ძველიდან, თო-  
 რემ... რა მონუსხული, როგორი თავზარდამ-  
 ცემი სიდაიით რა ჯადოქმნილად, მგონია  
 სულაც სუნთქვაშეკრული — საათნახევარს!  
 — გამჯობრებოდა ვინცეგინდ მყვინთავი — სა-  
 ათნახევარს ასე ვიდექ, გარიყული კი არა და,  
 მთლად შერიყულად მიზავთებულადც კდემა-  
 მოსილი, — „რა მეღირსა!“-თი, და რა თილის-  
 მით ავაპ რა მძიმედდაბორკილი, მთლად უი-  
 ლაყოფ და ბედნიერად გადაყოლილი თავად  
 ველასკესს, მის მირონცხებას, მის ხაზფერ-

27926

საქართველოს  
 პარლამენტი  
 პრეზიუმის  
 ბიბლიოთეკა

თა-ცხებას რა ხელბორკილებით, რა ფეხთ-  
ხუნდებით დატყვევებული, პერობილი ვიდექ  
ამა ამ-ორი თითქოსდა რარიგი შეუსაბამო-  
ბით — დოკლაპიური სიმძაფრეთი — კი, ასე  
ვიდექ... —

ესაც, ვითო-ნამდვილი ამბავი, იყო ოღონდ  
„ნამდვილი ამბავი“ კი ხანდისხანობით ისე-  
თია რომ, როგორ დიდად, ძლევაგამოსილად  
შემარყვეველი და რომელსა-ერთ ნარმოსახ-  
ვას, გინდაც ახდენილს და გინდც აუხდე-  
ნელს, მთლადაც მასხარად როგორ აიგდებს,  
რომ — თვით თავად სალტიკოვ-შჩედრინი,  
ალაგ-როგორი მენარმოსახვე — სწორედაც  
რომ ეს ურთულესად და სასწაულად-წინას-  
წარმეტყველი ამბობს რომ ადამიანის შუბ-  
ლსმილითური ტვინ-დე-გონება მთლად  
ვერასოდეს მისწვდება კი არა და ვერცკი  
შეუპოვინება ისეთ განსაცვიფრებელ გარ-  
დასახვას სწორედაც რომ ვითო-უმბრლო  
სინამდვილეში, ხდება, მოხდება, რომ რასაც  
რაიმ-მართლამომხდარი, ანუ ე.წ. „ნამდვილი  
ამბავი“ რასაც შეიძლება? — ... აი ესა თქვა  
იმან, ვინაც, რომელმაც ყველაზე დიდად-  
ახუმტურებულ-გადამთვრალობის მაგალი-  
თად? — დანერა ისი, რომ... — აბა, ყველაზე  
მეტად მწრად-ნამთვრალეზე სად შეიძლება,  
გაგელვიძით... მოიხმეთ, მთელინარმოსახ-  
ვა... რამდენადაც სძლეეთ, ფანტაზიურად...  
... აჰ, არა, არა, არაარა, ეგენი არა, არამედ  
— ნამდვილს-სინამდვილეში? — ნუ იტყვი-  
თა და, სად შეიძლება გაგელვიძით და იქ  
შეიძლება გაგელვიძით სწორედაც-რომ  
რომელიღაცა ხალხმრავალ კლუბში ბილი-  
არდისა მაგიდაზე-დ სპილოსძელის თანაც  
დნომრილსა ბურთულეზედა სწორედ-სამ-  
შობლისათვითავად-ბულსავივითასავით,  
თავდადებულს და, ამას კიდევ რა უჭირს, მაგ-  
რამ — ნიფხვისამარას,

თანაც შარვალი არსად ჩანა,  
და,

ეს, გენაცვალეთ, თვით ჩემს ძმაკაცებს  
და არცმეც მომსვლია გინდ დაიჯერეთ და  
გინდაც, — არა, აგერ არაა 1957 წლის სექ-  
ტემბრის თვითაც გან-ძლიერ-იებული კა-  
ლენდარი ხოლო შალიკო-...-უა-ს რაცგინდ  
დაუჯერებელ მისსა-კუთვნილს თავ-ავ-გა-  
დასაულებლად რაიმ-ისეთი ფანტასტიკური  
მოეყოლა რომ, რისი სვიფტი და რაის-უელსი  
და, დაჯერებაში რაიმ-ჭოჭმანს თუ შეგვამ-  
ჩნევდა,

ისეთს ვინმესა დაიფიცებდა, რომ, ბიჭი  
იყავ და არ დაგვეჯერებინა მისი ტყუილი,  
თვით ვარაშილოვს კლიმენტისა, ეფრემის-  
ძესა იფიცებდა ოღონდაც მხოლოდ გვართი

უ-სახელ უ-მამისსახელოდ, სახელ-ოვანი  
შალიკო, იგი:

— მასე თვარ (თუ არ, -ო) ყოფილიყო? —  
მოგვავლებდა თვალს, და, საჩვენებელ თითს  
ზეასწევდა, ალბათ მალაღი პოსტისაკენ, —  
ვარაშვილოვის ( — აქართულდება, ეფრემო-  
ვიჩს, მადლობის ნიშნად) გეფიცებით მე. —  
და, ანძლიერებდა რუსული-თაცკი, აეტოდ-  
ნათქმსა, — კლიანუს ია, შალიკო-მე.

არ დაუჯერებდი? თვით შალიკოსა, თა-  
ნასაკენელი ბანდიტთაც განძლიერებულს,  
თვალთ-ბოროტულად-აკვესებულს, თანჩენს  
ყველანი სტუმრებივით ვიყავით მისი, ხოლო  
ჩვენდამი, გამოცდელთათვის პატიმრობა  
და ციხე-საკენები ხომ — სახლი იყო, მისი,  
ჩვენდამი როგორ-დახმარება გამონვდილ-  
თათვის, და კაიბიჭი და მუტრუკიც და პოტ-  
როველაც უნდ-ჰყოფილიყავ რომ არ გერწმუ-  
ნა მისი დაფიცება-ეს — თურმე შალიკოს,  
ვოროშილოვისა, იმდროინდელმა უსურვაზი-  
ვით (კატაბარდა; კრიკინა) ახვეულმა უმაღ-  
ლეს პოსტისკე (ოღონდ ი-პოსტი მიორე იყო  
სსრკ-სი ცეკა-სი-სი მდივნობისი, მემრე,) შე-  
უცვლია ემ-შალიკოთვიე დახვერტაი და,

— ვარასშვილოვით მიდგანა პირში სული  
და ძარღვებში სისხლი (ბჭებზედაც, კი...)  
და მე იმას აქ ახლა ტყვილა დაფიცებას რავა  
ვაკადრეფ მე იმას აქ მე...-ო? — გულზე მიი-  
დებდა სხვისფულეებმრავლადანანახ ხელის-  
გულს — მე?-ოო? — მტრისას, ის ისე იჭმუხ-  
ნებოდა... — და თქვენი საფიცარიცაა ვარა-  
სიშვილოვი (აქართულდებაც-მეთქი, ძალი-  
ანი, შუმბაურობით, შემშობლიორეულსა),  
აბა მე რომ არ გყვედრე მე აქ ის ვინ? —  
მოგვავლებდა, არიფებს, თვალს, — ვინ გას-  
ტავლიდათ მაშვინ მაგ თქვენ სწორ სინტყვა-  
პანსუხს ოქმებისის დაკითხვაზე სუკებიანი  
სუკებთან სუკასი, — სახ-უშიშრ.-კომიტეტ-  
სა ესიშალიკო სუკ-ს შემოკლებითე-წარმოე-  
ბულად კიარ ეძახდა მისთვის არცთუ-ტფილ  
სამართალდამცავებს არამედ მარტყმალ  
„სუკა“-ს და „სუკები“ ს უწოდებდა მრავლო-  
ბითზე თუ მიდგებოდა ჩვენი საკნური მას-  
ლათი, კი, დარჩეს ეს ჩვენში და ჩვენზე და  
უშიშროება იმითთან აბა რა მოსატანია არა-  
მედ ესი ზემორემოსხეხებულნი უშიშროება-  
ზე რამდენად ვუმფრო საშიშროება, იყვენ,  
ხოლო აქეთკი შინავანნი კი, შინავანებსა, ში-  
გან-უდრეკთ აბა-ამ სიტყვით (“ანუ „სუკა“)  
ესიფერება დამავლებდათ, რას... — ოღონდ  
კარქათ ქერო უნდა გაპასუხებოთ თქვენ მე  
პასუხი ის აქ მე შენ თქვენ, — შეატყობდით  
ალბათ უჩემოდაც, გვიყვარს „უა“-თი, და  
არა მხოლოდ „უა“-თი დამთავრებულგვარია-

ნებს? — მთლიანად ზედმეტი ნაცვალსახელების ხმარება როგორებიცაა ასე მაგალითად მოშორეული „ის“, პირშისათქმელი „შენ“, დამოუკიდებელი „მე“ და ასე შემდეგ, ხოლო შალიკო განაგრძობდა, ის, ჩვენდამი, გვეუბნებოდა ამას ჩვენ ის:

— ოღონდ გენარსვალეთ თქვენ მე ყოველისფერი ხსნორა უნდა მიაშობთ მე თქვენ ის რომე გვეერკვე საქმეში მე და ისეთის პასუხს დაგაზიპირებთ მე... — მე ყველასე მენ რომ, თლათ გაგიშობენ ვორსამ დღეში ისინი შენ და ყველას იქ მაშინათვე ვარასიშვილოვის გეფიცებით მე... — ამას ჩემს გასაგონად ამბობდა ახლა ალბათ აქ ის, ახლად-მოსული ჰარიფისათვის, ხოლო სხვებისთვის ვინ იცის მერამემდენედ იმეორებდა, ალბათ, — და, ხოლო აქაქი უბრალოთე ვორშილოვის კ. ე.-სა დაფიცებას არ სჯერდებოდა, — და მერო გელაპარაკებით შენ დაიჯერო უნდა ის თქვენ შენ მე ქერო ვირჩევთ ისაა ხსნორი ხსნორათე ის და პირდაპირ ვუშუალოთ და თუ ვსტყუოდ მე?.. რადღეა დღეს?

— სამშაბათი.

— და მე თუ ვსტყუოდ ჩემიპირით ვოთხშაბათი არ გამითენდეს და ვარასიშვილოვის სუარ დარჩეს არცერთი გვარშიგასათხოვარი... — მაგრამ მთლად ზუსტად და დაზუსტებით ვერკი ვხედებოდი ვორშილოვის გვარშიგასათხოვრების მომავალ ბედსა, მაგრამ, თითან ფიცს? გულადგზნებითად გულჩათუთქვამდე ნათქმსა ამას? —

დაუჯერებდი, არ? არადა, ისედაც, ვინ დატივება, გუუთხოვართ, ვარასიშვილის კაიებსაა, ჰა?

ისე, ხანდისხან ნამეტანიც კი-მოსდიოდა, — ნამოსცდებოდა, ასეც:

— და თუ ვიტყუილიებოდე? მე? — და, ისეთ-მან ძალიანი გამწარდებოდა წარმოსახვით იმისა რომ, დაუჯერებდით-არ? გამხდარ შევრდზედაც (ხაგუნება, ოღონდაც ფრთხილად, მუშტს (ბელის) იქ (მეერდზე) ის (შალიკო) იმას (მუშტს) ისის (გაბრაზებისაგან გაორმაგებული შალიკო) შალიკო- - -უა, ის, — მაშენ გენარსვალეთ ვარასიშვილოვისი ნამდვილიცოლს- - -ს სუყველანმათქვენ, — აქ ნუ დაინყებთ ამსიტყვის ამოცნობას, საკმარისია დღვისებრიც-ესაქ, — და უკანასკნელმა მამალისპილო, ო,

ანუ ასეცაც იფიცება იმ მას, კი, ისი, უმალეს-საბჭოს-პერეზედუმიისის თავ-მჯდომარეს-თვითს, და კიდო-ასეც:

— თუ ტყვილის ვამბობდე ვარასიშვილოვი თლათ- - - -ბით ჩამოვიდება-უქნანან სტადიონისი შვაგულზე, ო, — ნეტავი რაი-

მეებით, ჰა? არ მოგვკლა ამა-დღესებმა, აქ? ხელებით ალბათ არა, კაცო, არცაც ფეხებით, ერთით მეტია დეფისი, კი... მარა განვაგრძოთ, მაინც, — და ის მენახოს ჩამოკონიალებული შვა-დინამოსსტადიონზე (მაშინ არ იყო „ლუუნვიკი“) თელათე ტიტველი და მარშალისი უზაგონებოთ არამეთ იმეებიზე თოკშემოხოული ძალიანი მაგრათ მე თუ ვარასიშვილოვისი პატივცემულობით ტყვილის ვამბობდე აი ამწამას მები დამეცეს და ვარასიშვილოვსაც სუ კურკლიდაფუნა აწვიმდენ, ო, ტიტველიზე, ვოო,

ამ „ტიტველი“სა ისეთ ხშირა ახსენებდა, რომ... და თურმე რატომ, — შესამზადად, ჩვე-არიფების, მაგრამე, მაინც მისდამო (შალიკოსადმი ანუ) კეთილგანსაწყობად, კი...

— ადამიანი სვინდისიანი და პატიოსანი უნდა იყო შენ ის გინა ყველგან ის იქ შენ ეს გენარსვალე, მეშენ... — ამბობდა- - -უა, — სვინდისიოსნობას რაჯობია გელაპარაკები შეშენ და პატიოსნებოვნებისი ფასი რაა აშე ვოხერი-ქვეყანაზე თელიდეომონის ზურგზე მაგინი სუყველაფერზე ვუმერო დიდი გამონაგონობა წყალისიქვეშე-გემებისიშემდექ... — არ მიაძირა „ტიტანიკ“-ს, კაცო, პატიოსნება და სვინდისი? არა, ვერ იყო ესი შალიკო კაპიტან-ნემო, შალიკო თავისი მისითჩენი კეთილიდღეობასთვის განწყობილობით იყო კაიქვირფასი კაცი, თორე, ისე კი, სხვაფერე, ძლივს არ ვიპოვე და აღმოვიჩინე, კაცო, გრამატიკაში, ადამიანო, ჩემზედაცკი ბოთე, ვეფო? ოღონდაც ბოთე-ექტიურ რადგან ალბათე შეამჩნიეთ სულაც ზედმეტსა ნაცვალსახელებზე და სიტყვებაცკი და თამხმოვნებსა? აფრქვევდა ძაან ის (შალიკო) და იგი (შალეა) იქ (კამერაში) მას (შალიკოსა) თუ დაუგდებდით ყურს და ყურს აბა რაფრა არ დოვუგდებდით სურამს ქედსიქით ანუ თელ-აფხაზეთში ქურდი ყოფილა ძალიანი-კიცდამსახურებულე დამსახურებული და ყველაფერი, მარა, ხანდისხანობით როგორც ვთქვათ „მარა“-ს სხვაც ზოგერთსიქყვას აკლებდა კიდეც თანხმოვნებსა, ასემაგალითად „მსხალი“-ს მაგიერად სასწრაფოთულსა „სხალი“-სა ამბობდა თანაც რბილ-ლ“-თი, — ალბათ ეგება იმა-ზედმეტინაცვალსახელებისგანსანიტრალეზლათ თუმცალა სინტყვა განეიტრალეზა იმას ჩემგანე განსხვავებით შეიძლება-რომ სუარ სცოდნოდა აქი ვიძახი და ვთქვი უკვე რომ გრამატიკაში მეცკი მასზე ძლიერი, ვიყავ, —

უცნაურია, ნუთისოფელი.

კი.

ეტყობა, ძალიან ნატანჯი კაცი იყო, დი-



ლაობით რომ გაიღვიძებდა, გამოყოფილი სისხლი და ჩირქი უჩანდა ბეჭებსა და ზედა-ზურგზე, მაგრამ, მაინცდამაინც არ ჩიოდა:

— ვარასიშვილოვი არ ყოფილიყო პერეზე-დიუმში იკაცი იქ? არც ავი სისხლი გამომი-ვიდოდა აქ მე ის კაცო აქანა და, ეს ვინჩე-ლო კიდო მე? ვისთან ვინჩელო თორე კი ვის მიმასტავლეთ საჩივრელათ იმაზე უკეთესს თქვენ აქ მე თვარა კიბატონო, მიმასტავლეთ ვის თლათ იმასიზე ვუკეთესის თქვენ მე...

„პრაგულა“ზეც არ გამოდიოდა, — არ მიხნდა მე სუკების პაიერი ჯერ ეს ეგ ერთი და, სანამე თქვენ იქნებითე პრაგულაზე აქ მე პარასითაზე „პარაშა“ — პატიმრების-თვის დღე-ღამის ქოთანე, ხოლო გაყვანით დილა-საღამოს გავყავდით ყოვლად უოდე-კოლონ-უშუდრდაპომადუმანიკიურო ტუა-ლუტშია; კი...) გევირეცხავ ჩემისაროქქას, არ მიხნდა მე აქ ჩემიზურგის დანახვითე გული გაგისკდინოთ, უნდა იცოცხლოთ თქვენ გინ-დაცაქანა დიდხანს,-ო,

და, რომ მოჰყვებოდა და გვიამბობდა თუ როგორ მოჰშესტრა ერთსაც დურაქს (თვით შალიკოს რომ არ დოუჯერა, რალაც) თავი, — ამ დროს ნამეტურ შუუხედავი იყო რაც მართალია მართალია თუმც ბოროტული თვალთაყვესებით თუმც არც სხვა დროს იყო შეხედულობით დიდხებით რაცა აგრეთვე რაც მართალია მართალია,

და, ამბობდა იმასც? — ის, გვიყვებოდა და გვეუბნებოდა, ჩვენ, აამას:

— აგერ ვოთხინელია კამერაში ვარ და ქა-ლი არ მიჩანხვს მთელი ავიდრო და ქალების რაჯობია გენარსვალე დიდობატისი გეცემენ ჩვენქურდებს ზოგექალები შეგნებულები იგინი ჩვენ, მარა, ახლა, ქერო შემომიგდონ ახ-ლააქმედავარასიშვილოვს დოუფაროს ბუნე-ბისიძალამტიველობითიჩამოკიდებულობა-ნა მარა აქანა მე რომ შემომიგდონ კაიტტივე-ლი ჩეიდმეტინლისი გოგი? — მოგვაველებდა, თვალს, — იმას მე არავითარი კატეგორიული (— ბოქოს! რასიტყვა...) შემთხვევაში არ დავა-კარეფ მე ხელს იმას და არაფერსაც არსადაც იქ და არასფერი, ის კი არა და თქვენრო რომ-კი მიენდომოთ იმისი ჯიჯგან და ყველაფერი იცოდეთ არ გაცოცხლეთ მე არც თქვენ და არც იგოგოს (ზოგ-გამოთქმებითე? — არ ვიცი დედათავისი შალიკოს სიდოურ-დასავ-ლეთსაქართელოდან, ჰყავდა,) იმიტორიშე ჩვენიმერე სხვების კამერაში როარ შვაგ-დონ იქინაც ტიტველი აბა სხვაგანეც კიარ დახთება იმას ყოველიგან ჩემსავით კიკაცი, აბა მე იმას რაეა ვაკადრუფ რამეს ტიტველზე

ტანსაცმელის მი ვარების გარდაია, მე შე-ვაცთენ, ზოვს, რაცინდა იმან მეინდომოს? — და, ნამოდგებოცა:

— იმას გინდაც; კაიზდაროვი და აი აქ-ნობამდინე როქონე; ს---კი, — მაგრამ რა-ტომლაც ჭიბთან ი აბდა ამოტრიალებული ხელისგულინი ნეკა; გასწვრივა კიდაროს, — და, ისინი როქო დეს იმხელღვანედი, რო... აიი, ასთე, — მკერდს ნარმოსახვულად ჯერ ინვეტებდა თითების მეშვეობით და წინ-ხელ-განეგით ანუ ისეთი წინმკლავით სანამ შეეძ-ლო და ამასაცკი არ სჯერდებოდა, იატაკის-კენ იხრებოდა და ხელისგულეზე რატომ-ლაც, ეკცო, მოფერებითი ყინით უსევად, — აიი, თლათ პოლზე (ანუ იატაკზე, — რუს.) რო მიაჩოჩიალებდეს თავისიჯიგრებს, ენარ-სვალე,-ო — და, ახლა, ბატონო, წელქვეითო-ბა როქონდეს თლათჩასატკვირი აა-ასთეთი და, — აქაკი, კიკიკი მოიწყენდა ისი აქა აქ ის, — მარა, ვინ მომცა მე კიექალი და ამისთანე-ბი, ქალი ვი არა აი-იეს კატაც არაა გონია, დე-დალი,-ო —

აი-ის კატა კი თუენ რა-იყო, და... — მგონი ცხოვრებაში არავისი და არაფრისა შემშურებია ისეძალიან, როგორც იმ ერთი ხატურასი: პირველსავედამ მოყოლებული, ყოველდღე, სანამ საკანში ვიყავი, გისოსე-ბიდა ჩამოძვრებოდა ერთი უ-ოფიციალურ-პატრონი — ეტყობათ ხოლმე, — კატა ჩვენს სარდაფში და, ვუგდებდით დამბალ პურს, ან თუკი გვექონდა, ძელეებს, კაპუჩეურსა მორ-ჩენილ ქაშს გულმოდგინედ ლოკავდა რომელ ქაშსაც შალიკო იატაკის რაც შეიძლება ვრცელ ფართზე სცხებდა — კამერა სახლია ჩვენი და სისუფთავე უნდა დავიცვათ და ამაზე უკეთ ვინ აგვიტლიკავს იატაკსაო ( — პოლს-ო,) და, დანაყრდებოდა-რა, კატა ისევე ადიოდ-გადიოდა, თავისუფლებაზე, ჩვენ კი, ვრჩებოდით, დატყვევებულები, თურმე რო-გორ სანუკვარ თავისუფლებას რარიგ ძალიან მონატრულნი, ხოლო შალიკოკი? — ჩვენს ასამაღლებლად, გასათალჩინოებისათვის-ჩვენს, ამბობდა ასე:

— ასეთები უნდა ვიყოთ ადამიანები ჩვენ, კეთილები და სამართლიანები, აბა ამათსა-ვით ვითო სამართლიანები კი არა, — ზევით-ვე აიშვრდა მისაჩვენებელ თითს, კაპუჩის ზემო სართულებისაკენ სადაც ემედეს ჩი-ნოსანები ისხდნენ, აი-იმათა გულისხმობდა, ჩვენსა დამჭერებს, ჩვენი გულების მოსაგე-ბად, და, დიდმნიშვნელოვნად გვეუბნებოდა აფორიზმს-ამას: — კატაც კიუნდა გიყვარ-დეს ყოველი ვსტრეჩნი ( — შემხვედროი, — რუს.) ადამიანს ადამიანია ისიც... —

მანინც რა ჰუმანური იყო მანინც, კატებიმეც-



კი მიყვარდა, მაგრამ, ადამიანებად რომ არ ვთვლიდი იმით, შალიკოსავით? — მრცხვენოდა, პანას,

და თავიდან კი, დღისითაც და ღამით, ნარებზე წამოწოლილს, „ნარები“ — ორი მტკაველით შემადლებული ფიცარნავია, მაგრამ ისე ვინროდ ვიყავით, ნარებზე, ხუთნი, რომ შუა ძილისას, ჩვენში ყველაზე ფიზიელ-შალიკოთი ვაძილვედილებულები მისსა ხმადაბალ მონოდებაზე — აბაა, ჰათ... — ერთდროულად ვიცვლიდით გვერდს და კვლავ განვაგრძობდით „კამერულ“ ორკესტრს რა იყო არამედ კამერულსა ძილს, თავისუფლება გვესიზმრებოდა ზოგს როგორი და ზოგსაკ რანაირი, ალბათ,

და თავიდან კი ერთი რამ ძალიან გამიკვირდა, — იმდროინდელსა ცნობილ სიმღერას, „კეკელო და მარო“ს, და-ძმა კირვალძეების ორნი-ოენული შესრულებით პატეფონზე რა-ძანხშირად აღრიალებდნენ — საიყო მაშინ, გრამატიკასთანე ერთად მაგნიტაფონიც, და, რომ ვიკითხე, კია კარგი სიმღერა მაგრამ რა ნახეს მთლადაც ასეთი და ასეხშირად და ხმაძილლრიალად გადასარევი ამ ან კეკელასა და ანდაც-გინდაც მაროში-თქვა, — ჰეჰ, როგორ ჩაეღიმათ ჩემზე, არიფსზე, და, შალიკომა, — მაგას გენარსვალე იმიტომ უკრავენ ასეთ ხშირათ რომ იმიტორო პატიმრებს რო-ცემენ იმათი ყვირილი არ გევიდეს გარეთრადგან ეგება ვინმე სტუმარმა ზაგრანიციდან ჩიიაროს გარეთ და რას იფიქრებენ საქართველოზე, ვინცხანა სხვამ და ვოხერმა რატო უნდა გევიოს ჩვენი სიგლახე და თავისი მოჭრა, ო, ამ „თავისმოჭრა“ს ძან უბრალოდ ახსენებდა,

კი,  
და,  
მართლაც,  
როდესაც კირვალძეები ჰაერს ისუნთქავდნენ გამწარებულა-ღრიალისა ნაფლეთები გვხვდებოდა, სმენას, ხოლო შალიკო, თუმც შემართული მაგრამ ხანდისხან მოწყენილი, ც, ერთხელაც იყო და მე განსაკუთრებით მომბრუნდა, ასე მეორე თუ მესამე დღეს, და მითხრა:

მაჩვენე ბიჭო, მაგვიენი თითები, ო,  
ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა — საიღამ იცის ჩემი თუნდ-ზედაპირული, მევიოლინეობა, მეთქი, — ვაჩვენე, და, —

რაკი გამოსადეგარი თითები გქონია შენ მაგმენი ხელზე ისინი ეს შენ, -ო, მითხრა, — გამოიყენო ხსნორა, უნდა, ო,

ჯერ მეგონა თუ, ჩემ-მაესტრო მიხელი თიროშვილივით მეტ-დაკვისაკენ მაქეზებდა

და მიბიძგებდა, გავოცდი მაგრა, — საიღამ იცის ჩემი ისე ძანნი ზარმაცობა მუსიკაში-თქვა და კილამ ისიცკი ვუთხარი რომ — შალიკო ბიძია თქვენ თემურის თითები უნდა ნახოთ-თქო, — თემურ ცერცვაძე ცერს და ნეკს რომ გაჭიმავდა? — ოქტავის შემდეგ? ნონა, დეციმა და, — უნდევინასაც თავისუფლად იღებდა, და კიდევ კარგი არ ვუთხარი ეს მე მას იმას მე-მ ისევეც ჩემიჰარიფობით, ეს, რადგანაც შალიკო თურმე სულ სხვა სფეროში იღვწოდა ახლა ჩემთვის ის რადგანაც ასე დაამატა: — რამდენი ფულს მომცემ გენარსვალე, კია ჯიბგრობა რო შეგასტავლო, ო;

ისეთის დიდის და უცნაურის დიდაქტიკობით მითხრა აი-ეეს რომ პეტერეხნით ერთხანს ძალიან დავიბენი, მაგრამ, —

არა შალიკობიძია დიდიმადლობელი კივარ პატივისცემისთვის მაგრამ არ მინდა ვერშეცდლებ-მეთქი,

და,  
ჩაეცინა იმას ჩემზე მას, ამსულელ-ჩემსზე, — არ გნანდომა შენ ბიძია კაიჯოვრება, და შეგნებული, ყოვლისემხრითე, ო, და, ეგრევე საქმეზე გადავიდა:

— მარა ადამიანი ხარ მაინც შენც და, დაგვხმარები ადამიანურათ, და მომიყვი ოლონდ სიმართლე რაზე ზიხარ აქ აბა აქ თელათტყვილათე არ მოგიყვანდენ და ისეთი პასუხეფს დაგასტავლი რომ ისე-უბრალოთ კიარ გახვალ გარეთ შენი იქნება თელითილისის გოგოები, ვო.

მეც, მადლიერმა, ვერილად ეუამზე ნაშუალამევის ორიდან სამ საათამდე თუროგორ მოგვივიდა მთერალებს კამათი ერთსაც ფილმზე... —

ფილმი რა არი..., ო,  
კინო-მეთქი,

— და მითხარი მერე ბიჭო ადამიანურათ შენ აქ ეს მე, რავა უკულმართულათ ინყებ შენ ანბის მოყოლას შენ აქ ეს მე, -ო,

და, განუგრძელე:  
ორი დღით ადრე ველოსიპედისტის სიკველიზე ვნახეთ კინო-მეთქი და განვიხილეთ და როგორ დააბნია ამან უნივერსალის დარაჯი და პატივსაცემი მთავრობის (ისემც...) სასახლის მილიცანერიც იმდენად დაიბნენ რომ გასროლაც მოხდა და ამისათვის როგორ დაგვადანაშაულეს ჩვენ და ამიტომ დაგვჭირეს და ამიტომ ამოყვავით აქ თავი.

... —

შალიკო ერთხანს ისე ძალიან დაფიქრებული რომ ო. როდენის ერთ-ერთი ქანდაკივით — „მოაზროენე“ — იჯდა და ნიკაპი დაეყრდნო მუჭზე თუმცა იმ ქანდაკისაგან გან-

სხვაგვებით ვერ იყო ათლეტი და არც უნდოდა ეს ე-ატლეტობა რადგან ისეთი ბანდიტი? — შემბოლო, ჰყავდა,

მერე კი:  
— არ ამბოფ ბიჭო შენ თლათ მართალს ვარაშვილოვი ნუ მომიკვტება და ეს არ გისტება შენ და ვერ გააშობიფ თავს შენ ამ ტყვილე-ბით ამ ნაბოზრებს თავს და თუ არ გჯერა ეს აგერ იქნები შენ და აგერ ვიქნები მე,-ო, — ამბობდა, მართალს, — გაშობაარგაშობა-ზე, კიი, — იგერ ვიყავი მე და იგერვე იყვო, ისც,

— არა შალიკო ბიძია, ტყუილს როგორ გაკადრებთ თქვენ მაგრამ ასე იყო და რა ვქნა ტყუილს ხომ არ მოგიყვებით, მეთქი,

— ბიჭო, — ამხედ-დამხედა სამართლიანად სიმართლისმძებნელ-შალიკომა, — რო დაგიჭერენ კი უნდა იძახო ბოზებთან მე არაფერი დამიშავებია მე უდანაშაულო ვააარო-ოო, მარა, კამერამი კი არ უნდა უთხრა ეს შენ მე შენივეთილის მერო ვარასიშვილოვის არაკეთილებს რომკი - - - - ან ძალიანაცე კეთილები. კი.

— რა ვქნა და ასე კი იყო, კი. — გაფუმეორე, მე-მ. — აკი ვითხარით ტყუილს მე თქვენ აბა როგორ გაკადრებთ,-მეთქი.

მიმზერდა, ისევე, შალიკო-ისი;

და,  
— შენ მე რა უნდა მაკადრო, ბიჭო, — სცქვიტა ყურები, ბანდიტმა, იმ; — ბიჭო ვის გოუგია ქვეყანაზე რამდენ კინოში მატაციკ-ლეტისტის თუ მოკლავენ ბიჭო იმდენი ხალხი სულე ტყვილათე ქერო იჭირონ სად წავა, საქმე, ტყვილი თუა და ლიოტჩიკი მაინცე გეთქვა იმისი სიკვდილი ვუმფრო განიცდის ესინფენი სესერეკა-ვოო. შეფრამ.

— არ იყო შალიკობიძია მატაციკლეტისტი ის,-თქვა.

— ოო, ყოჩაღბიჭო შენ, დადექი-ხომე სრულექუაზე და მართალიგზაზე, აბა ვინ უნდა მოგეკლათ, ო,

— არა, ეს ჩვენ კი არა არამედ მოტოციკ-ლეტისტიკი არა ველოსიპედისტი მოკლეს კინოში და ჩვენ მიტომაც დაგიჭირეს, ო,-თქვა. მე-მ.

და, დაეუმატე, განსამ-სიმტიკისათვის:

— გეფიცებით ყველაფერს, ასე იყო,-თქვა.

მოჭუტა, თვალეები, იმან.

— მე აქ შენი ყველაფერის დაფიცება არ მინდა მე ეს... — და, კიდევაც-ვუმფრო ძან მოჭუტა თავისითვალე: — აბა შენშენი ვარასიშვილოვი დეიფიცე, ო...

ვინ დამეფიცა; თან, მაშინ აბა რა ვიცოდი

თუ, დაფიცება რომ არავისი შეიძლებოდა... ჰეე, რამდენი ხნის შემდეგ გავიგე, შევიცანი, ეს... მაშინ კი, ვიარზე ვითომ:

— ბეზიას და მამას და თვით სიომასაც კი გეფიცებით,-მეთქი.

კილო, კი, ვუმფრო მოჭუტა იქნომდისინე ვინ იცოს აბა რამდენ-უთვალავეზისად დახამხამებული, თვალეები — აღურაცხელია, აკი, ზოგ-მოვლენა ბუნებაშიც და, და ადამი-ანშიც; — კი. და:

— სიომა ვილანაა,-ო.

გადავირიე, კილამ, — ვაჰ, ესაც „ფილიმ“ და მატაციკლეტისტ-ველისამეტისტი ხომ არ იყო, რიარ სცოდნოდა:

— როგორ თუ ვინაა და, ბარქაიაა, ჩემთვის ყველაზე დიდი ფეხბურთელი, მე სიომისტი ვაარ-მეთქი, — ამყავდა, ვსთქვი;

ხოლოკი შალვას, --- უახ, ესიკი კიესიამუენა რადგან ამა-მე-მ გეგრულგვარი ასეთის დიდის დაფასებითად მოვიხსენიე; მაგრამ, ასევე:

— ეჰ (ეჰ-ო, აბა!?), შენ მე თუ არ მენდობოდი მე, მაგ აღარ მეგონა მე,-ო, ვინ გყავს ბიჭო შენ ჩემისთანევი მახლობელი და შინა-ური, ო, — გადასარევი! მითომც ბავშვობის-დროინდელიე თანშეზრდილები ვიყავით, კი; თუმცე შინაურები ვიყავით აბა რა ვიყავით ამ მართლაცადა ოთხედეელშუა, სნორსც იყო, ისი... და:

— ასეა შალიკო-ბიძია,-მეთქი...

— ეეჰ, ეეეჰ,-ო, ამოიხრა, — რა ახალი-გაზრდობა მოდიხართ მაინც, ეეეეჰ-ო, — ეწყინა ძან, იბრუნა პირი.

ხოლო ასე მესამე-მეოთხე დღეს გამომძიებელმა რომ გამომიძახა-ავა და ზევით ამიყვანეს და იმ ოთახიდან კი ცა ჩანდა, მე — ცა თითქოსდა-პირველადანანახს, მომეჩვენა რომ გამომძიებელიე კარგად შემხვდა და თავიდან ყველაფერი მართლაცდა უბორკლოდ მიდიოდა — ჩემი ასეუთქვათ „ოფიციალური“ გვიარ-სახელ-მამისსახელისა და დაბადების ნლისა და რიცხვ-თვის მთლად უცილობლად დადგენის შემდგომ უფრორე მორთულო ბი-ლიკზედ დავედეით, რადგან, მონოლოგისა უფლება რომ მეზობა? ვუამბე მასაც, შალი-კოსადმი მსგავსად რა-როგორ და რანაირად იყო, და, ერთხანს თუმცეკი ჩემსა არიას თუმცე მოდუეტუროდ მცირეხნით ჩამერთებოდა: „აჰა... აჰ... უყურე შენ... კაი კაცო... ხედავ? ეჰ... ნარმოვიდგენია?..“, ხოლო ბოლოს კი ამ რეჩიტატიული არია-დილოგისას, ღიმილ-ღიმილით: „აა, ესე იგი სულ უდანაშაულოდ დაგიჭირეს?“-ო, და მეკი კი-თქვა, „და სულ არაფერი, არაფერი დაგიშავებიათ?“-ო, და

მე — „არა-არა“-თქვა, იმან: „აჰა, ესე იგი ფიქრადაც კი არ გავცივლიათ მილიციის მუშაკისათვის ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა?“-ო, „არაპატივცემულო როგორ გვეპყრებათ“-მეთქი და, მგონი ამ „როგორ გვეპყრებათ“-მა გამოიყვანა კეთილისმყოფელობის ნიღბიანი ნონასწორობიდან, და ეს გამოცდილი კაცი, — კაცო, ეს პატიმრებთან გამობრძმედილი კაცი ისე ძალიან გადაწარისდა რომ, მჭეხარებას, გახდა, და მთლადაც აი-ისე რომ მთლად განითლდა ნითლებისებურ უღვაშებთან — ჩაპაეე-ბუფდინ-და-ქაჩალ-კოტორკივით ძალიან ისე, რომ, ვაიმე წნევამ არ დარტყეს და ამისიც თავისით-გაგორებაც მე არ დამბრალდეს, მეთქი და, მაგრამ, იმით იყარა ჯავრი, რომ, შენ ბიჭო ვილაცა გდინხარ სულელი ხომ არ გგონივარ შენ მე (შალიკოსისი-მისი-იმისი ნაცვალსახელურ-გაფლენე-ბი... აქაცა, კაცო?) და როგორ გვეკადრებათს მოგცემ მე შენ და თქვი ახლავე სიმართლე (შალიკოსიეფ, ესაც), და ეგებ სასამართლომ გულწრფელი აღიარებისთვის ერთი-ორი წელი ჩამოგაკლოს და პირველი გასამართლენიდან ხუციგნობის მუხლები რომ მოგიხსნეს ეს იმიტომ რომ 58-მა ვედაფარა (არადა, ჩემი წარსულის ასეცმოდნე გვარ-სახელს აკი მე-კითხებოდა) მაგრამ ხომ არ გგონია რომ წინა საქმეში ხუციგნობის მუხლები არ გიდეფს და ამიტომ რეციდივისტობისათვის მაქსიმუმს ანუ ესე იგი რვა წელს არ მოგარჭობენ და შენს პირობით სამ წელსაც კობტად დაგიმატიებენ (კობტად-ო, კი... თქვა აი ასე) და თერთმეტი წლის მერე აბა თუ იცი რამდენის იქნები, — მათემატიკა VII კლასის შემდეგ თუმც ალარ მემარტყება, მაგრამ მაინც სწორად ვუპასუხე 30-ს მეთქი, — ხოდა მე კი არა შენ რასაც გაკადრებენ ვნახავთ იმასაც, ო, —

გაბრუებული, ვიჯექ... ჯერ ეს ორიოდ დღე რა ძნელი იყო და... თერთმეტი, წელი?

და თქვი ახლავე სიმართლე და გიმუამ-დგომლებ ვითომ თავიდანვე შენით აღიარე შენი ეს შორივი მძიმე დანაშაული და სასამართლო ალბათ გაითვალისწინებს შენს გულწრფელობას და ეგებ სამი წელიც კი ჩამოგაკლოს და, მერე კიდევ შენი დი და საკასაციო სასამართლომ აბა სულ თან ხო არ გადაგყვები, ო, — და, მოიმარჯვა ყალბამ-კალმისტარი, — დანწყე, ვისმენ, -ო...

რა უნდა დამენყო, ყველაფერი აკი ვუთხარი და „ხომ ვითხარით უკვე“-მეთქი და, კიდევ კარგი ზედამხედველებს გაძლიერებულ „კექელა და მარო“-საკენ არ წაყვანიან ჩემი თავი, ჩემდ-საბოძველად კექელასა და მაროსაგანაც, კი, შეიკავა სიფიცხისაგან-წითელი თავი (მთლად კოტორკივით, მელოტი იყო. რომელს არ გვაქვენ თითონაკლი...), და, ზე-

დამხედველს, „წაიყვანეთ და ჩააგდეთ კამერაზე ეგ როგორ უნიჭოდ ცრუმენტულა ეგეთები მოსულან კამერაში ჭკუაზე“, ო? — ეექ... —

ასე ჰყოფილა წუთისოფელი და მასში მყოფი, მასს-შემავალი სინამდვილე და მე ვინ ვიყავე, გამომესწორებინა,

რომელიცა რომ წუთისოფელი? — ხანდახანა თუ თავის-სირთულით და მოულოდელილობით ძალიანაცრომ დაუჯერებელია,

სამაგიეროდ ხანდისხანობით რარიგ მარტვი სინამდვილით — დაუჯერებელია აი ისე რომ, მთლადაც გადასარევად, გამწითლებულად როგორცა ესა ჩემსა-მკირკიტავს, გვარსახელისა დაკითხვიდან დაწყებული „როგორ გეკადრებათ“ით დამთავრებული დემართა მას ჩემობატონო, კი,

და ცხოვრებამ კი ისეცა ქნა-რო, მომავალში, ბევრი წლის შემდეგ, მისი ძალიან სიმპათიური ქალიშვილისაგანრომელიც(ჯიქურ-მამი-ლუს სუ-არა ჰგავდა (კვი გძელი თმა ეფინა მხრებზედ აბა მელოტი კიარ იყო), და რომელიც რომ სულ ერთადერთხელ ვნახე ვილაცის ქორწილსა თუ დაკრძალვაზე სულ სამიოდ წუთით, ჩემს ერთ-ერთ მოთხრობაზე, ერთსაც კეყვრადზე ისეთი მოწონება მეამბა მისგან, რომ... იშვიათად, ისეთი თანადგომამ, მაშინ კი, ზემო-კაპეზეში, ჩემს ჩასვლამდინა ქვემო კაპეზეში, თავისი მომავალი ქალიშვილისაგან დიდგანსხვავებით? — შე ტუტუტო შენ, ვის გაუბედვე ასეთი უნიჭო და ტუტუტური მასხარაობა, ო,

და, გამოცდილმა შალიკომაც, გამოკვეთილი ყურადღებით შეიტყო-რა ჩემგან იმ-დაკითხვისა თავიდან მდოვრე დასაწყისი და შუაგზისას მთლად-ფინალამდე კი შმაგ-არაგვივით მიმდინარეობა, და, რარიგ მეტმტყორცნი დაბოლოება? — რომელიზევისი,

გითხარი ბიჭო და არ დამიჯერე თორემ ისეთ პასუხებს დაგასტაველიდი? სუ პანჩურისკერით გაგაგდებდა გარეთ შენ ის იქ ბიჭო შენ, ო და, თვით მისგანაც კი ძალიან არ მესიამოვნა სიტყვები „ბიჭო“ (აღრე ამ „ბიჭო“-ს დაყვავებით მეუბნებოდა... აბატონო, კი, ერთი სიტყვა და — რაფრათ ორგვარი... კი.) და აგრეთვე ვიუკადრისე ანცთუ საფერი სიტყვა „პანჩურისკერი“ მაგრამ რა მექნა — ისი ბანდიტი, ასე თერთმეტ-12 ცხენის და 2 კამბეჩისძალიანი, იქ არა ჰყავდა?.. და ძალიან ათვალწუნებით მიყურებდა შალიკო --- უა, სუთლად დავეცი მისსა თვალში, მერე კი, ძაან შემომიბრუნდა როცა გაიგო

და ძან-მაგრა შეიცხადა დანიელასთან საუბარში პირველად რომ ვთქვი ჩემთან ერთად ზვიადიცაა დაჭერილი, რა-ვინ-ზვიადიო დანიელამ და, გამსახურდია რომ, მეთქი, და დანიელა თუმც მანც(დამანინც არ აღუტაცებია ამ ამბავს ხოლო ნარებზე (თუ, ნარ-ზე? უცნაური, გრამატიკოპულო... ვაპ-შემეშალა-ვაპ — იყო ასეთიც მშვენიერი ფეხბურთელი... მოკლედ, უცნაურად ძალიანი ძნელისძნეულია გრამატიკულობანასი ხსნორათამაში გინდც მოთამაშედ-გრამატიკოპულო იცვე ძნელს-თამაშშია და გინდ იქით მიდექ თურმეობთებებში და გინაქეთმოდექი, კი...)

გულაღმა და თვალეზებითენ აპყრობილად ნამონექილი შალიკო აბის გავორებაზე თავისი მიკნავლებული თავის პირობაზე ძალიან სხარტულა-ცქნაფად ნამოჯდა და, როგორ ძალიან შეიცხადა ის რომ — აპპხხ! რას ამბობ ბიჭო? ამშენისთანასთან ჩვენი ისეთადიდედი კონსტანტინესი (სამი „ნ“-თი თქვა, მგონი ოთხითაც, კი, და „ს“-თანხმოვანიც განაძლიერა იმა-სახელში შემავალბობისა გამო, კი,) თითანიმისი შვილი და ხორცი არი შენტანე-ერთათ, დაჭერილი, ო?

კი... ეგაც არ გჯერათ-მეთქი?  
 — რადე და რავალი დასაჯერებელია ეს და მინც რავარმჯერა გურამი, მე ეს და შენ ეგება თვითონი მაგისიამაც თუ გინახავს სინამდვილეში შენ სადმე ის გინაც მზისი შუქზე და გინაც ლამუჩქების და ლამპისი და თუგინდაც ბნელის მიფარებულში ის ამას გეკითხები მე ძალიანი შენ მე ამას,-აო?

კი როგორ არა, მეთქი, — და, გადაჭარბებით რომ ნამეტანი როარ მომსვლოდა (რადგან აი-ისეთი გაუხდა-ქონდა შალიკოს სახე და გონია ტანისამოსიც,) და მინახავს-მეთქი, თლათ ისეთი გაუხდა-გუხდა შალიკოს თელითავისი თელისახე? — კი, ორჯერ-მეთქი, და, ისევაცა? —

— აპპხხ! — ... — :  
 აქა, მცირედი განმარტება:  
 როგორ უღებათ მეგრელებს ეს განძლიერებელი შორისდებულები, პირდაპირ, პშევინთ აი ისა რომ — აპპ-ის ნაცვლად „აპპხხ“, „პოპპ“-ის ნაცვლად — „პოპპხხ“, „უპპ“-ის ნაცვლად „ეუპპხხ“-ს რა გემრიელად ამოიძახინებებიან აიისე რო მართლაცდა — ეეუპპხხხ!, და თუმცა თვით დათა თუთაშხია მგონი არსად ხმარობს შორისდებულებს — თუთაშხია განსჯის კაცია და არა ალტაცება-შეცხადებების, და მისთვის იმდენად შეუფერებელი იქნებოდა ეს რადგანაც ესი გავორმაგებულ-შორისდებულები რა მშვენიერ-კარგად შეეფერებათ ასე ვთქვათ რიგად-მარტივ მეგრელებს ხოლო სხვათა შორის მარტივი

მეგრელი, სიმარტივითა-გამორჩეული მე არ მინახავს და თუკი თქვენ მრავლისმნახველს გიხილებთ-სადმე? —

კიბატონო, კიბატონო და, — გყავდეთ; ნებაა თქვენი, შალიკომ-კია „აპპხხ!“-ისა შემდგომ, დიცვავაა-რა ალტაცებითი, ვითო ჩუმ-ლური, ყოვნი? —

თუმცკი ისედაც შეეყურებდი, მანც დამქაჩა ქურდულ-სამთითით სახელოზე და, :

და, გოუცია იმას მაგშენთვის, მისი იმისი თავისი ხმა,ც-ო? მითხარი მაგი ოლონდაცე და, სუთლათ არანვის არრ ვენტყვი,-ო, და, რას ვეტყოდი მე მას იქ იმას ეს-აგი მემე, — კი, თან ძალიანაც გაუცია-თქვა,

და, :  
 აპპხხხლმხეპპხხხ!?!-სა მოჰყვა კაი-დიდედი ყოვნი-პაუზი — „პაუზ-ა“ს ნაცვლად აქ „პაუზ-ი“-ს მიტომე ვხმაროუ აქ მე იმას რომ „პაუზ-ი!“ — უმფრო შეეფერება შალიკოსა-ურ ემ-იმ-მაშვინდელ აღფრთოვანებულობითობას, კი, — იქ მას ჩემგამო-ესე იგი და ასე იგი, ეს, და, მერე-კია თავიდანვე თუმც ძლიეს ღერღავდა: — და... შენ... და შენ... — და, მომყარა მერე ძალიანი: — და რავარცახვლა ვლაპარაკოთუთ აგერ ჩვენორი ისე გაგიცვლიადაგამოგიცვლია შენ იმისათვის იმისი დუშაშებივით კაისიტყვა მაგშენიპირიდან იმისისისკენაც შენი მაგშენისინტყვები და შენ გითქვამს მინსთვის რანცხასინტყვები პირნში იმისთვის ისინისი?-ო,

კი... კი, ო-თქვა, მე-მე-მ, შალიკოს მას-ს,ს,ს, და

სსუ-ო, ძალიან სსუ-ო მაგრამ ჩემპირის ნაცვლად თავისპირზე მიიფარა ნაცვად-თითები გამობრძმედილნი ჯიბეებშია ოლონდაც სხვისთ-სში, და რაძალიან მომჩერებოდა, აგერ მის თვალნიწნ გადიდმნიშენელოვანებულსს, ძალიანწნ, კი, ეს რა-ზღაპრულა ფასკუნჯად ვერა მაგრამ (ფასკუნწნჯვი სხვაიყო)სამ ჩემოდონა მფრინველათე კი-გადევიქუც იმისითვალში ადი-აგი-მე — აბა ისი ფოკუსი რა ფოკუსია დადიშლაპივად ქერო ტრედს გამოაფრენს ვინმეფულკი, — უყურე შენ, გურამი, უყურეშენ მაგშენი თავს ეს რა-ყოფილხარ შენ და რაუმბრალოთ გენჭირათავი რაყოფილხარ, შენ... მაგრამ მგონია რომ „რა“ კი არა „ვინ“ ყოფილხარ უმფრო უწნდა ენთქვა მას თავისიპირით იმას ჩემთვის მე, მვეიეე... .. — კაცო, ესა-„მვეიეე“ გადიდმნიშენელოვანებული „მე“-სი გაჭიმვაა, თუ, თხისიკიკინი? აბა, რა ვიცი... თუმც, როგორ არ ვიცი — ორში ერთია ნამდვილათ, კი, ხოლო შალიკო მომჩერებოდა, მონუსხული,



კვლავ, გაუცხოებულნი ვხვდებით, მე, — გურამი, გეტყვა შენ მაგი უნდა თავიდანვე შენ ჩემთვის აქ ეს და... — აქ, სხვაგვარად მოიფიქრა დასასაჩუქრებელი, ჩემთვის, და — მოიფიქრა მანც! — და სულაც თელათუფულთ შეგასტავიდი აიი-ისეთეთ ჯიბგირობას რო? — თლათგადასარეგს მარა იმისი თითნაცნობს ჯიბგირობას და მამაძალღობას რაფრავაკადრეფს (რა თქვა კაცო, ეს...) და შეგებედავეფ მე შენ იმას მე, ასეა ეს, —

ხოლო ამ „ასეა ეს“-ს თვით დათა თუთაშხიაც კი ბრძანებდა და გვეყვდა და გვეყვს და გვეყოლება როგორ ნყალობად მავრამ მაშინ კი ჯერ არ გვეყვდა, როგორ ნყალობად „დათა თუთაშხია“ შემდეგობა მოვლენილი — ბატონი ჭაბუა ამირჯიბი ახლად გამოსეგებულ იყო ექვს-ჯერადი პატიმრობიდან, ორ-ჯერადი დახვერტისაგან დაღწეული და არა არ გამოსეგებული — ბატონი ჭაბუა, მომავალში ჩემი უფროსი მეგობარი და თურმე ნათესავი მუდამ თავის ნებაზე-ღ იყო მიშეგებული და თანაც — ღვთით და თავისით ეს აბა თორემ ბადრავს იმისდამი სუ ამისა (გამეგებისა) დარდა და თავი არ ჰქონდა? მერე გვებოძა, საქართველოს, თუთაშხია ბატონჭაბუას მფარველ წმიდა გიორგითა და სულწმიდათი და, მათი მაღლით მათი მაღლისა გადმომწერმა, ჯერ თავისთვის და მერე როგორ-რარეგად ვახიარებული, ჩვენთვის, მუდამ მზის გულზე მოარული თუნდ თუთა (მთვარე) შხია, მოაღმოსავლეთსაქართველოო სახელ-მოქცევით, — დათა, აბა გენოდნათ თქვენ შალიკოსათვის შალა, და, კუიდეღს არ დაგაყრიდათ?

თუმც, წუთისოფელი აკი ძაანაც უცნაურია და, ამასაც კი, შალიკოს როგორ-შალაობასაც კი? — მოვესწარი:

დანიელას რომ „с вещами“-ი დაუძახეს და გაიყვანეს და გაუყენეს გზას ან შინისაკენ და ანდაც ვარესში ანუ ციხისაკენ რადგანაც „კაპეზე“ თუ წინასწარული დაკავებისა ორთაჭალისა „აკადემია“ კისაბოლოო-დაპატიმრებას, წინწავს,

შემოიყვანეს ჩვენს საკანში ერთიც კასპელი ბიჭი, ოქნებოდა ასე-25-30 წლის და მგონი ნოდარა ერეკვა სახელად აბა გვარინოდარა არ გამოგია მე და არც შალიკოსაცკი-მას, ის, — და, შალიკომ რომ, მონყენილობის ყაბმს, მავრამ აგრეთვე ჩვეულებისამერე, ჰკითხა, — ნოდარია, ბიჭო, — ქართლურ-ნოდარა მეგრ.-იმერულურ ნოდარია-დ მოუქცია-და-გუდუშუქეთა, კი, — აგერ ვარ მე და როგორ და როგორ იყო შენი საქმე აბა ტყვილათე არავის იქერენ ბიჭო აგერ არც მე ვარ თე-ღათ ტყვილათე დაჭერილი მარა ისეთი ძალი-

ან დამნაშავე იყო ის და კაინაჭამი ჩემთან იკაცცი, მარა, კოდექსით მანცე არუნდა მოგვეჭრა შენ იმისთვის შენ იქ ისითავიო შენ და აბა რატო არუნდა მომეჭრა მანცედამანც მე იმისი თავი მე ამჩემი ხელით და ხელეობით ისეთით დიდი დამნაშავე იყო ის ჩემთან იქ იბოზიშვილი და, საერთოთაც, არ ქონდა იმას კაინიჭებში კაისახელი და მითხარი შენ მე რარაფრა იყო შენისაქმე და ისეთე პასუხეფს დაგასტავილი სუ პანწურისკვრითე გაგვიბოვენ შენ ორდღეში, ო,

და, ალბათ როგორ-გახარებულმა ნოდარამაც? — მოხსნა მაშინვე ვუღას პირი:

— კაცო, მოფერიკაცი ვარ და, მიწყავს მაშინა და დამიჯდა გვერდით კაბინაში პასაჟირი და ფულს მოცემო მითხრა ოღონდ შენ ძეგვი წამიყვანეო და, ვიარეთ კარგახანს და მითხრა მერე მეფსიაშგონია ნოდარა და გამიჩერე სადმე მოფარებულთან მაშინა და გაუჩერე და ცოტა ვიცადე და მერე სადაა ამდენ ხანსა და რასფსამს ამსიგრძეს და ხო-არ გამექცა კაცოო და, მავრამ იმ ტყესა და ღრეში აბა სად უნდა გაჰქცეულიყო...

— არის, კასპში, ტყე?

— კასპში არა, კაცო, შიგკასპში ტყეს აბა რა უნდა კასპისაგარეთ კი ბევრია მუხა, ნიფელი, ცაცხვი, ჭადარი, ნეკერ...

— მერე, მერე?

— მერედა, კაცო, იმის საძებრად გადავნიე ცოტა მაშინა და, არ შამამესმა უცებ, კაცო, პატიცემული შალა...

ესი „შალა“ კი შალიკოს ძაანაცმკვეთრად არ მოერნა:

— მე შალა კი არა შალიკო ვარ და მქვია გავიგე შენ ეს აქ? ნოდარა...

— კარქი, შალიკო. შალა თუ კიდენ დაგიძახო მე ნოდარია სულაც არ ვიყო არამედ რალაც ჯახნაბ-ნოდარა... ჰო, შირობას გაძღემ არ დაგიძახებ მეტს მე შენ შალას, შალა...

...  
— მერე... მერე რა როგორ იყო იქ... მითხარი და ისეთიპანსუხეფს დაგასტავილი კარქათე იყო და შენიგარდა ისიშენი პასაჟირიც...

— ეჰ, ჩემ პასაჟირს რალა სიკარგე სჭირდება, შალა, მინაში სწეფსა, — და, აღმოსავლურქართლურ-ხალხურობაცაა? — წამღერებითაც მიაყოლა:

(ცოდოა მოოკვედეს ვაჟკაცი, მინაში ჩააიმარზოსააა, მისი კოკორი ულუგაშიი მინამან შაიანახოსა თუმცა ულუგაში მგონი არა ჰქონდა, შალავ...



— გითხარი მე შენ ნოდარია აქ მე შენ მე ის რომ მე შალა კი არა შალიკომქვია! ... შალეები სახში გეყოლება შენ!

— უხ, სუ დამავინყდა, ბოდშით შალიკო და ამიერიდან სულაც შალიკოს დაგი...

— ამასე იქით თუგინდა სულენ დამიძახეფ ნურცერთისახელს... საქმეს მიყევი შენ, გირჩენია ის... და რამდენი იყავით მაინცდამაინც შენ და იკაცი იქ...

— სად იქ...

— ტყეში!

— ორნილა ვიყავით ტყეში ჩემო... კარგი, არ გეტყვი შალასა და, რომა დავძარი მაშინა, მომესმა მაგრამ რა მომესმა ისეთი ყვირილი რო ტანში დამზაფრა და გადავხტი ჩემი კაბინეტიდან...

— რა კაბინეტიდან! ... კაბინეტი თორე შენც ვარასიმვილოვი არმყავდე შენ აქ მე! რომელიმენი კაბინეტიდან შენ...

— კი, კაბინიდანა რალა და, მაინცდამაინც ჩემი გრუზავიკის წინ არ ჩაცუტქულა ისა ბედშავი ბიჭი და...

— კაცო! — გაანყვეტინა შალიკომ, ---უამ, — იმას იმისაქმიზა ჩაკუნცხვა რათუნდოდა იმას იქ მინაზე იმასე იმაზე იმისი მისაფსამათ ქალი ხვარ იყო...

— აბა მე რავი, ჩემო შალიკო, კაცია და გუნებაო და ჩვენმა რაიპროკუროვმა კიდევ, შეგანზრახ-მკვლელობითჩაიდენდიმაც სისხლის სამართლის საქმესა შენა მაგისი გაჭყლეტითაო, შალა, კაცოო თქვენაო, მითხრა, თქვენა ერთი-იგივე გოგოი მოგჰსწონებიათაო, მაყვალაიო, იმ მაყვალასა კიდენ უთქომს მე უუჟუნა არ ვიყო მე თუ ნოდარას ევა საქმე შევარჩინოო, მამ ... იმ კაცმა კიდევ, უსულვამოთა დამინებულმა? შენაო, დესიტისინებს თუარ მამცემ ნაღდიმავითო, მე ვიცი შენა რასაც გიზამო, სუ ციბირებში ამოგალპობო და, ჩემო შალა, ამომავოფინეს კიდენააც ამ დასანვავსა კაპეზეში უბრალო თავი.

...

— კაცო, აკი მინაშიაო?

— რომელი მინა აბა იმასა ეყოფოდა ულვაშებისა გასაზრდელადა აკი ვითხარი ლექსურადაცა რო ცოდოა მიისი ულვაში მიინამან შინახოსააკო.

...

არა, ეს სულელი იყო და შტერი იყო ვილა-ცა იყო, ნამდვილადა. ნაღდად ურევედა, ხოლო არევა თქვენ იმისი უნდა გენახნათ როცა შალიკოს მიერ მეორედაც მეგობრულად ხელგანვიდო დახმარებაზე რაც იმან ილურჩუტა,

რადგან, სუთავიდანვეც, ამა-იმტერმა ნოდარამა და ნოდარიამ ასე დაიწყო, კი:

— კაცო, მოვდივართ ფეხით...

— თუ, მაშინათი? — გაანყვეტინა ჰუმან-შალიკომ, ჰუმანურამა.

— არა კაცოო, მაშინა და კარდანი ვალი და პარებნიკები და ამისთანები ვინ მამცა, და მივდივართ მე და ინვერიანი მიშაი წყაროზედ წყაროსიწყალი კარქი რამეა...

— მიშა ვინ არი...

— უსულვამოი, სხვა აბა მა ვინ... და, აიხედა წყაროსთან მალლა და, ბიჭოო, ნახე რა კოსტა ყვიალია, და აეს წვერი მამპარსე მე თუ ელიკოს ევა ჩემიხელითა არ მივართოო...

— აბა ელიკო...

— მაყვალა, რალა. ჰოდა, ერთიბირობა მე კი ვუთხარი უუჟუნას აბა ეგეთები სულაც რად უნდა, ეგება სუნიც არა აქ მეთქი, ისა სჯობიან შენრო მანანას ადეკალონი მიუტანო აისა უფრო მანწონება შასახედაეად ეთეროსა მეთქი...

— რომელი ეთერო...

— უუჟუნა რალა...

...

— მერე... — როგორღაც ძაან-დაგუბებულად იკითხა პაუზუს მერე, შალიკომა-კონსულტანტამა მაგრამ, აბა რა უნდა ერეცენ-ზენტ-ეკონსულტანტნა რადგან, ნოდარამ?:

— ჰოდა, ზედ არ აფოფხდა, კაცო, ისე ყოჩალად რო, კამბეჩივითა იმ მალალს კლდეზედ ესა ულვაშა? არ დამიჯერა იმ ჩემი ცოდვით პირთამთე სავსემ, რაც მე იმასა ვეჩინევი რა გინდა ბიჭო კლდეზე შეჩემანალა, იდგეს თავისთვის ევა ყონლი, იყელყელაოს ნიაგზედა, ბუნება აკი უნც ვიყვარს შალა და რა დავიშავეს ან შენ ან იმას ბუნებისამან, მეთქი მაგრამაც ეეჰ, არ დამიჯერა იმ ყურუსალმა და სახეძალმა ზედაც იმისიდიდო ულვაშითა რო რომელი ქოსა აბა იმასთან მივიდოდა გინდაც ბნელშია დარო მივირბინე? იმასა ადამიანის ფერი ვეღარა ედო, მე მგონი თევზმა მანყინაო, თევზის შარჩევა თუ არ იცოდნენ მამ აბა რალას იჭერდნენ და რალასლა ხარშამდნენო, ჩაცუტქებულმა ესლა მითხრა, სული დალია...

...

— და კიდოსთეველე ჩაკუნცხული რატო იყო... — იკითხა ---უამ პაუზო-ს მერე.

— აკი ვითხარი ფალარათი სჭირდა მეთქი შენ სუარ მიგდებ ყურსა არ ვარგა ენგრე ჩემი აინუნშიაც არჩავდება ჩემოშალა და, ტრან რომორჩა — შინ ნაიყეყენე ჩემმატაციკლეტის კალიასკითა მამ მე მეზობელს არ

ეუპატრონებდი? ვისაცა ვინდა იმასა ჰკითხე კარქი ბიჭი ვაარ, საზრიანი, მგერამ მინამდე გარშოკ მივუტანდი? — კაცო ვანკრას იმას არ დასჯახებია დიდი ოაზი? ვაჰ! — სუ ტალახტალახ გორაობდა ისიცა და იმისი ბალიშებიცა მურაოქიანა, ტახტიცა, და სერვანტიდენა ზორბა საათიც ჩამოვარდა, ბუდილინიკი და, რო გავიღვიძე? ჟუჟუნამ კიდე? — აი მავანა დაავჯანა, ნოდარამაო, ვაჰ! კაცო მე იმას თავში ჩაქუსსა რათ ჩავარტყამდი, არც არაფერი იყო ჩემი და არც ლურსმანი და არც მეზობელი ზიარ ლობეზე რო გვეკამათანა... და ჯერ ეს ერთი იმას შენეფ შენსავით კაკრასაც შალა ერქო, კი...

... ამოიღოვა შალიკომ „ყახზეგ“ — პაპიროზი საიდანა და, კოლოფიდანა, დააკაუნა იმავ კოლოფზე, და დაკაკუნებული იპაპიროზი გაირჭო პიროში აბა სხვაგან სად, და, ნოდარამაც არ დაახანა:

— კაცო, მავვალამ კიდე? ჩემზედა თქო რო მე მავას მინც არ ვაგეჰყვები რაც ცინდატრანი ოთოს ქონდესაო, პროკუროვმა კი, აი იმასაც რორო შენსეფე სწორედაც, კაცო, შალაი ერქო, ეს შენ გადაავდე ვირის ტაჭკიდან სასიკედლოდა ბორიანიო, მე კიდე ლამის ვაგეჰყვდი, კაცოო, კაცო მე რატო გადავავდებდი ტრისტანას კაცო აკი იმასა არც უღეაში და არც არაფერი ვერსადა ჰქონდა მთლადაც პირდატანტიტველაი იყო ის ჩემისქოსა... —

არა, სულელი გახლდათ ნამეტურა, და, კიდე კარგი იმავ საღამოს „ს ვეშაშია“ რომადაუძახეს, ალბათა-ალბათ ვაუყენეს საგიჟის მოლიპულს... — არა, არამედ ხორკლიანს გზასა მავრამ ათიოდს დღეში ნოდარა შემხვდა-დავინახე ორთაჭალისა აიმი ციხეში რომელ ციხესაც „ციხეს რად უნდა რკინის კარები მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“ — ი მავრამ შუშაბანდები არა, ტოროლა, სუ-გისოსები კოხტათა ჰქონდა (ისემც... კოხტად, კი...), და შუშაბანდები და ლოჯიები და ამისთანები სუ-არა ქონდა და ნოდარა რომ იქრო შემხვდა? ისეთ-ისეთნი მითხრა, როომ... — კიღამას ეს-მე აქეთ ვაგეჰყვდი...

უშუშაბანდებოდე, ც. ეს იმიტომ, რომ, კაცო, ესი ნოდარა მე რომ მეგონა ალბათ რა შტერი იყო-მეთქი? კაცო, რად ვერ უამბო თავისი ამბავი შალიკოსეფ კეთილისმყოფელსა, მავ ლანირაკმა კი არა და მთლადაც ბანდიტმა ჰამაც როგორმა მავგრაჯანინამა ხომაც მთელ-მთლადა დაუყაჭა შალიკოსა თუ ვინა ჰყავნდა თანამდგომად (— პადელნი-

კად, — რუს.), და თავში რო ჩასცხეს პადელნიკმა-იმინა რკინა და ამანა კიდენ მუშტი და ნეტა ამასაც რკინა ჩაერტყა ეგებ როგორმე გადარჩობილიყო მათი-იმთი კლიენტო ხოლოკი მუშტით ემ-ბანდიტისა? — სულსა ლაფამდა, და, გინდაც სულაც არ მომკვდარიყო, გინდაც ასს ნლამდე, შალიკოსაგან როგორსა როგორსა-საზრუნ პროტეჟესა და ნაინსტრუქციეეს? — მუშტის ნეტარომელ იარაღად ჩაუთვლიდა აღმოსავლეთის პროკლოვ-სესია — ვარვარადა-ცხელ თუ ყინულოვანსცა იარაღად? ნეტა კოდექსში ამაზედა ნუშერი რომელი მუშტი იყო? ჰა?

ხოლო აქაკი ვეღარ ვითმენ და, ცოტათი ნინა-გადაღვებები, არ მიწყინოთ და ნუმც მოგენყინოთ, ისევეც-ისე დაეპბრუნდები კაბეზე-შია, ხოლო ციხეში ჭიჭიკომ (გაიგებთ მერე, ვინც იყო ჩემი... რომ მითხრა სამედიცინო განსიჯვისათვის ჩავენერე მეც რადა თქმა უნდა და, სხვადასხვა საკნიდან გამოსულ ხუთიოდე პატიმარში, ვაიაჰ, მათში ნოდარაც არ აღმოჩნდა? კაცო? და, ისლა მაკლდა? და იმა გიჟ-სულელისათვის თვალის არიდება კი-გადავყვირებ, მავრამ, — ძმაკაც როგორა ხაარ, ვერ მიცანიო?

კი, როგორ არა, თვით შალიკოსთან ერთად არ ვიჯექით? — მეთქი განზე ვაგიხვდე, მე კიდე-გიჟი და უბედურობა, მინდოდა?

და, რომ გაგიყვანეს და გავუდექით დიდი და ვრცელი და როგორ-მართლა-ტყეადი, ზუთსართულიანი ციხის მთავარი კორპუსიდან რადა თქმა უნდა ციხისავე სამსართულიანი, მომცრო შენობა-„კორპუსი“ საკენ გზას, — მაშინ საკნების ცხაურებზე რკინის ფარები არ იყო აკრული — ეს მერე შემოიღეს არცთუ შუშანურ ნესად, და, ამ ნოდარას, ვაჰ ამ გიჟსა კაცო, სწორედაც რომ საკვირველი — მთელი დაბლითა სართულებიდან — მე ასევეთქვათ „ინტილიგენციურს“ მეხუთე სართულის საკანში ვიჯექ და ვინექ და ხანდისხანობით დავიარებოდი, ც ნინ-და-უკანა, ყველა საკანად ემ-ნოდარას ყვირილით ძამნ ესალმებოდნენ და ხელს უქნევდნენ, ამ-ნოდარასა, ისიც ხელთაანვეთ პასუხობდა საღამაქალამსა და, ერთ-ორს ხელეებით სწრაფად რაღაცა დაუნერა (არის ასეთიც ანბანი, ახლაც კი მახსოვს ყოველი ასო როგორ და რარიგ ინერება), და ისეთ განცვიფრებასა ვიყავ, როო, რაღა თქმა უნდა ის გადნცვიფრება-უქიფურესი, რომ შემამჩნია?

— შენა, გურამ, დაიდე გულზე ხელი და შალიკო ხომ კარგი კაცი გეგონა? — ი, კი-მეთქი, — ძლივას ძალიან, ვუთხარ, — და, მე კიდე, სულელი? — ი,

არა გამიგია—რა, ხოლო სირწმე აკი თანხმო-  
ბის ნიშანია და, მაგრამ მაინც კარგა თბილად,  
როგორ ხშირულად-გაქანებულსა სალამებ-  
შუა, მითხრა:

— არიფი ხაარ არკი გენყინოს შენ და აბა  
საიდან გეცოდინებოდა სადაც საჭიროა  
იმ კამერებში რომ ყველგან უზით ნასედკა  
(—ანუ კრუხი, ანუ შეტყუებით თანასაკნელე-  
ბის ამბებისა გამომხრეკიყენი ანუ „კრუხი“  
აღბათ იმიტომ რომ გამომძიებლისათვის და-  
ფარული ამბები რომ გამოჩეკოს,) უზით და  
ხომ რა განსაგდეღშოიაც ჩავარდებოდა ჩემს  
აბდაუბდა მონაყოლებზე ხომ ხვდები, ამით  
ხო მისი ნასედკობა რომა ვიცოდით, კარქა  
ხვდებოდა, ხელათ ისქესა, იმანა აკი უჩე-  
მოდაც მაგრა იცოდა რაზედაც ვიჯექ, მე და  
ერთ-ორ სხვასაცა მცხეთის მალაზიის ვატე-  
ხაი გვაქ დაბრალებული („დაბრალებული“-  
ო, — რაღა თქმა უნდა არცა-ც-მე, ჰარიფს,  
მენდობოდა რადგანაც მისგან, როგორც  
„ზაკონნი“ ქურდისაგან დიდად შეუფერებ-  
ელი რადგან უგუნური საქციელი იქნებოდა  
„მაქვს ვატეხილი“ ორომ თექვა,) და შირაკულ-  
კაზედ იმიტომ არ ვადიოდა რომ ახალ-ახალ  
უსტანოვეებს იღებდა სუკებისგან ეგშენი შა-  
ლა და, სანამ ჩვენ იმ ნახევარ საათს ჰაერს  
ვსუნთქამდით ისა ათი ნუთი თუ აჰყავდათ  
ზით და ესა ანგარიშებს აბარებდა და ისი-  
ნიკიდ ახალ-ახალსა ზადანიებს აძლევდნენ  
ჩვენზედ, და, როგორა გგონია, რა ხასიათზედ  
დასდებოდა მერომ იმონაჩმახებსა ვეკლავა-  
ფებოდი ამით რა ჭოქსაც იმას ვუქამდი ამასა  
აეხლა მაინც კო ჰხვდები, შენა? არა და, ვერც  
ის მეტყიდა რაც გინდა თქვენებრ ჰარიფებში  
რაებს მიჰქარამ შენხო მალაზიისა ვატეხვით-  
ვინ ჰზიხარო, ხო ვერცეცავე გაიყიდებოდა  
აქეთა ეგეთებს მაგდენიც ჭკუა, და ვერც იმ  
დურთაქს ჯანინასა დაარზობინებდა ჩემსათე-  
სა კაპეზეშიც კი აკი მაინცად ცუდსაქმედ  
ეთვლებათა რო პატიმარი პატიმარსა თუ გა-  
ასალებს არადა ჩემთვის ისევეც ისე როარ  
გამოეკითხნა თავისიჭკითა დაწერილებითა  
ჩემი საქმე აი ესეცა ვერ ივარგებდა გინდაცა  
თქვენსეფ თქვე-ჰარიფებისა თვალში, და,  
ვაჯიებდი, რაღა, თანაც ისაიმისი ახალსახე-  
ლი შალა რაკარქა ვამადაგა... — და, შემომ-  
ხედა, — არა, ხოარქა ვაჯიებდი? არადა,  
მერო თქვენთინა მეთქო ნასედკაო, იმ ჰოტ-  
როველა-ჯანინასა ეგებ თავისითაცა გავე-  
გუდნე, ვაპ რა სკოლზკადა ნაბმული ჰყავდა,  
აი იმისი პადენიკი მაგის ენითა ახლა აქა  
ჰსხის, იმ დურაქისა წყალობითა...

ამასობაში, შევედით კიდეც ციხურ-საა-  
ვადმყოფოსა სხვადასხვა კაბინეტებში მე

თერაპევტთან ნოდარა კიდე — არ ვიცე  
სად, ეგება უფრო სტომატოლოგთან რად-  
გან მთლადაქეთ სტკიოდა შალათვინ თურმე  
რა-როგორ მწარედ მკებნი, კბილი, — კარ-  
გა მოზრდილი ფლუსი გამოზურცვოდ-და-  
ედოც მაგრა — ქურდულს ლანჯზედა,

ხოლო ჭჭიკოს — ჩემს ყოველმხრივსა აღ-  
მზრდელ-დამრიგებელს რომკი ვუამბე ესა-  
ამბავა, როგორი ალერსიანი დაყვავებით შე-  
მომაცქერდა — შენ არ იცოდი, არა?, კაპეზე-  
ში რომ ყველა საკანში ნასედკა ყავთო, და,  
მერე რომ ვკითხე ნეტავი რამდენს ანდა რას  
უხდიან ბოზობაში-მეთქი რას უხდიან და ჩემ-  
ფხებებს,ო, რაუნდა გადაუხადონ დიდიდი  
ორი ლერი პაპიროზი მიუგდონ, ეგენი ისეთი  
გათახსირებულები არიან რომ უგამომძიებ-  
ლებოდაც ძაან უნდათ, კი, ძალიან ჩვენრო  
დიდხობით რომ უნდა ვიჯედეთ სხვა რატო  
უნდა დასეირნობდეს ვარეგარე,ო...

და, კიდეც უფრო შორს გადავხტები და,  
ძალიან ბევრი წლებების შემდეგ (გგონი არაა  
აქ დარღვევა ამ „წლებები“ს თქმა, როგორაც  
ყველასმაც გგონია თუ, ცოტანი ძნელი ცხოვ-  
რება, ვასაველი და განვლილი, მედო, და  
მქონდაც,) ჰადაჰა სამოცს მიკაკუნებულზე  
ისედაც დღუხჭირ ცხოვრებაში როგორ შემ-  
ძრა, კი, ამ ამბავმა... —

კაცოო... — „ადამიანო“-თი ვერ მოგმარ-  
თავთ რადგად შალიკოც იქით გადადე აქეთ  
გადმოდე რალაც უცნაურ-კოდექსითა ადა-  
მიანი იყო, ისიც, და ვაჟა და ფიროსმანი  
თუ ყოველ სულიერთა და მათ შორის ხომ  
ყველაზე და ყოველთა-ძნელთა — ადამიან-  
თა მართლაც ისეთი გვირგვინი და ადამიან-  
ნურ-შარავანდენი არიან რომ ახლა იმისაც  
მრცხენის მთელი ემჩემი მონინებითა განუ-  
ზომელი აღფრთოვანების მიუხედავად მათ  
ღვთივნაბოძებ სიღიადესთან შედარებით  
რა უსუსური ქებათაქება ვუძღვენ ახლახან  
იმათ, ერთი ისლალა მამხნევეებს რომ ეგება  
იყო ჩემს იმსიტყვებში ჩემი მათდამი ფეხ-  
ქვეშებულა მონინების რალაცა მკრთალი ნა-  
ტამალი — მეტი ვერ შეეძელ! —

და,  
ხოლო იმა-საკანში მე რომ ყველაფერზე  
მეტად შმორისა-სუნი, ზინზლიანობა, მანუ-  
ხებდა?

რამდენად მტკად უარესი რამ, — ყოვლად  
უხამსი უგვანობა, მთლად უნმანური გონჯო-  
ბა და დიდ-სიმახინჯე მხევეია იქა, რადგან,  
სულისა სახიჩარობა? —

რადგანაც,  
მთლადაც ნარმწყმედი, მტრიალებდა  
თურმე თავს და სრულ-ირგვლივადაც დამ-

ბრუნავდა რა-იატაკად მე-გორვებულსს, კი, თუმც რა ვიცოდი თუ, ჩემი იქ ყოფნით, კი, თუნდ არ-ნებხით, და გინდ უნებლიეთ, უბედობით? — ვინყმიდედობი, ხლო „წანყმე-და“, ეს როგორძალიან-აუადვრცელი სიტყვა თვით საბა-ს რომ მხოლოდ „დაკარგვა“-თი აქვს ახსნილი ეგებ თავიდან მოგვეჩვენოს რომ ეს დიდი-იმდენი ვერაფერიმვილი ახსნაა, მაგრამ, თავის დაკარგვა? — ბოროტისაგან ბოროტების აღზევებაა, კაცო!.. თვით! — ჰვე, თურმე როგორი საცოდავები... ჩვენ...—

საზიზღ ჭაობში თუ რას დაეძებთ და ჩვენი სულებისაც ჩაასარუტი უმსგავსობა-ო კიარა და მთლადაც მსგავსება და მიტმასნება ჩვე-რაუბედურთ ადამიანთა, თურმე, გვსუფევე-და, იქა, და, თუმცა „სუფევა — მალალი მე-ფობა“ მაგრამ მეფობაც, როგორ ძალიან და რაროგ-მეტად სხედასხვაგვარი, განსხვავებ-ული კეთილად, ავადც საგანგებოა, ხოლო რადგანეც ესი-ნასედეტი პოლიტიკოსთა და სხვათაგმსგავსად თურმე რა ხრიკებს აღარ მიმართავდნენ მწვავე-ჯოჯოხეთის მთლად ასპირანტულ-ბაკალავრულკანდიდატობით ბოროტულის აკადემიათ-პრენზინდენტნო-ბას რომ მიაღნიონ, რათა, მე-სულელი კი იმ შიორს ვდარდობი?—

თურმე ჩემს ყნოსვას კიდევ-რა უჭირდა რამდენსა ბევრსა თურმეობითში რა ჯოჯო-ხეთურს შემოგარენს ვიყავ თურმე, არადა ისა იქა-ყოფნა მითომაც ჩემის-მარჯვედ-და-სურათხატებით კვარტეტ-კვინტეტადც კი წარმოგისახეთ „ჰუმორისტულადაც“-ვითო-მაცე ჩვენი ავტოდც-აღწერაც და ვაი, ჩემს თავს მაშინდელსაც და, ვაითუ, ახლაცს,—

ეგება ახლაც ვერა ვარჩევ სულის ზინ-ზღებს და ცოცხლად ლპობას, და ხრნადა-სინამდვილეს..., მაგრამ მგონი რომ ცოტათი ვარჩევ რადგან დიდი პირ-იქითობით ამ სი-ბერესთან მიახლოებულს მაინც რა შვებად, როგორ რა-რგებად შემეყარა ის, რომ...—

ერთსადა-იმავე იმ ნაწარმოებზე, ადრე რომელზეც გონებისმიერ ტუჩს ვიბზუებდი — მეგობრებიანად, სიყმანვილეში ჩვენ რა ვიცოდით თუ რა იყო ნამდვილ და მალა-სიკეთით ნდვომა მაგრამ რალაც ნამცეცი, ის მეერ რა რომ გაურკვეველი და დაუდგე-ნელი სულ, მუდამ გვექონდა და სიკეთითი სიკეთისაგან მთლად დაკროლილი არ იყო ჩვენი სულები, მაგრამ, მაინც, განზე გად-გომა ნასიკეთართაგან აბა როდი გვეწერა, სულზე, მაგრამ, თუმც უბრალოებს და მიამი-ტებს ოღონდ მოავოდც ყმანვილურ-აღქმით გამოუცდელებს მთლად-უნებურად ისეც

გვეგონა, ყოვლად ანგარიშიშვიცემლად, რომ, თუკი რაიმ არ მოგვეწონებოდა და არ მივიღებდით-ვიკადრებდით ამით მითომაც მაღლა ვიდევით იმაზე, ნაწარმოებსა თუ მოვლენაზე ანუ, და, აი ახლა კი, რომელიმე იმ ნაწარმოებსა თუ მოვლენაზე ადრე რომ დიდად-აბუჩად ვიადებდით ვითომ, ახლაკი, იმათზე, რომ მეტირება თუნდ უსუსურად ეს მაინც რამდენად მეტად უკეთესია, ეს, და ტირილი რომ არაა მაინცდამაინც სამარცხვი-ნო — „ვაჟაკს ცრემლი არ შეშვენისო!“ — ვაჟაკს კი არა, მხდალს არ შეშვენის ცრემ-ლი თორემ თვით თავიანთსა უსაცვარლესს, მართლაცდამირებს-გამორჩეულთ, აქილეე-სსა და ტარიელს ხომ არ აატირებდ-ააქეთი-ნებდნენ ჰომეროსი და რუსთაველი და სხვა-უკეთესი ვინ დაგისახელ-მოგიყვანოთ იმათ-ზე მეტი თუმც ტარიელზე მრავალმხრივი მე-ავთანდილი მგონია და ჰექტორს ყველაზე მე-ტად ვუთანაგარძნობ ჩემჩემ თავსა და გულ-ში ხოლო გინდაც ძანაცცოცხალ დროებით ქალსზედამტირი აქილეესი? — მეპატიოს თვით ჰომეროსისაგან და არამცთუ გულზე მაინცადამაინც არ მახატია კიარა და, მგო-ნი სულაც არ მეპიტნავება, ნაღდინარმარ-თი... არადა, მაშინ-ანგრე იყო, ჰომეროსსაც კი რა ექნა, და, ხალხის თვალში რომ — აქ მეპატიოს უცხო სიტყვათა დახვევაება — ნე-ტყავი მართლად უცხო სიტყვები იყვნენ ესენი — ნიჰილისტი, ცინიკოსი, პესიმისტი ჩვე-სა-ცოდავიხალხის ხედვით? „აღბათ როგორნი მაგარნია არაფერიც რო არა-მოჰსწამთო“, — ეგებ, მაგარნი არა, ისა... მაგარ-მაგარი მაგ-რობა კი არა და, მჭიდრობაში მართლაცდა მჭირსნედ — და „მოჭირებებით — შეხუთვასა-ვით“ — ქვემოდდგომაა, შემობლულს-დაბლად მყოფობაა, ხელმოცარულთა, ეს,

ხოლო ალტრუისტობა და ვითომაცსუსტი სანტიმენტალობა კი, გულისა-ამაჩუყებლო-ბები, ანუ? — ესა გულით-კეთილთა ხვედ-რობა, და გინდაც აგრეთვე გინდ-უცხოდაც ვთქვით — „ოპტიმიზმი“ კი მორწმუნეთა მად-ლითხვედრია, მალლით, და როგორც დღესაც როგორ გვახსენებს და გვასწავლის დიდი მეუფე საქართველოსი, ჩვენი, უწმიდესი და უნეტარესი, ამას, რომ ოპტიმიზმი მორწმუ-ნეთა რა ბედნიერი ნილადხვედრია ახლაც კი არა, განსაკუთრებით ამ შავ-დღეს, მიწანყ-ალ როგორ ნავლევჯილი საქართველოსი, და როგორ-რა-ცრუცრუ „მამულიშვილთა“ და ნამდვილადკი ჩარჩათა... რაგინდ-ჩარჩობას კიდევ რა უჭირს... — მამულით ჩარჩათა, სამ-შობლოსი, სულიერისა მინით, ნყალით, მა-მულიშვილთნით,



და ისინიცა თუმცდ გარეგნულად ოპტი-  
მისტობენ? მეტი არაა ჩვენი მტერი იმათით  
ჩვენ-რო გვემეფლოს, რამე,

და, ამ ტირილისას, გამწარებულებს ისმა-  
ინც უნდა გვახსოვდეს რომ გვაქვს დიადი, მა-  
ღალი განცდა სამშობლოთი დანუჩავთვლით,  
რომ ჩვე-ამბრყვითამებმა, რომ სანტიმენ-  
ტალობა რაღაცა მარტივ-სიმარტივედ ჩა-  
მორჩენილთა ხვედრია — აკი ისედაც ხომ  
ითვლება უგულო ბრყვითა თვალდა და გონე-  
ბაში — რომ სინამდვილეში, სულაც არაქვენ  
(თვალნი, გონება,) რადგანაც მაგრამ ეს ისი  
სიმარტივეა რომელიცარომ მთელ-რიგით-  
საა რთულს-სირთულეებს, მოჩვენებითურს  
რადგან შეითხნელი იმდენად ჯოობ რამე  
დენადაც რო თვისი სიმაღლით როგორ-კია-  
ფა მაარის-მარსკვლავი აღმეტაბა როგორ-  
რახშირა ქაობში ჩაფლულთ ოღონდაც ჯერა  
ჯერკი მხოლოდ ბაგეებამდე... —

ამჰხხ, ლაპარაკი აიმათა აკი იციანი?..

მაგრამ —

„ნუ მრავალნი ჰმოძღვრით, ძმანო ჩემო!  
უნყოფით, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვი-  
ლოთ“. — ეპისტოლე იაკობ მოციქულისა, III, 1..

და იმას მოგახსენებდით, რომ... მაგრამ მე  
კი არ გმოძღვრით, მე აღსარებას გიყვებით  
თქვენ, ერისკაცებს, ერისკაცურად ერთიც  
თქვენი, რომ მე ამ მე-სა თურმე ყნოსვისმიერი  
ზინზლიდა რომ მანუხებდა ისეძალიან მაგრა-  
მაც, თურმე, სხვარამ რა-მეტად სანუხარი  
მხვევია თავს, და როგორ სიკეთეთ-ნანყა-  
ლობებს, მრავალსა მრავალხმიანობებით  
მე-ქართველს, სისხლში, რომელსაცა რომ  
მრავალხმიანობას რომელიერთი ბეგრათმსა-  
ხური დაუდგება, წინ, აი, ხომაა მენდელსონი  
კარგი კომპოზიტორი და შუბერტი რა დია-  
ნადა და შაინდი და ჰენდელი და ვივალდი, ბეთ-  
ჰოვენი უდიადესებია და დიდებს-ა და დია-  
დებსაც რამდენად, სჯობნ, დაკიდევა ჰყავთ,  
გყავს — სულიწმიდათი, განუსაზღვრელნი  
და უფსკერო, უკიდევანოვ კიდევ არიან აი  
— ცალადი მოცარტი, ცალიდ ბახი და, ეს  
ყველაფერი მახსოვს კი არა მათით რომ მიდ-  
გას, სული, ჩემი სული კი, ქართველური მარ-  
თლაც იმითი მიდგას, რომ, ესა-ჩვენი მრავალ-  
ხმიანობა? როგორია რომ თვით ბულგარულ  
და როგორტრაგიკულ კორსიკულსა და საშვე-  
ბო-დ ლალს, კი, თავის „Корабейники“-სა და  
„Каалин-ка моя“-აზე მალღა რომ დაგაყენოს  
თელისოფლიომ შენი ქართულ-ხალხური სიმ-  
ღერებით და საქართველო ხალხური სიმღე-  
რების მსოფლიოსი დედაქალაქად, სცინან, და  
მე, მათით ჩვენიდაჩემიც-სიმღერებით იმა  
სისხლში ჩვენი გულები რომ გვიტრიალებენ  
და გვიბრუნებენ ძარღვთსისხლთხლართებ-

ში მე თურმე იქა, კამერაში, თურმე რა და  
როგორად აღზევებული ჩამყავება... — უც-  
ნაურია, როგორ რასწორად ერწყმიან ხოლ-  
მე ხანდახან ერთურთს განსხვავებული, რო-  
გორ, სიტყვები: „აღზევება“ და „ჩამყავება“  
აიი იქაც, იმ კამერაში? — თურმე როგორი  
სიბილწე მდგარა, მდგარანა, ჩვენში, სწორე-  
დაცა რომ-შალიკოთი,

რა იყო იმ სიბილწესთან მისი ზურგიდან  
გამოდენილი ერთიმეორეს შეზავებული სის-  
ხლიდაჩირქი,

და დანიელაც ალბათ ხედებოდა ამას მი-  
უხედავად თანდაყოლილი დიდადგაყინულ  
თვალეზიანობისა თუმც „ორთაჭალის აკადე-  
მის“ საკანშიც, მე რომ ვუთხარი, ეს, მაგრამ  
იმნა მხერხი სუ-ოდნავ აიჩქრა, თქმით არა-  
ფერი უთქვამს იმას, მასა — „კედლებსაცა  
აქვს ყურები“ და „აუტიკვარი თავი რათ უნ-  
და ავიტიკოო“-სი უნდილი გეშით, ამის მიხედ-  
ვით ნამიყრუსავით, და ჩვენში ყველაზე მე-  
ტადსულელები თუ ისა-ბანდიტი და მე ვიყავ-  
გახლდით ჩვენში ყველაზე ვუმფროჭკვიანი  
ეგებ ის იყო ვისი სახელი და არცაც სახე სუ-  
ვერა მახსოვს, —

ეგებ რარიგად მნიშვნელოვანი (— ბეგ-  
რგვარია) გყავს ყოველი ადამიანი, ღმერთო,  
რალანაირი-არ, გეგულედა,

და, რომელ უტყვე მხეცთა კვინტეტად-  
გროვად და გინდაც ხროვს ჩაიდენდა იმას  
რა-ბილწეცა ჩვენს სულეფდა, თურმე,  
და, შალიკოთი მთავარი ნელონი იმ „პაპი-  
როზებში“ კი არ იყო კაპეზე-ს ადმინისტრა-  
ციისა რიგით-თანამშრომლებისაგან ამპარ-  
ტანულად ხოლო ბითური პატიმრებისგან  
პატივისცემის გამოსახატად რომ ეძლეოდა,  
არრა, — სულს-ბოროტს უთანხმებდა, უთავ-  
სებდა, სულს, რათა მათი ერთობლივი მცდე-  
ლობით რაც შეიძლება ერთი სულდგმული  
დაეჭირნათ და სუნთქვაშეჭირებული მყო-  
ლოდათყე იმ შმორისშმორში, და, ბოროტე-  
ბით — იმა მყარ ზინზლში, დაუნდობლობით  
გარსშემორტყმული ვყოფილვათ, თურმე,  
როგორ, და რარიგ, მე ახლა მახრჩობს ამბა-  
ვი-ეს თორემ კარგახნით შედარებით არხე-  
ინს-ვიყავ,

ხოლო მაშინ კი მე ისაცაც-კი ყურიდან  
ყურში გამიფრინდა როცა ერთ საკანს მიღმა  
აღუმინის ტოლჩით ზვიადის კამერას რომ  
დაუკავშირდა შალიკო (არის ასეთი ტელეგ-  
რაფიც საკანთშორისი): „მე შალიკო ვარ ---უა  
და რაფრა ხარ ზვიადი ჭირიმე შენი გენარსე-  
ლემენ რავაა შენი საქმე და რამე ხოარ გჭი-  
რია შენ ან შენ პაადელინიკ გურამიას თქვენი  
საქმიზა რა ვინდა რომე გადავსცე“ო, და,  
ზვიადმა კი მცირეოდენი ყოვნის შემდგომ ერ-

თი ისეთი შეაგინა რომ... — ალბათ იმ ყოვნი თავის რომელიმე სანდო-საკნელს ჰკითხა გინაა ესაშლიკოთ და რომკი უთხრა ალბათ იმ „ნაღდმა“ ქურდმა შალა ვინც (რაც) იყო? ნადი მეკი შენიკი ასე და ისეო, ზვიადმა, ხოლო შალიკომა კი? — მე-ს? — მაგაც შენსავით თელაიუნდო ყოფილა არადა რავარიმამის ეს რარავარი ღვინძლი შვილიო, და მე ესაც კი არა-შენიშნა, აკი, ზვიადი ალბათ უგუნებოდაა, მე თქვი

ხოლო იმა-ტოლწითა ლაპარაკითვი მე დაკითქუსე, მითამ, — რად გამოიყენე და შეაცდინე ასე ბოროტად შალიკოო(!) და, მეორე დღესე სხვა, მოშორებითულს საკანშია გადამიყვანეს, ხოლო მანამდე და მას შემდეგაც კაპეზეში თუ რაც მოხდა ამას შეძლებისდაგვარად მოკლედ გიამბობთ, რადგან, მე რომ შედარებით უდანაშაულოდ ამოეპყავ იქა თავი მე მაინც მქონდა რაღაცა პანა-დანაშაული — ლამითურს მშვიდის-ქალაქისა გამოღვიძება მითომაც კინომცოდნეობით, ალგზნებელიურ „киноведение“-თი ანუ, მაშინ გეთაყვათ წესრიგი იყო, და „უცენზურო სიტყვები“-თ რომ მიემართა ვინმეს ვინმესთვის ამაზე ნახევარწელი „სროკი“ იყო აბა ახლა რომ ემ-თავისუფალ საქართველოში პარლამენტარები ერთიმეორეში მთლადთავისუფლად ჰვალაბრულ თავებს ირტყტყმენინებთან ტელევიზიებიტეხითაც როგო-ძალიან განხშირხშირებულათ გვიჩვენებენ ისე თუ არ იყო, გენაცვათ, საქმე, მონობით იყო თუ არა იყო წესიერობა მაინც ძვედა, თელათე-ირგელიე, კიე... — იმას ვამბობდი, მე თუ რაღაცა დანაშაული მქონდა და მიტომც ამოეპყავ კაპეზეშიბითური თავი მაგრამ აკი ხომ თქვენა-აკი აი, მართლაცდა ჰადსოლუტურათ უზინ-უმნიკვლო ბრძანდებითა აიმ საქმეში 1958 წლის ერთ-ერთსა შემავალ დღეს-შემოდგომის და, თქვენ-რა, გგონიათ სუარ მიაქვსა, ამა ამ მე-სა, ჰაზიზი გული?, და კაპეზე-ში ჩემსავით დიდხანს (დიდი ხანია ხანდისხანობით მთელ-2 კვირა, ზოგიერთულსა სამ-კვირეებზეც ვუმფროკვი მეტი) და კიბნობით აბა რად უნდა გაყურყუტოთ, მეცხო შალიკო --- უა არა ვარ, კაცოო,

და, გიამბობთ მოკლედ: სანამ სხვა საკანში გადამიყვანდნენ, ნოდარას ნაცვლად ერთი ბანდიტობაზე დაქედრილი შემოვიგვადეს — მართლად შემოვივადეს რადგან შიშით ისე იყო ნამხდარი, რომ, მხოლოდ თითები და ენა კი არა მთლადაც მთელისხეული უძიგძიგებდა მაგრამ თვალები ჰქონდა ისეთი? — მე იმისთანათვალეები, როგორი მართლაცდ შემზარავად ამაზრზე-

ნი — ცივი სისხლი რომ უბრუნებდა აქვარად, ცხადლიე, ანუ მთლად ქვენარმავალის თვალებშიაც, არადა ის ც-ძე — გვარი თუმც სრულად მახსოვს, ვერიდები, იმისიანებს, — ჩვე-ქართველებს ხომ მუდამა გვყავს, ჩვენიანები, გინდაცდა-ვითომ, — სპორტის ოსტატე ყოფილა აკრობატეკაში და „ჩვენსა“-ბანდიტს ჯანით თუმც ვერ შეედრებოდა მაგრამ ისიცა კარგა ბეყვრად-ჯანოვანი ჩანდა თუმცა რად გინდა — ბეყვირათულად ნამხდარი იყო და განსაკუთრებული მოქნილობაც არ ეტყობოდა რადგანაც თურმე წყვილთა აკრობატეკაში იყო სპორტის ოსტატე და იმანყვილში ქვემოთა კაცად ასე ვთქვათ „მუშაობდა“ სადაც ჯანია უფრო საჭირო ვიდრე სისხარტე-აკრობატული და ხოლო შვევად — სად აღარაა, „შვება“ — იმას შალიკო მოევილინა რომელსაცარომ წესიერად ( —!) უამბო სუყველადერი და ამით თურმე სამი კაციტ განამდიდრა კაპეზეც, ციხეც — ჩააყვადები-ნა სამი ძმადუნაფიცი, ანუ,

და სწორედ იმ ც-ზე ზვიადმა მერე, ბევრი წლის შემდეგ წერილი გამოაქვეყნა ერთ-ერთ „ნამყვან“ გაზეთში სადაც ც-ძისა მომავალი „სპეციალობა“ საქვეყნოდ ამხილა — მერე და მერე კაპეზე ისე თავისებურად დაწინაურდა რომ ც-ძეს თურმე განსაკუთრებით ჯიუტ პატიმრებს აუპატიურებინებდნენ მაგრამ ხანდისხან ბედი რომ არ ექნება კაცს — ც-ძესა თურმე დლიურის სეზა ნაყვარობა (გამომივიდა, ზოგმწერალი), და ერთორისეთი-ც-შაშხვედრია, რომ, იქითაცა გაულუპატიურებაშთ, რაიც, — სიმართლეი ხომ სიმართლეადა, დლიურში, მ-წერა-ლს, ეს-ამბავიც მთლად პატიოსნად ( — ?!) შეუტანია, მერე მე, შალიკოსათვის გამოსატყბად-უმაქნისი სხვა საკანში გადამიყვანეს (ავრეთეე ყოვლად უფასოდ), სადაც — არ მომჩვენებია —

მე ისეთი უსასტიკეი გარეგნობის ადამიანი — ც-ძის ქვენარმავალობისა არ იყოს — არ შემხვედრია, მერეც:

ბებერი იყო, ისე დაბალი რომ სიმაღლით ჯუჯასა და დიდად ტანმორჩილს შუა, იყო, მაგრამ ეს სულაც არაფერი, იმოდენა კუზი დაპქონდა რადგან ედო რომ — სწორედაც რომ საკვირველი! — ქვაზიმოდო იმასთან ალბათ ეზზურ-წერნეტად გამოჩნდებოდა მაგრამაც ამას რა ტყვილად ვამბობ — ი-კაპეზეში, მისატოლად და შესადარებლად აბა როგორ-სად უნდ-მეშოვნა მე იმისათვის ქვაზიმოდო და, მით უმეტეს, ესმერალდა, და, საშხაპეში რომ გაგვიყვანეს, აღარ ვიცოდი საითქენ, როგორ წამელო თვალი —

მთლად ზურგშექცევა მერიდებოდა, მისი გარეგნობისადმი მთლადაც ზიზღში რომ არ ჩამთვლოდა, ეს, არადა, მხოლოდ სილამაზე არ იტაცებს, თვალს,

და თავიდან კი მხოლოდღა იმას ფიქრობდი, რომ, ეს რა საბრალო ბერიკაცია, მეთქი, ვიბრუნდები და მეცოდებოდა უსუსური-ის, კი, მიუხედავად იმისა რომ ფ. მახარაძეს შალიკოსისი ვარასიშვილოვით აკერძებდა, — შენა, ო, შვილო, ო, ფილიპესი დროს რომ დაეჭირეთ იტყოდა გააგდეთ მაგიბოვში, ახალგაზრდაა, გამოსწორდებაო, — ასე იტყოდა ფ. მახარაძე? — კი რავე არა, ძაან კი-კი, ასე იტყოდა... —

მაგრამ, ამ-ნათქმით? — კეთილი ჩანდა, მაგრამ ერთხელაც დაკითხვიდან მობრუნებულმა ასეცა თქვა რომ: რა გამიბედა მაგ უდღეურმა მავას ვაჩვენებ სეირს-აო, პირი ვიბრუნე ჩალიმება რომ არ შეემჩნია, ჩემი,

მაგრამაც როცა ძლიერ უცხო ხმით დააყოლა რომ: "მოკვლავ იმას"ო,

თავიდან თითქოს გაღიმილულმა კი-შეეხედე, მაგრამ, შემაცივდა და კი არა და, მთლადც შემეყინა პირზე კი არა, გულზეც, ღიმილი... —

იმას, თვალბეში, სიკვდილი ედგა... რალა თქმა უნდა, სხვისია...

და მორიგი მსხვერპლის მთლად ასო-ასოდ აქნისათვის იჯდა, თურმე... ხოლო მისი გარსახელისა გავიწყობაზე, ჩემმა ციხეებისა საქმეებში წინამძღვარ-ჭიჭიკობიძამ? ძაან დიდათი ვამობრძმედილიმა? აუჰ, რაც იმან შეიტხადა: აჰ-აჰ, მავია ბოშო უბედურობის ერთი, ო, — და, ლოყაზეც კი მაგრად მიიკრა ხელისგული, მთლად-გამოცდილმა, როგორ,

მაგრამ, ის „უბედურების ერთი“ც როგორ ძალიან, ადამიანურად მამხნევებდა, კაპუზეში რომ „პერედაჩი“ შემომიგზავნეს გამგებლებული კი არ დაძვერებია საკვებს, ზრდილობისათვის ნაიკიკნა ორიოდ ლუკმა ჩემი გულწრფელი შეთავაზების მიუხედავად — „შენ ჭამე, შვილო, გამხდარი ხარ“ო, — ხოლო მაგრამაც იმ-ამანათმა რა დღეშიც ჩამავდო? — შევეცდები ავიხსნათ:

მოკლე ნერილიც ედო მოსაკითხს, მიმალული კი არა, გაჩხრეკის შედეგად სულაც ხაზგასმით ზემოთ, ძალიანაც-რომ თვალსაჩინოდ იდო — არადა, ყოვლად დაუშვებელი იყო კაპუზე-ში რაიმე-ბარათის შეგზავნა, მაგრამაც ჩემი განამებისათვის, რა სიამოვნებით დაუშვეს ალბათ, ეს! მიუხედავად იმისა რომ ჩემი უახლოესი და ჩემს მოვლაში დიდად დამსახურებული და ჩემთვის ძალიან ძვირფასი და საყვარელი ახლო-ნათესავისგან იყო

ის მოსაკითხი, ეს ბარათიც, კი, ახლდა, სადაც ეწერა იქ, რომ „ხომ მოისვენე რაც მოუვიდა მამაშენს“ო, და, რა მეგონებოდა — მეგონა რომ, მოკვალი, მოიკლა ჩემით, მამა, იმას-ლ ვნატრობდი „რაც მოუვიდა“ში ეგებ ჩემდაცხსნად მხოლოდ დამბლა დაცვა, მეთქი,

მაგრამ ველარ ვვარგოდი, ადამიანად, მერე კი, ახლა სულ აღარ მივირის ეს ბარათი — ჩემი ბიჭი შინ მოსვლას თუ შეავიანებდა პირდაპირ გადარევეს ვიყავ, ხოლმე, და რომ დაეჭირათ? არ ვიცი რა დღეში ჩავვარდებოდი, თუმც, რაც ჩემი შვილით... და აბა რა გასაკვირია ახლოვლები რომ ასე გამწარდა, ჩემით, და, კიდევ კარგი ორიოდ დღეში, ორი კვირის თავზე კაპუზე-ში „ს ვეშჩამიი“ რომ დამიძახეს,


ისიც კი დუნედ გავიფიქრე ალბათ გვიშვებენ, მეთქი, მაგრამაც კვლავაც ყოვლადუფასო „ჩორნაია ვორონა“ში რომ ამომაციფინეს თავი და ჯონდო და მერაბიც ამოიყვანეს და სანამ ცალ-ცალკედ უეწროვსა რკინოსანსა ჯიხურებში მოგვათავსებდნენ მერაბის დანახვა მოვახერხე რომელი მერაბიც ადამიანს აღარ ჰგავდა და თურმე რატომ — ჩვენი რკინისა-ბუდრუგანებიდან ერთიმეორეში ლაპარაკი ხერხდებოდა მაგრამ მერაბმა ვერაფერი მითხრა რადგან გამწარებული ღმუჯად ჯონდომ კი, — ზვიადის საკინიდან ტოლჩით შეგვატყობინეს ზვიადი გაგიჟდო, და მერაბი, ჩვენში თურმე ყველაზე ერთგული და გაუზზარავი — ეს მისი მესამე დაბატომრების შემდეგ მყარად დადგინდა — იმჯერად ისე გაზზარულა, რომ, სიმწრით რალაც ლეებისადამავარი კინალამ მთლადაც შეუჭამია-არა მაგრამ კიბილებით მთლად დაუფლეთია და მერედ გავიგეთ რომ ეს საქმე — ფსევდოგაგიუებისა — ზვიადს თურმე ბატონპატრონ-მამამ მოუხერხა, ჯონდოს სიძე კი, ჩვენგან განსხვავებით როგორც არა-რეციდივისტი შინ თავდებით გაუშვიათ მაგრამ რალა ექორწინებოდათ და გოჭები, საცივ-მაცივი, რამე, — ესა-ჯონდოი აჰ ფასულურ-პროდუქტთა ნაცვლად აგრეთ-უფასო ციხურსა-საკვებს, მშობლიურულად? — „ბალანდა“სა შეექციოდა რადგან ჩვენა-სამნი კი, —

ჯონდო, მერაბი, მე — როგორ-რაერთგულ თქვენა „ჩორნი ვარონა“ ეძახეთა და, იმითითა? —

ორთაჭალისა აკადემიისაკენ-ა, კი, გავვიყენეს, გზას...

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

\*\*\*



ქართველი ვჩნდებით, რომ ვემსახუროთ  
მინას მშობლიურს — იბერს და ლაზეთს...  
ნასახლარებზე ჩნდებოდა სურო,  
როცა კაცივით სჩეხავდნენ ვაზებს...  
მზე — ჩვენი ძველი ღვთაება სულის,  
ახლაც გულივით გვიჭირავს ხელში...  
სასაცილოა ზოგისთვის სულაც  
ცრემლი, რომლითაც იგება პეშვი,  
როცა ვიგონებთ დაკარგულ ძველებს...  
(დრო ანგრევს უკან დასახევ ხიდებს),  
მაგრამ მინდორში ნაპოვნი ძვალი  
გვახსენებს: ომშიც ხნავდნენ და მკიდნენ...  
მტერი ყოველთვის თავზეხაყრელად  
გვყავდა და ისე ჩეხავდა ვაზებს,  
რომ მთვარე, როგორც გველის საყურე,  
შემაძრუნებლად ეკიდა ცაზე...

ვაჟა

თარაშვილი

**უწმიდესსა და უნეტარესს,  
საპატრიარქოს კათოლიკოს  
პატრიარქს ილია II-ს**

სიზმრად ვნახე: შემოსული მაჰმად ხანი,  
კრწანისზე კი სისხლისფერად ისევ წვიმდა ...  
მხოლოდ უფლის იმედიღა ჩანდა ხვალის  
და ქართველებს გვახსლებდნენ თბილისიდან ...  
რუსთაველზე აეხვეტათ პოეტები,  
მტკვარს მიჰქონდა დაგლეჯილი ეტრატები ...  
იუდეები იდგნენ ვერცხლის მონეტებით,  
ჯვარზე გაკრულს, უფლის დედაც, მენატრები ...  
სხვა ველარა, სხვა ვერავინ გადაგვარჩენს,  
ვერც მოხუცი, ველარც ყრმა და ველარც ჩვილი ...  
ყოველივე იქნებ მხოლოდ სიზმრად დარჩეს —  
გვეუდრები, ერის მამაც, დაჩოქილი ...

### ნარილი მორა

... შენ არაფერი გაიგლო ცუდი,  
ფიქრშიღა ვცოცხლობთ ჩვენ ერთმანეთის...  
გუშინ დავლიე არაყი ლუდით,  
ახლა ჯიბეში არ მჩქვს მანეთიც...  
მოგონებები უკვე გახუნდა,  
უკვე ჩაინვა კოცნის კოცონი...  
ქაშუეთის წინ ითხოვდნენ ხურდას,  
იქნებ მათხოვრებს კიდევ მოგნონვარ.  
„რასაცა გასცემ“ დიდი მადლია,  
ქვად დადებული სიკეთე იელის...  
ლამდება... მთვარე გადაბადვრია  
ჩინური ჩრჩილით ავსებულ თბილისს...  
შენთან შეხვედრა არ შემძლია,  
ჩვენს პაემანთა ანგრევენ ადგილს...  
ყველა ქართველი ჩემი ღვიძლია,  
განათებული მაცხოვრის მადლით...

\*\*\*

რითმებს კენეტავენ ნატვრის რაშები,  
მთვარემ მოასწრო ღრუბლის შეღებვა...  
მაკ კაბითა და მაკ მარმამებით,  
როგორ შესძელი გულის შეღება?





\*\*\*

გახსოვს, ღამე ... ნარიყალა,  
ქონგურებთან ვისხედით...  
განშორებამ გამიყარა  
გულში ხანჯლად ქვიშხეთი...  
აირია მონასტერი  
და ივლისში აცივდა...  
ხიდთან ეპყრა მონას სტვირი,  
როგორც ანძა მთანმინდას...  
შუადღის მზე ცას აწვება,  
გული დარდით იწვება,  
ტაშისკართან ეგ ღანვები  
დაგიკანრეს წინვებმა...  
გახსოვს, ღამე ... ნარიყალა,  
გალავანთან ვისხედით...  
განშორებამ გამიყარა  
გულში ხანჯლად ქვიშხეთი...

\*\*\*

შენ განშორების დღეებს ითვისდი  
და მოკნესავდა დარდი გულიდან,  
და საგიჟეთის ცივი ხითხითი  
შენს მალალ ყელზე დაველურს უვლიდა...  
ჩვენი სულეების ლტოლვა მეტია,  
შიშველ სხეულთა ხორხოცი ვიდრე...  
და ბედაური — ლაგამკნეტია  
ნატვრების ზეცას გადააფითრებს...

\*\*\*

მენატრები...  
თანაც ისე საოცრად,  
თითქოს სული  
სხეულს უკვე  
გამოსცდა...  
მელანდები...  
ცხადშიც ისე ალაღად,  
რომ სიზმრადაც არ მიცდია დამალვა...  
დაგშორდები,  
ვით პატარძალს მაყარი,

შენი თავი  
იქნებ გადამაყვარო...  
იქნებ მიხვდე,  
ვინ ვიყავი  
მე ერთი...  
გილალატე?!  
თუ  
ნისლებთან შევერთდი...

\*\*\*

ო, გვირილებით  
ზოგჯერ გვირგვინებს წნავენ...  
ზოგჯერ პოეტის  
საფლავს ამკობენ ეულს...  
სულ სხვა ფერი აქვს  
თურმე გრიგალში წამებს,  
სულ სხვა სიმძიმე  
ლექსებით სავსე რვეულს.

\*\*\*

მთები თიანეთისა,  
მთები, თანაც რა მთები...  
შენთან ყოფნა მეღირსა,  
სიყვარულით გავთბები...  
ამოავსო სიშორე  
თოვლმა თეთრი საბნითა,  
მარხილიც ვერ ვიშოვე,  
გულიც ფიფქმა დაფლითა...  
ყოფნა მინდა შენთანა,  
მერე არა! ა, იმ წამს...  
ნისლი თიანეთისა  
მაგ გულ-მკერდზე დაირწა...  
მოვაგელვებ  
ფანტელებს...  
ებრძვის ლურჯა სამგლეო,  
ხირიმიც კი დაეტენე  
დარდებს გადავანგრეო...  
მთები თიანეთისა,  
მთები, თანაც რა მთები...  
მწვავს სურნელი თმებისა  
და თვალების აფთრები...

\*\*\*

ჩემს ლექსებს ასდის  
 შენი სურნელი  
 და თვალებს ვხატავ  
 ცრემლით გალექსილს,  
 მკლავს სიყვარული —  
 განუკურნელი,  
 თავდავიწყების  
 თრთოლვა-ალერსი...  
 მანგრეც უშენოდ  
 გასვლა წუთების,  
 დარდი კი ცრემლებს  
 ღანვზე ამძივებს...  
 და გული — შენგან ნასათუთევი,  
 დღეს განშორების  
 იღებს სამძიმრებს...

**ქაქისჯარი სევდა**

გვირგვინების გრგვინვა  
 სასაფლაოს ზარავს...  
 მინდა შენი ხილვა,  
 აღარ ძალმიძს, არა...  
 გააძაძისფერებს  
 მონატრებას ქარი...  
 სამარისკენ ხელებს  
 ვინვდი ცოცხალ-მკვდარი...  
 და დაჩოქილ ქვითინს  
 ვაზლი გრანიტს, ლითონს...  
 უკვდავების მითებს  
 ვიგონებდი ვითომ...  
 ვაი დედა, შენთან,  
 ჩახუტება მინდა...  
 ცა გააძაძისფერდა —  
 ძღვევის ქედზე წვიმდა...

\*\*\*

სიცოცხლის დასასრულს  
 სიკვდილი ჰქვია!  
 სიკვდილის დასასრულს  
 რა ჰქვია, უფალო?

ჩემს საფლავს დაჰკოცნის  
 თვალცრემლა ია  
 და შაშვი  
 აღდგომის არიას უგალობს...  
 უშენოდ სიცოცხლეს  
 არყოფნა ჰქვია...  
 არყოფნად ყოფნაა  
 ცხოვრება უქალოდ!..

**სკამის მხედრები**

მიაჭენებენ სავარძლებს,  
 მიაჭენებენ სკამებს...  
 ეგრე, ძვირფასო, განაგრძეთ,  
 ეგრე, ძვირფასო, ჭამეთ...  
 თაყვანი ეცით ბელადებს,  
 პატივი ეცით ლიდერს...  
 ტყუილით სავსე ყელამდე,  
 ხსნით შადრევენებს და ხიდებს...  
 ცხოვრება ჭრელი კარტია,  
 ჭრაში იხევა ტუზიც...  
 დახვრიტა ყველა პარტიამ  
 ჯარისკაცები მუხის!

\*\*\*

განშორებისას მარტონი ვრჩებით,  
 შენ გეშინია... და გცივა ისევ...  
 ზეცაში ბევრი ვარსკვლავი ქრება,  
 მაგრამ ახლებით ივსება მყისვე.  
 ტკივილებს ვითომ უძლებს საათი,  
 თუ ახსოვს ყველა წუთი და წამი?!  
 უკანასკნელად ერთად გავათევთ  
 ცრემლივით ჩუმად ჩამოღვრილ ღამეს...  
 მერე ერთ მკერდში სცემს ორი გული  
 და მთვარის სხივი ქრება ჩვენს შუა...  
 თავდავიწყების მიმალულ სურვილს  
 ნულარ მიაგებ აუგად უარს...  
 ღრუბლებს დაფლითავს ქარი ავხორცი  
 და ჩამოჰკიდებს მთებზე ძონძებად...  
 გრილია წვიმა, როგორც ნაკოცნი,  
 გაცრუებული ღამის ოცნება...

\*\*\*

ვ...ს  
 წახვედი და ამინდები  
 შეიცვალა,  
 მანდ ზღვა ღელავს  
 და ტალღების გრიალია...  
 სიმარტოვე ჩემი, (თუნდაც, შენიც არა?)  
 უცნაურად მწველია და გვიანია...  
 დღეს განვიმდა...  
 მე შენს ცრემლებს გავიხსენებ,  
 ცრის თუ ზღვიდან შენ მიგზავნი ბარათებს...  
 მაგ სიშორით ჩემი გული დამისერე,  
 ამ ღამესაც მარილისფრად გავათევ...

**ბაბრა ზღვიდან**

ზღვაზე შტორმია:  
 ყალყზე დგება  
 ტალღა ტალღაზე...  
 ნაპირს გავყურებ:  
 სიმშვიდეა  
 და ეს მაბრაზებს...  
 ისევ გინატრებ  
 და სიწყნარე  
 ხმელის მაოცებს...  
 ო, ზღვაში მყავდე,  
 ტალღასავით  
 შუბლზე გაკოცებ...  
 ეს სანაპირო  
 საქართველოს  
 აღარ ეკუთვნის...  
 და ზღვის ხმაურში  
 მიიღია კენესა  
 მეგუთნის...

**დედის დასიზმრება**

ავად ვიყავი... მკლავზე დაწვენილს,  
 ო, ციმციმ როგორ დამატარებდი...  
 შემომაფრინე დედა-არწივმა  
 ხან ხატაეთი, ხან ფიტარეთი...  
 ხან თამარ-მეფის გვირგვინი გედგა,  
 ხან დედოფალი იყავ ქეთევან...  
 დიდგორზეც მხარში მედექი მედგრად,

რომ თურქ-სელჩუკებს არ გავეთელე...  
 უფლისკენ შენვე წამიყვან ალბათ,  
 ჩემს სულსაც ციმციმ აზიდავ ცაში...  
 და საახალწლო ღრუბლების ბამბით  
 ნაძვის ხეს მოვრთავთ დედა და ბავშვი...

\*\*\*


მედია ბინძური მეძავია,  
 ყოველდღე ოქროს სანმისებს გვპარავს...  
 სალამური ვისთვის უბრალო ლერწამია —  
 მწყემსისთვის იმედი და ძალა...  
 მედიაზე მედია მიედ-მოედება:  
 ეძებენ სანმისსა და ოქროს...  
 ბრბოთი ავსებულმა მოედნებმა  
 ბოლოს ბორკილები ლოდნონ...  
 „მედია ყვითელი თუ ... ცისფერია!“  
 გადმოსცეს ეთერში ეს წამია...  
 მწყემსისთვის ღვთიური მისტერია —  
 სალამური უბრალო ლერწამია...

\*\*\*

როცა გავივლი მცხეთას,  
 ან ჩავექროლებ ჯვართან,  
 ასე მგონია ვხედავ,  
 ღვთისმშობლის ნათელ კალთას...  
 შემომანათებ როცა  
 სამთავროს ქნართა ქიმო...  
 თითქოს შრიალებს ლოცვად  
 მაყვლოვანიდან ნინო...  
 სვეტიცხოველის კართან  
 მლოცველი მლოცველს მისდევს...  
 სისხლით დანიწნულ კვართით  
 მამულს მიკურთხებს ქრისტე...

\*\*\*

ნულარ მეტყვი, რომ არავინ გიყვარს,  
 ო, რამდენი დაგკარგავს კარგო...  
 ნეტა ცაში ბოლოს როდის იყავ,  
 ანდა იქნებ უჩემობას დარდობ...



ვასუძის  
წიგნი

### ჩემი წეთისოფელი

(წიგნი მეორე)

(გაგრძელება)

ძია ბიბო

მღელღიანთ გოგო-ბიჭები — ივლიტა, ვახტანგი, გიგო და ლადო სულიერად და ზნობრივად ერთმანეთს გაჭრილი ვაშლებივით ჰგავდნენ, ვინაიდან, ლეთის განგებით, მამა ილიას და ფოფოლია ეკატერინეს ნერგზე იყვნენ დამყნილნი. საქმის მიმართაც ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ - ჯიუტი და გუთნისდედური. ბუნებით კი ერთნი იყვნენ, მაგრამ ხასიათით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ.

დასაწყისი იხ. №9, 10/2007

ივლიტა მშრომელი ქალი იყო, უაღრესად კეთილი, მუდამ ოჯახსა და დაძმებს გადაგებული, მაგრამ გრნობების გამოხატვაში უტყვი, ხეირიანად აღერსიც კი არ ეხერხებოდა. გიყურებდა ღიმილგამტკნარებული და ეს იყო მისი ემოციურობის აპოგეა. მე მისი პირიდან არც „გენაცვალე“ გამიგია და არც „შენი ჭირიმე“, თუმც ყოველთვის ვგრძნობდი მის საოცარ სიყვარულს და მზრუნველობას.

ვახტანგი ლალი იყო და ცეცხლოვანი. ეს იყო რალაც გეოლოგიურ-ვულკანური ენერჯის მქონე სტიქიონი, ჯებირებმორღვეული, ყველაფრის გადაძალახველი და მთელ ქვეყანას მოდებულები;

ლადო — ასკეტური ბუნების, მკაცრი და პირქუში, მხოლოდ შინაურებისა და თითო-ორიოლა მეგობრისათვის გულგახსნილი, მუდამ პაციენტებზე და სამუშაოზე თავგადაკლული.

გიგო კი სულ სხვა იყო. საქმეში პედანტობამდე პატიოსანი, ცხოვრებაში კი - ბოჰემა. აპოლონთან, ძმებისა არ იყოს, მასაც, რასაკვირველია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ, რალა დაგიმლოთ, დიონისესთან უფრო იყო ჩახუტებული. ეს გახლდათ ქართველი, უფრო ზუსტად — თბილისელი ანუ „ქალაქელი დენდი“.

ათლეთური აღნაგობის დიდებული გიმნასტი. ჯიშთან ცხენებს უცებ კუნთები რომ მუთართოდებდათ ხოლმე, მასაც ისე უტოკავდა ყოველი კუნთი, როდესაც ეზოში წელსზევით გაშიშვლებული რაიმე საქმეს ნამოიწყებდა. ხელმარჯვეობას იბრალებდა, მაგრამ ხელში ყველაფერი ფშვხვებოდა. თავის ძაღლ-ლონეს ვერ ზომავდა. მის მიერ უადგილოდ ჩარჭობილ ლურსმანს, ვერარა ძაღლ უკან ვეღარ ამოაძრობდა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ დასაჭედებელი ფიცარი მის ჰეფესტოსებურ დარტყმას სასწაულებრივ გაუძლებდა და ორად არ გაიპოზოდა.

— რას ერჩი, შვილო, მაგ სკამსა, რა დაგიშავა? ნეტა ვის ჯავრს იყრი მაგ საცოდავზედა? — გადაუჯდებდა ფოფოლია აღერსნარევი ირონიას სასხვათაშორისოდ და ივლიტას გადახვდავდა გვერდელა ღიმილით.

— ბიჭო, რაც არ არი შენი საქმე, რატომ აიჩემებ ხოლმე?! დიაცა, მოვა ვახტანგი და ისე მოუვლის მაგ სკამსა, რო ვარანცოვ-დაშკოვი არ იუკადრისებს მაგაზე დაბრძანებას. შენ კი ხელსა და ხელს შუა შემოგეფშვებება და მეყოლე კარგადა. — ჩაერეოდა მამაო, მაგრამ ამოად.

ამასობაში სკამის ნამსხვრევებისგან ეზო ნაოხარ ბრძოლის ველს დაემსგავსებოდა და ივლიტა უკვე ცოცხით ხელში გარშემო ურბენდა ანტიკურ ქანდაკებასავით აღმართულ გიგოს.



— არაფერია, რა მოხდა, ამ სკამს სული მანც უკვე კბილით ეჭირა. — იტყოდა ივლიტა მშობლების გასაგონად და, როგორც ყოველთვის, ძმას იცავდა.

განზილებული გიგო ტანზე წყალს გადაივლებდა, სამართებელს აფხავებდა და წვერს ისე გაიპარსავდა, რომ ცალპირ ტყავსაც გააყოლებდა. მერე დაისხამდა მამაკაცურ ოდეკოლოსს, სახეზე ხელებს აიტყუაპატყუებდა და საგარეოდ გამოეწყობოდა.

ქალაქელი დენდი იყო-თითქი, რომ გითხარით, ისე არ გამიგოთ, მითქოს ფრაკებისა და სმოკინგების კაცი ყოფილიყოს. ჩვეულებრივ კოსტუმსაც არ იცვამდა. მას თავისი სტილი ჰქონდა, უფრო მხედრულ-მონადირული. მოკიტელო ფრენი თუ მოფრენო კიტელი, გაფშეკილი გალიფე, შავად მოლაპლაპე შრა-ჭუნა ჩექმები და ხელში წვრილი ტროსტი თუ ნკეპლა, სტეკს რომ ეძახდნენ.

ყოველ საღამოს, აი, ასე გამონყობილი ჩამოივლიდა კიბეს და დაუყვებოდა მთან-მინდის დამართის დარღვიანდული მიხვრამოხვრით. მამა ილია და ფოფოლია თან კმაყოფილი ღიმილით გამოხედვადნენ თავიანთ უზადო აღნაგობის ნაშიერს, თანაც თავისებურად გაკენწლავდნენ:

— რათ გამოგვივიდა ეს ბალდი ესეთი ბუმბულ-მარირა?! — იკითხავდა ფოფოლია.

— რა ვი, რო იძახი ეს შევლები სულ ჩემი დაზრდილები არიან, შენ რა ნვლილი მიგიძღვისო, ალბათ ეგეც შენი ბრაღი იქნება. — დინჯად მიუგებდა მამა ილია და კრიალო-სანს შეათამაშებდა ხელში.

— ნეტა ვიციოდ, რა შეატყვეთ ბუმბულ-მარირობისა? მამ აჯაჯულ-დაჯაჯული ხომ არ ივლის სიონის გლახასავით. მის დასაცავად ქარქაშიდან ამოენთებოდა ივლიტა.

— ეს კობტა-პრუნაობა რად უნდა, თუ ცოლს არ ითხოვს და ოჯახს არ მოეკიდება?! — გაცხარდება ფოფოლია და გულში გაღვივებულ ცეცხლზე ნავის დაისხამს.

— ოჯახს რო მოეკიდოს, მაშინ ვიღამ იაროს ყოველდამ ოპერაში და ვინ იძახოს პარი-პარალე ორთაჭალის ბაღებში?! — ფოფოლიას ცეცხლს ფიჩხს მიუშატებს მამა ილია.

— ვერ გამიგია, რას ემართლებით?! მთელი დღე სამსახურში მაჰკირკიტებს იმ თავის ციფრებსა. ელიზბარაჩა მარომ მითხრა, მთელ „საქეაქრობაში“ ეგეთი ეკონომისტი მეორე არა გვყავსო. ყველანი მაგას ეეკითხებით და მაგისი დასტურის გარეშე ჩვენგან საბუთი არ გადისო. ამდენი მუშაობის შემდეგ რომ ცოტა გაინავარდოს ახალგაზრდას კაცმა, განა ეს დასაძრახისია?! — იტყვის ივლიტა და გიგოს საშინაო ავტორიტეტს გალავანს შემოუმტკიცებს.

— აი, შე ძმების ადვოკატო! — ღიმილით ეტყვის მამა ილია, — მე განა იმას ვამბობ, ეკონომისტად არ ვარგა-მეთქი, მე მარტო ის მინდა, ეგეც დაოჯახებული ვნახო მაგის ძმე-ბივითა.

— ეე ყოველ საღამოს ან ოპერაშია, ან რესტორანში. იქ კი ვინ უნდა ითხოვოს?! მე არც ოპერიდან მოყვანილი შანტიკლიორი რძალი მინდა და არც დუქნის კახა! — ჩაუთავისებურებდა ფოფოლია და წარბებანუული ისეთ ძახილის ნიშნას დაუსვამდა თავის ნათქვამს, რომ კასაცისა აღარ ექვემდებარებოდა.

გიგო კი ამასობაში უკვე „გალავანსკე“ მიატორტმანებდა თავის მხარ-ბეჭს. ტყავისბოლოანი სტეკი ხანდახან გაინკაპუნებდა მის ჩექმის ყელთან, ვითომ შემთხვევით. ბოლოს და ბოლოს მიაღწევდა თავისი საქმოს ბირვას ოპერის ბაღში. შეიკრიბებოდა მელომანთა ლამქარი და შეულავდებოდა ოპერის ფოიში. იყო ერთი საღამ-ქალამი, ღირსეული, დარბაისლური კითხვა-მოკითხვა, კაცების ქუსლებს ნკაპუნი და ქალიშვილების რვეერანსები. გიგოს დანახვაზე ქალებს კალმბებევიით აუფორავდებოდათ ხოლმე ღრმად დეკოლტირებულნი სანახები და მარაოების ქნევის უხშირებდნენ. გიგო კი, ვითომც არაფერი, იმის ჩიტი იყო, რამე დასტყობოდა, ჯენტლმენურად ოდნავ გაუღიმებდა და მოიკითხავდა ზრდილობის ფარგლებში.

ბენუარის ლოფებიდან ლორნეტები პარტერისკენ დაფერდებოდნენ, მაგრამ გიგოს სხეული ლინზების ვინრო ორბიტოში ვერ ეტეოდა. ქალაქელი „ბარიშნები“ ამ გარეგნულად პირქუში რაინდის ნანილ-ნანილ თვალიერებასლა სჯერდებოდნენ. მაგრამ გიგოს მთელი ეშბი და ლაზათი მის მთლიან აღნაგობაში, საერთო ჰაბიტუსში იყო და არა დეტალებში. გიგოს ლამაზი არ ეთქმოდა. თუმც სილამაზე რა ჭირად უნდოდა, როცა ორად გაპობილი ნიკაპი და გამოკვეთილი ყვრიმალეები მის უტეხ ხასიათსა და მამაკაცურ ნებაზე მჭევრად მეტყველებდნენ. გიგო ამდენი კი არა, ამის ნახევარიც რომ ყოფილიყო, იმ ქალებს მოსტარბებოდათ მოდებდა.

გიგოს, როგორც ადრე კიგახსენეთ, ხავერდოვანი ბარიტონი და აბსოლუტური სმენა ჰქონდა. ლამის ყველა ოპერის არიები ზეპირად იცოდა და, როცა იშტაზე მოვიდოდა, თავის ძმა-ბიჭებში დააგუგუნებდა ხოლმე მთელ პასაჟებს ქართული თუ ევროპული ოპერებიდან.

ერთხელ დიმიტრი არაყიშვილს მოუსმენია გიგოს სიმღერა და ჩასციებია, ჩემთან მოდი კონსერვატორიაში, ცოტას ნაგამეცადინებ, სხვა პროფესორებსაც დაგახმარ და შენგან ოპერის დიდებული მომღერალი დადგებაო.

— რასა ბრძანებთ, ბატონო დიმიტრი, ისე, ჩემთვის ვმადიშნობ, ნოტებიც კი ხეირიანად არ ვიცი. რაც თავისით მამახსოვრდება, იმას წავიმღერებ ხოლმე. — უთქვამს გიგოს მორცხვი ღიმილით.

— ეს რა თქვა, ვახტანგ? ალბათ მამასხარავებს.

— არა, ჩემო დიმიტრი, მაგას როგორ გაგბედავს?! მართალს ვეუბნება, მუსიკა არასოდეს უსწავლია. ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივი ხმა და სმენა ჰქონდა. მთელ არიებს ერთი მოსმენით იმახსოვრებს. — ჩაერთა ვახტანგი უფროსი ძმის ტონით.

— მით უმეტეს, საოცარია. იქნებ შეაგნებინო და როგორმე კონსერვატორიაში შემოიტყუო. — არ ცხრებოდა თურმე ბატონი დიმიტრი.

— არა, ჩემო დიმიტრი, კოტეტიანთ სიჯიუტე არ გაგიგონია? რახან ჯორზე შეჯდა, ვგიქიდან ცოცხალი თავით ჩამომსვლელი არ არის. — თქვა ვახტანგმა და ძმას გაუღიმა.

— ბატონო დიმიტრი, გაჯიუტებას თქვენ როგორ გაკადრებთ?! უბრალოდ, რალა დროს ჩემი სწავლაა, კაცი ვაგვქაჩღვი კიდეც. ახალგაზრდა რომ ვიყო, მე თვითონ შეგხეხვებოდი. თანაც მე უკვე ჩემი საქმე მაქვს, პასუხსაგები სამსახური და ვეჭვობ, რომ სამაგისოდ დრო დამრჩეს. — მოუბოდიშა გიგომ. თან მუნდმტუკში მსუყე სიგარეტე ჩატენა და მადიანი ნაფაზიც დაარტყა.

— უი, ენევა კიდეც?! — გაიოცა დიმიტრი.

— მარტო რომ ენეოდეს, რა უშავს. თან ცხელ ხინკალს ცივ ლუღს რომ დააყოლებს ხოლმე, შენ მაშინ უნდა ნახო. ღვიწრო და არაყზე აღარაფერს გამბობ. — ცეცხლზე ნავთი დაასხა ვახტანგმა.

— თორემ შენ ხომ მამა აბრამის ბატკანი მყევხარ, შენმა მზემ. ჯერ პირში არც ცხელი ხინკალი ვდებია და არც ცივი ლუდი დაგიყოლებია, აი! ნიშნი მოუფო გიგომ და თავის ძმაკაცებს გადახედა.

— გიგა, მიდი ერთი, ვახტანგის ჯიბრზე შენებურად დაგაუგუნე — უთხრა გიგოს შალვა ჯოხაძემ და თვითონაც სამღერლად მოემზადა. გიგოს თავისი მეგობრები მამიღელ „სვეტურად“ გიგას ეძახდნენ და საერთოდაც ოჯახს გარეთ ასე იცნობდნენ.

ერთი სიტყვით, გიგოს მუსიკალური კარიერა სუფრითა და მეგობრითა ნრით შემოიფარგლა. არა და, სხვას რომ მისი ნიჭის ნახევარი ჰქონოდა, ალბათ მთელ ქვეყანას აიკლებდა: „ქე ვარ და ჩემი ნაბადიო“.

გიგო კი უპრეტენზიოდ ჰკმარობდა თავის აუდიტორიას, რომელსაც, ძირითადად, ძმა-

ბიჭები და ქალაქელი „ბარიშნები“ შეადგებდნენ.

დრო გადიოდა. გიგოს ქორწინების თაობაზე შინაურებიც უტყვევნი და გარეულებიც. აბა, ხანუმებს და ქაბატოებს რა გამოლუვდა მაშინდალ თბილისში. გიგო კი იდგა ქვიტკირის კედელივით და იმათ ტრაკა-ტრუსკ ცირცვის მარცვლებით ისხლტდა. მაგრამ ბოლოს მაინც შიგნიდან გატყდა აუღებელი ციხე-სიმაგრე. ასპარეზზე გამოჩნდა მშვენიერი გარეგნობის ქალი, გიგოს თანამშრომელი ლილი ებრალიძე, რომელმაც მიიგო ფოფოდიას და ივლიტას გული. დედამ და დამ აქეთ-იქდან შეუტეის გიგოს და დაიყაბულეს. ასე გაჩნდა ჩვენს ოჯახში ახალი რძალი, რომელიც მე ძალიან მომეწონა და იმნამსვე გავეუშინაურდი. ვგრძნობდი, ვუყვარდი და მათამამებდა. მე მისთვის ვერც აღმოსავლური ძალი დამაძახებინეს და ვერც დასავლური ბიცოლა. უბრალოდ ლილის ვეძახდი. მორჩა და გათავდა!

ცოტა ხანში გოგო ეყოლათ, თეთრი და ფუნქულა. ფოფოდიას ასტრონომიული საღერღელი აეშალა: — ვარსკვლავივით გოგოა და მარეზი უნდა დავარქვათო. აბა, შეკამათებას ვინ გაუბედავდა. თან წინასწარვე განაცხადა: — მეორეც თუ გოგო იქნა, იმას კიდეც შუქურ-ვარსკვლავი უნდა დავარქვათო.

— კარგი რა, დიდედ, გიგოს შვილები არიან, ევგენი ხარაძისა ხომ არა?! — ნაიშაყირა ცოტენემ.

— დიდედ, მე რა, უშუო ბავშვი ვიყავი? რატომ მეც ვარსკვლავის სახელი არ დამარქვი? — ვითომ ნაწყენი სახით მზარი აუბა ძმას მედიოთ.

— თქვენ მადლობა თქვით, ყვარყვარე და ეფროსინე რომ არა გქვიათ, მამათქვენის წყალობითა. — მიუგლო უფროს შვილიშვილებს ფოფოდიამ და ივლიტას გადახედა, ხო კარგად ვუთხარიო.

— მამ, მამ! — დაეთანხმა დედას ივლიტა და საკერავი მანქანა უკვე სამარხედ ააბზრიოალა.

ერთი სიტყვით, ფოფოდიას მიერ შერჩეულმა სახელებმა გაჭრა. ოღონდ ოდნავი სახეცვლილებით. ივლიტამ შეაპარა:

— პატარა გოგოსთვის „რუხი“: მტებისმეტია, იქნებ მარიხი დავეძახა?! იგივე არ არი?

ფოფოდიას დაყაბულდა. ხოლო როდესაც ლილიმ მეორე გოგოც ვაგორა, იქაც პატარა ფონეტიკური კორექტივი შეიტანეს ახალგაზრდებმა: „შუქურა“ - „შუქრი“-დ აქციეს, მაგრამ ვინაიდან პატარას ყველა მოფერებით „ცაცოს“ ეძახდა, შერჩა ეს სახელი დღევანდლამდე.

ახლა კი ისევ გიგოს დაეუბრუნდეთ. მკითხველს მინდა საგანგებოდ მოვახსენო, რომ როგორც აქამდე დაგისასიითე "მღვდლიანთ შუათანა ბიჭი", მე ასეთი გიგო არ მახსოვს. არც მისი სიმღერა მსმენია ოდესმე, არც მის მოლხენას შეესწრებოდა და არც მისი ფრანტობისა და ლოველასობის მოწმე ვყოფილვარ. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მამა ილიას, ნუსიას, ვახტანგისა და ლალის დაკარგვამ წერტილი დაუსვა გიგოს სილაღლესა და დარდიმანდობას. ჩემს ხსოვნაში იგი დარჩა, როგორც ტრაგიკული გმირის, მგლოვიარე მამაკაცის სპილოსძღლისფერი ქანდაკება: მამად მდუმარი, პირქუში და გაუღიმარი.

ჩვეულ სისუფთავესა და წესრიგს რა მოაშლევინებდა?! სამსახურში, რასაკვირველია, ყოველთვის ისევ წმინდად გაპარსული და ჩექმებგაპრიალეებული დადიოდა, მაგრამ სალამოს მინდაბრუნებული ერთთავად იჯდა არა სანერ, არამედ სასადილო მაგიდასთან, წინ წიგნი ან გაზეთი ედო, რომელშიც ხშირად არც იყურებოდა, სადღაც შორეთს გასცქეროდა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა. საფეთქლებზე დაბერილი ძარღვები ისე უფეთქავდა, გეგონებოდათ, საცაა გაუსკდებო. დრო და დრო ისე ამოიხრებდა, რომ გულსაც თან ამოაჩანდა. შემდეგ ისევ წიგნს ჩაულრმავებოდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ კვლავაც თავის ფიქრებში იყო ჩაფლული.

ზაფხულში აივანზე იჯდა და ისევ სადღაც იყურებოდა. ამ აივნიდან მთელი თბილისი ხელისგულრიფთი იყო გადაშლილი. მაგრამ ძია გიგო ისევ შორეთს გასცქეროდა, ისევ თავის ფიქრებს ჩაგულისგულებული.

ჩემი მისვლა იყო ხოლმე მისი ამ შავი ნირვანიდან საამქვეყნოში გამომყვანი.

— ბაქლა, მოხვედი? რასა იქმ, როგორა ხარ? რა ხდება ქვეყანაზე? — მკითხავდა, ხელში ამიყვანდა, მაგრა მაცოცებდა და თავის მუხლზე წამომასკუპებდა.

მე ძია გიგო ძალიან მიყვარდა. მემამყებოდა, დიდებით რომ მომმართავდა. თანაც ვგრძნობდი ჩემდამი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ერთადერთი ის იყო, რომ დილით სუფთად გაპარსულს საღამოს წვერი უკვე ამოსული ჰქონდა და თავისებურად მაგრად რომ მაცოცებდა, სულ დამჩხვლელტა ხოლმე. ვიშმუშნებოდი, მაგრამ ვაჟაკურად ვითმენდი. "ვარდი უეკლოდ" — ზუსტად ჩვენზე იყო ნათქვამი.

"ბაქლას" რატომ მეძახდა, არაფერ იცოდა. მეც არ ვეკითხებოდი. ვგრძნობდი, რომ საალერხო სახელი იყო და ამ სიტყვის ფონეტიკური ანალიზი, ბუნებრივია, არ მაინტერესებდა.

პირველ სართულზე, როგორც ადრე მოგახსენეთ, მამიდას ოჯახი ცხოვრობდა, მეორეზე კი ძია გიგოსი. მე დღისით უფრო მამიდასთან ვიყავი, საღამოს კი ამოვიჩლიავებდი შაშს ან დომინოს და ძია გიგოს მივადგებოდი. მეთამაშებოდა, ვითომ სერიოზულად, მაგრამ ხშირად აგებდა. მე ვწერვიულობდი და ვასწავლიდი, ეგრე არ ითამაშოდ, თორემ ქვას მოგიკლავ-მეთქი. ძია გიგო გაიცილებდა და ისევ დამჩხვლელტა. მე ისევე ვითმენდი და მიხაროდა, ძია გიგო რომ იცინოდა.

ზოგჯერ ძია გიგო მოხვეტავდა შაშისა თუ დომინოს კოჭებს, კოლოფში ჩაყრიდა და სერიოზული სახით მეტყვოდა:

— თამაში თამაშად, ჩემო ბაქლა, მაგრამ აბა ეხლა მითხარი, რას კითხულობ?

— აქესენტი ცაგარლისა და არზიანის პიესებს. — ვპასუხობ სხაპა-სხუპით. ძია გიგოს ელიმება.

— რა დროს შენი ეგენია?! მაინც რომელ პიესებზე?

— "ხანუმა" და "რაც გინახავს, ველარ ნახავ" უკვე წავიკითხე. ეხლა კი არზიანის "დეზერტიკა" დაფინყე.

აქ კი ძია გიგო თავს ველარ იკავებს და ხარხარებს. ბოლოს დიდდება და მამიდას მიუბრუნდება:

— თქვენგან რომელი ჭკუათმყოფელი უჩვეს ბავშვს ამ ლიტერატურას?

— აბა, მე რა ვიცი, ბაღლი იჯდა და წიგნსა კითხულობდა. ხელს ხომ არ შევეშლიდი?! მთავარია ქუჩაში არ გავიდეს და რამე უზნეობას არ გადაეყაროს. — თავს იმართლებს დიდება.

— სათამაშოდ ქუჩაში არ მიშვებ და მა რა ექნა?! — უცებ ამოიფრქვევა ჩემი წილიდან ამბოხის ვულკანი.

დიდება, რასაკვირველია, ისევ იწყებს თავის მონოლოგს, თუ ჩემს წინაპართაგან რომელი აღიზარდა ქუჩაში და ა.შ. და ა.შ... ძია გიგო კი ჩემს აცაფერს განაგრძობს:

— ახალი ხომ არაფერი დაგინერდა? — მკითხებდა კაცურად. აქ კი უკვე ლეილა ჩაერთვება და გამოთქმით უკითხავს ძია გიგოს ჩემს "ბოლოდროინდელ" ლექსებს. ლეილამ ხომ ყველა ჩემი ნაჯღაბნი ზეპირად იცის. ყველას უკითხავს - შინაურებსაც, გარეულებსაც, აკადემიაშიც და მეზობლებშიც. მე მრცხვენია, მაგრამ ლეილას ვერაფერს ვეუბნები იმიტომ, რომ ეს აიას, ყველაზე მეტად რაც უხარია.

ძია გიგოც მაქებს და პოეტიკის ახალ გაკვეთილს მიტარებს. ლექსებს მიწონებს, მაგრამ კალიგრაფიას მიწუნებს.

— აბა, ესეთი აცა-ბაცა ნაწერი გეკადრებ? აი, როგორ უნდა წერა. — მეუბნება და

გადმოიღებს კარადიდან თავის ნანერებს ქართულად და რუსულად. ძია გიგოს ისეთი ხელი აქვს, რომ კარგ კალიგრაფს შეშურდება.

— ჩემო ბაქლა, ამ ანბანს იცი, რამდენი კაცის სიცოცხლე შეენირა?! და განა იმისთვის, რომ შენ ასოები ბრიცო და ამანინჯო?!

ასეთი გაკვეთილები ბევრი მიმიღია ძია გიგოსგან. ღვინოც, ერთი პატარა ქიქი, პირველად მან დამალეგინა, „საფერავი“, ხუთი ნომერი, როგორც მაშინ ეძახდნენ.

ძია გიგო ბევრს ეწეოდა. ბუფეტის მარჯვე-ნა უჯრაში ელვა „პრიმის“ კოლოფების მარაგი. მაშინდელ „პრიმაში“ ნამდვილ თამბაქოს დებდნენ. იმ უჯრას რომ გამოალებდა, ნაღდი თამბაქოს სურნელი ამოიფრქვეოდა ხოლმე. რომ ნამოყვინილი, რასაკვირველია, ჩუმ-ჩუმად გიგოს უჯრას გაუშინაურდი და ღერ-ღერ ვეზარავდი ხოლმე.

ერთხელაც, როცა გავსტუდენტიდი, ჩემი სტიპენდიით ძია გიგოსაც ვუყიდე „საფერავი“ და ათი კოლოფი პრიმა.

— ღვინო, ჰო, მესმის, შენი გასტუდენტების მალარინია, ეს სიგარეტი რაღაა, თანაც ამდენი?!

— ძია გიგო, რაც მე შენი უჯრიდან სიგარეტები ამინაპნია, ეხლა ვალს ვიბრუნებ-მეთქი.

— მოდი, შე მაიმუნო, დავლიოთ. ქალო, გამოიტა საჭმელი, თუ რამე გაქვს. — გასძახა ლილის. — კაცი დაეუკაცდა და ხელდამშვე-ნებული მომივიდა. თანაც ნაქურდალს მიბრუნებს. — მერე მე მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა: — შენს გამოსწორებას გაუმარჯოს!

— თქვა და ერთ ყლუბად დაცალა. — ამ დროს ძია გიგო, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, უკვე პენსიაზე იყო გასული. მანამდე „საქვაჭრობის“ მთავარი ეკონომისტო იყო. სხვა მის ადგილზე მილიონერი იქნებოდა. ძია გიგოს ოჯახს კი, მამიდაჩემი რომ არა, ალბათ შიმშილობა არ ასცდებოდა.

ერთხელ, ომის დროს, მეფრინველეობის ფაბრიკაში რევიზიაზე მიმაგალს დიდედამ გასძახა:

— სალ ეგრე ტრაკზე ხელებდანყობილი (ანუ ხელცარიელი) რო ბრუნდები, ექნებ ბალებს კევრცხი მაინც ჩამოუტანო.

გიგომ მართლაც ჩამოიტანა ხუთი კვერცხი. დიდედამ რო ჰკითხა, რატო მეტი არ ჩამოიტანეო, გიგომ დინჯად უპასუხა:

— თან მეტი ფული არა მქონდა.

— შენ ფულს ვინ გამოგართმევდა, დალოცვილო, ერთი ოცდაათი ცალი მაინც ნამოგე-ლო. — გაცხარდა ფოფოღია. გიგომ ალმაცე-რად გადახედა და კბილებიდან მხოლოდ ეს გამოსცრა.

— მცხეთაში სკოლის ეზოში ნაპოვნი ყანგი-ანი კალამი უკან რომ ნამალეგინე, მარა გეგო-ნა, როგორი გავიზრდებოდი?!

ფოფოღია დაედუმდა. არა უნდა ეთქვა, როცა გიგო მართალი იყო.

გიგოს პენსიაზე გასვლამ სულ აურიდა თამ-კარი მთელ „საქვაჭრობას“. საღამოობით და-იძრებოდა ხოლმე მთაწმინდისკენ ეკონომისტთა საბუთებამოიღლიაგებული დიდი ლაშქა-რი.

— გრიგორ ილიჩ, რაც თქვენ ნახევდით, ჩვენ ეკონომისტებს სულ იაღლიშები მოს-დით, იქნებ დაგვეხმაროთ. — იტყუა ერთი და დაულაგებდა წინ მთელ დასტას.

იჯდა სანყალი ძია გიგო, ავადმყოფი და მხოლოდ ლანდადლა ქცეული და ღამეებს ათენებდა უფიცი კოლეგების შეცდომების სწორებაში. უფასოდ, უანგაროდ და დაუყვედ-რებლად.

გარდაიცვალა 1957 წელს, ისევე ჩუმად და უხმაუროდ, როგორც იცხოვრა კომუნისტე-ბის ხელში ბოლო ოცი წლის მანძილზე 1937 წლიდან 1957 წლამდე. გარდაიცვალა გოგ-ლას ოლესავით შიგნიდან გამომწვარი და ნა-ოხარი.

## ჩემი მეორე ოჯახი

ჩვენს საბავშვო ბაღში ორ ოთახს მინებ-ჩასმული კარი ჰყოფდა. ეს კარი ყოველთვის ჩაკეტილი იყო. აქეთ ჩვენ ვიყავით, იქით კი — ჩვენი პარალელური ჯგუფი. ქვედა მინე-ბი გაუმჭვირვალი იყო, ზემოთ კი ჩვეულებ-რითი, გამჭვირვალე. კარზე იქითა მხრიდან, როგორც ჩანს რაღაც კარადისმაგვარი იყო მოდგმული ისე, რომ ბავშვებს აბობლებდა შე-ეძლოთ. მე ამას მივხვდი, როდესაც ზედა სარ-კმელში ორი შავი თავი დავინახე შავად მობ-რიალე თვალებით. ერთი გოგოს თავი იყო, მე-ორე — ბიჭისა. ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ და მე მივხვდი, რომ და-ძმანი უნდა ყოფილიყ-ვნენ. ისინი არაფერს ამბობდნენ, არც გვემან-ჭებოდნენ. უბრალოდ იდგნენ და დიდი, შავი „აკალისმურაბა“ თვალებით სერიოზულად გვითვალთვალდებდნენ.

„ზანგები“ — გავიფიქრე მე და ეჭვი არც შემპარვია ამ ჩემს ვარაუდში. ამიტომ ჩემს ნა-საყვანად მოსულ ლეილას ვახარე:

— ლიკა, იცი, ჩვენს საბავშვო ბაღში ზანგე-ბი არიან, და-ძმა, ოღონდ ძალიან პატარები.

— ხუჭუჭები არიან? — მკითხა ლეილა.

— არა, სწორი თემბი აქეთ, ლამის გაფშეკი-ლი. — ფუთხარი მე ჩემი გამჭრილობით კმა-ყოფილმა.



— ზანგები არ იქნებიან. — მითხრა ლეილამ. — ზანგებს ხუჭუჭი თმები აქვთ და დიდი ტუჩები. იქნებ ინდოელები არიან?

— მე უფრო ზანგები მგონიან. თანაც სულ ჩუმად არიან, ეტყობა, ქართული არც კი იციან.

ამის შემდეგ ლეილა ვილაც მოხუცმა ქალმა გააჩერა და ლაპარაკი დაუწყო. მე ისევ ჩემს „ზანგებზე“ ვფიქრობდი. უცებ იმ ქალმა თავზე ხელი გადამისვა: — უი, რამოდონა ბიჭი გაზრდილად და კოჭლობით წავიდა.

— იცი, ეს ქალი ვინ იყო? — მკითხა ლეილამ. — საბავშვო მწერალი „ცქვიტი“. ასეთი ფსევდონიმით წერს. ხომ იცი, ფსევდონიმი რას პქვია?

— ვიცი, ფსევდონიმა „ვაჭა-ფშაველა“, ისე ლუკა რაზიკაშვილი. — წავიფრიადოსნე მე.

— ყოჩაღ. მაგრამ აბა ამ ქალმა რა დანერა, თუ გახსოვს?

— შენ რო თეთრ ცხენზე წამიკითხე მოთხრობა, მაშინ მითხარი ცქვიტისააო. მე მართლა ცქვიტი მეგონა, ის კი თურმე ჯოხითაც ძლივს დადის.

ლეილამ სიცილი ვედარ შეიკავა, თან, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც გამაფრთხილა: — უხერხულია, ეგეთი რამე არსად წამოგვცდესო. პო-მეთქი, ვუპასუხე და ისევ ჩემს „ზანგებზე“ დავიწყე ფიქრი. ძალიან მაინტერესებდა, საიდან იყვნენ, აქ როგორ მოხვდნენ, ვინ ჩამოიყვანა და ა.შ... ბოლოს დაეასკენი: ალბათ ომის დროს არიან ევაკუირებული მეთქი. ეს სიტყვა ვიცოდი, რადგან უფროსებისგან ხშირად მესმოდა ხოლმე.

მე იმდენად აბუზული და მორცხვი ბავშვი ვიყავი, რომ თვითონ მათთვის არ მკითხავს და მათი გენეტიკა საბავშვო ბაღის დამთავრებამდე ჩემთვის ამოუცნობი დარჩა.

სკოლაში მიყვანისთანავე საკლასო ოთახში შევედი თუ არა, სახტად დავრჩი - ის ზანგი ბიჭი აქ, პირველ მერხზე არ წამოსკუპულა და აბრალებს შავ თვალებს. იმისი და კი, ალბათ ქალთა სკოლაში იქნება.

მასწავლებელმა სია ამოიკითხა.

— კუპატაძე!

— აქ ვარ! - თქვა „ზანგმა“ და გაიჯგამა.

— ერიპა! ქართველი ყოფილა, — გავიფიქრე მე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ლეილას სიმართლეში.

ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე იმან გამოაცა, რომ თურმე ჩვენს სახლებს ერთი კედელი ჰყოფდა და ზურგებით ეყრდნობოდნენ ერთმანეთს. უბრალოდ შესასვლელი ჰქონდათ სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა ქუჩიდან. ეს იყო და ეს. მაგრამ ვინაიდან დიდედა მე



დიდედაჩემი ფოფოღია ეკატერინე ბიძინაშვილი-კოტეტიშვილისა

არც ქუჩაში მიშვებდა და არც ეზოში, საიდან უნდა მცოდნოდა, ვინ ცხოვრობდა ჩემს ირგვლივ.

ერთხელაც ნავადარი ვიყავ და სკოლაში რამდენიმე დღე მქონდა გაცდენილი. ლეილამ მითხრა, ჩიორბინე შენს კლასელთან და გაიგე, დავალება რა გაქვთო. მე სიხარულით გავენთე, მაგრამ იმათ ფანჯრებს რომ მივაღექი, დაგიბენი. ფანჯრებს ვერ ვნდებდი, რომ დაეუკაკუნო. ეზოში შესვლა მრცხვენია. მირჩევნია დავიძახო, მაგრამ როგორ?! ვიცი, რომ ოთარი პქვია, მაგრამ სკოლაში მასწავლებელი რომ „კუპატაძე“ ეძახის?! ავდექი და დავიძახე: — კუპატაძე!

მაგრამ ეს დაძახება კი არა, წამოკნავლება უფრო იყო. აბა, ვინ გაიგონებდა?! მე კი ვდგავარ და ვკნავი. ბოლოს ალბათ ვილაცამ მომკრა თვალი და ოთარს დაუძახეს. იმან: — შემოდით. მე გავვიუტდი, არა-მეთქი. გაკვეთილები გავიგე და გამოვბრუნდი. ჩვენი ურთიერთობა ასეთ დონეზე დარჩა. შემდეგ, ცოტა რომ გამოვშიშავდით, ერთმანეთს ასე მივმართავდით: „კოტეტი!“ — „კუპატი!“ — როგორც იმდროინდელი სკოლების დაბალ კლასებში იყო „მიღებულნი“.

ერთ მშვენიერ დღესაც დადგა ახალი წელი. პირველი იანვრის დილაა. რეკავს ზარი. აივნებიდან გადავიხედე: დგას კუპატაძე დიდი, უზარმაზარი ხონჩით. ზედ ულავა ნამცხვრები, ხმელი ხილი, ჩურჩხელები, გოზინაყი და ნაირ-ნაირი ტკბილეული. ამას ის მარტო ვერ

მოეროდა. ალბათ ვიღაცამ მოატანინა. მე და ლილა გავეგებენით. იქ, მართლაც, დედამისი აღმოჩნდა დამალული. მე და ლილა გავაგვიკონცა და ახალი ნელი მოგვილოცა. ლილამ შემოიპატიჟა, მაგრამ მან ოჯახში სტუმრიანობა მოიმიზეზა და შინისკენ გაემართა. ოთარი კი ცოტა ხანს იყოს და დროზე გამოუშვითო.

გავიხარე, მაგრამ რა გავიხარე. ახალ ნელს მეკვლე გვესტუმრა, თან ვიღაც უფროსი კი არა, ჩემი ამხანაგი! გადმოვუღაგე მთელი ჩემი „აელა-დიდება“, სიმართლე რომ ვთქვათ, უფრო მაშინებისა: მეფე ერეკლესდროინდელი ვერცხლის ფულიები, ნარნერი თ „ქართული თეთრი“, განათხარი ითიფალური ფიგურები, ჩემი მამიდაშვილის, ცოტნეს მიერ დაშლილი და ჩემთვის გამომეტებული საათის ბანილები, რომლებსაც მე, რასაკვირველია, ბზრიალებად ვხმარობდი, კოჭები, ყანგიანი რკინები, ლამაზი კენჭები და ბოლოს ლოტო, რომლითაც თვით ილია ქაეჭავაძეს უთამაშია. ამან ოთარზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი განსაკუთრებული ყურადღება ლოტოს ერთმა კოჭმა მიიქცია, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ნაკბილარები.

— ამ კოჭს ვინ უკბინა? — მკითხა ოთარმა სერიოზული სახით.

— ილია ქაეჭავაძემ. — თავმოშონდევუბასუხე მე.

- ვინ გითხრა?
- ნანამ.
- ნანა ვილაა?
- ჩემი ბიძაშვილი.

ოთარმა ეჭვის თვალით შემომხედა. როგორც ეტყობოდა, ნანას ავტორიტეტი ეცოტავა.

— არა, ილია ქაეჭავაძემ ამას არ იზამდა. — დაასვენა კოპებშეკრულმა ოთარმა და ამ აზრის უფრო მეტად განსამკიცებლად დასძინა: — ილია დათო ნულიესკირი ან რეზო გოგორიშვილი ხომ არ იყო, რომ ლოტოს კოჭების კბენა დაენყო!

მე დაფიქრდი. ოთარი მართალი იყო. დათო ნულიესკირი და რეზო გოგორიშვილი ჩემი საბავშვობაღელები და შემდეგ უკვე კლასიკები იყვნენ. არ არსებობდა ქვეყნად ცელქობა და სიგიჟე, იმათ რომ არ ჩაედინათ. ილია, რასაკვირველია, იმათებურად არ მოიქცეოდა. მე ოთარს დუმილით დავეთანხმე, თუმც ჩემი ლოტოს პრესტიჟისთვის ნანასეული ვარიანტი მერჩივნა.

ეს დღე იყო და ეს დღე! ნავსი გატყდა. ამის შემდეგ ან მე ვიყავი ოთართან, ან ოთარი ჩემთან. თავდაპირველად, რასაკვირველია, თეფშებისა და დანა-ჩანგლის წკარუნს ყურს რომ მოვკრავდი, თოფნაკრავივით ნამოვხტებოდი

და შინ გამოვბოდი. მერე, მულამი გამიგეს და ნინასნარ გამოკაჯდნენ, რომ სადილად დავეტოვებინეთ ხოლმე. ამ ოჯახში იმდენი სითბო და სიყვარული იყო, რომ ჩემს ტუტუცურ მორცხვობასა თუ დაკომპლექსებულ თავმოყვარეობას ყოველგვარი ნინადაგი გამოეცალა. თანდათანობით მოვთინიერე და ეს მსუდრო კერა ჩემს მეორე ოჯახად იქცა.

ოთარისმამა, ვალიკო ჭიათურელი კუპატიძე იყო სოფელ პერევისიდან. მეუღლე ჰყავდა ნინო, ნესტორ მაისურაძის ქალი. უფროსი შვილი ვაჟი ეყოლათ და ვაჟა დაარქვეს, ოთხი წლის შემდეგ კი ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ: ოთარი და ეთერი. პატარები, შავები, თვალბებრიანები და ძალიან საყვარლები. ვალიკო ინჟინერი იყო და ჭიათურაში მუშაობდა. დრო რომ აირია, ტროცკისტობა დასწამეს და პარტიიდან გარიცხეს. ეს იმავდროულად სამსახურის დატოვებასაც გულისხმობდა. ვალიკომაც აიყარა გულა-ნაბადი და ოჯახიანად თბილისში ჩამოსახლდა სიმამრის ბინაში, მთაწმინდაზე, მერე პარალელური ქუჩის ექვს ნომერში. მისი სიმამრი, ნესტორ მაისურაძე, ხარაზი იყო, დღევანდელი ტერმინოლოგიით ქალთა ფესხაცმლის ელიტარული მოდელიორი. ხელოსანი კი არა, მართლაც ხელოვანი იყო. მასთან იკურავდა ფესხაცმლის თბილისის უმშვენიერეს ქალბატონთა მთელი მარაქა: ნატო ვაჩნაძე გნებავდათ თუ თამარ ციციშვილი, შურა თოიძე თუ ნადეჟდა ხარაძე...

ახლა ბატონი ნესტორის გარეგნობას არ იკითხავთ? ყმანელის აღნაგობის თხელი, ტანწერილი, ჭალარა მოხუცი კაცი, კობტა ბლანჟე წვერით, ცილინდრით და დახეენილი მანერებით. ფიზიოლოგი აკადემიკოსის გარეგნობა ჰქონდა პავლოვ-ბერიტაშვილის ყაიღისა. ვაცისკროვნებულ სახეზე ყოველთვის ნათელი ღიმილი ეფინა. მთაწმინდის ვინრო ტროტუარზე ჩვენ, ბავშვებს რომ დაგვინახავდა, შლიაპას მოგვიხდოდა, მდებლად მოგვესალმებოდა, ტროტუარიდან ჩავიდოდა და ცდლობდა ჩვენთვის — ლლაპებისთვის გზა დაეთმო. მე მსგავსი ზრდილობისა და მანერების კაცი არც მანამდე მენახა და, რალა დაგიმლოთ, არც შემდეგ შემხედვარია ჩემს ცხოვრებაში. არა და, ხარაზი ბრძანდებოდა, ფესხაცმლის მეკრავი.

მე მის მეუღლეს არ მოვსწრებოვარ. სამი შვილი ჰყავდათ: ნინო, ლადო და გრიშა. სამივენი გამორჩეულად ღირსეულნი. ლადო და გრიშა თავ-თავიანთი ოჯახებით ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ნინო კი თავისი რეპრესირებული მეუღლით და სამი შვილით ჭიათურისადაც ისევ მამას შემოვიკვლია.

ოთარის მამა, ძია ვალიკო, ჩემი კაცი იყო, ყოველთვის წყნარი და მშვიდი. მისი თვალბებინაც სიკეთის ნათელი იღვრებოდა. პარტიი-

დან გარიცხული და სამსახურიდან დათხოვილი კაცი 1937 წლის რეპრესიებს სასწაულებრივ გადაურჩა. ჭიათურიდან ლტოლვილი და სიმამრთან შეფარებული არსად მუშაობდა და „ორგანოების“ გამჭირახმა-თვალმა ვერ მოაგნო. შემდეგ კი, როდესაც ამ საზარელმა ტალღამ გადაიარა, კასპის ცემენტის ქარხანაში დანიშნო მუშაობა და ვინაიდან გამორჩეული სპეციალისტი იყო, ქარხნის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსადაც დანიშნეს. ერთხელ, რაღაც ჭირად და ოხრობად, კონვეიერში ქლიბი ჩავარდნილიყო და მთელი მექანიზმი გაეჩერებინა. ძია ვალიკომ ჩაჰყო ხელი იმ ქლიბის ამოხალბეად. მაგრამ ვიღაც დოკუმატის მასქანა არ გამოურთავს და ქლიბის ამოღებისთანავე ბორბალმა ძია ვალიკოს იდაყვს ქვემოთ ხელი წააცალა. დარჩა ცხოვრების ბოლომდე ინვალიდად, მაგრამ სამსახური არ მიუტოვებია. ქარხანაში ისე გადი-გამოდიოდა ცალხელა ინჟინერი, როგორც თავის ხომალდზე ცალთვალა ადმირალი ნელსონი.

კომუნისტებმა ბოლოს „ინამუსეს“ და ამ მართლაც უპატიოსნეს და უანგარო კაცს შესთავაზეს პარტიაში დაბრუნება. ძია ვალიკომ უარი უთხრა: — მე იმ პარტიაში რაღა მიწადა, რომელზეც ერთხელ ყოფილად უსაფუძვლოდ ეჭვი შეიტანა ჩემს ნესიერებაში.

როგორც ჩანს, კაცი აღმოჩნდა ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი, რომელმაც ეს უარი საქვეყნოდ არ გამოუფინა, თორემ დაჰქარა არც მაშინ ასცდელიდა.

ერთი სიტყვით, ძია ვალიკო დღე და ღამე კასპის ქარხანაში იყო, ცემენტის მტვრით მენისქვილსავით დაფქვილული და საქმეს გადაგებული. მხოლოდ შაბათ საღამოს ჩამოაკითხავდა ხოლმე ოჯახს ქართლური ხილით ხელდასმებული. საზეიმო სადილის შემდეგ დაგვსახამდა მე და თავის სამ შვილს და ვითომ კოპებმეკრული იბარებდა ანგარიშს, ვის რა ნივნი გვექონდა წაკითხული იმ კვირის მანძილზე. ორშაბათს კი დილაუთენია გორის მატარებლით ისევ კასპისკენ მიიქცაროდა.

ოჯახის თავი და თავი დეიდა ნინა იყო. მე ვგრძნობ, რა მწირია ჩვენი ლექსიკონი იმ დიდი სიკეთის გადმოსაცემად, რასაც ეს სათნო, ჩუმი და მშვიდი ქალი მიმოაფრქვედა თავის ირგვლივ. რაჭველი ქალი ბრძანდებოდა, ღინჯი, უტყვი და სიტყვაძუნნი, მაგრამ მისი თვალები მეტყველებდნენ, მისი არაჩვეულებრივი ღიმილი, დახვეწილი, ნათელვუნოლი სახის ნაკვთები. ენად გაკრეფილი „შენი ჭირებები“ და „შენ გენაცვალეები“ არ ეხერხებოდა. ერთს გეტყოდა მხოლოდ: „შვილო“ და ეს უბრალო სიტყვის მასალა არ იყო. მას სხვა წონა ჰქონდა და ღირებულება. ეს მხოლოდ საალერსო სიტყვა არ იყო. მასში თითქოს სამყაროული დედობრიობის მუხტი იყო ჩაბუდე-

ბული. და შენ გრძნობდი, რომ მისი გულიდან დედა გელაპარაკებოდა, მისი თვალებიდან დედა გამიზერდა, რომლის ხილვა და აღერსი შენ არასოდეს გლირსებია.

თავის შვილებს თურმე სულ აფრთხილებდა:

— ვახუშტის არაფერი აწყენინოთ, ობოლია, რასაც ისურვებს, თუ შეგიძლიათ, ყველაფერი აუსრულოთ.

მე ეს მხოლოდ ახლახანს გავიგე, ოთარს და ეთერს წამოსცდათ ამასწინ თავიანთი დაბადების დღის სუფრაზე, როდესაც მე დეიდა ნინას და ძია ვალიკოს სულთა მოსახსენებელი სადღეგრძელო შევსვი.

დეიდა ნინა არაჩვეულებრივი დიასახლისი და მზარეული იყო. რაჭველების კულინარული ნიჭი მასში ასამაგად იყო გამოვლენილი. ხორცეულის კერძი იყო, ბოსტნეულისა თუ საკონდიტრო-ფუნთუშეული, მისი ხელიდან გამოსულს ყველაფერს სხვა გემო და მადლი ჰქონდა. სულ ახალ-ახალი ნუგბარეული გვიმასპინძლებოდა და ჩვენს აღფრთოვანებულ გმინვა-კენესას ღიმილით ისმენდა.

— მიირთვით, შვილებო, ღმერთმა შეგარგოთ. — გვეტყოდა და ახალ კერძს პატარძალივით შემოაბრძანებდა სუფრაზე.

ბოლო ჟამს აფხაზურა „დაამხეცა“. სოცარი ოსტატობით ამზადებდა. ნინოზაა დღეს, მე თუ დამავიანდებოდა მისგლა, ამ საფირმო „აფხაზურას“ თავის შვილებსაც კი უშალავდა და ჩემს მისგლამდე არ გამოუჩინდა. შვილებს „პროტესტს“ ღიმილით პასუხობდა:

— თქვენ ისეთ მადას გატყობთ, სულ შემოგეჭმევათ. მე კი ვახუშტისთვის მაქვს მომზადებული, იმას ძალიან უყვარს და თანაც თქვენზე უკეთესი დამფასებელი ისა მყავსო.

მივიღოდი და გაიხარებდა. შემომილაგებდა გარშემო ნუგბარ-ნუგბარ კერძებს, თავს მეველებოდა და იგერიებდა შვილების „შემოტყეებს“:

— აჰა, გაიხარე, მოგივიდა საყვარელი შვილი. — ვითომ გაბრაზებით ეტყოდა ვაჟა. მას ოთარიც აუბადა მხარს. ეთერიც ფეხს გამოჰყოფდა: „მეც ნახირო-ნახირო“ და გვედგა ერთი ხორხოცი და ჟრიაშული. დეიდა ნინა კი იდგა და იცინოდა, შვილების სიკეთით მშვიდი და არხენი.

ვაჟა ჩვენზე უფროსი იყო ოთხიოდე წლით. დიდობაში ეს სხვაობა არაფერია, მაგრამ ბავშვობაში კი — მნიშვნელოვანი. იმასაც, რასაკვირველია „ვზროსლური“ ეჭირა. შეველო დავეტუქსეთ, ნოტაცია ნაუკითხა და თითოც კი დაექნია. მე ამას თვინიერად ვიტანდი, ოთარი კი იხტიბარს არ იტყვხდა და აუხტებოდა ხოლმე. ძმებს შორის გამართულ გურგუსელას ისევ და ისევ დეიდა ნინა ჩააცხრობდა და ჩაამომინებდა.

ეთერკას კი ეძინა. მოვიდოდა სკოლიდან, ისაუზნებდა, მოიკუნტებოდა ტახტზე, ვადა-იფარებდა პლედს და წავიდოდა მძინარაანთა. ტახტს არც კი ეტყობოდა, ზედ ვინმე თუ იწვა. როდის ასწრებდა სწავლასა და ფრიადღსნობას ეს პატარა გოგო, ვერ გაიგებდით. ძმებს მისი ძილი აღნიშნებდათ და ხან რას შეუჩიჩინებდნენ და ხან რას. მე კი მეცოდებოდა და მას შეძლებისდაგვარად ვიცავდი ხოლმე.

ვაჟა, როგორც უფროსი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი და აუთვისებელი „ბლატნოი“ ლექსიკონის საუნჯე იყო. სასხვათაშორისოდ გვეტყოდა: — თქვე გორსალებო! — და მე და ოთარი ერთმანეთს მივაშტერდებოდით თხა და გიგოსავით. არ ვიცოდით სიტყვა „გორსალა“ რას ნიშნავდა, მაგრამ ვაჟას ინტონაციაზე ვხვდებოდით, რომ დიდად სასიამოვნო და შემამკობელი შინაარსი არ უნდა ჰქონოდა. რამეს, ჩვენი ჭკუით, ახალს ვეტყვოდით და ვაჟა ინდოფერენტული სახით გავგიტრიზავებდა: — „ბაბუშკინი სკაპუკი!“ სამაგიეროდ ბევრს ისეთ საინტერესო ამბავს მოგვიყვებოდა, რომ ამ პატარა-პატარა დამცირებებს ერთიანად გამოისყიდდა ხოლმე.

ოთარაანთ ხელისგულისტოლა ეზოში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ერთი რუსი მფრინავი ცოლითა და პატარა გოგონათი. თვითმფრინავების გამომცდელი იყო, რისკიანი და ვაჟკაცი. ამ სახლისა და ეზოს პატრონი „მინუტკა“ და მისი ცოლი „ტოტა ჰაიკანუშა“ იყვნენ. ქმარი აფთიაქარი იყო. ყოფილ „ოტენის“ აფთიაქში მუშაობდა მოკვიზორად. კლიენტს რეცეპტს რომ გამოართმევდა, ეტყოდა: „მინუტკა“, ე.ი. ერთი წუთი დამაცადეო. ამიტომ „მინუტკა“ შეარქვეს მთანმინდა-სოლოლაკელებმა. ოტენის აფთიაქს კი „მინუტკას აფთიაქი“.

ჰაიკანუშ-ტოტა კი ქალი იყო, ჯველობაში ალბათ ეშხიან-მარილიანიც. მთელ უზანს კუტუზოვივით „ჰკამანდრობდა“. სულ საქმეებს არჩევდა და ყველაფერზე თავისი შეხედულება ჰქონდა.

ოთარაანთ სახლს იქით „პოტიკები“ ცხოვრობდნენ, ასევე ტყუში და-ძმანი ლია და გია გვეგნავეები. უფრო იქით იურა, ზაურა, ვანიკა და სხვანი. ქუჩის ბოლოში კი ჩვენი კლასელი დათო წულუისკირი და ჩვენი მეგობრის ლალი ლარიონის ოჯახი. იმავე სახლში ბინადრობდა ჩვენი საბალეტო ხელოვნების მწვენება მარუსია ბაუერი, სახასიათო ბოშურ-ესპანური ცეკვების უბადლო შემსრულებელი. ბაუერი სცენაზე რომ გამოენთებოდა, დარბაზი ტაშისაგან ინგრეოდა ხოლმე.

მეორე პარალელური ქუჩა ჩვენი სტადიონი იყო. დიდი ბიჭები რომ თამაშობდნენ, ჩვენ მუყურდით. ხოლო თუ ვინმე რამეს იტკენ-

და, ან გააფთრებული დედა დაუძახებდა, მაშინ ჩვენ კარში ჩაგვაყინებდნენ და ეს უკვე ჩვეთვის მეტი იყო, ვიდრე ბორჩალოელისთვის ნორეზუ-ზაირამი.

მე და ოთარს ერთი ოცნება გვექონდა. სადმე გვემოვნა მასალა და ჩვენს სახლებს შორის გაგვება სატელეფონო ხაზი. ჩვენი სახლები, როგორც მოგახსენებ, ზურგებით კი ებჯინებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფასადებით სხვადასხვა მხარეს იცქირებოდნენ, რაც ჩვენს შორის საშაერო კონტაქტს დაბრკოლებებს უქმნიდა.

ოთარი ჩემზე ბევრად სერიოზული და სანიმუშო მოსწავლე იყო. მხოლოდ ფრიადღსანი კი არა, გამორჩეულად გონიერი და მოწესრიგებული. თანაც „ბებერუა“ [ქართლში ასე ეძახიან ჭკვიან ბალებს, პასტა-პასტა ლაპარაკი რომ უყვართ]. ოთარს არ მოსწონდა ჩემი დამოკიდებულება მათემატიკური საგნების მიმართ და მიზნად დაისახა ჩემი გამოსწორება. ვერ გეტყვით, რომ წარმატებით გამოსდიოდა ეს რთული საქმე. ქვიტკირის კედელს რას დააკლვდა ცერცვის მარცვლები, რომლებიც ოთარს უკანვე ეშნოდა კალთაში. მაგრამ ამ ამბავს ოდნავი დაღიც არ დაუჩნევია ჩვენს გადაბმულ ძმაკაცობაზე.

გავიდა დრო. გარდაიცვალა ბაბუა ნესტორი. ნავიდა ამ ქვეყნიდან ისევე ჩუმად და ფეხაკრფით, როგორც იცხოვრა. შემდეგ კუშპატაძეებმა ბინა მიიღეს პეკინის ქუჩაზე და გადავიდნენ. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. ძველ ბინაში კი მხოლოდ ვაჟა დარჩა.


შემდეგ და შემდეგ თანდათანობით თითქმის ყველა გამოვიგლოვეთ: ძია ვალიკოც და დეიდა ნინაც, მისი ძმებიც და რძლებიც. ბოლოს ვაჟაც, უკვე წვრილშვილის პატრონი ახალგაზრდა კაცი.

ოთარი კიბერნეტიკოსი დადგა, ეთერი — ჰემატოლოგი. ჩვენ ისევ მეგობრები ვართ, უფრო სწორად — და-ძმანი. გუთხოვრად დარჩენილი და მამიდობასლა დაჯერებული ეთერი ახლაც ყოველთვის იხდის „ნინობას“. ვიკრიბებით ეთერისა და ოთარის მეგობრები, ნათესავეები, შვილი და შვილიშვილები და ვისსენები იმ საოცარ ადამიანებს, ვისმა კეთილშობილებამ და სულიერმადარისტოკრატინზმამც ჩამოძერწა და ჩამოაყალიბა ჩვენი ადამიანური სინდისი.

**მ ი ნ ა წ ა რ ი :** *სანამ ამ ნიჯნს ვწერდი, ოთარი მოუღივებლად გარდაიცვალა და მე იძულეზული დამხადა, მასთან მხოლოდ ჩემს ფიქრებსა და სიზმრებში მესაუბრა. მე მას ერთ აკვიატებულ ფრაზას ვუშეორებ გამუდმებით: — ოთარ, რა ძნელი ყოფილა უშენობა, ბიჭო!*

(გავრძელება შემდეგ ნომერში)





დავით  
თედორაძე

\*\*\*

ზაფხულია,  
ვირუჯებით მზეზე,  
რომ იცოდე,  
მე რას ვფიქრობ შენზე...  
რომ ვიცოდე,  
შენ რას ფიქრობ ჩემზე...  
რომ ვიცოდეთ,  
ცა გაგვიხსნის ბჭეკარს,  
სიტყვას მეტყვი,  
სიტყვას გეტყვი მჭეკარს.  
ვერიდებით ერთმანეთის წყენას,  
ცხრა სარტყელით გადავრაზეთ ენა.  
ვერიდებით უფრო მეტად წარსულს,  
არ სურს ძველის დაეინყება ამ სულს,  
არ სურს!

\*\*\*

ეს მოყვა  
როკვას აზიურს,  
კუდის ქიციანს და ცანცარსა,  
გვაბითურებენ ბათუმლებს,  
თვალში გვაყრიან ნაცარსა.  
ვერ გაასწორებ  
რქას ირმის,  
ლეკვის კუდს,  
კირჩხიბს, კუზიანს...  
კიდევ მრავალჯერ ჩაივლის  
ვარდების ეგზეკუცია.

\*\*\*

მარტია,  
საჭიკარტია  
ნისლმა ჩაიკრა, ჩაბელა,  
ალარ გვალისა წარმტაცმა  
მზემ მწველმა თვალის გახელა.  
მონყენილია სოფელი,  
არ ახალისებს არც ღვინო,  
მე, ამ წალკოტის მფლობელი,  
შვილს ვმოძღვრავ, არ შემარცხვინოს.  
ამინდს ვერაფერს გაუგებ,  
სტუმარიც სანატრელია,  
სანამ ტურები ნაილებს,  
ქათმები დასაკვლელია.  
გულში ჩაღვრილი ნალველი  
სასმელმა ამომიქარგა,  
მაქვს და მექნება სახელი,  
სახელი არ დამიკარგავს.

\*\*\*

მოსაწყენი გახდა ბონი,  
დამაუიწყდა ვენაც მალე,  
მენატრები უკვე, მგონი,  
საქართველოვ, გენაცვალე!  
საქართველოვ, გენაცვალე!  
შენს წალკოტში ტანჯვა მიჯობს

ამ ევროპულ რია-რიას,  
თუმცა ხშირად დედინაცვლობ,  
მინც, მინც დედა გქვია.  
დედა გქვია!

## SOS!

რას ვერჩი მედეას,  
იყოს თავისთვის,  
უსაზღვრო ცოდვით და ხიბლით.  
სამშობლოს გამყიდველს,  
როცა ძეგლს უდგამენ  
სამშობლოს ერთგულთა ჯიბრით, —  
ეს არის ტკივილი,  
ეს არის სირცხვილი,  
ეს არის ღირსების აქნა...  
ხალხმა რა იღონოს,  
ხალხმა რა ინატროს,  
იმედნართმეულმა რა ქნას?!  
რა ვუთხრა თამარს და  
რა ვუთხრა ქეთევანს,  
რა ვუთხრა წამებულ ქალებს,  
ვერ ვხედავთ, ვერა ვგრძნობთ,  
თუ ჩვენი სურვილით  
ვითხრით და ვიბრმავებთ თვალებს.

## ზურაბ ბაღდადიშვილს

გვარიშვილობით ქართველო,  
სინდის-წამუსით ქართველო,  
დოლიდან ჯინის ამშვებო,  
თუ ცეცხლის მიმომფანტველო —  
მომენტრები ხანდახან  
ჭიბონის კენესა-ზუზუნით,  
განდაგან, ბიჭო, განდაგან,  
გულს ათობს გენის გუგუნით.  
მონადირეუ და მომლხენო,  
მშვენებავ როკვის მდელოსი,  
ამაყო ქართველობით და  
მაღალო საქართველოთი!

## უშველეთ საქართველოს

რა მასზე გულდამწყვეტი,  
მეტეხო და დიღმის ველო,  
მიდიოდე და ფიქრობდე —  
ეს არ არის საქართველო.

### გალაკტიონი

უშველეთ საქართველოს,  
ბრძოლებით დაღლილს და დაქანცულს,  
უშველეთ საქართველოს  
მოუსყიდველ და ამაყ სულს.  
უშველეთ,  
უშველეთ!  
თითს მისკენ იშვერენ,  
სწყურიათ მისი მინაც და ჰაერიც,  
რა გვინდა, რას ვეძებთ,  
ვინ ვართ და რა ერი,  
ასე რამ მოგვსუო და რამ დაგვაჩიავა?  
არ ვღირვართ მარაბდის,  
დიდგორის ნიაგად,  
ასე რამ მოგვსუო და რამ დაგვაჩიავა.  
უშველეთ საქართველოს —  
ვინც დარჩით მხნე და სანდო,  
მშიერო მუშაკებო,  
მებრძოლნო ქრისტესანო,  
მხდალო ვაჭრებო და  
ამაყო მნიგნობარნო!  
უშველეთ საქართველოს,  
უშველეთ საქართველოს!  
რუსთველის ნიგნს მოგართმევთ,  
ილიას ნიგნს მოგართმევთ  
ზარბაზნებად და ქვემეხებად,  
სამშობლო —  
ღეთისმშობლის ნილხეჯომილი  
როგორ გეთმობათ და გემეტებათ!  
უშველეთ საქართველოს!  
ვინც ჯვარის გამოსახვით  
ხედებით აალებულ განთიადს,  
სანამ გაყიდულა,  
სანამ მთანმინდაზე  
ქვეყნის ჩირაღდნები ანთია,  
უშველეთ საქართველოს,  
უშველეთ საქართველოს!



## პაირონი „პაირონი“

2007 წლიდან „ვეითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ დაარსდა ყოველწლიური პრემია — „პარნასი“ ნინა ნელს ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში გამორჩეულ მიღწევათა აღსანიშნავად. დაჯილდოების პირველი ცერემონიალი მაისის ბოლოს, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში შედგა.

ყურადსაღებია, რომ ახლად დაარსებული პრემიის ნომინაციათა შორის არის — „წლის საუკეთესო ნიგნი“. სწორედ ამ ნომინაციაში, 2006 წელს გამოცემულ ნიგნებს შორის საუკეთესოდ იქნა აღიარებული ზაზა აბზიანიძისა და ქეთევან ელაშვილის „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“ (გამომცემლობა „ბაკმი“). აგრეთვე პირველი ხარისხის პრემიით დაჯილდოვდა სახელოვანი ქართველი რეჟისორი — რობერტ სტურუა რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „მტრის ნიღაბი“ (ამელი ნოტომის ნაწარმოების მიხედვით) და ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი გიორგი კალანდია სატელევიზიო ფილმების ციკლისათვის „ჩვენებურები“.

მეორე ხარისხის პრემიები გადაეცათ დამანა მელიქიშვილს და მის სამეცნიერო ჯგუფს (ქეთევან ბეზარაშვილი და ანა ხარანაული) პროექტისათვის „შუა საუკუნეების ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“. (ნომინაცია: „წლის საუკეთესო საგანმანათლებლო და კულტურულ-ჰუმანიტარული პროექტი“) და მხატვარ გოგა მადლაკელიძის ახალქალაქის (ჯავახეთი)



კინომსახიობის თეატრის სცენაზე:  
დამჯილდოებულნი და დაჯილდოებულნი...

ეკლესიის მოხატულობის ესკიზებისათვის, რომელმაც სახვითი ხელოვნების ნომინაციაში გაიმარჯვა.

მესამე პრემია ერგოთ ახალგაზრდა მხატვარ — ანკა კალატოზიშვილს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრის“ გაფორმებისათვის და ასევე ახალგაზრდა კომპოზიტორსა და პიანისტ ვალერიან (ვაკო) შოკუაშვილს „ქეთო და კოტედა“ „ქართული ცეკვის“ საფორტეპიანო პარაფრაზისათვის.

საგანგებო პრემიით — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქართული არქიტექტურის დარგში“ დაჯილდოვდა არქიტექტორი ვაჟა ორბელაძე, რომელიც ამჟამად სიღნაღის რეკონსტრუქციის პროექტს ახორციელებს.

საზეიმო საღამოს ორგანიზატორებსა და ლაურეატებს გულშემატკივრობდნენ ცნობილი მწერლები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, საქართველოს კულტურის მინისტრი და ქალაქ თბილისის მერი (რომელნიც დაჯილდოვების ცერემონიაში მონაწილეობდნენ). დამწრენი ერთსულოვნად იზიარებდნენ იმ ამაღლებულ პათოსს, რაც ბუნებრივია, როდესაც ქართული კულტურის მხარდაჭერა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნარმატებული ბანკის მიერ ესოდენ თვალსაჩინო აქტშია სიმბოლიზირებული.



საზეიმო ცერემონიალის შემდეგ: ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი, ნინო მამარდაშვილი და ზაზა სიორიძე

# ნოემბრის - ზღვის ნაშაფთობსო ნაშაფაზღი

## I პრემია - ნიჟისორ ნიჟიერს სეკურუს სპექტაკლისათვის „მტრის ნილაბი“



რეპეტიციაზე...

გთავაზობთ ერთ-ერთ ამონარიდს, რობერტ სტურუას მიერ დადგმული „მტრის ნილაბისადმი“ მიძღვნილი იმ მრავალრიცხოვანი რეცენზიებიდან, რომლებითაც ქართული და უცხოური პრესა გამოეხმაურა ამ ჩინებულ სპექტაკლს.

2007 წლის 16 იანვარს, რუსთაველის თეატრის სცენაზე გაიმართა რობერტ სტურუას „მტრის ნილაბის“ პრემიერა. საზოგადოება გააოცა ამ უჩვეულო ჟანრმა, რომელიც ერთდროულად შეიძლება მიაკუთვნო დრამასა და თრილერს. ეს არის რობერტ სტურუასა და ლილი ფოფხაძის მიერ ბელგეელი მწერლის ამელი ნოტომის ნოველის „მტრის კოსმეტიკა“ მიხედვით შექმნილი ნაწარმოები.

„მტრის ნილაბის“ ავტორმა, რეჟისორმა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ ჟურნალისტებთან განაცხადა: ჩვენ ძალიან კარგად ვისწავლეთ წარსულში ჩადენილი ცოდვების მივიწყება, თანაც ისე, თითქოს არც არაფერი ჩაგვიდენია. დრო გადის და უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეჩვენება ასე ცხოვრებას, მაგრამ დგება დღე, როცა ცოდვებისთვის პასუხი მოეკითხებათ. ამ აზრის გადმოსაცემად ავირჩიეთ ეს ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები.

ტიქსტორის როლის შესანიშნავი შემსრულებელი, ახალგაზრდა მსახიობი გაგი სვანიძე ახალი ჩარიცხულია თეატრის დასში. ეს მის მიერ დიდ სცენაზე შესრულებული უკვე მეორე მთავარი როლია. „ეს ფსიქოლოგიურად საკმაოდ შიშვე როლი იყო და დიდ ენერჯიას მოითხოვდა, ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო რობერტ სტურუასთან მუშაობა, რომელიც ძალიან დაგვეხმარა,“ თქვა გაგი სვანიძემ.



მინანსცენები სპექტაკლიდან





# წიგნი — „წლის საუკეთესო წიგნი“

I პრემია — „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“  
თავი — ზახა აბზიანიძე და ქეთევან ელაშვილი

## სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია



ა.ა.პ.პ.

ნომინაციაში „წლის საუკეთესო წიგნი“ პრემიით „პარნასი“ დაჯილდოვდნენ ზახა აბზიანიძე და ქეთევან ელაშვილი, გამომცემლობა „ბაკის“ მიერ დასტამბული „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“ რომლის წინათქმასაც აქვთ თავაზობთ.

თქვენს ხელთაა სიმბოლოთა პირველი ენციკლოპედია ქართულ ენაზე. დასაანანია, რომ ამ ტიპის ენციკლოპედია დიდი დავიანებით გამოდის (თუ სხვა ცივილიზებულ ერებს შევედრებით), მაგრამ იმით თუ დავიმშვიდებით თავს, რომ იშვიათია ესოდენ მდიდრად ილუსტრირებული ანალოგიური გამოცემა.

სიმბოლოთა დაუნჯებულ სიბრძნეს (გნებათ — საიდუმლოს) ბოლომდე ვერავინ ამოიცნობს, მაგრამ თვით ძიება ამ საიდუმლოსი თუ მასთან მიახლოება (ისევე, როგორც წმინდა გრაალის თასთან) თავისთავად შემოქმედებითი პროცესია, მოულოდნელი აღმოჩენების ალტაცებით აღსავსე. ჩვენს გამიზნულ წილსვლებსაც თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“ ორი ტომი, ბევრ შემთხვევაში, ქართველ მკითხველს ჯერ არარსებული კულტუროლოგიური ენციკლოპედია მავივრობასაც გაუწევს.

ახლა რამდენიმე სიტყვა თავად სიმბოლოს შესახებ: „სადაა ცოდნის ძეხანში დაკარგული სიბრძნე, სადაა ცნობათა მოძიებაში გაბნეული ცოდნა?“ — თომას სტერნზ ულიოტის ამ პათეტურ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს — სიმბოლოებში...

და მაინც, რაშია სიმბოლოს არსი, მისი მაგია, ზემოქმედების ის ძალა, რომელმაც უდიდეს ჩინელ ფილოსოფოსს კონფუციუსს ათქმევინა: „ემბლემები და სიმბოლოები მართავენ მსოფლიოს და არა სიტყვა ან კანონი“.

„სიმბოლო“ ძველ საბერძნეთში ეწოდებოდა დანაწევრებული ფირფიტის იმ ნატეხებს, რომელთა შეერთებითაც უნდა ამოეცნოთ ერთმანეთი ქონების მექანიკურებს ან ილუმინაციის სიმბოლოებს. „სიმბოლოს“ მფლობელთა პრობლემები მონაგონია იმ სირთულესთან შედარებით, რომელიც ახლავს სიმბოლოს, როგორც ფსიქოლოგიისა და ზოგადაკაცობრიო კულტურის ფენომენის კვლევას. ეს სირთულე უკვე საკუთრივ „სიმბოლოს“ ცნების განსაზღვრებაში იწყება: „ნებისმიერ საგანს შეიძლება მიენიჭოს სიმბოლოური მნიშვნელობა, რომელიც იცვლება კულტურებისა და მიხედვით, ეპოქათა განმავლობაშიც. მაგრამ სიმბოლოს უნარი — ლაკონურად და ყველასათვის გასაგებ ენაზე ასახოს ცნება, რომლის გამოსატყვისაც მრავალი სიტყვა დასჭირდებოდა, უძველესი დროიდან გადააქცია ის რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების უნივერსალურ ენად“.

სიმბოლოში კონცენტრირებული ინფორმაცია ძალზედ ნააგავს გენეტიკურ კოდს; ის მნიშვნელობათა ისეთივე ვრცელ მნიშვნის ეტევეს, როგორცაა, ვთქვათ, გენეტიკური სპირალი.

თუ მილიონობით ადამიანათვის ისეთი სიმბოლოები, როგორცაა, მაგალითად ჯვარი და ნახევარმთვარი — მსოფლიო ქრისტიანობასა და ისლამს განასახიერებენ, სიმბოლიკის მცოდნეთათვის, ეს სრულიად ამოუწურავი თემაა. საკმარისია გავისხენოთ, რომ რენე გენონის წიგნი „ჯვრის სიმბოლიკა“ 700 გვერდს მოიცავს! ამ წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, რაოდენ ამოუწურავია საზოგადოდ სიმბოლოს მნიშვნელობა და რომ მისი გამოკვლევა ჯვრის სიმბოლიკის მხოლოდდა მეტაფიზიკურ ასპექტს მიმოიხილავს.

ბროკჰაუსისა და ეფრონის კლასიკური ენციკლოპედია სიმბოლოებს სამ კატეგორიად ყოფს: საგნობრივ სიმბოლიკა (ჯვარი, დისკო, მზე, ხელი, თვალი, ყვავილი და ა.შ.); რიტუალური სიმბოლიკა (ნებისმიერი რიტუალი — პირველყოფილი ცეკვიზიდან დანწყებული და თანამედროვე პარადი და მათარებული) და სიტყვიერი სიმბოლიკა (სახელთა და სახელწოდებათა სიმბოლიკის ჩათვლით).

სიმბოლოს განსაზღვრებას გავვიადვილებს მისი გამიჯვნა „მეზობელ“ ცნებათაგან. ესენია: ნიშანი, ემბლემა და ალტეგორია. სიმბოლო თავდაც ნიშანია (ალმნიშვნელი), მაგრამ ყოველი ნიშანი როდია სიმბოლო. სიმბოლოს უმთავრესი განსხვავება ნიშნისაგან (ემბლემისაგან) — მისი

მრავალმნიშვნელობა, პოლისემანტიზმი. ტყუილად როდი ითქვა, რომ „სიმბოლო — ესაა ერთდროულად საიდუმლოც და ამ საიდუმლოს წედომატ“. სიმბოლოს ბოლომდე შეუცნებელ არსს ხაზგასმით აღნიშნავდა კარლ გუსტავ იუნგი: „სიმბოლო უნდა მოიცავდეს, — ნერდა იგი, — ერთგვარ „გაუსტანობიერებელ“ ასპექტს, რომელიც ბოლომდე ვერასოდეს ვერ იქნება ცალსახად ახსნილი ან ჩამოყალიბებული.“

ეს „ცალსახაობა“ და ერთმნიშვნელოვანება ემბლემას, ნიშანს და ალეგორიას ახასიათებს. ნებისმიერი ნიშანი — ასტროლოგიური, ალქიმიური თუ ყოფითი — საგზაო, მაგალითად, სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას მოიცავს. იეროგლიფები, სანოტო ნიშანსა თუ მედველევიკის ტაბულაში დაუშვებელია „მიახლოებითობის“ ცნება („ან“ - „ან“). ასევეა ემბლემატკაში, ოღონდ აქ ერთგვარ სემანტიკურ აღრევასთან გვაქვს საქმე. ხშირად ჩვენ წმინდა ლინგვისტიური ინერციით, სიმბოლოს ვუნდობთ იმასაც, რაც რეალურად, სიმბოლოთა პოეტიკის თვალსაზრისით, ემბლემაა, სრულიად კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი. ასე იქცა ოდესღაც დაუნებელი ეიფელის კოშკი პარიზის ემბლემად. და როდესაც ტრადიციით ვამბობთ — „პარიზის სიმბოლო“ — ეს დიდი შეცოდება არაა, თუ ჩვენ ვე ვიცით, რა რეალური სხვაობაა ამ ცნებებს შორის. სიმბოლოსაგან განსხვავებით, ემბლემებს, ამ „ხილულ მეტაფორებს“ თავისი მკვლევარი ჯერ კიდევ აღორძინების ხანაში გამოუჩნდა: „ემბლემატკის მამად“ ნოდებელი ანდრეა აღჩატის 1531 წლით დათარიღებული „ემბლემათა ნიგნი“ („Emblematum Liber“) შემდგომ უკვე 150-ჯერ გამოიცა სხვადასხვა ენებზე.

„სიმბოლოთა ენციკლოპედიაში“ ჩვენ ძალზედ ხშირად ვლამპარაკობთ ემბლემებზე: ემბლემატკა — პერალდია — სიმბოლიკა რეალურ სინამდვილეში (და ისტორიულადაც) მუდმივ ურთიერთქმედებაშია. ისეც ხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშანი იყოს, მეორეში — ემბლემა, მესამეში კი — სიმბოლო. (ასე, მაგალითად, ხუთქიმიანი ვარსკვლავი სამხრებზე — ნიშანია; გერბზე — ემბლემა; ხოლო ბეთლემის თავზე გამოსახული — სიმბოლო).

როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს ლექსს „ჩემს ვარსკვლავს“ და ამ „ვარსკვლავში“ თავის სატროს გულისხმობს, ეს უკვე მეტაფორაა და ერთი მშვენიერი არსების ვარსკვლავად წარმოსახვამ უნდა გვაგრძნობინოს მისი მოციმციმე, მაცდუნებელი ხიბლიც და მისი მოუხელთებელი სიმორცხე.

მაგრამ თუ ხელოვანი თავის შინაგან მიმართებათა გადმოცემისას, უკვე აპრობირებულ სიმბოლოებს მიმართავს ან თავის მეტაფორულ ხელწერას სულ უფრო და უფრო უსადავებს პირობითობის ამ ენას, ჩვენ ვლამპარაკობთ სიმბოლიზმზე, როგორც ესთეტიკურ მიმართულებებზე.

როგორც ვთქვით, სიმბოლოს კიდევ ერთი „მეზობელი“ შუავს — ალეგორია. სიმბოლოსაგან

განსხვავებით, ალეგორია ყოველად კონკრეტულ ასოციაციაზე აგებულ ერთსახოვან სურათს წარმოადგენს — ეს შეიძლება იყოს იგავიც, ფერწერული ნამუშევარიც, ქანდაკებაც... როდესაც სულხან-საბას „კუსდამორიელს“ ვკითხულობთ, ალეგორიის კლასიკურ ნიმუშს ვხედავთ: მორიელს, რომელიც ცალსახად ბოროტ საწყისს ნასახიერებს. მაგრამ, თუ მორიელზე, როგორც სიმბოლოზე დავიწყებთ ლაპარაკს, ჩვენი ენციკლოპედის შესატყვისი სტატია დავარწმუნებთ, რომედ ვრცელი სიმბოლოთა დოკუმენტი აქვს ამ პატარა, შხამიან არსებას, როგორ იცვლება საუკუნეთა განმავლობაში ის სიმბოლო და რაოდენ განსხვავებულია მისი აღქმა სხვადასხვა კულტურულ ტრადიციამში.

სიმბოლოს წნორედ ამ მაგიურმა უნარმა — გაითავისოს განსხვავებული ეპოქები და ეთნოკულტურები, მუდმივად განაცვიფროს ადამიანი მულტადენელი ასოციაციებითა და წვდომებით, მირჩა ელიადეს ათქმევინა, რომ „სიმბოლოთა დანიშნულება, ესაა გადაარჩინოს კაცობრიობა კულტურული პროვინციალიზმისაგან“. ასეთივე ზოგადკაცობრიულ განზომილებაში აღიქვამდა სიმბოლოს იუნგე: სიმბოლო, მისი აზრით, შინაარსს სძენს ადამიანის ცხოვრებას, ხოლო თვით ფენომენი სიმბოლოსი კაცობრიობის „კოლექტიურ არაცნობიერში“ მთავლემარე არქეტიპების ანარქელია.


სწორედ იმ იშვიათად თავისებური, ბოლომდე შეუცნობელი, „მოლიელიე“ ბუნების გამო, რომელიც სიმბოლოს აქვს, მასზე თხრობა, დანყებული აკადემიური ენციკლოპედიათა ჟანრში, ჩვენდა უკმაყოფილო, ვადიზარდა ერთგვარ პატარა ესსეებში, რომლებმაც, საბოლოო ჯამში (სიმბოლოს რომ შეუშენის, იმ მაგიური ძალით), განაგრცეს ჩვენი თავდაპირველი ჩანადიქრი. ესოდენ „ესესიტურმა“ ენციკლოპედიაში, თავის მხრივ, შესატყვისად შერჩეული ვიზუალური მასალა მოითხოვა, ხოლო ილუსტრაციებმა ცალკე კომენტარი და ა.შ.

ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება: ჩვენც — ამ ნიგნის ავტორებმა, გამოცემებლებმაც, რედაქტორებმა და კონსულტანტებმაც, იმ ჩვენმა მეგობრებმა და კოლეგებმა, რომელთა შემწეობითაც იხვენებოდა ეს ნიგნი და შეიქმნა ეს ილუსტრაციები, ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ქართულ ეკითხვებს აღმოეჩინა და გაეთავისებინა სიმბოლოთა „ღვთაებრივი დედაარსი“, ეგრძნო განსხვავებულ კულტურულ ტრადიციათა მრავალფეროვნების ხიბლი, ის ტიპოლოგიური მსგავსებანიც, რაც ქართულ სიმბოლიკას ამა თუ იმ კულტურულ ტრადიციასთან ანათესავებს და ის განუმეორებლობაც, რომლითაც გამოირჩევა ქართული ფენომენი.

თუ ყველა ეს ჩვენი სურვილი განხორციელდა, ჩავთვლით, რომ ჩვენი მთავარი მიზანი მიღწეულია და ნიგნი, რომელიც გაუნღლებელი ინტერესით იქმნებოდა, ასეთივე ინტერესით ნაკითხება.

ზაზა აბზინიძე

საგანგებო შრომა — „გენსაყოფიერებელი დამსახურებისათვის ქართული არქიტექტურის ღირსედი საქართველოს ყულუჯურის სამინისტროს წარდგენით — არქიტექტორ ვაჟა ორბელაძეს — სიღნაღის ნიკოინსტრუქციის შრომისათვის“



ვაჟა ორბელაძე, 2007 წლის ოქტომბერი

ორი ილუსტრაცია ვაჟა ორბელაძის პოლოდროინდელი არქიტექტურული მანერის ნათელსაყოფად:



საბჭოური „რაიონული არქიტექტურის“ ნიმუში — სიღნაღის ქალაქის მმართველობის შენობის ფასადი. ქვევით: იგივე შენობის რეკონსტრუქციის ვაჟა ორბელაძისეული პროექტი




**წრუშიინაწინა - წლინ სანაშაშოშოშო  
შაჟანაწლიწაჟი აჟარეშაქი**

I შრომა — გიორგი ყალსაღის სეველეფიხი უიღმების ცაყლისათვის „ჩვენებურები“



სამაღლობელო სიტყვა ...



აფიშა „ჩვენებურების“ ციკლის წარსადგენად

# ნომინაციას - ზღვის სავაჭრომოსხმე საგანმანათლებლო ფუნქციონირება და ექსპლუატაციის ქსენოლოგიური კომპონენტები

II შრიუბი - ღამინა მელიქიძე. ქეთევან ზეზინაძე და ანა ხარსიალას შრიუბი  
- „შუა საუკუნეების ქართული თიხების თეორია და პრაქტიკა“



„პარნასის“ კონკურსზე ნომინაციაში „ნლის საუკეთესო საგანმანათლებლო და კულტურულ-მომხმარებელი“ პროექტი, გამარჯვება პროფ. დამანა მელიქიძეისა და მისი სამეცნიერო ჯგუფის (პროფესორები ქეთევან ზეზინაძე და ანა ხარსიალას) საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006-2007 სასწავლო წლებში სრული სახით განხორციელდა. სწორედ ამ პროგრამას გვაცნობენ მისი ავტორები. აღსანიშნავია, რომ ამ სახის საგანმანათლებლო პროგრამა პირველად იყო წარდგენილი „პარნასის“ კონკურსზე.

## საგანმანათლებლო სფეროში

### „შუა საუკუნეების ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“

#### 1. პროგრამის მიზანი

სასწავლო პროგრამა „ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოიცავს V-XIII საუკუნეების პერიოდს, როდესაც საქართველოს ინტენსიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებთან — ბიზანტიასთან, სირიასთან, სომხეთთან. ამ ხნის მანძილზე იცვლებოდა ქართველ სწავლულთა თუ მკითხველ-მსმე-

ნელთა საზოგადოებრივი ცხოვრება, სათარგმნი მასალის ხასიათი, მიდგომა თარგმანის პროცესისადმი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენასთან კონტაქტი სხვადასხვა გზარაფ აისახებოდა ენაზე – მის ლექსიკაზე თუ წინადადებების სტრუქტურაზე, სხვადასხვა მიმართულებით ცვლიდა ენას...

ამდენად, ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ლიტერატურული სკოლისა და კულტურული ორიენტაციის შესაბამისად.

სასწავლო-კვლევითი პროგრამის მიზანი სწორედ ისაა, რომ სტუდენტებთან ერთად, ნათარგმნი ტექსტების პრაქტიკული დამუშავების საფუძველზე მოხდეს 1. იმ კრიტერიუმების დადგენა და შესწავლა, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება თარგმანის ეპოქა და მთარგმნელობითი სკოლა, სხვადასხვა მთარგმნელობითი კონცეფცია, 2. ზოგადი ნიშნების ფონზე იქნას გამოვლენილი და შესწავლილი ამა თუ იმ ნათარგმნი ტექსტისა თუ ავტორის ინდივიდუალური ნიშნები და 3. ძველი ქართული მნიშვნელოვანი სკოლების მთარგმნელობითი კონცეფციები შეუპირისპირდეს სხვა აღმოსავლურ ქრისტიანულ ხალხთა ლიტერატურის პარალელურ პროცესებს.

ამ პროგრამის სასწავლო კურსში შეტანა არა მხოლოდ ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაა საჭირო და მნიშვნელოვანი, არამედ თანამედროვე ქართული თარგმანის, ენისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც: ძველი ქართული თარგმანის ისტორია არაჩვეულებრივად ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა მთარგმნელთან ენის დაფარული შესაძლებლობების ამოქმედება, როგორ ამდიდრებს და ავითარებს ენას საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ენობრივი კონტაქტების გაფართოება. ერთი სკოლის სხვადასხვა მთარგმნელის ნაშრომთა ურთიერთშეპირისპირება იმასაც აჩვენებს, თუ რამდენად შესაძლებელია ნიჭიერი მთარგმნელის ხელში თარგმანის პრინციპებისა და ენის შესაძლებლობების დაბალანსება. ამ კუთხით ძველი ქართველი მთარგმნელების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით უაღრესად სასარგებლო იქნება თანამედროვე ქართველი მთარგმნე-



ლისთვისაც. თარგმანის თეორია და პრაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული რიტორიკის თეორიასთან და პრაქტიკასთან. ანტიკური რიტორიკიდან ნამეკვიდრევი ლიტერატურული ფორმები წარმართავდა ბიზანტიური ლიტერატურის მრავალი ჟანრის (ჰომილეტიკის, ეპისტოლოგრაფიის, ჰაგიოგრაფიის, ეგზეგეტიკის, ისტორიოგრაფიის, საეკლესიო თუ საერთო პოეზიის) განვითარებას. ასე რომ, მომავალ მთარგმნელებს დიდ ლიტერატურულ-თეორიულსა და პრაქტიკულ ცოდნას შესძენს წმ. მამების, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის და სხვა წმინდა მამათა თხზულებების, ასევე, ელენისტური ხანის ფილოსოფოსების (ნეოპლატონიკოსთა) კომპენდიუმების ძველი ქართული თარგმანების ტექნიკის შესწავლა.

## 2. პროგრამის შინაარსი

### 2.1. ძველი ქართული თარგმანის ძირითადი მიმართულებები

ძველი ქართული თარგმანი ძირითადად ბიზანტიური ლიტერატურის შემოქმედებითი ათვისების პროცესში ვითარდებოდა. საგანთა და მოვლენათა არსის ზედმინევენით გამომხატველი, „გონიერთა ხედვათათვის მომწარჯვი“ ბერძნული ენა, საუკუნეთა განმავლობაში დამუშავებული ელინ პოეტთა და ფილოსოფოსთა მიერ, გამდიდრებული და გაძლიერებული ბიბლიური ტექსტების, პომილექტიკის, ჰომილერაფიისა და ეგზეგეტიკის ენით, მისაბაძი მაგალითი იყო ძველ ქართველ მნივნობარ-მთარგმნელთათვის; ამდენად, ელინთა „ენამზეობასა“ და მაღალგანათარებულ ბიზანტიურ კულტურასთან გათანაბრებისაკენ სწრაფვა დამახასიათებელი იყო ძველი ქართული მწერლობისათვის. ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა მნივნობრულ-მთარგმნელობით სკოლაში ყალიბდებოდა სხვადასხვა მთარგმნელობითი კონცეფციები. თორიულად ამ კონცეფციების გააზრება დაიწყო ანტიოქიური, შავ მთაზე, სადაც შეფასდა წინაურ მთარგმნელობითი ტენდენციები და ჩამოყალიბდა ახალი, ელინო-ფილური მიმართულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ძველი ქართული თარგმანის პერიოდიზაცია შეიძლება სამ ეტაპად წარმოვიდგინოთ: 1. უძველესი (პრეათონური), 2. ათონური, 3. ათონის მომდევნო (პოსტათონური), ანუ „ელინოფილური“ — შავი მთა-გელათის სკოლები.

1. ძველ ქართულ თარგმანს წმინდა წერილის თარგმნით ეყრება საფუძველი. ახალი აზროვნება, ახალი ცნებები, ახალი გამომსახველობით

თი სისტემა — იდიომები და სახეები აიძულეს მთარგმნელს სიტყვასიტყვით მისდოს სა-თარგმნ ტექსტს და თანდათან ჩამოაყალიბოს ახალი ენა, რომელიც მალევე ორიგინალური მწერლობის სამეტყველო ენადაც იქცევა. უძველესი თარგმანი ადევკატური ტიპის თარგმანია, მაგრამ სიზუსტე და ადეკვატურობა მიღწეულია არა ვაცნობიერებული კონცეფციის საფუძველზე, არამედ სპონტანურად, გარკვეული ტექსტისა და კონტექსტის ფარგლებში. ქართული თარგმანის ეს ეტაპი განხილულია ბიბლიის ადრეული თარგმანების (ხანმეტი ტექსტების, ოქუური ტიპის, ლექციონარის ტექსტები), მამათაპოფთეგმების, მრავალთავეების ტექსტების თარგმანების მაგალითზე. განსხვავებული ხასიათის სათარგმნი ტექსტები და მათი განსხვავებული ენები თარგმანის ხასიათის განსხვავებასაც განაპირობებს და ეს სხვაობები კარგად უჩვენებს იმ მიმართულებებსაც, რომელიც ქართული თარგმანის თავდაპირველ ეტაპს ახასიათებდა.

2. ათონური სკოლის სათავეს დამდებია წმ. ეფთვიმე ათონელი, რომელმაც „განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა“ და „საკულუფანება“ — ენისა ჩუენისა აღავსო“. წმ. გიორგი ათონელი მას ძველ მთარგმნელებთან ათანბრებს, როდესაც წერს: „ეგვეთარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და, ეპგონებ, ვითარმედ არცაღა გამოჩინებად არსო“. შავი მთის დიდი მოღვაწის, ფერემ მცირის აზრით კი, თარგმნისას მას „მადლითა სულისა წმიდასთა ელენიფებოდა შემატებაცა და დაკლებაცა“, რადგანაც იგი თარგმნიდა გარკვეული განკუთვნილებით, „ვითარ მას ჟამსა შეგუჟანდა“: „სიჩრებასა ჩუენისა ნათესავისა სძითა ზრდიდა... რამეთუ მაშინ ნათესავი ჩუენი ლიტონ იყო და ჩჩვილ“. ეფთვიმე მთანმიდელის მიზანი იყო ქართველი მორწმუნე ერის განათლება, ბიზანტიური მოწინავე კულტურის — მართალი სარწმუნოების ლიტონი ერისათვის სწრაფად მიწოდება. ამისათვის მას უნდა შეესრულებინა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, რაც ძირითადად კომპილაციის გზით მიიღწეოდა თვით ბიზანტიაშიც (მაგ. წმ. იოანე დამასკელის „წყარო ცოდნის“). მისი მიზანი იყო, რაც შეიძლება გასაგებდ და მარტივად მოეცა საჭირო ინფორმაცია მართლმადიდებლური რწმენის საცილობელ საკითხებზე. ეს იყო მიზეზი კომპილაციური, ადაპტირებული და „გამორეული“ ტიპის თარგმანებისა და შრომების შექმნისა (რაც, როგორც ფერემ მცირის კოლოფონებიდანაც ჩანს, ბიზანტიურ პრაქტიკაშიც მიღებული იყო: [იხ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავების“ — „დიალექტიკის“ შესავალი).

ეფთვიმე ათონელი ენობრივ-მთარგმნე

ლობითი თვალსაზრისით ე.წ. «თავისუფალი თარგმანის» წარმომადგენელია. მისთვის დამახასიათებელია ქართული ენის ბუნებრივი მორფო-სინტაქსური ფორმების გამოყენება და მაქსიმალური თავისუფლება ბერძნული ენის სინტაქსურ-ლექსიკური კალკებისაგან, რთული საღვთისმეტყველო აზრების მარტივად და ნათლად გადმოცემა (განმარტებითი სტილი). მისი თარგმანი აღიქმება როგორც ორიგინალი, იგი ორიენტირებულია «ლიტონ» მკითხველზე, ვრცელი განმარტებითი ხასიათის ჩართვებით, კომპლიაციებითა თუ მისი აზრით, ლიტონი ერისათვის ზედმეტი, თუმცა კი ღრმა და გამომეძებელი» გონებისათვის მისანდომი ადგილების გამოტოვებით. ამგვარი თარგმანის მოტივაცია შესანიშნავად აქვს ახსნილი ეფრემ მცირეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს «ანდერძში»: «მამა ჩუენი ფთვემე... სიჩოვებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითათ» — წერს იგი და მამა ფთვმესავე დამსახურებად თვლის «ქართველთა ნათესავის» მომწიფებას რთული საღვთისმეტყველო აზრების მისაღებად: «ან მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მაღლითა მტკიცისა საზრდელისა მოქმეე იქმნებაო». ათონის სკოლის, წმ. ეფთემე ათონელის ტრადიციებზე აღიზარდა მეორე დიდი ათონელი მოღვაწე გიორგი მთანმიდელი, რომელსაც პირველი ნაბიჯების გადადგმა მოუხდა ახალი, ელინოფილური ტიპის თარგმანისაკენ.

3.1. ელინოფილური მიმართულება ქართული თარგმანის ისტორიაში სათავეს იღებს შავი მთის ქართული კერებიდან და დაკავშირებულია ღირსიამის, გიორგი და ყუფუნდებულის (მეყენებულის) სახელთან, რომლის «ბრძანებითა და იძულებით» გიორგი მთანმიდელი არაერთხელ მიბრუნებია «დავითნის» თარგმანს და შეუნამებია იგი ბერძნული დედნისათვის (ეფრემ მცირე). მაგრამ შავი მთის სკოლას სრულყოფილად წარმოადგენს დიდი მოღვაწე, თარგმანის თეორეტიკოსი და მთარგმნელი-გრამატიკოსი, ფილოლოგი-მეცნიერი — ეფრემ მცირე.

ეფრემ მცირის ანდერძები და ნინასიტყვაობანი ფასდაუდებელი, უმდიდრესი წყაროა არა მხოლოდ მისი, არამედ, საერთოდ, ძველი ქართველი მთარგმნელების მუშაობის მეთოდისა და სტილის გასაცნობად. მისი ანდერძების მიზნებით ცხადდება, თუ რამ გამოიწვია შვე მთაზე ძველი თარგმანების «გამოძიება», გადასინჯვა, ბერძნულ დედნებთან შედარება-შეჯერება და ათონელების «ნამუშავეში» შესწორებების შეტანა (ბერძენთა პრეტენზიები, ინტერესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტურატიურისადმი, თეოლოგიური ტერმინოლოგიის დაზუსტების აუცილებლობა).

შუე მთაზე, ეფრემ მცირესთან უფლებობდა გამოხვედლივით, ზედმინევიით თარგმანის ხელოვნებას დიდი, «სჯულიერი მოღვაწე, განმანათლებელი ჩუენისა ეკლესიისა», არსენ იყალთოელი.

ეფრემ მცირის მიერ დანერგილი წესი ტექსტის ზუსტ თარგმანთან ერთად მისი კომენტარებისა და თარგმნისას წმ. მამათა განმარტებების გამოყენება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტურატურული სკოლის ძირითად მიმართულებად იქცა.

3.2. გელათის სკოლა (XII-XIII სს) ძველი ქართული თარგმანის ელინოფილური მიმართულების მძღველსა და მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს. ნინამდებარე კურსი მიზნად ისახავს გელათში შექმნილი ლიტურატურული მემკვიდრეობის ფართოდ და ღრმად შესწავლას, როგორც ენობრივ-სტილისტური, ასევე სააზროვნო ინტერესებისა და ფილოსოფიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით. გელათის სკოლა დამამკვიდრებელია სრულიად გამორჩეული ენობრივი სტილისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია: სათარგმნი მასალის შერჩევისას მკვეთრი ტენდენცია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ეგზეგეტიკისა და დოგმატიკისადმი, რასაც უკავშირდება ადეკვატური თარგმანის თეორიის განვითარება და მისი მკაცრი გატარება პრაქტიკაში რთული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ხედვების გადმოცემისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვის მიზნით; გამოკვეთილი პოზიცია, ერთი მხრივ, ბერძნული ენის, როგორც მისაბამი მოდელის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, არქაული და დიალექტური ფორმების, როგორც მეცნიერულ-ლიტურატურული ენის გამდიდრების ძირითადი წყაროს მიმართ; შეგნებული პოზიცია სპეციალური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენისა და სტილის გამომუშავებისა და ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მიმართ.

ზოგადი კონცეფციური ერთიანობის ფონზე ლექსიკურ-გრამატიკული თუ ინდივიდუალური ენობრივი მახასიათებლების მიხედვით გელათში ამჟამად იკვეთება ორი ძირითადი განმტკიცება, რომელიც ქართული ფილოლოგიური და თეოლოგიური აზრის ორი მწვერვალის — ყოველთა ეკლესიის განმანათლებელის, სჯულიერი მოღვაწის, თარგმანისა და ბერძენთა და ქართველთა ენის მეცნიერსა, არსენ იყალთოელისა და «ქართული ენის მამზვერვლისა და მადღევებელის», იოანე პლატონევი ფილოსოფოსის, ზედნოდებით პეტრინისაკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. სწორედ ამ ორი მწვერვალს შორისაა განფენილი გელათის სკოლის შემოქმედ-მთარგმნელთა უმდიდრესი ნამოღვაწარი.

## 2.2. ქართველ მოღვაწეთა კულტურული ორიენტაცია

შავი მთის სკოლა შეისწავლება როგორც ათონური სკოლის გაგრძელება და ახალი, ელინოფილური კულტურული ორიენტაციის და მიმართულების ჩამომყალიბებელი. ამ მიმართულებამ საფუძველი ჩაუყარა გვიანდელი ელინოფილურ, გელათის სკოლას, სადაც დადებითად

იქნა გააზრებული ელინური სამეცნიერო-ფილოსოფიური მემკვიდრეობა და აღქმულ იქნა იგი, როგორც მაღალი რიტორიკულ-ფილოსოფიური განათლება. შავი მთის სკოლის (ეფრემ მცირის) კოლოფონები უმდიდრეს მასალას იძლევიან არა მარტო ქართული მნიგნობრული კერის, არამედ იქ არსებული ბერძნული უმდიდრესი საგანმანათლებლო ტრადიციების შესახებ, რომლის პარალელურად და რომელთა მოთხოვნების მიხედვითაც ვითარდებოდა ქართული მნიგნობრული სკოლის ინტერესები. შეისწავლება ის მნიგნობრული გარემო, რომელმაც ეფრემ მცირე უდიდეს მოღვაწედ ჩამოაყალიბა (მისი მასწავლებლები — საბათუხარელი, იოანე ფარაკელი, კვირიკე ალექსანდრიელი და სხვანი ხშირად არიან მოხსენიებულნი ეფრემ მცირის ანდერძებში), ასევე ის მნიგნობრები, რომელთა მოღვაწეობა შეიძლება გარდამავლად მივიჩნიოთ ათონიდან ელინოფილურ სკოლამდე (დავით ტბელი, გიორგი ათონელი, თეოფილე ხუცესმონაზონი). პარალელები გაივლება სომხური და სირიული ელინოფილური სკოლების მახასიათებლებთან.

XI-XII საუკუნეები, ელინოფილური ხანა ქართული თარგმანის ისტორიაში, გამოირჩევა ცნებითი ლირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით, ქართული ენის სასიცოცხლო ძალების არაჩვეულებრივი გააქტიურებით. ამ ხანისათვის დამახასიათებელმა განსაკუთრებულმა ინტერესმა ეგზეგეტიკისადმი, როგორც ელინური ხანის ფილოსოფოსთა (ძირითადად პლატონისა და არისტოტელეს) და მათი კომენტატორების, ასევე ბიბლიური ტექსტების კომენტარებისადმი, თავის მხრივ, ნმინდა ფილოსოფიით დაინტერესება გამოიწვია. ეს ინტერესი განსაკუთრებით ვალდებდა ბიზანტიამ XI საუკუნის შუა წლებიდან, მანგანას აკადემიის დაარების შემდეგ და საქართველოში — მანგანას ტიბის ენისას აკადემიაში, სადაც სწავლება ემყარებოდა აკადემიურ — ტრიეუმ-კუადრიეუმის სისტემას.

გელათის აკადემია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის განვითარების გზაზე. იგი იყო ტიპური შუა საუკუნეების საგანმანათლებლო კერა, რომელმაც ქართულ ნიადაგზე გადმონერგა და განავითარა რენესანსული სულისკვეთების ბიზანტიური ინტელექტუალური ელიტის სააზროვნო ინტერესები. ეს სკოლა წარმოადგენდა XI-XII საუკუნეთა ბიზანტიური ფილოსოფიურ-თეოლოგიური სააზროვნო გარემოს პროექციას ქართულ სინამდვილეში და იდგა იმ მაგისტრალურ ხაზზე, რომელსაც მოგვიანებით გაჰყვა ევროპული განათლებულობა (თომა აქვინელი, პლეთონისა და შარტრის ცნობილი აკადემიები იტალიასა და საფრანგეთში).

ფილოსოფიური (როგორც იმ დროს შეეფერებოდა, ნეოპლატონური) ხასიათის ლიტურატურის მიზანდასახულმა და სისტემურმა თარგმანა-დამუშავებამ მოითხოვა ფილოსოფიური ხედვისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი შესატყვისების დაძენა და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ენის, ტერმინოლოგიის სისტემური დამუშავება, ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სისტემის ჩამოყალიბება.

პირველი სამი პერიოდის (რომელიც ცალკე კურსად ივარაუდება) ზოგადი დახასიათებისა და მიმოხილვის შემდეგ დასახელებული კურსი მიზნად ისახავს გელათის ლიტურატურულ-თეოლოგიური სკოლის ავტორ-მთარგმნელთა (არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჭისძის, იოანე ჭიჭიჭიშვილის, პეტრე გელათელის, ანონიმთა) მთარგმნელობითი მეთოდისა და ენობრივი სტილის საკითხების ღრმად შესწავლას ლიტურატურული წყაროების — ანდრძ-მინანერებისა და თარგმანის ტექსტის ანალიზის გზით; ტექსტოლოგიური ანალიზის ჩვევების გამოშვებებს ქართული თარგმანების ბერძნულ დედნებთან შეპირისპირებით; გარდა საკითხთა ისტორიული ასპექტით შენაწილსა, პროგრამა ითვალისწინებს თარგმანის ხელოვნების დაუფლებას და (ჭანრების მიხედვით) ძველი თარგმანების გამოცდილების გაზიარების გზით თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანში გაეარჯიშებას.

**3. პროგრამის აქტუალობა**

სასწავლო კურსი წარმოადგენს ქართული კულტურის იმ უმნიშვნელოვანეს სფეროს, რომელიც ეხება ქართველთა მთარგმნელობით საქმიანობას შუა საუკუნეებში. ამ საკითხის კვლევა დღევანდელი საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია რამდენიმე ასპექტით:

1) სათარგმნი მასალის თემატიკა და მასშტაბი მონიშნავს ქართული კულტურის საერთოევროპულ ძირებს და საქართველოს ისტორიულ ორიენტაციას.

2) ქართული მნიგნობრული (მთარგმნელობითი) კერები საზღვარგარეთ, ამ კერების თანაარსებობა ბიზანტიურ, სირიულ, პალესტინურ, მოგვიანებით კი სლავურ მნიგნობრულ კერებთან ცხადყოფს ქართველთა ცხოველურთიერთობებს შუა საუკუნეების გლობალურ სამყაროში და სანიშნავა დღევანდელი დღისთვისაც, როგორც იმის მაგალითი, რომ თვითმყოფადი, მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურა მხოლოდ სხვა კულტურებთან და ერებთან ურთიერთობაში და თანამშრომლობაში ყალიბდება.

3) ძველი ქართული თარგმანები წარმოაჩენს დამოკიდებულებას ბერძნულის, როგორც *Lingua Franca*-სადმი - ამ ენის მაღალ ავტორიტეტს, როგორც საინფორმაციო საშუალებას და სააზროვნო ენისადმი. ამავე დროს, ეს თარგმანები და მთარგმნელების „ცხოვრებები“ თუ კომენტარები საკუთარი ენისადმი მეტად გონიერულ დამოკიდებულებას ცხადყოფენ: განცდა მხოლოდ ენის სიმწირისა „უფსკრულ ღრმა“ ბერძნულთან შედარებით ენის განვითარებისაკენ უბიძგებს ქართველ სწავლულებს (ეს დამოკიდებულება განსხვავდება დასავლეთ-ქრისტიანული პოზიციისაგან, სადაც საკუთარი ენის შესაძლებლობის სიმწირის შეგრძნება, თუ შემდგომში სამი წმინდა ენის თეორია, კაპიტულანტურ პოზიციას განაპირობებდა და ეროვნული სამწერლობო ენის შექმნას აბრკოლებდა). შუა საუკუნეების საქართველოში ჩამოყალიბებული ეს პოზიცია და ენობრივი პოლიტიკა გასათვალისწინებელია დღევანდელ საქართველოში დიდი ერების ენათა ექსპანსიის პრობებში.

4) ბიზანტიური კულტურის ათვისების შემოქმედებით და ეტაპობრივი ხასიათი წარმოაჩენს საქართველოს ერთიან და უცვლელ კულტურულ პოლიტიკას და მის მემკვიდრეობითობას საუკუნეების მანძილზე. კულტურის არა ბრმა მიმბაძველობა, არამედ შემოქმედებითი ათვისება, არა ერთბაშად გადმოღება, არამედ ქართული საზოგადოების საჭიროებისა და ზნეობრივ-ინტელექტუალური მზადყოფნის შესაბამისად, ქართული ცნობიერების ღირსების შეგრძნებისა და, მეორე მხრივ ღიაობის მამყენებელია. ქართული მნივნილოვანი სკოლების ურთიერთკავშირი, წინაპართა დაწყებული საქმის გაგრძელება, გაღრმავება და გაფართოება განაპირობებდა ერთხელ აღებული კულტურული პოლიტიკის მთლიანობასა და პროგრესს. შუა საუკუნეების ქართულ თარგმანებში გამოვლენილი პოლიტიკისა და ტენდენციების გაგრძელება თანამედროვე ქართული ეროვნული პოლიტიკის ინტერესებშია.

5) სწორედ თარგმანებით დათავისებულ ბიზანტიურ ესთეტიკაზე დაყრდნობით მოხდა ქართულ ორიგინალურ მწერლობაში საეროსალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის შერწყმა, ანუ რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების ძველი თემის ახალ ფორმაში მოქცევა. ამ ბაზაზე მოხდა შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში უნიკალური ქართული საერო მწერლობის წარმოშობა და განვითარება. თარგმანებით გაშუალებული ენობრივ-მსოფლმხედველობრივი პარალელების ძიება თანამედროვე მწერლობაში ახალ ბიძგს მისცემს თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას.

6) განუზომებელია შუა საუკუნეების თარგმა-

ნების როლი ქართული ორიგინალური მწერლობისა და მეცნიერების ენისა და სტილის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ძველი ქართული ლექსიკური მოდელები თუ კონკრეტული ტერმინოლოგია, სინტაქსური კონსტრუქციები თუ სხვა ენობრივი მოდელები, მხატვრული სახეები დღესაც კვებავს ქართულ ენასა და მის მეცნიერულ და სამწერლობო სტილს.

7) სათარგმნი ლიტერატურის სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება, მისითანდათანობითი გაღრმავება მარტივიდან რთულისკენ (გადასვლა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ლიტერატურაზე), მეტყველებს განათლების მაღალ დონესა და განათლების გამართულ სისტემაზე შუა საუკუნეების საქართველოში, იმაზე, რომ ქართველები არა მხოლოდ საზღვარგარეთ ეუფლებოდნენ განათლებას, არამედ უკვე საქართველოშიც ჰქონდათ საგანმანათლებლო სკოლების მაგ., კონსტანტინოპოლის საიმპერატორო უნივერსიტეტის და სპატიარქო სკოლის დარი და ფარდი სასწავლო დაწესებულებები (აკადემიები).

8) წინამდებარე კურსის საგანი განეკუთვნება მედიევისტის კვლევის სფეროს და ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ამ სფეროს ევროპული ცენტრების სპეციალისტების მხრიდან. ქართული მასალისადმი ინტერესი მედიევისტის სფეროში დღეს განსაკუთრებით გაიზარდა იმდენად, რამდენადაც მეცნიერული კონტაქტების შეზღუდულობის გამო ადრე ქართული მასალა უცხოელი სპეციალისტებისათვის მიუწვდომელი იყო. დღეს სხვადასხვა არხებით (კერძო მეცნიერული თუ ერთობლივი სასწავლო პროგრამების საშუალებით) ეს კონტაქტები შესაძლებელი გახდა და უკვე 1996 წლიდან სტუდენტების მიერ ეწევა ევროპის უნივერსიტეტების სათანადო ცენტრებში რეალიზაციას იქცა. ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებენ ამ დარგის შესწავლის დაინტერესებული უცხოელი სტუდენტების მოზიდვას ჩვენი უნივერსიტეტის პუმანიტარულ ფაკულტეტზე.

9) დაბოლოს, 2006 წელს პროექტი მიმდევნა გელათის ძველი აკადემიის 900 წლისთავს. მასში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და თემატიკა, შუა საუკუნეების ქართული თარგმანის სწავლების ჩართვა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართველთა მიერ აღებული საგანმანათლებლო მიმართულების აქტუალობასა და ინტენსიურობას, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან ქართული განათლების ურთიერთობის ოდითგანვე დაწყებული ტრადიციის უწყვეტობას.





# წმინდანა - წლის საშობაო მუსიკალური

## ნაწარმოები

### III პრემია - ილირიან (იყო) შიუკაშვილს - „ქეთი და ყოყინი“ „ქართული ციყვის“ საფორტეპიანო პრინციპისათვის



## მსახიობი ზოხხახისათვის

წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება მუსიკოსთა მიერ ნიჭიერ, საინტერესო, არაორდინარულ პიროვნებად აღიარებულ პიანისტს ვალერიან შიუკაშვილს, რომელსაც ვაკოს სახელით იცნობენ და ხშირად ვაკუნასაც ეძახიან. ამ ზრდასრულ ახალგაზრდას საოცრად უხდება ეს მოფერებითი სახელი, ალბათ იმიტომ, რომ მან დღემდე შეინარჩუნა ბავშვური უშუალოება, მოუსვენრობა და სისხალაბე. მასთან ადვილად შედიხარ კონტაქტში, უმაღლეს მისი მომხიბვლელობის ზეგავლენის ქვეშ ექცევი და დიდი სიმპატიით იმსჯელებ. ამ თვისებებს ვაკო შიუკაშვილი ამგვარებებს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და საკონცერტო ესტრადაზეც, სადაც მთელი სისხვისით ვლინდება მისი ცოცხალი შემოქმედებითი ბუნება, რომელსაც არტისტული ელვარებაც ახასიათებს და რომანტიკული მღელვარებაც.

როცა ამ ნარკვევს ვწერდი, დროდადრო ვუსმენდი ვაკო შიუკაშვილის კომპაქტ დისკს, რომელზეც ჩანერილია მისი რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშები — შუმანის „იუმორესკა“, ბრამსის ორი ინტერმეცო და შუბერტის „მუსიკალური მომენტები“. ამ ურთულესი ნაწარმოებების შესრულებიდან ჩანს, რომ ვაკო შიუკაშვილს აქვს თავისი ხელწერა, მღერადი, მეტყვევლი, გამომსახველი ბგერა, მდიდარი პალიტრა,

ფლობს ბრწყინვალე ტექნიკას, რომელსაც იყენებს მალალმხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად, დაჯილდოებულია ინტერპრეტატორული ტალანტით, მას ინტერესითა და გატაცებით უსმენ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავიხსენოთ რევაზ ლალიძის რონდო-ტოკატაც, რომელსაც ფეიერვერკული ბრწყინვლეობით ასრულებს. ეს ცნობილი საფორტეპიანო პიესა ვაკომ ახლებურად გაიაზრა, ეფექტური და შთამბეჭდავი „ფერწერილი ტილო“ შექმნა და სპეციალური პრინციპით დაჯილდოვდა თბილისის პიანისტთა პირველ საერთაშორისო კონკურსზე, რომელზეც ლაურეატის წოდება მოიპოვა.

როგორც ცნობილი პიანისტი და პედაგოგი რევაზ თაყაიძე ამბობს:

„ვაკოს აქვს შესანიშნავი, თანდაყოლილი თვისება, რომლის ალზრდა შეუძლებელია. ეს გახლავთ მსმენლის მოგადობის, მოწუსხვის უნარი, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ნამდვილი არტისტებისათვის. როგორც კი ვაკო ესტრადაზე გამოდის და ინსტრუმენტთან ჯდება, მას უკვე აყვანილი ვხვდვარ.

არ მეგულება პიანისტი, რომელიც ყველაფერს ძალიან კარგად უკრავს. ვაკოც ასეა. მაგრამ მაშინაც კი, როცა არ არის ბოლომდე გახსნილი, ისეთ რალაცას ასხივებს, რომ ძალაუვნებურად უსმენ და სიამოვნებას იღებ.

ვაკოს შეუძლია რთული ამოცანების გადაჭრა, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია. ბახის „ინგლისური სუიტა“, შოპენის სი-მინორული სონატა, შუმანის „იუმორესკა“ ურთულესი ნაწარმოებებია. მათი შესრულების დროს ბევრი შრე უნდა ამოიწიოს, რათა შთაბეჭდილება მოახდინო და მსმენელი დააინტერესო. აქ ოსტატობის გარდა უნდა გქონდეს ის რალაც ვანსაკუთრებული, რითაც ვაკო დაჯილდოებული. მას შესწევს ძალა დაამყაროს კავშირი კომპოზიტორის სულსა და აუდიტორიას შორის. დარწმუნებული ვარ, თვითონაც არ იცის, როგორ ახერხებს ამას.

ჩვენ მისგან ბევრს მოვითხოვთ. როცა დაჯილდოებული ხარ ასეთი უნიკალური თვისებებით, ვალდებული ხარ შენს თავზე ბევრი იშუშაო!”

ვაკო შიუკაშვილმა საფუძვლიანი სკოლა გაიარა. სწავლობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ გიმნაზიას (ნიჭიერ ბავშვთა ათწლედში) და მოსკოვის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში. მაშინვე მიენიჭა მას მოსკოვში დანესებული პრემიის „ახალი სახე-

ლებს<sup>4</sup> სტიპენდია და მოზარდებისთვის ჩატარებული ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის დიპლომი. შეგდეგ დამათვარა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ასპირანტურა. ფორტეპიანოზე დაკვარსა ეუფლებოდა საუკეთესო შედეგოვებთან. მისი მასწავლებლები არიან გიმნაზიის წამყვანი პედაგოგი დოდო ცინცაძე, კონსერვატორიის პროფესორები ნოდარ გაბუნია და ნანა ხუბუტია. ბავშვობაში მას დროდადრო ამეცადინებდნენ ცნობილი მოსკოველი პიანისტები: ა. ნასედკინი, ე. მალინინი და ნ. შტარკმანი.

ვაკო შიუკაშვილი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია და რამდენიმე ვრან-პრის მფლობელი. ბეერ-შეგას (ინსტრელი) საერთაშორისო კონკურსზე მას პირველი პრემია მიენიჭა. ვრან-პრით დაჯილდოვდა ბულგარეთისა და ბელორუსიის, პეტერბურგის მარია იუდინასა და პორტუგალიის პელენა სა ე კოშტას სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსებზე. კონცერტებს მართავს სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც. დაკრული აქვს იპანონაში, ჩინეთში, გერმანიაში, პოლანდიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში, თურქეთსა და რუსეთის ქალაქებში...

ზემთ ჩამოთვლილი ფაქტების მიხედვით მიზანმიმართული და ერთობ პარმონიული შემოქმედებითი ცხოვრების სურათი იხატება. არადა, ამ უშფოთელი და წარმატებული სურათის მიღმა საკმაოდ წინააღმდეგობრივი რეალობა იმალება. ეს წანს გამოჩენილი პედაგოგის, პიანისტისა და კომპოზიტორის ნოდარ გაბუნიას სიტყვებიდან. ამ შესანიშნავმა მუსიკოსმა გადასწყვეტი როლი შეასრულა ვაკო შიუკაშვილის პიანისტური პოტენციის გამოვლენასა და პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბებაში. მისი ხელმძღვანელობით ვაკო შიუკაშვილმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

მომაქვს ამონაწერი ნოდარ გაბუნიას სატელევიზიო გამოსვლიდან, რომელიც მისი გარდაცვალების ცოტა ხნით ადრე ჩაინერა:

„მყავს რამდენიმე საუკეთესო მოწაფე. მათ შორისაა ვაკო შიუკაშვილი. არ მიყვარს გაზვიადებები, რაც ქართველებს ცოტა არ იყოს გეჩევივა. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს საზღვარგარეთის პრესის დამონწმეებით ყველას მომავლის პიანისტს უწოდებენ. ამით განსაკუთრებით ტელევიზია სცოდავს!

რაც შეეხება ვაკოს, ის მართლაც იშვიათი ნიჭის ადამიანია. მაგრამ ნიჭი უცნაური რამ არის. მას თან სისუსტეებიც ახლავს. თუ ნიჭს სისუსტეები არ ახასიათებს, მაშინ გენიოსთან შეკონია საკმე. ახლა და სიტყვასაგან თავს შევიკავებ. ვაკოს გენიოსს ვერ ვუწოდებ. ამჯერად არც მის სისუსტეებზე არ ვილაპარაკებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვაკოს ჯერ ბევრი რამ აკლია. ბო-

ლომდე არაა აღზრდილი. მის ნიჭს განვითარება სჭირდება.

ვაკო დაჯილდოებულია უმდიდრესი ინტუიციით. როგორც კი ბგერას აიღებს, იქმნება მთაბეჭდილება, რომ ის ამ ბგერით გელაპარაკება, რალაცას გუებუნება. ეს, რა თქმა უნდა, ღვთით ნაბოძები ნიჭია. ვაკოც გრძნობს ამ სიმდიდრეს, რომელსაც ცოტა არ იყოს ფუქსავატურად ექცევა. მას საჭიროზე მეტი რწმენა ვაუწნდა. რა თქმა უნდა, არტისტისათვის საკუთარ თავში რწმენა საჭიროა, საუცილებელიცაა. მაგრამ რწმენა ლიმიტირებული უნდა იყოს. საჭიროა ზღვარის გავლება და სხვა ელემენტებზეც ყურადღების გამახვილება.

ვაკომ დიდი წარმატებით დამათვარა თბილისის კონსერვატორიის ბაკალავრიატი. ამჟამად მაგისტრატურაში სწავლობს. ამდენი წელიწადია ვასწავლი, მაგრამ ასეთი გამოცდა არ მახსოვს. ამას ვამბობ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. პირნათლად შემძილია ჩემს კოლეგებს ვკითხვ: აბა მითხარით, რომელ სტუდენტს დაუკრია ასე?

გამოცდაზე ვაკომ დიდებულად შეასრულა ბახის სოუიტა და სხვა ნაწარმოებები. ბახი ძალიან ძნელი დასაკრავია. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ სწორედ ამ არაფერში უნდა ითქვას ყველაფერი. ვაკომ ეს შეძლო. ეს იყო რალაც არაჩვეულებრივი, დაუვიწყარი, ცრემლისმომგვრელი გამოცდა...

ვაკოს წინაშე იშლება ძალიან საინტერესო ცხოვრების პერსპექტივა. მაგრამ მას ჯერ არაფერი არა აქვს გარანტირებული. თუ იმრომებს, თუ სერიოზულად მოეკიდება თავის პროფესიას, მაშინ ძალიან დიდ სიმალეებს მიაღწევს. მაგრამ თუ არა, მაშინ ვერა... ამას მისდამი დიდი სიყვარულით ვამბობ. ვაკოს ბედი მის ხელშია. ამ ცოტა ხნის წინ პედაგოგებმა მითხრეს: არც ერთ ლექციას არ ესწრებაო. როგორ შეიძლება გამოხვიდე დიდი მუსიკოსი თუ არ იცნობ მუსიკალურ ლიტერატურას, თუ არ იცი მუსიკის თეორია? ეს შეუძლებელია. არადა, გულით მინდა მისი წინსვლა, მით უფრო, რომ იშვიათი მოწაფეებით, უიშვიათესი ნიჭით გამოირჩევა...“

ამ შეხედულებას ანვითარებს ცნობილი მუსიკოსი ნანა ხუბუტია, რომლის ხელმძღვანელობით ვაკო შიუკაშვილმა თბილისის კონსერვატორიის მაგისტრატურა და ასპირანტურა დაამთავრა. მისი აზრით:

„ვაკო უაღრესად ნიჭიერი ადამიანია. ეს აღიარებული ფაქტია. მას აქვს შესანიშნავი მონაცემები — ბგერა, არტისტიზმი, ფანტაზია, შთაგონება. მაგრამ მის წინაშე დგას რთული ამოცანა: მან თავი უნდა მოუყაროს საკუთარ მონაცემებს და ერთობლიობაში განანვითაროს. ამისათვის უნდა მუშაობდეს ხის ტექნიკატორად და არა იმპულსურად. ის უნდა შეეცადოს და ხან არა. მუსიკა უსაზღვროდ უყვარს, მაგ-

რამ არ უყვარს თავაუღებელი შრომა. თავისუფლების მოყვარულია, აკადემიურ ჩარჩოებს ვერ ეგუება.

თუ შეძლებს თავისი მონაცემების სისტემაში მოყვანასა და განვითარებას, მაშინ დიდ წარმატებებს მიიღწევს და ნამდვილ ფასეულობას შექმნის.

დღესაც მახსოვს ვაკოს გამოსვლა ჯ. კახიძის მუსიკალურ ცენტრში, სადაც შეასრულა შუბერტის „მუსიკალური მომენტები“ და მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“. ამ კონცერტზე გამოავლინა აკადემიურობა, თავისუფლება, ფანტაზია, შუბერტისეული სიფაქიზე და მუსორგსკისეული მასშტაბურობა.

ბუნებით ვაკო უფრო რომანტიკოსია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბახსაც კარგად უკრავს.

პიანისტი მაღალ შედეგს აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა მისი ინდივიდუალობა და შემოქმედებითი ფანტაზია ემთხვევა კომპოზიტორის ჩანაფიქრს, პასუხობს ავტორის მოთხოვნებს. თანხვედრა აუცილებელია. კომპოზიტორი წინა პლანზე უნდა იდგეს. შემსრულებელი უნდა ემსახურობოდეს ნაწარმოებთა მუსიკალური არსის გახსნას.

ვაკო ზოგჯერ აღწევს ამას, ზოგჯერ არა. მიუხედავად ამისა, მისი დაკვრა ყოველთვის საინტერესოა, ცოცხალია, არტისტულია. ამ თვისებებს ამჟღავნებს ნაწარმოებთა გარჩევის დროსაც. მუსიკაში ერთვება პირველივე ბგერრიდან...

ასეთ ნიჭს მოვლა და განვითარება უნდა...

შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ვაკო შიუკაშვილს, წარმატებებთან ერთად, ჰქონია ფორმიდან ამოვარდნის შემთხვევებიც. ამის მიზეზებში უნდა ვეძიოთ ვაკოს ხასიათში, იმ ახალ-ახალ გადაცემებში, რაც მას დროდადრო ფორტეპიანოსგან ამორებს და თავს იჩენს მოღვაწეობის სხვა სფეროებში. მხედველობაში მაქვს 2001 წელს მის მიერ დაარსებული ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი, რომლის გენერალური დირექტორიცაა. ასე გამობზატა მან თავისი მასწავლებლის მიმართ მადლიერება, პატივისცემა და სიყვარული. ეს კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, ხელს უწყობს მომავალი პიანისტების აღზრდას.

რა თქმა უნდა, ესოდენ რთული და სერიოზული წამოწყება მოითხოვს დიდ დროსა და ენერჯიას, დაძაბულ ორგანიზაციულ მუშაობას. ვაკო ამ ფრონტზე ლიდერის თვისებებსაც ამჟღავნებს და ავლენს მუსიკალურ-საგანმა-

ნათლებლო სისტემაში კორექტივების შეტანის სათრეილსაც. იგი ფიქრობს ამ კონკურსის მასშტაბების გაზრდაზეც.

ამ ბოლო დროს ვაკო შიუკაშვილი კომპოზიციაშიც გაიტაცა. მან შექმნა ბრწყინვალე საფორტეპიანო ტრანსკრიფცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართული ცეკვა ვიქტორ დოლიძის ოპერიდან: „ქეთო და კოტე“. ეს გახლავთ ოსტატურად დაწერილი საკონცერტო პიესა. იგი ეროვნული საფორტეპიანო ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. მან ერთგვარად შეავსო აღნიშნულ ფანში შექმნილი ვაკუუმი.

ამ კომპოზიციისათვის, რომელიც გამოიჩევა საფორტეპიანო ფაქტურის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ვაკო შიუკაშვილი დაჯილდოვდა „ვითიბი ბანკის“ პრემიით „პარნასი“, რაც დიდად სასიხარულო და მისასალმებელი ფაქტია.

ვაკო შიუკაშვილი საკომპოზიტორო მოღვაწეობის გაგრძელებასაც ფიქრობს...

ასე სპონტანურად მოძალებულ გადაცემებს შორის პიანისტი საყვარელ ფორტეპიანოს უბრუნდება, ახალ ნაწარმოებებს სწავლობს და საკონცერტო გამოსვლებისათვის ემზადება.

ეს ნარკვევი მინდა დაეასრულო ცნობილი დირიჟორის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვერონიკა დუდაროვას ნერილით:


„მაღლობას მოვახსენებ ვალერიან შიუკაშვილის შედგავოვებს, შესანიშნავ ქართველ მუსიკოსებს, რომლებმაც 21-ე საუკუნეს ასეთი დაბეჯენილი და მრავალწინაგოვანი მუსიკოსი აღუზარდეს. მჯერა, რომ იგი ღირსეულად განავითარებს ქართული საფორტეპიანო სკოლის ტრადიციებს.

პირველივე რეპეტიციაზე მან მოიპოვა ორკესტრის ნდობა და დადებითი განწყობილება, რაც დიდი პატივია ნებისმიერი დონის პიანისტისათვის. იგი მშვენივრად გრძნობს ორკესტრს, წვდება მუსიკალური პარტიტურის სიღრმეებს, აქვს ლამაზი ბგერა და საოცრად რბილი „ტუსუ“. როცა ორ პიანოზე უკრავს, ბგერადობის მთელი სპექტრი იხმის.

მოცარტის კონცერტში ისეთ სიღრმეებში ჩავგახებდა, რომ გავიწინდა სურვილი მისი შესრულებით მოვუსმინოთ ბეთხოვენს, ბრამსს, შოპენსა და რახმანინოვს. მან მოზიბლა მკაცრი და მომთხოვნი მოსკოველები. მომავალ წარმატებებს ვუსურვებ ამ ნიჭიერ ახალგაზრდას.“

მანანა ახმეტელი





### წმინდა ილია მართლის დღესასწაულზე

ამა წლის 2 აგვისტოს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართა ილიაობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება და წმინდა ილია მართლის საიუბილეო წელთან დაკავშირებული ღონისძიება, — ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრისა და ილიას პერსონალური ენციკლოპედიის პროექტის პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე სიტყვა წარმოთქვას უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა და ილიას პერსონალური ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა, გიორგი აბაშიძემ, საკვლევი ცენტრის დირექტორმა — ნინო მამარდაშვილმა და პროფესორმა ზაზა აბზიანიძემ.


გთავაზობთ მათი გამოსვლების ჩანაწერს.

### უწმიდესისა და უნეტარის, ილია II-ს სიტყვა

წმინდა ილია მართლის ენციკლოპედიის პრეზენტაცია ახალგაზრდულ ცენტრში, 2 აგვისტო 2007 წელი

ყოვლადწმინდა სამღვდელონო მღვდელმთავარნო, ქალბატონებო და ბატონებო!

ყველას გილოცავთ ილიაობას! ღმერთმა ძალა მოგცეთ და მოგანიჭოთ მაღლი სულისა წმინდისა უძღურთა მკურნალისა და ნაკულუევანთა აღმავსებელისა. მაღლობელი ვარ თქვენი სითბოსა და სიყვარულისთვის. რომ არა თქვენი თანადგომა და სიყვარული, — ალბათ, ვერ ავიტანდი იმ მძიმე ჯვარს, რომელსაც უკვე 30 წლის მანძილზე ვატარებ.



წმინდა ილია წინასწარმეტყველს საქართველოში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ერთი პოეტი ამბობს, რომ შემთხვევას აქვს მეორე სახელი — ეს არის ბედი. ასეთი ბედი ჰქონია საქართველოს, რომ უდიდესი სინმინდებები გვიბოძა უფალმა.


ქრისტეს შობამდე 600 წლით ადრე ებრაელე-  
ბი საქართველოში ჩამოვიდნენ და წმინდა ელია  
წინასწარმეტყველის ხალენი ჩამოიტანეს. ეს ის  
ხალენია, რომელიც მან დაუტოვა თავის მონა-  
ფეს — წმინდა ელიეს წინასწარმეტყველს. არა-  
ფერია შემთხვევითი, ყველაფერი ღვთის წყა-  
ლობითა და განგებობით ხდება.

დღეს შედგა წმინდა ილია მართლის ენციკ-  
ლოპედიის პრეზენტაცია, რომელიც მომავალ-  
ში გამოიცემა. ვფიქრობ, რომ ეს იქნება მეტად  
მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც კიდევ  
ერთხელ შეგვახსენებს იმას, თუ რა ღვაწლი  
მოუძღვის წმინდა ილია მართალს ჩვენი ერის  
წინაშე. მაგრამ მე მინდა გითხრა ერთი რამ,  
რაც სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა — ეს არის  
ჩვენი ქვეყნის მოქცევის სასწაული. „მოქცევაი  
ქართლისაი“ აღწერს მირიან მეფის სასწაულებ-  
რივ მოქცევას და ჩვენ არ უნდა დავგავიწყდეთ,  
რომ მეფე მირიანი სწორედ წმინდა ელია წი-  
ნასწარმეტყველის დღეს მოექცა. აქაც წმინდა  
ელია წინასწარმეტყველის მაღლის მოქმედე-  
ბაა ჩვენს ქვეყანაზე, მისი სასწაულია. და მე  
ვფიქრობ, რომ დღეი დღესასწაულია ჩვე-  
ნი ქვეყნისთვის, დიდი სახალხო ზეიმი. და რა  
თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ საქართველოს კა-  
თოლიკოს-პატრიარქი ილიას სახელს ატარებს,  
არამედ იმიტომ, რომ დღეს არის ჩვენი ქვეყნის  
ქრისტეს სჯულზე მოქცევის დღე. მთელი ერი  
უნდა ზეიმობდეს დღევანდელ დღეს: მთავრობა  
და მხედრობა, პრეზიდენტი და პატრიარქი —  
ყველა ერთად უნდა ზეიმობდეს ამ მოქცევას.  
მინდა გვიმათო ჩვენს ისტორიკოსებს, ჩვენს  
მკვლევარებს, რომ განსაკუთრებული ყურადღე-  
ობა მიექციონ ფაქტს, რომ მეფე მირიანისა და  
ქართველი ერის მოქცევა წმინდა ელია წინას-  
წარმეტყველის ხსენების დღეს მოხდა.

გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს, გი-  
ლოცვავთ იმ მაღლის მიღებას, რომელიც დღეს  
უფალმა გვიბოძა.

თქვენ იცით მისი ცხოვრებიდან, რომ წმინდა  
ელია წინასწარმეტყველის ცხოვრებიდან, მა-  
მამისს ჰქონდა გამოცხადება, რომ დიდებული  
ადამიანები ახალშობილ ელიას ცეცხლის აღში  
ახვედნენ და ცეცხლითვე კვებავდნენ. დღეს  
ისეთი დღეა, რომ ჩვენ, ღვთის მაღლით, ყველა-  
ნი ვახვეულნი ვართ ამ ღვთაებრივ ცეცხლში და  
ღმერთმა ინებოს, რომ ეს ცეცხლი არასდროს  
დამთეს.

მაღლი, სიხარული, სიყვარული და წყალობა  
სუფევდეს თქვენთან და საქართველოში, ამინ.



თქვენო უწმიდესობავე,  
ქალბატონებო და ბატონებო,  
ძვირფასო სტუმრებო!

პატივი მაქვს მოგესალმოთ „ეთიბი ბანკი-  
სა“ და პირადად ჩემი სახელით და მოვილოცოთ  
დღევანდელი დღე — ილიაობა, დღესასწაული,  
რომელიც მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის  
მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ქარ-  
თველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრები  
ყველა პიროვნებისათვის.

წლები დღეი წელი მართლაც საიუბილეოა  
— 170 წელი დიდი ილიას დაბადებიდან, რო-  
გორც უდიდესი დღესასწაული და 100 წელი მი-  
სი გარდაცვალებიდან, რომელიც შევიდა ახალი  
საქართველოს ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი  
სამარცხენიო ფურცელი.

წმინდა ილია მართალი უდავოდ არის ყველა  
ქართველისთვის მაღალი აზროვნების მეტრი,  
უდიდესი მოაზროვნე. თქვენთვის კარგად არის  
ცნობილი, რომ მან დააარსა საქართველოში  
პირველი ბანკი და გზა გაუხსნა საქართველოში  
ეკონომიკურ აზროვნებასაც.

მე დიდი პატივით მივიღე ქართველ მეცნიე-  
რთა ერთი ჯგუფის ინიციატივა, რომელსაც XIX  
ს. ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი  
ბატონი გიორგი აბაშიძე ხელმძღვანელობდა  
„ილია ჭავჭავაძის სამეცნიერო-კვლევითი ცენ-  
ტრის“ დაფუძნებისა და მისი პერსონალური ენ-  
ციკლოპედიის გამოცემის თაობაზე და სიამოვნე-  
ბით გაფუძნეთ მათ მუშაობას.

ქალბატონებო და ბატონებო,  
განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაუფ-  
ხადო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს  
ილია II-ს, რომლის ლოცვა-კურთხევით ნარმარ-  
თავეს ცენტრი და პროექტი თავის საქმიანობას.

თქვენო უწმიდესობავე, თქვენი ლოცვა-კურ-  
თხევა და პატრონაჟი შეგვამძებინებს ბიზნეს-  
მენებს ბოლომდე ამოუღვეთ ვერდამი მეცნი-  
ერთა ჯგუფის ამ დიდ ნაშრომებს, რომელიც  
ბევრ საინტერესო ახლებურ გააზრებას შესთა-  
ვაზებს ჩვენს საზოგადოებას.

ზაზა სიორიძე

თქვენო უწმიდესობავ,  
ქალბატონებო და ბატონებო!

პირველ ყოვლისა, მინდა მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე — ილიაობის დღესასწაული — და დღევრძელობა და ჯანმრთელობა გისურვოთ, თქვენო უწმიდესობავ, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, მეოხად და ნუგეშად ჩვენდა.

მინდა, აგრეთვე, უღრმესი მადლობა გიძღვნათ, თქვენო უწმიდესობავ, რომ ილია ჭაჭავაძის კვლევის ცენტრისა და ილიას პერსონალური ენციკლოპედიის "პროექტის წარდგენა ქართულისაზოგადოებისათვის სწორედ დღევანდელ დღეს ხდება, ხდება ამ კვლევებში და თქვენი ლოცვა-კურთხევით.

ეს დიდი პატივია ჩვენთვის.

ამ დარბაზში არ არის აუცილებელი ახსნა-განმარტება იმისა, თუ ვინ იყო ილია ჭაჭავაძე და რა ღვაწლი დასდო მან ქართველ ერს: ყველამ ვიცით, რომ ეს იყო პიროვნება, რომელმაც „ღვაწლითა და სისხლითა თვისითა უდაბნო იგი სოფლისა მოიშუშა და გონებითა ღვთივბრწყინებულებითა დაცემულნი კვალად აღგვადგინა", პიროვნება, რომელმაც „ჭეშმარიტება სთესა და გვირგვინი დიდებითა მოიბოგა", პიროვნება, რომელმაც „სიმართლისათვის დაიბრძოლა და ზესათსოფელი უკვდავებისა დაიმკვიდრა". — ასე აფასებს ტროპარი წმინდისა ილია მართლისა ილიას ღვაწლს და სწორედ ამ ღვაწლის გამო შერაცხა ილია ქართულმამარლთმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად.


სწორედ ამ ღვაწლის გამო იყო ისიც, რომ ილიას წმინდა სისხლის ღვარი ამ ასი წლის წინ იმ ემბაზად იქცა, რომელშიც განბანილმა და ნათელღებულმა ქართველმა ერმა — სულით ამაღლებულმა და გონებით გამოფხიზლებულმა — ილიას ანდერძ-ნაშაგი ხელთუქმნელ განძად აღიარა, თავისი ცხოვრების განუყოფელ თანამგზავრად აქცია, ფარად იფარა და უქრობ ჩირაღდნად წარიმძღვარა დრო-ჟამის ქართველებთან ჭიდილში.

და თუკი დღეს ჩვენ ქართველებად აღვიქვამთ ჩვენს თავს, თუკი დღეს ჩვენ ქართულად ვფიქრობთ, ქართულად ვგრძნობთ, ქართულად ვმეტყველებთ, ამაში უდიდესია ილიას ღვთიკურთხეული მოღვაწეობისა და მონაშებრივი აღსასრულის როლი.

ილია ჭაჭავაძის ცხოვრების უმთავრეს მიზანს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა „ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან", ჩვენი მიზანი კი — ილიას კვლევის ცენტრის მიზანი — ილიას მემკვიდრეობის დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან.

მე არ მინდა დღეს ამ ფათერაკებზე ვილაპარაკო. მაგრამ ის კი აუცილებლად მიმაჩნია ვთქვა, რომ ილიას კვლევა, — ილიას ცხოვრება-მოღვაწეობისა და მისი ნააზრევისა და ნაფიქრის შესწავლა, — ჩვენი რწმენით, დღეს კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ეს აქამომდე იყო და, რომ ილიას გონებისა და სულის ნამოღვაწარი დღეს ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა და, იქნებ, უფრო მეტადაც კი.

სწორედ ამ რწმენამ დაგვარსებინა ილიას კვლევის ცენტრი და ამავე რწმენით შევეუდეთი ძალზე რთულ და საპასუხისმგებლო სამუშაოს — ილიას პერსონალური ენციკლოპედიის მომზადებას, — ენციკლოპედიისა, რომელმაც უნდა შეაჯამოს მთელი ის მდიდარი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ქართულმა სამეცნიერო აზრმა ილიას კვლევის საუკუნუნებურის მანძილზე დააგროვა.



მაგრამ ილიას შესახებ არსებულ სამეცნიერო ნაშრომთა დიდი უმეტესობა საბჭოური რეჟიმის პირობებშია შექმნილი, ეს რეჟიმი კი არ იძლეოდა ილიასთან დაკავშირებულ

რიგი საკითხების ობიექტური განხილვისა და შეფასების შესაძლებლობას.

მე არ შევხედგები ასეთი საკითხების ჩამოთვლას, — საკამარისია ითქვას, რომ საბჭოური იდეოლოგიის პირობებში ობიექტურად ვერ განიხილებოდა ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოსაპოვებლად (და, მას, — ვერც ილიას პოლიტიკური შეხედულებები), — და ეს მაშინ, როცა სწორედ ამ ბრძოლამ — ისევე, როგორც, საერთოდ, ილიას ბრძოლამ ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ, — ილიას სიცოცხლე შეინარა.

სათანადოდ არ შეისწავლებოდა და არ ფასდებოდა ილიას ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, — და ეს მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების დარად, უდავლესი სატიკვარი იყო XIX საუკუნის საქართველოს.

არათუ არ შეისწავლებოდა, არამედ, როგორც ნების, არც კი მოიხსენიებოდა ილიას შეხედულებები რელიგიაზე, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ხოლო ილიას თხზულებათა კრებულებიდან ამოღებულიც კი იყო ამ საკითხებისდმი მიძღვნილი ილიას სპეციალური წერილები, — და ეს მაშინ, როცა ქრისტიანულ სარწმუნოებას ილია განმსაზღვრელ როლს ანიჭებდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, და არა მხოლოდ ამ სარწმუნოების თავისთავადი ღირსებების გამო, არამედ იმის გამოც, რომ სწორედ „ქრისტიანობა გაგვიძღვაო მამულისა და ერის შერჩენისა და ხსენისათვის“. ქრისტეს რჯული ქართველებსათვის „მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, — წერდა ილია, — იგი, ამასთან ერთად, პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალწინააღმდეგობის შემოსაქრებლად და გასაერთებლად“, — „ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდაო“ და ამიტომაც ქრისტეს ჯვარს ქართველმა ერმა თავის გულში მიუჩინაო სამუდამო ბინა:

„ქართველმა ერმა გადისხნა გული, — წერდა ილია, — შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმული ღმერთისა და თითონაც ჯვარს ეცვა და არავის-კი არ შერყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნეაო და მთელი ეს თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღწოდა, სისხლსა ღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინაო“...

კიდევ არაკმარისი ფრიად მნიშვნელოვანი

საკითხია ისეთი, რომლის ობიექტური შესწავლა-შეფასება საბჭოური რეჟიმის დროს შეუძლებელი იყო და რომელიც ახლებურ მოდგომას და გაშუქებას მოითხოვს: მაგრამ ამ თემაზე აღარ გავაგრძელებ საუბარს და არც იმ პრობლემებს შევხვები, რომელთა დაძლევაც მოგვიწევს „ილიას ენციკლოპედიის“ მომზადებისას. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა...

ბუნებრივია, ენციკლოპედიაში ილიას უაღრესად მრავალმხრივი გონებრივი თუ პრაქტიკული მოღვაწეობის უკლებლივ ყველა მხარე უნდა აისახოს და, ამრიგად, „ილიას პერსონალური ენციკლოპედია“, ფაქტობრივად, ილიას ეპოქის ენციკლოპედიაც უნდა იყოს — XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ენციკლოპედია...

აქვე აუცილებლად მიმაჩნია ისიც ვთქვა, რომ ილიას ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა, შესწავლა ილიას სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, ფილოსოფიური, ესთეტიკური, ეთიკური და ა. შ. შეხედულებებისა, შესწავლა იმ მრავალრიცხოვანი ფაქტებისა თუ მოვლენებისა, რომლებიც ილიასთან არის დაკავშირებული და რომლებმაც ენციკლოპედიაში სათანადო ასახვა უნდა პოვოს, ჩვენთვის თვითმიზანი არაა. მეტიც: თვით „ილიას პერსონალური ენციკლოპედიის“ შექმნაც კი არ წარმოადგენს ჩვენთვის თვითმიზანს: ყოველივე ეს ოდენ საშუალებაა ბევრად უფრო მაღალი (და ბევრად უფრო რთული) მიზნის განხორციელების ხელშესაწყობად: ეს მიზანი ილიას იდეებისა და იდეალების დამკვიდრება და განმტკიცებაა, პირველ ყოვლისა კი, მისი ეროვნული და ზნეობრივი მიძღვრების დამკვიდრება და განმტკიცება, — იმ ღირებულებათა დამკვიდრება და განმტკიცება, რომელთაც ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საკაცობრიო ღირებულებათა იერარქიაში.

სწორედ ილიას ამ იდეებსა და იდეალებზე დაყრდნობითა და ღვთის შეწევნით ჩვენ შევძლებთ (როცა ვამბობ — „ჩვენ“, მე მთელ ქართულ საზოგადოებას ვგულისხმობ) ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი „შვშათ მყობადი“, როგორც ილია ოცნებოდა, — შევძლებთ, თუკი მამა-პაპათათავან ნაანდექევი უწმიდესი მცნებები — „მამული, ენა, სარწმუნოება“ კვლავ უწმინდეს მცნებებად დარჩება ჩვენს ცნობიერებაში და თუკი „ჩვენი ვინაობის დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაქისაგან“ თითოეული ქართველის ცხოვრების წესად იქცევა და ყოველდღიურ საზრუნავად.





ჩვენ, რალა თქმა უნდა, კარგად გვესმის, როდენ რაულია ამ მაღალი მიზნის მიღწევა. მაგრამ ისიც გვწამს, რომ მიზნის სირთულემ არ უნდა აგვაღებინოს ხელი ამ მიზნისაკენ სწრაფვაზე:

ილია „ჩემს ლოცვაში“ ნმინდა წერილის სიტყვებით მოგვიწოდებდა — „ვით მამა ზეცის, იყავ შენ სრულიო“, თუმცა ილიამ, ცხადია, იცოდა, რომ მამაზეციერის სრულყოფილების მიღწევა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის — და, გინდ, არაჩვეულებრივი უნარებით დაჯილდოებული ადამიანისათვის — სრულიად შეუძლებელია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანმა არც ერთი წამით არ უნდა შეწყვიტოს სწრაფვა სრულყოფილებისაკენ.

პავლე მოციქული ამბობდა:

„არათუ ვითარმედ ანვე მომიღებებს, ანუ თუ ანვე სრულქმნილი ვარ, ხოლო ვსდევ ეგრე, რაითა ვენიო, რომლითამცა ნვენულ ვიქმენ ქრისტე იესოს მიერ“.

პავლე მოციქულიც მამაზეციერს გულისხმობდა, მამაზეციერის „დანევას“, მის მინდომას ლამობდა, თუმც მან, რასაკვირველია, იცოდა, რომ ეს მისთვისაც კი — ღვთის რჩეულისთვისაც კი მიუღწეველი იყო. მაგრამ იგი მაინც ისწრაფოდა, თითქოსდა მართლაც შეძლო მინდობა ღვთისა.

ჩვენც — ილიას კვლევის ცენტრის თანამშრომლებს — მკაფიოდ გვაქვს გაცნობიერებული, რომ „არათუ ანვე სრულქმნილი ვართ“, მაგრამ მაინც „ვსდევთ ეგრე, რაითა ვენიოთ“, — ვენიოთ დასახულ მიზანს.

და თუკი ჩვენ შევძლებთ თუნდაც უმცირესი წვლილი შევიტანოთ ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებაში, ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით ჩვენს თავს...

დასასრულ, მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო „ვი-თი-ბი“ ბანკს, მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზაზა სიორიძის სახით, — ბანკს, რომელიც მხარში ამოგვიდგა, რომელმაც ჩვენი გენერალური სპონსორობა იკისრა და „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის პროექტი“ დააფინანსა. თუ არა „ვი-თი-ბი“ ბანკი, არც ეს პროექტი იარსებებდა, და, მამ, არც დღევანდელი პრეზენტაცია შედგებოდა.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

გიორგი აბაშიძე



თქვენო უწმიდესობა, ქალბატონებო და ბატონებო!

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო“, — ამბობდა ილია და მთელი თავისი ცხოვრება სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოუძღვნა. მან ჩამოაყალიბა მწყობრი სისტემა და შექმნა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველის ეროვნული ცნობიერების, ეროვნული სულის გაღვივებას, ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან არ მომხდარა საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ილიას სახელთან არ იყოს დაკავშირებული. მისი მოღვაწეობის არეალი არის უსაზღვროდ დიდი და უმნიშვნელოვანესი ქართველი ერის შემდგომი განვითარებისათვის.

არმოდ ჯორჯაძე წერდა — „ილია ჭავჭავაძე სინთეზია ეპოქისა. ილიას ნაწერების შესწავლა შესწავლია დიდის ეპოქისა, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია იყო ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმადგენელი და ამიტომ ილიას ზრახვათა შეგნება შეგნებაა ზრახვათა მეორედ შობილ და ახლად აღორძინებულ ქართველის ერისა.“

ილია ჭავჭავაძის ღვანლზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი მოუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა

მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში არ მოგვეპოვება ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, ამ ენციკლოპედიის შექმნის აუცილებლობა საგანგებოდ დასაბუთებას ნამდვილად არ საჭიროებს.

ენციკლოპედია მიზნად ისახავს მკითხველ საზოგადოებას მაქსიმალურად სრული და დეტალური ინფორმაცია მიანოდოს ილიას ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყოველი სფეროს შესახებ. იგი შეაჯამებს იმ მდიდარ ცოდნას, რომელიც მეცნიერებამ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე დააგროვა. ენციკლოპედიაში ცალკე სტატია მიეძღვნება ილია ჭავჭავაძის ყოველ მხატვრულ თხზულებას — პოეტურს თუ პროზაულს, ორიგინალურსა თუ თარგმნილს.

ენციკლოპედიის მომზადებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის სიცოცხლეში დაიწყო, როდესაც ის ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემას. თუმცა, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ იდეის ხორცშესხმას.

კეთილშობილური სურვილი შეიძლება ბევრ ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ მეორეა შესაძლებლობა ამ სურვილის განხორციელებისა. საბედნიეროდ, საქართველოში გვყავს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთი მკვლევარი, როგორც არის ბატონი გიორგი აბაშიძე. მას ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის მდიდარი გამოცდილება აქვს და სრულიად კანონიზომიერი იყო, რომ მის ბოლო ნაშრომს — „ილია ჭავჭავაძე — ცხოვრება და ღვაწლი“ 2006 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ კრიტიკისა და ესეისტკის ნომინაციაში.

სწორედ ბატონი გიორგი აბაშიძის ინიციატივით შეიკრიბა მკვლევართა ჯგუფი, რომელშიც შედიან ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, რომელთაც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებზე არა ერთი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული. ესენი არიან: ლეილა სულხანიშვილი, ნათელა სალირაშვილი, მანანა ბარათაშვილი, ზინაბა ლომჯარია, თამარ ნიქიძე, ნანა ზღუდაძე, გურამ ჭოხონელიძე, მანანა ყიფიანი, მაია წერეთელი, მაკა კუჭუხიძე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა მოგვანიჭა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ საავტორო უფლება.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართული საზოგადოებრიობის გადანეგეტილებით, სათავადანაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსება და მეთაურობა ილია ჭავჭავაძის დაევალა, მან ამ დავალებას ბრწყინველედ გაართვა თავი, თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. იანვარ-თებერვალში თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა არსებობა დაიწყო. იგი იქცა ქართულ ეროვნულ ბანკად, რომელიც უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს ყველა ძირითად კულტურულ-საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო დაწესებულებას — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“, ქართულ თეატრს თუ ქართულ გიმნაზიას და სხვ.

ნიშნადობრივია, რომ სწორედ XXI საუკუნის ბანკირებმა გამოიჩინეს დიდი გულისხმიერება მეცნიერთა ამ ჯგუფის სამოწყობის განსახორციელებლად. „ეთიბი ბანკ ჯორჯიას“ დამფუძნებლებმა კარგად დაინახეს „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ შექმნის აუცილებლობა და სიამოვნებით იტივრთეს პროექტის გენერალური სპონსორობა. მხოლოდ მათი თანდადგომით გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოში პირველად გამოიცეს გამოჩენილი მწერლის პერსონალური ენციკლოპედია და ამით ჩვენც ჩადგეთ რიგში იმ მოწინავე ქვეყნებისა, რომლებსაც გამოჩენილ მწერალთა პერსონალური ენციკლოპედიების გამოცემის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია მოეპოვებათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში უკვე გვაქვს „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც გამოიცა აკად. როინ მეტრეველის რედაქციით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ესაა პირველი პრეცედენტი, როდესაც ბიზნესმენები აფინანსებენ პროექტს, რომლის შედეგაც წლების შემდეგ იქნება წარმოადგენილი და ამ ნდობისთვის მათ დიდ მადლობას ეუხდით.

ჩვეულებრივად შეგვაბა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ პროექტის დაფინანსებისას გამოვლენილმა გულისხმიერებამ, საკითხის მნიშვნელობის სწორად ნდომამ ბიზნესმენების მხრიდან და დაეარსეთ „ილია ჭავჭავაძის სამეცნიერო კვლევის ცენტრი“.

ცენტრის ძირითადი მიზანია აწარმოოს მეცნიერული მუშაობა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესასწავლად, შექმნას ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, ხელი შეუწყოს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამსახველი მასალების პოპულარიზაციას, გამოსაცემად მოამზადოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან დაკავშირე-

ბული სამეცნიერო ნაშრომები და იკვლიოს ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები.

სიმბოლურად გვესახება, რომ ილია ჭავჭავაძის სამეცნიერო კვლევის ცენტრმა ბინა დაიღო წმიდა ექვთიმე ლეთისკაცი თაყაიშვილის მეგობრულ ოთახ-სამლოცველოში. ისიც სათქმელია, რომ ცენტრს დახმარებას უწევს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი.

ჩვენ შევეცდებით ვემსახუროთ იმ საქმეს, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართული ეროვნული კულტურისა და სულიერების განმტკიცებაში.


ჩვენ ქართული საზოგადოებრიობის მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა კი გვწამს, რომ ამ კეთილი მიზნების განხორციელებაში თვით წმიდა ილია მართალი დაგვეხმარება. დღეს მე ვუსმენდი უწმიდესს, რომელმაც ბრძანა, რომ სახელი დიდ ძალას ფლობს, ილია კი ნიშნავს ძალას უფლისას და — წმიდაო ილია მართალო, ვევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენათვის შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!

ნინო მამარდაშვილი

თქვენო უწმიდესობა,  
ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით და გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღესასწაულს. უკვე საუკუნეზახევარია, რაც ქართველი ერი მიეჩნია იმ აზრს, რომ მის სულიერ მამას და მოძღვარს ილია უწიდა ერქვას და მიეჩნია ამ აზრსაც, რომ თუკი რამ საფრთხე ემუქრება მის სულიერ სიჯანსაღესა და სიმრთელეს, სწორედ მისი წინამძღოლი აღუდგება წინ ამ მტრულ ძალას, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. ასე იყო ასი წლის წინათ და არის დღესაც... და პირიქით — თუკი რამ არის სასიკეთო და სასარგებლო ერის სულიერი ცხოვრებისათვის, ისევ მისი მოძღვრის ლოცვითა და კურთხევით განხორციელდება ეს სიკეთე: ამიტომ იყო, რომ სწორედ უწმიდესმა და უნეტარესმა დალოცა პროექტი, რომელიც გულისხმობს ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემას და მისივე ხელდასმით ამ ერთი წლის წინათ შეიქმნა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი — დღევანდელ საქართველოში ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელშიც მეცნიერთა ჯგუფი, ილიას შემოქმედების შესანიშნავი მცოდნესა და მკვლევარის გიორგი (აგი) აბაშიძის ხელმძღვანელობით მუშაობს ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და ბიოგრაფიის პრობლემებზე.

განსაკუთრებით მინდა აღინიშნოს სამეცნიერო ცენტრის დირექტორის — ნინო მამარდაშვი-



ლის ენერჯია და შემართება, რომლის გარეშეც ვერ ამოქმედდებოდა ვერც თავად ეს ცენტრი და ვერ მომზადდება ილიას პერსონალური ენციკლოპედია. აქვე უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში ეს იქნება ფაქტიურად მთელი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის, მთელი იმდროინდელი სულიერი ცხოვრების ენციკლოპედია, ჩვენ ხელთ გვექნება ნიგინი, რომლისდაგვარიც არ არსებობს საქართველოში.

ისიც ცხადია, ამგვარი მასშტაბური პროექტები ვერ განხორციელდება მატერიალური ბაზის გარეშე და ბ-ნი ზაზა სიორიძის აქ ყოფნა სიმბოლურად განასახიერებს იმ თანადგომას, რომელსაც ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრს უწევს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" და პირადად ბატონი ზაზა.

მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ, რომ შევესწარი იმ დღეს, როდესაც უწმიდესმა და უნეტარესმა დალოცა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია. ამრიგად, ილიაობა — დღეს ილიას პერსონალური ენციკლოპედიის დღეა! იცქა! დარწმუნებული ვარ (და ამას ვამბობ არა მხოლოდ ჩემი, არამედ მრავალი ჩემი კოლეგისა და თანამოაზრის სახელით), რომ დღევანდელი დღე შევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საზოგადოდ, ჩვენი სულიერი ცხოვრების ისტორიაში, როგორც კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნამოწიყების ნათლობის დღე.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ წლებიდან დღეობას თითოეულ თქვენგანთან ერთად ვხვდები და შესაძლებლობა მაქვს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს მართლაც საზეიმო დღე.

ზაზა აბუზიანიძე



# ნათელა სეთორაშვილი

ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი

## ილია და იაკობი

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი როგორც პირადი ურთიერთობით, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობითაც, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ილია — დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა იაკობს, როგორც ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელსა და საბავშვო ლიტერატურის დიდ მოამაგეს.

თუმცა ილია პროფესიონალი საბავშვო მწერალი არასოდეს ყოფილა, მაგრამ იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა მისი ღვაწლი საყმან-ვილო მწერლობის დარგში, თავის „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ ათავსებდა მის ლექსებს, მოთხრობებსა და პოემების ნაწყვეტებს. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის ბოლო გამოცემაში (1912 წ.), „ბუნების კარში“, შეტანილია ილიას ლექსები: „ჩიტი“ (1 ვარიანტი), „მძინარე ყმან-ვილს“, „გუთნის დედა“, „მუშა“, „ქართველის დედას“, „ბაზალეთის ტბა“, „პოეტი“ და სხვ. ასევე ნაწყვეტები ნაწარმოებებიდან: „კაკო ყაჩაღი“, „ოთარანთ ქერივი“, „გლახის ნაამბობი“.

იაკობი ხშირად იმონებდა ილიას ციტატებსაც თავისი აზრის დასასაბუთებლად. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში აქებს რა უკრანიაში მოღვაწე ვ. მ. პეტრიაშვილს ქართველი სტუდენტებისათვის გარკვეული თანხის გამოყოფის გამო, (იაკობი თავის მხრივ 25 მანეთს ამატებს), მოჰყავს ილიას სტროფი:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია.  
საქმი ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ილიას „ივერიაში“ 1881 წელს სახალხო მითლოცა იაკობს მისი „დედა ენის“ სკოლაში სახელმძღვანელოდ შეტანა.

თავის მხრივ, ილია დიდად აფასებდა იაკობის პიროვნებასა და საქმიანობას. ილია ზურაბიშვილი იგონებს ალ. ყიფშიძის (ფრონელის) ნათქვამს: ერთხელ რედაქციაში ილიასთვის შემოუტანიათ გოგებაშვილის მკაცრი და უკმეხი წერილი (გოგებაშვილი ფიცხი კაცი იყო), რომელზედაც სასწრაფო პასუხს მოითხოვდა. ილია გასულა მეორე ოთახში ერთი-ორი საათით და სულ ოთხ-ხუთ სტრიქონიანი პასუხი გამოუტანია. გაკვირებული თანამშრომლებისათვის კი უთქვამს: „იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც ის მოინერგება, ან რასაც იმას მისწერენ, — შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო“.<sup>1</sup> შემდეგ კაბინეტში რომ შეუხედავთ, გადახეული ფოსტის ქაღალდებით ყოფილა სავსე.

არ არსებობდა საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც ილია და იაკობი ერთად არ ყოფილიყვნენ. „წერა-კითხვის გამავრცელებელი ორგანიზაციის“ დაარსების იდეა რომ განდგა, იაკობ გოგებაშვილმა დიმიტრი ყიფიანსა და ნიკო ცხევედაძესთან ერთად შეადგინა წესდება, რომლის მთავარმართებლის კანცელარიაში წარდგენა დაავალეს ილია ჭავჭავაძეს, დიმი. ყიფიანსა და ბ. ლოლობერიძეს. 1879 წლის 15 მაისს საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმი. ყიფიანი, მოადგილედ — ილია ჭავჭავაძე. ორგანიზაციის დაარსების დღიდან არ ჩატარებულა არც ერთი ღონისძიება გოგებაშვილისა და ილიას უშუალო მონაწილეობის გარეშე. ისინი ეწეოდნენ დიდ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას: ხსნიდნენ სკოლებს, სამკითხველოებს, აწყობდნენ სხვადასხვა ხასიათის საღამოებს, წარმოდგენებს და ა. შ. ილია იყო ამ საზოგადოების წევრი, ხოლო 1885 წლიდან — მისი თავმჯდომარე, რომელმაც ბანკიდან „საზოგადოების“ სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი გადმორიცხა. ამავე დროს, იაკობი 1901 წლამდე საზოგადოების გამგეობის, ხოლო 1890 წლიდან სიკვდილამდე — საპატიო წევრად ითვლებოდა.

1. წიგნიდან ილია, მოგონებები გარდასულ დღეთა, გვ. 262



როდესაც ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს გაზეთი „ივერია“ დააარსა, სხვებთან ერთად თანამშრომლად გოგებაშვილიც მიიწვია. ამ დღიდან იგი იყო ილიას იდეების გამზიარებელი. იაკობი თანამშრომლობდა იმდროინდელ სხვა ორგანოებშიც, მაგრამ მისი პუბლიცისტიკის დიდი ნაწილი „ივერიაში“ იბეჭდებოდა. ცენზურა უმოწყალოდ დევნიდა როგორც ილიას, ისევე იაკობის პუბლიცისტურ ნერილებს. გოგებაშვილი მაინც ახერხებდა ისეთი საკითხების წინ წამსწევას, როგორცაა: ეროვნულ-პატრიოტული თემა, განსაკუთრებით სწავლა-განათლებისა და საყმანელო ლიტერატურის საკითხები.

როდესაც განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრახა ქართული ენის სწავლების ამოღება სკოლებიდან, იაკობ გოგებაშვილმა, რომელსაც ჭკუაც და კალამიც უჭრიდა, ილიას მიამართა: „გავგიძეხ, ბერო მინდია, კარს საფრთხე მოგვდგომია“. ცნობილია, რომ ილიამ მეტად მკაცრი და დაუღებელი კრიტიკული წერილი დაწერა იანოვსკის წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ იხსნა ქართული სკოლა გადაგვარების საფრთხისგან. ასეთი რუსიფიკატორული იდეები ზოგჯერ თვით ქართველებისგანაც მოდიოდა. 1876 წელს გორის საოსტაო სემინარიაში დასაბუთებლად მოვიდათ „ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელშიც მოითხოვდნენ ქართული სიტყვების რუსული ანბანით შეტანას. გოგებაშვილი წერს: „ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასწარად აგვეგადო — იმას „ივერიაში“ და მე — „დროებაში“ და კიდევ შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში განვალდა.“<sup>2</sup> სახელმძღვანელო შეადგინა იმავე სასწავლებლის პედაგოგმა ნათიშვილმა. ილიამ და იაკობმა ამ წიგნს „ნათიური“ შეარქვეს. ილია წერდა: „ამ ანბანით, რაც კაცობრიობა არსებობს, არც დაბეჭდილა და არც დანერგა. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწყობსა და ყოვლად შეუძლებელია მომავალში. იგი მოზმანებია უფ. ნათივეს მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის. რა ანბანია ასეთი ახირებული ანბანი? — იკითხავს მკითხველი. აი, რა ანბანია: ნათივეს სიზმარში უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსული ასოებით უნდა დაიწეროსო. აუღია და მოე ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებით. როცა 15-მდე ნიშანი დაპოვნისა ჩვენის ხმების გამოსახატავად, უფ. ნათივეს თვისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა, და ამ ახალი ასოებით შეუესია. აქ უფ. ნათივეს ორი კურდღელი ერთად დაუჭერია“.

ასეთივე მკაცრი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ წიგნს იაკობ გოგებაშვილმა გაზეთ „დროებაში“ (1876; 74, 75, 77) „კალმახელიძის“ ფსევდონიმით (დედის გვარია).

ვინც იცის, ილია როგორი რუდუნებითა და

გულიყურით არჩევდა „ივერიაში“ დასაბუთებლ მასალას, შეუძლია, წარმოიდგინოს, რამდენად აფასებდა იაკობ გოგებაშვილს, როცა თავისი ორი „მინაური მიმოხილვის“ დასრულება მას მიანდო. ეს ეხება „ივერიის“ 1879, №1-სა და 1882, №1, 10-ს. ბოლო წერილს იაკობმა შემდეგი შენიშვნა დაურთო: „ყოველთვის მასპინძლობას ჟურნალში მკითხველებს უწევდა პირად და თვითონ რედაქტორი. ხოლო ამ მიმოხილვისთვის თვითონ ვერ მოიცავდა, რადგან ბანის საქმეებისთვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამენწრა მიმოხილვა ჟურნალისთვის, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე“.<sup>3</sup>

იაკობ ილიასეულ სტილში წამოუსწევია ცხოვრების აქტუალური პრობლემები, სოციალური, ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები და დედაენაზე ბავშვების სწავლების მტკივნეული ამოცანები. (პ. ინგოროყვას, ვლ. გაგუას და სხვათა მიერ ეს წერილები ორივე ავტორის ერთობლივ ნაშრომად იქნა აღიარებული).

იაკობ გოგებაშვილი მთლიანად იზიარებდა ილიას შეხედულებას საქართველოს ავტონომიურად ჩამოყალიბების საკითხში. წერილში „დიდი ვარამის შესახებ“ („ივერია“, 1905, 64) გოგებაშვილი მიმოიხილავს პატარა ერების ბედს დიდ ბრიტანეთში, ამერიკასა და ავსტრიაში და შესაძლებლად მიანჩნა ქართველების ბედის გადაწყვეტაც იმავე პოლიტიკითა და მეთოდებით. მით უმეტეს, რომ ქართველი ერი ყოველთვის ტოლურანტული იყო და ასეც გაგრძელდება. ხოლო ავტონომიად ჩამოყალიბება „ბევრად დააჩქარებს სოციალურ ცვლილებას ქართველთა შორის და დაეხმარება მის დროინად განხორციელებას თვით რუსეთში“.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი არსებითი შესწავლა იაკობ გოგებაშვილი. გაზეთ „ისარში“ (1907, №197) დაიბეჭდა გოგებაშვილის წერილი „შურის ძიება ისტორიისა“, სადაც იგი ილიას მკვლელებს უწოდებდა „ბნელეთის ნაძირალებს, უსულგულო, უტვინო, ორფეხა მხეცებს“, რომლებიც დაუნდობლად ჰკლავენ საქართველოს საუკეთესო შვილს. „როგორც იესო ქრისტე ამაღლდა ჯვარცმის შემდეგ, ისე ილიას სახელი უფრო ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსება“.

იაკობი მოითხოვს ილიას თხზულებათა გამოცემას დიდი ტირაჟით, დასურათებას, მცირე ფასის დადებას, რათა მთელ საქართველოს მოპოვინონ მისი წიგნები, რადგან, მისი აზრით, „ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელექტი, შემკული ოვიათის მხატვრობითი ნიჭით და ამასთან, ნამდვილი ბრძენი. ამიტომ მისი ნაწარმოებების გამოცემა შექმნის ახალს, დიდებულ ხანას ქართულს აზროვნებასა და სიტყვიერებაში“.

2. იაკობ გოგებაშვილი, ტ. I, 1952, გვ. 523

3. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ. გ. 231.

იმავე წლის „ისრის“ №202-ში გოგებაშვილი ბეჭდავს კიდევ ახალ წერილს „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“. გამოთქვამს ილიას დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებულ მწუხარებას და მოითხოვს ილიას ფონდის შექმნას. ადგენს გეგმას, როგორ უნდა დაიხარჯოს ეს ფული: ილიას ნაწიერების გამოცემა, საქართველოს თითქმის ყველა მხარეში ილიას სახელოების სკოლების გახსნა, უფასო სამკითხველო დარბაზის შექმნა, ილიას ძეგლის დადგმა შუადღულ თბილისში, მისი სახელობის სტიპენდიის დაწესება ხელმოკლე სტუდენტებისათვის და ა. შ. ამას მოსდევს „ნიმადურში“ (1908, №20) გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ასევე მათაგონებული ილიასადმი დიდი პატივისცემითა და უსახურლო სიყვარულით, მაგრამ გამოთქმულია საყვედური იმ უმადურობის გამო, რომელიც საქართველებმა უმადოვნის ილიას ფონდის მიმართ.

განსაკუთრებით ემდურის სათავადაზნაურო ბანკსა და მის თავმჯდომარეს — ფურცელაძეს გულგრილობისა და უყურადღებობისათვის. ახტონ ფურცელაძეს იმ პოლკოვნიკს ადარებს, „რომელსაც გენერლობის მიღების შემდეგ ნითელი თავი უშავდება და შავი ფეხები უნითალებდა“.

გაზეთ „ზაკაკაზიეში“ (1907, №184) გოგებაშვილი აქვეყნებს საინტერესო წერილს „ილია ჭავჭავაძის ძეგდულება ნოდებათა დამოკიდებულებაზე“. იაკობის მტკიცებით, ილია ყოველთვის ნინაღმდევგი იყო ეგვიპტურ სოფებრობებისა. იგი ყველაზეაირად ხელს უწყობდა თავადაზნაურობისა და გლეხთა დახატვას, მათ საერთო ინტერესებს და სოლიდარობას. იგი ბანკის კარს უხსნიდა ყველა კლასის წარმომადგენელს, სტიპენდიას უზიზნავდა როგორც მინათმობელთა, ისე მინათმომცემთა შვილებს. და ბოლოს დასძენს, „თუცა ილია მუდამ კრიჭამი ედგა ქართველ თავადაზნაურობის უმრავლესობას, მაგრამ მისი მალაღნიჭიერი მიზნადგელობის წყალობით მას თავადაზნაურობა ყოველთვის ერთხმად ირჩევდა სხვადასხვა საზოგადოებრივ თანამდებობაზე“.

იაკობი სიხარულით აღნიშნავს, რომ „ზაკაკაზიეში“ გამოქვეყნებული წერილისათვის ქრისტეფორე იოსების ძე შამაცაძევილს დაუმატებია ერთი ფრიად დასამახსოვრებელი შემთხვევა: ბატონყმობის გაუქმების წინ გამართულ კრებაზე ილიას მოუთხოვია გლეხობის მიწინააღმდეგობის უფლება, რამაც ისე გააბრაზა თავადაზნაურობა, რომ ილია კინაღმ დარბაზში ხანჯლით დაჩეხეს და შემდეგშიც თურმე მოსაკლავად დასდევდნენ („ჩვენი გზა“, 1907, 15).

„სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“ — ასე ასათაურებს წერილს გოგებაშვილი სოციალურ-ფედერალისტთა მიმართულების ყოველდღიურ გაზეთ „დროებაში“ (1908, №20). ეს წერილი ეხება მეტად გახმაურებულ ფაქტს: როცა ილია ჭავჭავაძის სამეკლესი სამხედრო სასამართლო სიკვდილით დასჯა გადაუწყვტია, ავადმყოფმა ოლამა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, გიორგი ყაზბეგის ხელით თხოვნა გაუწვავა გენერალ-გუბერნატორს, შეესაყალიბინათ მეკლესიები, რადგან მათი ჩამოხრება ილიას სულს დაამძიმებდა (ინონაკა-შიძის „მოგონების“ მიხედვით ეს იდეა თავიდან თვითონ იაკობ გოგებაშვილს დაჰბადებია).

ამ მიმართავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა „Русско ведомости“-ში გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამია, რომ ამ ზნეობრივი სიბნელების ხანაში (იგულისხმება 1905-1907 წლების რევოლუცია. ნ. ს.), როდესაც ყველგან გაისმის: „მოკვალ. ჩამოახრჩე, დახვრიტე“, — ამ დროს უსაყვარლესი მეუღლის დამარცხავი, მხეცურად ნაცემი ქალი მოითხოვს დამნაშავეთა შეწყალებას და ასკვნის: „ვიცოდი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდოდა, ახლა ისიც აღმავდა ვეთვალა, რომ ზნეობრივმა მზემაც აღმოსავლეთიდან — საქართველოდან ამოიანათა“.

ილიას მკვლელობის შემდეგ იაკობი იყო ერთი იმათგანი, ვინც ვერავის პატიობდა დიდი მწერლის ოდნავ უარყოფითად ხსენებასაც კი. იგი მთელი სისასტიკით დაესხა თავს იონა მეუნარეას, რომელმაც ქუთაისში ნაკითხულ ლექციამი აუუგად მოიხსენია ილია, როგორც ბანკის მოთამაშე, ტუნნი და გულწაბრობილი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ იონა მეგობრობდა ილიასთან, იყო გარდაცვლილ პოეტზე შექმნილი შესანიშნავი „მოგონებების“ ავტორი, იაკობმა არ დაინდო მისც და ილიას მეორედ მოკვლის ბრალდება წაუყენა. „ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი მეუნარეს სულიერ უკვდავებას, — წერდა გოგებაშვილი, — სულიერი მკვლელობა კი მეტ-საკლებობით აშართლებს ფიზიკურ მკვლელობას“. მეორე ადგილას გარკვევით წერს: „ქენება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰკონადეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს — საქართველოსთვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულ ნიჭზე, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის დაცემაზე“.

საზოგადო მოღვაწის ამაზე მაღალი მფხვანა მუშაობდა. აუღელვებლად არ შეიძლება ნაკითხვა იაკობ გოგებაშვილის წერილისა — „საარაკო სინამდვილე და საიდუმლო ოცნება“. 1908 წელს აკაკის დიდებულ იუბილეზე ილიას ხსენება არ ყოფილა. ერთგვარად დასედიანებული, სახლში დაბრუნებული იაკობი ოცნებაში წარმოიდგენს, ვითომ აკაკი თავის ბოლო სიტყვაში ამბობს: „მომიკლეს, ჯვარს მიცემს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად, დიდებულ და თავყენისცემა მონაღი ილიას უკუნიით უკუნიასმდე“.

გაათავა აკაკიმ და მწუხარე თავლებიდან მდღორე ცრემლის ნაკადი წასკდა. უცხად აკაკის თავზე დაადგა ვევერტოლა აპრიალეული კელაპატარი, ყველა მსმენელის თავზე აინთო სანთლები, გაარღვია ჭერი და აიჭრა ზევით, ილიასკენ...

ზნაწებიდან გამოსული იაკობი თავს იდნაშაულებს: „აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა მთელი საცობრობისათვის. მაგრამ თვალი დაუდგეს 69-ე წელს, იმ ქნის, რომელსაც რუსთაველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახის“.

ასეთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა შერჩა იაკობ გოგებაშვილის ილიას მიმართ თავისი სიცოცხლის ბოლომდე.

4. „საქართველო“ 1908, №9, 11.



გიორგი

ლომჯანიძე

ილია ჭავჭავაძის  
ფოტოსახითის მფლობელისა  
და ბელჯანიშვილის  
ხანსახან-საზოგადოებრივი  
ბაქაშოს შესახებ

წერილი ექვთიმე  
გურამ შარაძის ხსოვნას

ილია ჭავჭავაძის ფოტოსახითი, რომელსაც ვაქვეყნებთ, საზოგადოებისათვის ცნობილია. მის შესახებ ერთი რესპონდენტი ამბობდა: იგი გადაღებულია დაახლოებით 1901 წელს, რადგან ამავე წელს ილიას იგი შალვა გედევანიშვილისათვის მიუძღვნია წარწერით „შალვას ილიასაგან. 1901 წელი“. ფოტოს ორიგინალი ინახება ელენე გედევანიშვილის ოჯახში, რომელიც ცნობილი ექიმის მიხეილ გედევანიშვილის შთამომავალია<sup>(1)</sup>

ილიას ერთი კერძო წერილიდან ოღონდ გურამიშვილისადმი ჩანს, რომ იგი თავის ახლობლებს საკუთარ ფოტოს უსახსოვრებს<sup>(2)</sup>, მაგრამ რესპონდენტის მიერ დასახელებული შალვა გედევანიშვილი 1901 წელს ოთხი წლისაა<sup>(3)</sup>. ბუნებრივია, გავიჩნდა ეჭვი: არ უქუებდა კი ილია საკუთარ ფოტოს ბავშვს ასეთი, მისთვის არაფრისმთქმელი წარწერით?

ქალბატონ ელენე გედევანიშვილს საგანგებოდ ეთხოვეთ ფოტო, დაკვირვებით შევისწავლეთ და მისი ასლიც (ორივე მხარე) გადავიღეთ. სურათს მეორე მხარეს აქვს ფოტოგრაფის სახელისნოს შტემპელი: **А. Оцупъ. С. Петербургъ. Бассейная. Уг. Литейнаго №2-36. Лѣтомъ. Красн. село. ამავე გვერდის მარცხენა კუთხეში ფანქრით, გარკვევით აწერია: „Константину от Ильи 1901г.“**

მაშასადამე, ილიას ფოტო გადაუღია პეტერბურგში, ე. წ. ლიტეინის ქუჩის კუთხეში, ა. ოცუპის ფოტოგრაფიაში. აქვეა მითითებული, რომ ფოტოგრაფი ზაფხულში „კრასნოე სელოში“ საქმიანობს. 1901 წელს იყო თუ არა ილია პეტერბურგში, ცნობილი არ არის, მაგრამ შესაძლოა ფოტო ადრეც იყოს გადაღებული. ერთი კი ცხადია: 1901 წელს ილიას თავისი ფოტო უჩუქნია კონსტანტინესათვის. ახლა ვასარკვევია ვინ არის კონსტანტინე — წარწერის ადრეცატი!

იმის გამო, რომ ფოტო გედევანიშვილების საკუთრებაა, ძიება ამ ოჯახის წარმომადგენელთა შორის დაეწყო.

ქალბატონ ელენეს დიდი პაპა — მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი (1862-1922) გახლდათ ექიმი და საზოგადო მოღვაწე. 1905 წლის 1 აპრილს შედგა თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც საქართველოს ავტონომიას დაუჭირა მხარი. კრების მოწვევისა და ავტონომიის მოთხოვნის ინიციატორს — ილია ჭავჭავაძეს — მხარში ედგნენ: გენერალ-მაიორი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ალექსანდრე (სამიკო) ივანეს ძე ორბელიანი (1847-1919) და ექიმი მიხეილ გედევანიშვილი. ამ უკანასკნელმა „გრძნობიერ სიტყვაში ნათლად აუხსნა საზოგადოებას მნიშვნელობა ავტონომიისა... როდესაც ჩვენ გვექნება ბეჭდვითი სიტყვის, ყრილობისა, სიტყვის თავისუფლება...“<sup>(4)</sup>.

მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით, 1912 წლიდან მომზადდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი<sup>(5)</sup> და მაღალპოლიტიკურ დონეზე შესრულებული, 1914 წელს გამოიცა მიხეილ გედევანიშვილისავე ხარჯით. მეორე ტომის დროულად მომზადებას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა და ომის შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა

1. ილია ჭავჭავაძის თხზულება, ტ. 10, 1961, გვ. 246  
 2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978, გვ. 34  
 3. „აფილა“, 1905, №43, 2 აპრილი  
 4. ლიტერატურის მატყაძე, 1992 იმნაქ ც. „როგორ იწერებოდა ილიას ზოგადი“ გვ. 39-44

1. „დილის გაზეთი“, 2000, 5 ივნისი, გვ. 16

როგორც იმპერიაში, ისე საქართველოში. 1922 წლისათვის წიგნი მზად იყო, მაგრამ არ გამოცემულა. ფილიმე მახარაძემ მიხეილ გედევანიშვილის საბანკო ანგარიშს კავკასიის ბანკში ყადაღა დაადო<sup>6</sup>. მთავრობაში ვიზიტები და მცდელობები, ილიას თხზულებათა მეორე ტომის დასაბუთებად საკუთარი თანხის გადარიცხვის გამო, უშედეგოდ, ხოლო მიხეილ გედევანიშვილისათვის ტრაგიკულად დამთავრდა: იგი 1922 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალეს 3 დეკემბერს ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზე<sup>7</sup>.

გავეცნოთ ამ მოღვაწის ოჯახს: მიხეილ გედევანიშვილმა 1895 წელს ცოლად შეირთო ანასტასია კონსტანტინეს ასული გედევანიშვილი (1864-1955). მათი შვილებია: ა) შალვა (1897-1989) — მსახიობი და კინორეჟისორი. ცოლად ჰყავდა ელენე მიხეილის ასული ტერიშვილი. შეეძინათ ორი ვაჟი: როსტევაი (გარდ. 2002 წ.) და შერშიაიონი (ესეოლოგი). ამ უკანასკნელს ელისო გიორგის ასული მთევსკაიასაგან ჰყავს ორი შვილი: ელენე — ილია ჭავჭავაძის აქ ნარმოდევილი ფოტოსურათის ახლანდელი მფლობელი და შალვა (აშუამად მოღვაწეობენ აშშ-ში); ბ) ქეთევანი (1900-1930); გ) კონსტანტინე (1901-1921), რომელიც ილიას ფოტოსურათის ნარჩენის ადრესატი იმ მიზეზით ვერ იქნება, რა მიზეზითაც — შალვა გედევანიშვილი; დ) დიმიტრი (1902-1990) — ფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, რომელმაც 1931 წელს მწერალთა პრემიას გადასცა მამის არქივი<sup>8</sup>. მისი მუდღე იყო მსახიობი თამარ იოსების ასული ციციშვილი (1907-1988), მამაცაშვილების დიდი ოჯახის შამომავალი<sup>9</sup>. მათი შვილებია მიხეილ და მანანა გედევანიშვილები.

ამ ოჯახიდან ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა მიხეილ გედევანიშვილის სიმამრი — კონსტანტინე გედევანიშვილი<sup>10</sup>, რომელიც იყო სამხედრო, ჰქონდა პოლიოფიციის წოდება, ილიას იცნობდა ახალგაზრდობიდან: ყვარულში იდგა პოლკი, სადაც იგი მსახურობდა. კონსტანტინე გედევანიშვილმა 1862 წელს ცოლად შეირთო მარიამ (მამო) ალექსანდრეს ასული გიჟიმყრელი (გურჯაანი. სოფ. ახაშენი). მარიამის ძმის, მიხეილის შვილიშვილია მიხეილ (მიკა) ნიკოლოზის ძე გიჟიმყრელი — თეატრის რეჟისორი, ჰყავს ვაჟი, გიორგი — ინგლისური ენის სპეციალისტი, მთარგმნელი. კონსტანტინე გედევანიშვილისა და მარიამ გიჟიმყრელის შვილებიდან ჩვენთვის ცნობილი

არიან: ა) ანასტასია (1864-1955) — მიხეილ გედევანიშვილის მეთლე (იხ. ზემოთ მათი ოჯახი), ნინო ანის სახელობის გიმნაზიის პედაგოგი და ავტორი ნერილისა „მოგონება ილიაზედ“<sup>11</sup>; ბ) იოსები/ სოსო (2. 02. 1872 — 21. 12. 1939 დაკრძალულია სვეტიცხოვლის ეკლესიის გალავანში) — სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, დრამატურგი, უმბლიცისტი, ფედერალისტთა პარტიის წევრი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემის სარედაქციო კომისიის მდივანი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, კაპიტანი, შემდეგ-გენერალი<sup>12</sup>. მისი ქალიშვილი, ლილი ცხოვრობდა ინგლისში; გ) ალექსანდრე (გარდ. 1936 წ. დაკრძალულია სოლოლაკში. საფლავი დაკარგულია) — საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე, მთავარსარდალი, შემდეგ — სამხედრო მინისტრის თანაშემწე<sup>13</sup>. ცოლად ჰყავდა თამარ (ფატი) დავითის ასული მიქელაძე<sup>14</sup>. შვილიშვილი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი ცხოვრობდა თბილისში; დ) ნიკოლოზი — საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის ოფიცერი, ვიცეპოლკოვნიკი<sup>15</sup>. მისი ქალიშვილის, ქალბატონი თინათინის (დაიბადა 1922 წ.) განცხადებით, მამა დაუხვრიტეს 1937 წელს, დედა — ნინო ალექსანდრეს ასული ნერეთელი დაიღუპა გადასახლებაში. მათი ოჯახის უნიკალური ბიბლიოთეკაში დაცული იყო ქართველი მწერლების წიგნები ავტოგრაფით, მათ შორის — ილია ჭავჭავაძისა. რეპრესირებულთა სახლი და ქონება, მაშინდელი კანონის მიხედვით, კონფისკაციას დაექვემდებარა. თხოუთმეტი წლის თინათინი ბიძამ, გიორგიმ შეიფარა; ე) გიორგი (1883-1957 დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე) — მეტალურგი, მეცნიერი ლითონთა ტექნოლოგიის დარგში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, მეცნიერთა ჯგუფთან (რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, ვასილ კაკაბაძე, ივანე დეფუკი ბერიძეები და სხვ.) ერთად, 1918 წლიდან მონაწილეობა მიიღო ქართული ტექნიკური ტრენინგოლოგიის შედგენაში<sup>16</sup>. ერთადერთი ქალიშვილი 1922 წელს გარდაიცვალა. მზრუნველობა გაუწია რეპრესირებული ძმის, ნიკოლოზის ქალიშვილს — თინათინს, რომელსაც ჰყავს შვილიშვილები: გიორგი და ნინო. ე) ნინო, შინაურებაში: ნუცა (14.08.1885 მცხეთა — 16.07.1958წ. დაკრძალულია ვაკის სასაფლაო

6. ენათმეცნიერების საკითხები, 2000, №2. შანიძე მ. „აკაკი შანიძე ვაჟა-ფშაველას შესახებ“

7. გაზეთი „კომუნისტ“, 1992, №276, 1 დეკემბერი (ნეკროლოგი)

8. ლუბაშვილი ი. „ოცი წელი გიორგი ლეონიძისთან“, 1980, გვ. 38, 206, 223

9. ბერძენიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ საზოგადოებრივობის ისტორიისათვის, ნ. 1, 1980, გვ. 115-117, 217-220; ნ. 2, 1983, გვ. 82-85, 176-177, 243, 254-259

10. ზველეძე გ. მიხეილ გედევანიშვილი, 1960

11. ჟურნალი „ცისკარი“, 1981, №7 გურამ შარაძის უბუღიკაცია

12. ლისიშვილი გ. მეშორები, 1992, გვ. 97, 119-244; კირიტიძე გ. მოგონებები (1917-1921), ნ. 1, 1998, გვ. 26-223; ნ. 2, 1999, გვ. 26-135;

ბაზინაშვილი გ. მოგონებები (1917-1925), 1990, გვ. 137-138, 144; ნინოტაძე დ. ნერიძე, 1981; კართვლები გერმანულ დროის ქვეშ შეიკრე მსოფლიო ომში (მალაქა მალაქლიძის მოგონებები).

მისად გამოსაცემად მოამზადა ნინოტაძე ვაჟა და შენიშვილი დავითი ვიქტორ რბილაძემ, 1994, გვ. 54

13. გაზეთი „კომუნისტ“, 1922 №72, 31 მარტი (ნეკროლოგი)

14. ბერიძე ვ. მოგონებები, 1987, გვ. 15, 301, 460



ზე) — პედაგოგი, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში, შემდგომ — თბილისის 39-ე საშუალო სკოლაში. მისი მეუღლე, ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე (გარდ. 1973 წ. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე) იყო ლოტბარი. ცნობილი მომღერლები და ლოტბარები იყვნენ ნიკოლოზის ძისა, ალექსანდრე (სანდრო), ძმები — მიხეილი და ლადო, ხოლო მამინდაშვილის — ნიკო ცხევედაძის — პედაგოგის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის ასაგები თანხა. ნინო გედევანიშვილი და ნიკოლოზ კავსაძე ცხოვრობდნენ იმ სახლში, რომლის ტერიტორიაზეც ახლა მდებარეობს უნივერსალი და გრიბოედოვის სახელობის თეატრი. ჰყავდათ ორი შვილი: ნათელა — დავით ჯიბლაძის მეუღლე და რევაზი — მეუღლე ნინო მარინაშვილი, რომლის მამა — გრიგოლ გიორგის ძე მარინაშვილი მონათლა ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონ-ბურმა (საბუთი ინახება მანანა კავსაძე-ტატიშვილის ოჯახში); ნინო გედევანიშვილისა და ნიკოლოზ კავსაძის შთამომავლები არიან: ამირან, თემურ ჯიბლაძეები, მანანა, გიორგი, ირაკლი კავსაძეები, ვახტანგ, რევაზ, ალექსანდრე (სანდრო) ტატიშვილები; ზ) შიო. გარდაიცვალა ახალგაზრდა.

ოლა გურამიშვილს, ქორწინების შემდგომ, მზითვად ერგო საგურამოს სახლი, სადაც გრიგოლ ყიფშიძის მოგონებების მიხედვით: „ჩის კოხტა პატარა სახლი ედგა ოთხ-თვლიანი“<sup>(15)</sup>. ილია და ოლა აქ ხშირად მასპინძლობდნენ ახლობლებს. სიმამრის, თავდებო გურამიშვილის (1800-1875) გარდაცვალების შემდეგ, 80-იან წლებში, ილიამაქ „დიდი შენობა დადგა, სამსართულიანი ქვითკირის სახლი მშვენიერის ფართო აივნებითა“<sup>(15)</sup>. იმავე წლებში კონსტანტინე გედევანიშვილი ოჯახით თავის სამკვიდრო მამულს — მცხეთას დაუბრუნდა. მისი უმცროსი შვილების, გიორგისა და ნინოს მეტრიკული ჩანაწერები გვიჩვენებს, რომ ისინი ილია ჭავჭავაძეს მოუწიათ დაეხმარებინათ<sup>(16)</sup>.

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ილიამ საკუთარი ფოტოსურათი კონსტანტინე გედევანიშვილს უსახსოვრა.

ადვილი თვალმისადავენებელი რომ იყოს, მკითხველს ვთავაზობთ გენეალოგიურ სქემას გედევანიშვილების იმ პერსონებისა, რომელთა ოჯახებშიც იყო დაუნჯებული ილიას ფოტო: გედევანიშვილი კონსტანტინე —> ანასტასია (მეუღლე მიხეილ გედევანიშვილი) —> შალვა —> შერმადანი (ვსევოლოდი) —> ელენე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს საკითხი შემდგომ კვლევას მაინც საჭიროებს. გასარკვევიანა ფოტოსურათის წარწერის ილიასეულობა. მართალია, ხელწერა ილიასას ჰგავს, მაგრამ აუცილებელია კალიგრაფიული ექსპერტიზა,

რადგან ასეთი წარწერის გაკეთება შეეძლოთ კონსტანტინეს შვილებსაც, რომელთათვისაც ცნობილი იქნებოდა ფოტოსურათის ჩუქების ფაქტიც და თარიღიც: 1901 წელი. სამწუხაროდ ვერ დავადგინეთ კონსტანტინე გედევანიშვილის გარდაცვალების წელი. ფოტოსურათზე აღნიშნული თარიღი მიუთითებს, რომ 1901 წელს იგი ცოცხალია. 1907 წელს, ილიას ტრაგიკულად დაღუპვას მთელი საქართველო გაეოხებოდა. ვამოიცა ნიგინა „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. აქ თავმოყრილ სამგლოვიარო დეპეშების ხელმოწმერთა შორის კონსტანტინე გედევანიშვილი ვერ მოვიძიეთ. საეარაუდოდ იგი 1901-1907 წლებს შუა უნდა იყოს გარდაცვლილი.



კონსტანტინე დავითის ძე გედევანიშვილი და მისი მეუღლე, მარიამ ალექსანდრეს ასული გიფიშვილი (სხედან) შვილებთან ერთად (მანანა კავსაძის საოჯახო არქივი)

კათოლიკოსის სარდლის გაბრიელ გედევანიშვილის<sup>(16)</sup> შვილებიდან ჩვენთვის ცნობილია: შიოში, იოანე, იოსებ-ბეცია<sup>(17)</sup>. მათგან საეკლესიო მოღვაწეა იოანე (1738 — 4. 08. 1821 მოსკოვი. პოკროვის მონასტერი) იგივე მიტროპოლიტი იონა, რომელსაც 1821 წლის 20 ივნისს დაუნერია ანდერძი ქართულ ენაზე. ეს ანდერძი რუსულად უთარგმნია არქიმანდრიტ დოსითეოსმა (1774-1830), ერობაში დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს<sup>(17)</sup>. აქ მოხსენებული არიან იონას ძმის, იოსებ-ბეციას შვილები და ძმისწული ქალები სახელების გარეშე<sup>(17)</sup>. იონას ძმის, შიოშის შვილია — დიმიტრი, მისი შვილი — ალექსანდრე დაბადებულია 1821 წელს, ჰყავდა რვა შვილი: ორი ქალი (მცირეწლოვნები გარდაიცვალნენ), დანარჩენი — ვაჟები. ერთი მათგანია ზემოთ-დასახელებული — მიხეილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემელი, მეორე — დავითი<sup>(18)</sup> — ექიმი-ნევროპათოლოგი. 1894 წლის 1 იანვარს ალექსანდრე ყაზბეგის ნათესავეებმა დავით გედევანიშვილს არწუვის მწერლის თხზულებანი წარწერით „...სახსოვრად

15. ილია, მოგონებები გარდახულ დღეთა, 1967, გვ. 102, 232

16. ვეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1 1980 გვ. 385  
 17. ლიტერატურის მატიანე, 1986 წიგნიძე ს. „იონა გედევანიშვილი“, გვ. 209, 231; მარტაშვილი ლ. ქრონიკა. 1980-1982 წლებში შექმნილი მასალები, გვ. 257



იმ ზრუნვისა, რომელიც მან აღმოუჩინა ალექსანდრე ყაზბეგს, არა როგორც მკურნალმან, არამედ როგორც ნამდვილ ძმამ და მეგობარმან<sup>(17)</sup>.

ოსებ-ბეციას ვაჟს, ზაალს ჰყავდა შვილი — დიმიტრი, ცოლად შეირთო ნინო წინამძღვრისშვილი, რომელიც უნდა იყოს ქალიშვილი დეკანოზ პარმენ დომენტის ძე წინამძღვრისშვილის<sup>(18)</sup> ძმისა, გორის ტაძრის დეკანოზის — პანტელეიმონისა (1804-1871), რომელსაც ნინოს გარდა ჰყავდა კიდევ შვილები: პარმენი და სალომე<sup>(18)</sup>. დიმიტრი გედევანიშვილისა და ნინო წინამძღვრისშვილის ვაჟი — პარმენი (1877-1961) იყო იურისტი და პუბლიცისტი<sup>(12)</sup> <sup>(19)</sup>, მის ოჯახში დაცულია საბუთები, სადაც აღნიშნულია, რომ თავადი პარმენ გედევანიშვილი სამხედროვაღდებულისა 1897 წლიდან; პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი | ხარისხის დიპლომიით დაამთავრა 1907 წელს; დიპლომი ვაცემულია I დეკემბერს. ცოლად ჰყავდა ცნობილი გეოლოგი, სპირიდონ ევორის ძე სიმონოვიჩის<sup>(20)</sup> ასული თამარი, რომლის დედა-ნინო (შინაურობაში ნუცა)<sup>(20)</sup>, იყო ქალიშვილი ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა და მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთ-ერთი წევრის, იაკინთ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილის<sup>(9)</sup>. ნინოს და — ეკატერინე იყო ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონის (ბურის) დედა<sup>(20)</sup>. ნინოს ძმამ, ნიკოლოზმა (1840-1908) რუსულად თარგმნა ილია ჭავჭავაძის «ქვათა ლაღადი»<sup>(9)</sup>, ნინოს მამიდა — ქეთევანი იყო მეუღლე ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძის ზაქარია ორბელიანისა, რომლისადმი მიწერილ წერილში, 1844 წლის ივლისში, ნიკოლოზი ასხენდა «იაკიტს»<sup>(21)</sup>; პარმენ გედევანიშვილისა და თამარ სიმონოვიჩის ვაჟი — ოთარი (1916-2000) 1917 წლის 4 მაისს წმიდა გიორგის ეკლესიაში მონათლეს გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელმა (1884-1957) და დეიდამ, სოფიო სპირიდონის ასულმა მერქეზიშვილისამ. პარმენ გედევანიშვილის შვილიშვილები — ირაკლი და თამარი, ცხოვრობენ და მოღვაწეობენ თბილისში.

ოსებ-ბეციას შვილიშვილია კონსტანტინეც, დაბადებული 1827 წელს<sup>(10)</sup>, რომლის ოჯახი ზემოთ ნაშრომადგინეთ.

1850 წლის 8 დეკემბერს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ხელი მოაწერა «ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სიებს»<sup>(18)</sup>, სადაც რი-

გვით ნომრით 1202 წარმოდგენილია აზნაურთა გედევანიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, მისი ძმა ალექსანდრე (მიხეილ გედევანიშვილის მამა); ნომრით 1205-აზნაური გედევანიშვილი კონსტანტინე დავითის ძე (ილია ჭავჭავაძის ფოტოსურათის მფლობელი), ნომრით 1206-აზნაური გედევანიშვილი დიმიტრი ზაალის ძე, მისი ძმები: გრიგოლი, ნიკოლოზი, შურაბი. დიმიტრის ვაჟია ზემოთხსენებული პარმენი. ამ «სიებიდან» ვიგებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას: კონსტანტინე გედევანიშვილის მამის სახელი ყოფილა დავითი. დავით ბეციას (იოსების) ძე გედევანიშვილი (დაიბადა 1786წ.) კი დაქორწინებული იყო სალომე დავითის ასულ მაღალაშვილზე<sup>(22)</sup>. ლოგიკურად, სალომე არის კონსტანტინე გედევანიშვილის დედა, რომელსაც ჰყავდა უფროსი ძმა, გიორგი და უმცროსი, მიხეილი (დაიბადა 1803წ.). ეკატერინე გაბაშვილის მოგონებების მიხედვით, თავდოზ გურამიშვილის მფლობელობაში იყო ავჭალა, საგურამო და შუა ქართლი მიხეილ მაღალაშვილის მამული<sup>(15)</sup>. თუ ამ ინფორმაციებს შევაჯერებთ დავითისა და გიორგის ნიშნებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ეკატერინე და ილია გურამიშვილების დედა — ელისაბედ გიორგის ასული, მაღალაშვილის ქალი უნდა ყოფილიყო და თავდოზ გურამიშვილი ფლობდა თავისი ვარაუცვლილი პირველი ცოლის ნაშთით მამულს. გენეალოგიური სქემა ასეთ სახეს მიიღებს: მაღალაშვილი დავითი. მისი შვილები: გიორგი, სალომე, მიხეილი. ა) გიორგი. მისი ქალიშვილი — ელისაბედი. მისი მეუღლე თავდოზ გურამიშვილი. მათი შვილები: ეკატერინე — მეუღლე დიმიტრი სტაროსელსკი, ილია — ილია ჭავჭავაძის მეუღლე; ბ) სალომე. მისი მეუღლე დავით ბეციას (იოსების) ძე გედევანიშვილი. მათი ვაჟი — კონსტანტინე; გ) მიხეილი. მისი ვაჟი, ესტატე (1838-1915) — გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ილია ჭავჭავაძესთან ერთად<sup>(23)</sup> მისი ცოლი — ანა ლუკას ასული თარხნიშვილი<sup>(24)</sup> იყო ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი.

ჩვენი ვარაუდით, კონსტანტინე გედევანიშვილი და ილია გურამიშვილი და-ძმის შთამომავლები არიან; კონსტანტინეს ბიძის (დედის ხანით) შვილიშვილია ილია. შესაძლოა მაღალაშვილების მხრიდან ნათესაობამაც განაპირობა ამ ოჯახთა ახლო ურთიერთობა. თავდოზ გურამიშვილის პირველი ცოლის გვარი დედმდე აღუდგენელია. ვიდრე გენეალოგიის დემციალისტები საარქივო საბუთებს მოიძიებენ, ვფიქრობ ამ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს.

შიომ, იონა და ოსებ-ბეცია გედევანიშვი-

18. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, 2005  
19. უნილი „მეათობი“, 1935, №3 ამაშივე კოკი, დედო მსახიობის სილუეტა, გვ. 167  
20. „ივერია“ 1891, №55, 13 მარტი; „ივერია“ 1894, №40, 20 თებერვალი; „ივერია“, 1905, №25, მარტი; ვახუთი „Возрождение“, 1920, №17, 24 იანვარი (ნეკროლოგები); ბაგრატიონი ნ. ბურჯულაძე, მკვლევარი, 1990, გვ. 23-24.  
21. ნიკოლოზ ბარათაშვილის თხოვლუბანი, აკაკი განწერლისა და იანე ლორთქიფანიძის რედაქციით, 1972, გვ. 132

22. Думин. С., Гребельский П. „Дворянские роды Российской империи“, Т.4. Думин С., Ю.Чиковани Ю. „Князья Царства Грузинского“, М.; ст. 1998, 34, 162-163  
23. შარვაშიძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, წიგნი I, 1987, გვ. 55, 94, 126  
24. Тархан-Моуравей Г. Д., Тархан-Моуравей Д. И. „Феодальный род Свакадзе-Тарханшвили-Моуравшвили“, часть III С. - Петг; 2000 г. ст. 13, таб. 12

ლებს ჰყოლიათ და — გათხოვილი ბაბანა ჭილაშვილზე<sup>(9)</sup> მათი შვილები იყვნენ: გაბრიელი — გლახა (1762-1818) და მაკრინე; ა) გაბრიელის შვილიშვილია — ნინო გიორგის (იაგორის) ასული ჭილაშვილი — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის მუდლვე, ხოლო შვილიშვილი — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკი (1874-1943) — ისტორიკოსი, პროფესორი<sup>(10)</sup>; ბ) მაკრინე გათხოვილი იყო ივანე ელიზბარის ძე შერვაშიძეზე (ჩანს 1765-1819წწ.) — ქართულ (სოფელი წედისი) შერვაშიძეთა შტოდან. (22)

გედევანიშვილების კიდევ ერთი ოჯახის გასაცნობად წარმოვადგენთ სამძიმრის სამ განცხადებას: 1) 1925 წელს გაზეთში „კომუნისტი“ (№212, 16 სექტემბერი) გამოქვეყნებულია: „მუდლვე მარგარიტა, შვილები: ელენე, ნათელა, მაცვალა მანკარაძეები, დემა: ეკატერინე ჩიქოვანისა, სოფიო გედევანიშვილისა, ტასო ჩიკოიძისა, სიძე ალექსანდრე გედევანიშვილი, დისწულები: ეფემია ლეონიძისა, ანეტა ვაბაშვილისა, მარო გედევანიშვილი, შალიკო და პავლე ჩიქოვანები, კონია და უსკა ჩიკოიძეები იუნჯებიან, რომ 14 სექტემბერს გარდაიცვალა ბიძინა ნომრევანის ძე მწყერაძე. დაკრძალვა 17 სექტემბერს სოფ. სასირფოში (სად. გრაკალი) ნწ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე“; 2) 1921 წელს გაზეთში „ტრიბუნა“ (№54, 23 ოქტომბერი) გამოქვეყნებულია: „მუდლვე სოფიო ლეონიძისა, შვილები: ევგენია, ნინო, ლევან, სვიმონ, გიორგი, და მარიამ სვიმონის ასული ელიავასი, სიძე რევაზ გედევანიშვილი 24 ოქტომბერს ს.პატარაძეულში ნწ. შიის ეკლესიაში (გარე-კახეთი) წლის ნირვას უხდიან ნიკოლოზ ლეონიძეს (გარდ. 1900წ.); 3) 1918 წელს გაზეთში „საქართველო“ (№184, 3 ღვინობისთვე) გამოქვეყნებულია: „სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა შვილებით: ევგენია, ნინო, ლევან, სვიმონ, გოგლა, რძალი ნინო, სიძე რევაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა პირველის რძალი, მეორეთა ძალი მარიამ ფილიპეს ასული ლეონიძისა“ (ქალიშვილობაში: აღდაძე. გიორგი ლეონიძის დისწულის, ცისია კახიანის ცნობა).

„ქართლ-კახეთის თავდაზნაურთა სიეშში“<sup>(18)</sup> რიგითი ნომრით 851 წარმოდგენილია აზნაური მწყერაძე სიმონ ბეჟანის ძე, მისი ცოლი ნინო, მათი ვაჟი — ნომრევანი. სამძიმრის პირველი განცხადების მიხედვით, ნომრევანის ერთ-ერთი ქალიშვილია სოფიო — ალექსანდრე გედევანიშვილის მუდლვე. გვიო (გიორგი) დარისპანის ძე ამირეჯიბმა (ჭაბუკს პაპა. ზ. ლ.) „მოვიგონა ჩემი სიმამრის სანდრო გედევანიშვილის პატივი; სვეტიცხოვლობას მცხეთაში თურმე ჩემი ცოლი უნდა მოენათლა...“ — წერს გიორგი ლეონიძე 1941 წლის 23 დეკემბერს<sup>(19)</sup>. სოფიო ნომრევანის ასული მწყერაძისა და ალექსანდრე ლე-

არსაბის ძე გედევანიშვილის შვილები არიან აქ ნახსენები: ეფემია — გიორგი ლეონიძის მუდლვე და მარო (მარიამი) — შემდგომ პარმენ ჩიქოვანის მუდლვე. ჰყავდათ ვაჟიც — აეთანდრე, რომელიც 17 წლისა, 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს (გიორგი ლეონიძის შვილიშვილის, გიორგი ქავთარაძის ცნობა).

აქვე დავძინთ, ეფემია გედევანიშვილი — ლეონიძის დედის, ეკატერინე ნომრევანის ასულ მწყერაძის მუდლვე იყო სოფელ ქვემო ხანდრის მცოდნე, მდიდარი მენაშლე, ილია ოსტების ძე ჩიქოვანი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის რჩევით, შუბრძინა კასპის ცემენტის კარიერი. 1918 წელს, გაზეთში „საქართველო“ (25, 31 იანვარი) გამოქვეყნებული სამძიმრის განცხადება გვაუწყებს, რომ „ილია ოსტის ძე ჩიქოვანი ტრადიციულად გარდაიცვალა. დაკრძალვა 1 თებერვალს, ქვემო ხანდაკი“. შიამომავალია გადმოცემით, იგი მოუკლავთ სოციალ-დემოკრატებს უმცროსი ბავშვების თვადინო. ვახაშვილის შემდეგ ოჯახს ჩამოართვეს ქონება, სახლი — რომლის პირველი სართული მყურნეთის საწოლსად გამოიყენეს, მეორე სართულზე კი გასასვლელს სკოლა. ილია ოსტების ძე ჩიქოვანის მისწულა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამშრომელი და შემდგომ ემიგრანტი — ლეო გიორგის ძე ჩიქოვანი გერმანულენოვან დახვრატებს პოლონეთში 1943 წელს (მარნაი ევგენის ასული ჩიქოვანის ცნობა). ეკატერინე მწყერაძისა და ილია ჩიქოვანს ჰყავდათ ოთხი შვილი: ა) ანა (ნეტა) — გიორგი დიპთის ძე განაშვილის (1896-1937 დახვრატის) მუდლვე, ჰყავდათ ორი ქალიშვილი: მარნა — ალექსანდრე იასონის ძე ნენაბაის მუდლვე, მერი — ნოდარ პეტრეს ძე ქავთარაძე მუდლვე; ბ) პაულ — მხატვრის, ორკალი გამრეცხელის ქვისლი. ცოლად ჰყავდათ ალექსანდრე განაშის ასული: პაულეს-ანა, ორკალი — ეფემი გ) შალვა — მუდლვე თამარ საპრონის ასული მიქელაძე; დ) ალექსანდრა (სამიო) — ცხოვრობდა ქვემო ხანდაკე, ბოლშევიკების მიერ ჩამორიბილი სახლის (სოფლის სკოლის) მეორე სართულის ერთ პატარა ოთახში. გარდაიცვალა 80-იან წლებში. დაკრძალულია ხანდაკეში. ეკატერინე მწყერაძისა და ილია ჩიქოვანის შვილიშვილებს: რევა პაულეს ძე (1926-2001) და რამინ შალვას ძე (1931-2001) ჩიქოვანებს სახლებზე გოგლა ლეონიძემ დააჩუქა. ეკატერინე მწყერაძისა და ილია ჩიქოვანის შიამომავლები არიან: ვიკი მენაბდე, მერაბ ჭავჭავაძე, ვუგა, თეო, თამარ, მარია ჩიქოვანები, რევა და ქეთევან ჭუმბურიძეები.

მეორე და მესამე განცხადებაში დასახელებული — სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა — არის გიორგი ლეონიძის დედა, ქალიშვილობაში — გულისასული.<sup>(20)</sup> გიორგი ლეონიძის მამის გარდაცვალების თარიღი: „1900 წ.“, რომელიც მეორე განცხადებაშია მითითებული — მცდარია. 1899 წელს, გაზეთში „ივერია“ (№254, 25 ნოემბერი), ოჯახის მიერ გამოქვეყნებული განცხადებიდან ვიგებთ, რომ „მღვდელი ნიკოლოზ სვიმონის ძე ლეონიძე დაკრძალეს ზუთუბასის, 25 ნოემბერს სოფ. პატარაძეულში“.

სოფიო გულისასულია და ნიკოლოზ ლეონიძეს ჰყავდათ ხუთი შვილი: ევგენია, ნინო, ლევანი, სვიმონი, გიორგი (გოგლა). მათგან ევგენიას მუდლვე იყო რევაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი, გოგლასი — ეფემია ალექსანდრეს ასული გედევანიშვილი.

ქალბატონმა ეფემია გედევანიშვილმა 1944 წელს მწერალთა მუზეუმს (ახლა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი) გადასცა ხელნაწერი: „პუდვემსტვე, ესე იგი მიმოსლუა, ანუ მგზავრობა, ქმნილი გვედომ სარდალ გაბრიელის ძის, იონა მიტროპოლიტი-საგან.“ დაცულია ამ თხზულების რამდენიმე ხელნაწერი, ზოგიერთს ახლავს „როდოსლოვა“

25. მცერელიძე ნ. სიძველენი ლიხვის ხეობაში, 1984, 1984, გვ. 142

-ანუ თვისთა მშობელთა და სახლისა თვისისა მოთხრობა ანუ სიტყვა". ონა გედევანიშვილის ეს შრომა 1852 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანმა იმ განსხვავებით, რომ თხზულებისა და „როდოსლოვას“ — გედევანიშვილთა საგვარეულო ისტორიის — სათაურები საკუთარი რედაქციით წარმოადგინა. ეს ხელნაწერი, რომელსაც ონას ხელმოწერა ახლავს<sup>(17)</sup> ეფემია გედევანიშვილ-ლეონიძის, ალბათ, გადაეცა მამისგან, ალექსანდრე ლუარსაბის ძე გედევანიშვილისგან, რომელიც იყო დასტაქარი, მამულელები და სახლები ჰქონდა მცხეთაში და მასთან ახლო მდებარე სოფლებში — წეროვანი და გოროვანი. პირველი ცოლისგან, შაბურიშვილის ქალიშვიან შექმინა ორი ვაჟი: ლუარსაბი (ლუე-ვა) და რევაზი. ა) ლუარსაბი (17. 01. 1884 - 1969) იყო მღვდელი, გასაბჭოების შემდეგ — მასწავლებელი, ცხოვრობდა გოროვანში; ცოლად შეირთო ნინო ლევანის ასული ზაალაშვილი (სოფ. იგოეთი. გარდ. 8. 02. 1945). მათი შვილებია: 1. ევგენია (ჟენია) — მუღლე, მიხეილ ახობაძე დაეღუპა მეორე მსოფლიო ომში; 2. თამარი (დაიბ. 1914წ.) — მუღლე კოტე ქადაგიშვილი; 3. თათა (დაიბ. 1921წ.) — მუღლე შალვა გლოვათი; ბ) რევაზი (5. 01. 1887 — 14. 05. 1963) — სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1894-1906), ყაზანის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე (1906-1907), მიუნხენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე (1908-1913), რომელიც წარჩინებით დაამთავრა. დაცულია მიუნხენში გადაღებული ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილი არიან: რევაზ გედევანიშვილი, დიმიტრი შვეარდნაძე, ესტატე პაპოვიანი, ვანო ტურანიშვილი, გრიშა მალაქელეიძე, ბარათაშვილი, ნიკო მისისურაძე, სტეფანე გაბაევი, იორდანე გოცაძე, მიშა და ნადია დუნდუბი. რევაზ გედევანიშვილი პრაქტიკული საქმიანობის გარდა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხების შესახებ, 1920 წლიდან აქვეყნებდა სამეცნიერო წერილებსა და ნიგუნებს; ავტორია მონოგრაფიისა „ილია წინამძღვრიშვილი“ (1958), იყო დამსახურებული აგრონომი<sup>(26)</sup>.

წინამდებარე წერილის მკითხველი უჭკველია, იცნობს გიორგი ლეონიძის მოთხრობას — „დეიდა მაიკო“. დეიდა მაიკოს (პარტახტიანი ტიფთი გარდ. 1925 წლამდე. ცისია კახიანის ცნობა), ნიკოლოზ ზაქარიას ძე გულისაშვილის<sup>(8)</sup> ასულის უფროსი ვაჟი, ნიკოლოზ (იკო) ლავრენტის ძე მათიკაშვილი (ემიგრანტი, ცხოვრობდა და გარდაიცვალა პოლონეთში. ცისია კახიანის ცნობა) იხსენებს 1921 წლის საქართველოს ტრაგიკულ მოვლენებს, როცა იგი — მამინ იუნკერი, ბრძოლებისგან დაღლილი, სულის მოსათქმელად შესულა მცხეთაში, რევაზ გედევანიშვილის სახლში, სადაც ოჯახის

უფროსთან ერთად, დახვედრია იოსებ (სოსო) გედევანიშვილი, ლევან და გოგლა ლეონიძეები.<sup>(26)</sup> 1927 წლის 2 სექტემბერს რევაზ გედევანიშვილს კონტრევოლუტორი საქმიანობის ბრალდებით მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ვაათაგისუფლეს 1930 წელს. საქართველოს უშიშროების სამინისტროს კომისიის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულებით, გარდაცვალების შემდგომ, ეს ბრალდება მოუხსნეს. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ: ქართული სინონიმების ლექსიკონის<sup>(9)</sup> შემდგენელი ალექსანდრე პავლეს ძე ნეიმანი და მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის დაპატიმრების შემდეგ რევაზმა გაანადგურა საკუთარი არქივი. ცოლად ჰყავდა გიორგი ლეონიძის და, ევგენია ნიკოლოზის ასული ლეონიძე (გარდ. 1939წ.), რომელიც ვაითოვებამდე რუსულ ენას ასწავლიდა ბოდბის მონასტერში. მათი შვილები იყვნენ: 1. ვახტანგი (1959 წელს მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში) — მშენებელი ინჟინერი; 2. ეთერი (15. 12. 1919 — 30. 11. 1967) — ფილოლოგი, ფრანგულ და ქართულ ენებს ასწავლიდა მცხეთის №1 სკოლაში, შემდეგ ქართულს — თბილისის 48-ე რუსულ სკოლაში. მისი მუღლე, ალექსანდრე მიხეილის ძე ბარისაშვილი (26. 01. 1916 — 3. 05. 1965) იყო მცხეთის №1 სკოლის დირექტორი, მცხეთის განათლების განყოფილების გამგე, საქართველოს განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის გამგე, დამსახურებული პედაგოგი.

რევაზ გედევანიშვილი თავისი ოჯახით, 1940 წლამდე ცხოვრობდა მცხეთაში. მისი სახლი ამჟამად აღარ არსებობს, ამ ტერიტორიაზე პანკის შერობა დგას<sup>(26)</sup>. მცხეთაში, წეროვანსა და გოროვანში, გედევანიშვილებთან, სიძისა და ცოლისძმების ოჯახებში ხშირად სტუმრობდა „ცისფერყანელი“ გიორგი ლეონიძე თავის მეგობრებთან ერთად. გოროვანის სახლი ამჟამადც არსებობს (ლუარსაბის შვილიშვილის, ენთელა გედევანიშვილის ცნობა). მუღლეს, ევგენია ლეონიძის გარდაცვალების შემდეგ რევაზ გედევანიშვილი ცხოვრობდა თბილისში, თავდაპირველად ნიკო ნიკოლაძის, შემდეგ ბარნოვის ქ. 169 (რევაზის შვილიშვილის, ნანა ბარისაშვილის ცნობა).

ალექსანდრე გედევანიშვილი 1887 წელს, უმცროსი ვაჟის დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ, დაქვრივდა. მისი მცირეწლოვანი შვილების აღზრდა იკისრა ძმის, დავით ლუარსაბის ძე გედევანიშვილის მუღლეზე, ნატალია ალექსის ასულმა ცავარელმა, რომელსაც ბავშვები უწოდებდნენ „ძალი ნატოს“. ალექსანდრე მეორედ დაქორწინდა სოფიო ნოშრევანის ასულ მწყერაძეზე. მათი ოჯახი ზემოთ წარმოვადგინეთ.

გოროვანში, წმიდა მარიამის ეკლესიის ვალავანში არიან დაკრძალულნი: ალექსანდრე, მისი პირველი ცოლი, ვაჟი — ლუარსაბი, რძალი-ნინო, ხოლო — რევაზი, ევგენია, ვახტანგი და ეთერი — თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

26. მათიკაშვილი ნ; კვალაშვილი მ. იუნკერები, 1990; შარკოზაშვილი შ. „არდასაწყვეტილი სახელი“, გაზ. „მცხეთა“, 2001, №19, 1-15 ნომერი; ჩხაიძე თ. ქართველი აგრონომები, 1962, გვ. 180-189

შესაძლოა, ძმები ალექსანდრე და დავითი არიან შვილები იმ ლუარსაბ გედევანიშვილისა, რომელიც „ქართულ-კახეთის თავადაზნაურთა სიების“ მიხედვით №1210 ცხოვრობს ერთ განუყოფელ ოჯახად ძმებთან: გიორგი, მალხაზ, სოლომონ დავითის ძეთა გედევანიშვილებთან ერთად<sup>28</sup>). კ. კეკელიძის სახ. ინსტიტუტში დაცულ ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ჩემთა-სა წელსა ნოემბრის 1-სა მე ქვემოთ ამის ხელის მომწერელმა აზნაურმა სოლომონ და ლუარსაბ გედევანიშვილებმა მზითვითა შენ აზნაურის ზალ ცალქალამანიძისაგან<...> „მივიღეთ...“<sup>(27)</sup>. ეს დოკუმენტი ამ გვართა ნათესაობას ადასტურებს. აქ მოხსენიებული სოლომონი და ლუარსაბი, რომლებიც 1849 წლის 1 ნოემბერს ზალ ცალქალამანიძეს მზითვის მიღების შესახებ ხელწერილს აძლევენ, „სიიბში“ დასახელებული ძმები არიან. ამ „სიიბში“, №601 წარმოდგენილია აზნაურ ზალ ოსების ძე ცალქალამანიძის ოჯახი: მისი ცოლი ნინო, ვაჟიშვილები: ოსები, გიორგი; ქალიშვილები: ეფემია, ნატალია, თინათინი. შესაძლოა ისიც, რომ ამ ოჯახის წევრი, ეფემია ზალის ასული ცალქალამანიძე დედა იყოს ალექსანდრე გედევანიშვილისა, რომელმაც თავის ერთ-ერთ ასულს მისი სახელი უწოდა.

ჩვენი მოსაზრება, ცხადია, ვერაუდს ემყარება, მის ნამდვილობას კი მე-19 საუკუნის 50-იანი წლების საარქივო საბუთები და გენეალოგიური კვლევა წარმოაჩენს.

როგორც აღვნიშნეთ, ალექსანდრე ლუარსაბის ძე გედევანიშვილს ჰყავდა ხუთი შვილი: ლუარსაბი, რევაზი, ეფემია, ავთანდილი, მარიამი. ამ ოჯახის შთამომავლები არიან: ლუარსაბ (ნუკრი) ახოზაძე, ნანა და რევაზ (ნუკრი) ბარისაშვილები, ენძელა და ვახტანგ გედევანიშვილები, გიორგი გვინჩიძე, რევაზ და შალვა გლოველები, გიორგი ქავთარაძე.

ამ წერილში დასახელებული გვარების გარდა გედევანიშვილები ენათესავებოდნენ: აბაშიძეებს, ამაშუკელებს, ამილახვრებს, არგუჯანიძეებს, ბაქრაძეებს, ზინაძეებს, ბერელაშვილებს, დედიანებს, იოსელიანებს, კიკნაძეებს, ლორთქიფანიძეებს, მეღვინეთუხუცესებს, საგინაშვილებს, სარაჯიშვილებს, სტურუბებს, ფორაქიშვილებს, ფურცლაძეებს, ქართველიშვილებს, ქარშიძეებს, ღვინიაშვილებს, ჩუბინაშვილებს, წილოსანებს, ჯავახიშვილებს... ამ ოჯახების შთამომავლებმა გადმოლახეს 21-ე საუკუნე. ერთი ნაწილი ცხოვრობს საზღვარგარეთ, უმეტესობა — საქართველოში და გერმანიაში. არ იცის, რომ მათი წინაპრები იყვნენ ცნობილი საეკლესიო პირები, ისტორიკოსები, იურისტები, პუბლიცისტები, მრეწველები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ახლობლობდნენ ილია ჭავჭავაძეს და მასთან ერთად იღვწოდნენ, რომ შეექმნათ ქართული სახელმწიფო.

XVI-XVII საუკუნეების საარქივო საბუთები გედევანიშვილების შესახებ ასეთ სურათს გვიჩვენებს: გულბათ ელიოზისძე (ჩანს 1544-157365), ჰყავს შილი გედეონი (ჩანს 1565-158865). — მცხეთისშვილი, ჯვარისმტვირთველი; გედეონის ვაჟები: გედევანიშვილი —

ელიოზისძე დავით (ჩანს 1588-164065). — საყდრისშვილი, მცხეთისშვილი, სვეტიცხოვლის ჯვარისმტვირთველი, სარდალი და გაბრიელი (ჩანს 1626-165765). — საყდრისშვილი, ჯვარის უფროსი; გაბრიელმა წეროვანელებს დაავალა თავისი გარდაცვლილი ძმის, დავითის სულის მოსახსენებლად წირვა-ალაბის გადახდა (16445); დავითისა და გაბრიელის ძმისწული პაპუნა (ჩანს 1626-165665). — ყმა-აზნაური, მცხეთის საყდრის სარდალი; პაპუნას ძმისწული — ქაიხოსრო (ჩანს 1654-167165). — სვეტიცხოვლის ყმა, ჯვარისმტვირთველი; გიორგი (ჩანს 1675-170065). — მცხეთის საყდრის სარდალი. დომენტი კათალიკოსის მიერ დიონისე ზუმბულიძისათვის მიცემული წყალობის წიგნი (16635) აღნიშნულია: გედევანიანი — მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ მცხეთის საყდრის სარდლობა. ქართველ მეფეებსა და კათალიკოსებს გედევანიშვილებისათვის უწყალობიანთ: სოფელი ქორდი, ვირსის წყალი, ნასოფლარი ბადანი, სოფელ ერედვს მცხოვრებნი მამულებით, კოდმანს — სახნავი მიწებით, მატაკის ხევი, არაგვისპირს — ნავენახევი, ახატანს — სამი საკომლო, ძეგვში ორი კომლი მამულიანად, მღირანი და სხვ. მუხათგვერდი 1616-1630 წლებში ეკუთვნოდა დავით გედევანიშვილის ბიძას — მამუკას<sup>(28)</sup>.


1924 წლის ზაფხულში, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ ლიხავის ხეობაში, სოფელ ქვერტთან ახლოს, სოფელში სახელწოდებით — სვერი ნახა და აღწერა ნიშმი დასვენებული, ხეზე ვერცხლგადაფარებული წმინდა გიორგის ხატი<sup>(29)</sup>, რომელიც შემკული და მოჭედილი ყოფილა სამ ძმათა გედევანიშვილთა მიერ „ქორონიკონსა უმთ-სა“ (17165).

გედევანიშვილები წინაპრად ითვლება მცხეთელიმღვდელი ელიოზი, რომელმაც იერუსალიმიდან მცხეთაში უფლის კვართი ჩამოაბრძანა. კვართი ელიოზის დასთან, სიდონიასთან ერთად დაიკრძალა. ამ ადგილას ამოიზარდა კვიპროსი<sup>(30)</sup>. თავდაპირველად, წმინდა ნინოს რჩევით, აქ ააგეს ხის პატარა ეკლესია, ხოლო XI საუკუნეში — დიდებული სვეტიცხოველი. ელიოზის შთამომავალ გედევანიშვილებს ჯერ ეკლესიისა, შემდგომ — ტაძრის მცველის მოვალეობა დაეკისრა. ამის გამო სვეტიცხოველის ტაძრის გალავანი იყო გედევანიშვილთა საძვალე.

27. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), 1974, გვ. 241-242

28. პირთა ანტიკრებულ ლექსიკონი, ნ. 1, 1991, გვ. 615-620; ნ. 2, 1993, გვ. 128; კობაშვილი ნ. ერთი ძველი გვარის შესახებ: გედევანიანი გვარი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2006, № 10, 17 მარტი, გვ. 13-15  
29. კაკაბაძე კ. ეტრუშები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, 1986, გვ. 218  
30. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1981, გვ. 134-135





ლადო გუდიაშვილი

# ავთანდილ ვარსკვლავი

ფაჩთა ნაჩის  
ზუპიხზუინო მეფე  
ლადო ბაიუაშვილი

ხელოვნება, როგორც მარადიული და ამოუხსნელი ფენომენი, ჯერ კიდევ უძველეს ბერძენთა ყურედლებას იპყრობდა. სწორედ მათ „დაასახლეს“ ზეციური სამყარო მხატვრისა და მოქანდაკის თანავარსკვლავედებით. პოლუქსი და კასტორი, რომელთა სახელებსაც ატარებენ მხატვრის თანავარსკვლავედები, ბერძენი იაზონის კოლხეთში მონყობილი საზღვაო ექსპედიციის უშუალო მონაწილეები იყვნენ. ვადმოცემით, ეს ტყუპი მეზღვაურები იყვნენ, ამავე დროს მხატვრებიც კი ყოფილან.

1970 წელს, თბილისის უნივერსიტეტის მი-

ერ მონყობილმა სამეცნიერო ექსპედიციამ — „ოქროს სანმისმა“, შორაპნიდან ფოთის მიმართულებით რომ აიღო გეზი, მე და ჩემი ძმა პოლუქსისა და კასტორის შორეულ მემკვიდრეებად მოგვანათლა, როგორც ტყუპები და ამავე დროს მხატვრები, და ასე აღმოვჩნდით „ოქროს სანმისის“ მეზღვაურთა შორის.

უძველეს ბერძენთა მიერ მაშინ უცნობ თანავარსკვლავედთა მხატვრისა და მოქანდაკის სახელებით გადანათვლის შემდეგ, მრავალმა საუკუნემ განვლო. და აი, ზემოთ ხსენებულ თანავარსკვლავედებს გვერდით ამოუდგა მანამდე სრულიად უცნობი პლანეტა, რომელიც 1982 წლიდან ლადო გუდიაშვილის სახელს ატარებს. ცნობა ამის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 1982 წლის 11 მაისის ნომერში.

გერმანიიდან გამოგზავნილ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს სწავლული ასტრონომი, ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივნის თანაშემწე რიჰარდ ვესტი, ხაზგასმულია ის უდიდესი სიყვარული, რაც გამოჩენილმა მხატვარმა უხვად გასცა არამარტო მშობლიური ქვეყნის ხელოვნების თაყვანისმცემელთა შორის, არამედ პლანეტის შორეული კუთხის ასობით მონუსხულ და აღტაცებულ ადამიანთა შორისაც.

რიჰარდ ვესტმა თავად აღმოაჩინა ზემოთ ხსენებული პლანეტა და თავადვე უწოდა ლადო გუდიაშვილის სახელი. ასტრონომთა საერთაშორისო კავშირმა დაამტკიცა გერმანელი ასტრონომის წინადადება და საერთაშორისო კატალოგში შეიტანა ახალი პლანეტის სახელწოდება.

მოვუსმინოთ თავად რიჰარდ ვესტს: „ამ პლანეტის სახელი მივანიჭე დიდი მხატვრისა და ჩემი ძვირფასი მეგობრის ლადო გუდიაშვილის (1896-1980) ხსოვნის უკვდავსაყოფად. მის შემოქმედებაში ადრე გამოვლინდა ინდივიდუალური სტილი, რომელშიც ძველი ქართული ფრესკების გავლენა იგრძნობა. იგი ყოველივე მშვენიერის თაყვანისმცემელი და პოეზიის მუშაოვარი მაძიებელი იყო; მომეტებული ჰქონდა გამომხატველობის ფანტასტიკური ნიჭი, რამაც შემდგომში საყოველთაო აღიარება მოუტანა. მისი ნახატები და ფერწერა თავისი არსით, ჩვეულებრივ, ფილოსოფიური ან ალეგორიულია. ბევრი სურათი საქართულოს ბოზოქარ ისტორიასთან არის დაკავშირებული. ლადო გუდიაშვილი XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია და იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.“

დასასრულს, გერმანელი ასტრონომი აღტაცებული წერს: „ბედნიერი არიან ისინი,

ვინც იცნობდა ამ საოცარ ადამიანს, ბუმბერაზ ტალანტს, თქვენი სამშობლოსათვის ღვთისგან მომადლებულ კაცს — ლადო გუდიაშვილს, მისი სახელი მარად დარჩება კაცობრიობის გულში."

შეუძლებელია მხატვრის გენიის უფრო უკეთესი დაფასება, უფრო მეტი სიყვარული მისი პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ. უამრავი რამ დაწერილა ლადო გუდიაშვილის ხელოვნების ირგვლივ, პირადად ჩემს კალამსაც ეკუთვნის მისდამი მიძღვნილი დღიურების 400 გვერდიანი წიგნი, რომელსაც მე ზუსტად ათი წლის განმავლობაში ვწერდი 1970 წლიდან 1980 წლის ჩათვლით, ვიდრე დიდი მხატვარი აღესრულებოდა, მაგრამ მისი საერთაშორისო აღიარების გვირგვინი ეს მაინც პლანეტისათვის მისი სახელის მიკუთვნებაა.

ლადო გუდიაშვილის პალიტრა აერთიანებს მხატვრობის რამდენიმე მიმართულებას, როგორცაა: ფერწერა, გრაფიკა, ილუსტრაცია, ფრესკული მხატვრობა და ფრესკული მხატვრობის ასლთა გადაღება, ამას დაეუმატოთ მისი ვიოლინოზე დაკვრისა და ცეკვის ვირტუოზულობა.

ახალგაზრდობაში, როგორც ვიოლინოზე დამკვრელი მუსიკოსი, იგი მხატვარ ბაჭუყუქმელიქოვთან ერთად, ხშირად მართავდა ხოლმე კონცერტებს. ამ ამბავთან დაკავშირებით ადამიანს უნებურად შეახსენებს თავს ამერიკაში არსებული ნევშატელის ფრესკა, რომელზედაც გამოსახულია გენიალური აინშტაინი ვიოლინით ხელში, მაგრამ ამ უკვე შესვენების პროცესში.

ასეა: განგება ხშირად აჯილდოებს ამა თუ იმ შემოქმედს არამართო მხატვრობის, არამედ მუსიკის, პოეზიისა თუ ცეკვის გენიით. როგორც მოცეკვავე და ქართული ქალაქური როკვის შემსრულებელი, გუდიაშვილი ნამდვილი ვირტუოზი იყო. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ტარიელ ხერხეულიძის წერილი, რომელშიც ლადო გუდიაშვილის ცეკვა ისეთი პოეტური აღმაფრენითა და შთაგონებითაა გადმოცემული, რომ ნებისმიერ მკითხველს თვალნინ წარმოუდგება ფრთაშესხმული მხატვრის ნიაგადი ქროლვა და ელევაცია, ის მოძრაობები ძველი თბილისის ბოჰემის მესვეურთ-კინტოებსა და ყარაჩოხელებს რომ ახასიათებდათ. ამ მოძრაობებითაც აცოცხლებდა იგი ამ ძველ მოცეკვავეებს, რომელთაგან ერთ-ერთს მირზა გელოვანმა მხატვრის მისამართით ათქმევინა: „რად გამაცოცხლე, ოსტატო ჩემო, რა დაგიმავე კრავივით კაცმაო“.

ლადო გუდიაშვილს თავისუფლად შეეძლო პროფესიონალი მოცეკვავის სახელით დარჩე-



წილიყო ქართული ხელოვნების ისტორიაში, იმ ხელოვნებისა, რომლის შესახებაც გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ქართული გენია როკვით განფენილი.“

სწორედ ამ გენიით შთაგონებული მწერალი დიახაც რომ იწუნებდა, ერთ დროს სახელგანთქმულ ვაცლავ ნიჭინსკის ცეკვას, რომელსაც გამოჩენილმა ფრანგმა მოქანდაკემ და თაობათა აღმზრდელმა ემილ ბურდელმა აღტაცებული წერილი მიუძღვნა სათაურით: „ნიჭინსკი“ ფაენის შუადღის დასვენება.

ბედნიერება მქონდა, პირადად მეხილა გუდიაშვილის ცეკვა მის იუბილეზე. 80 წელს მიღწეული მხატვარი ისეთი მსუბუქი ელევაციით მოძრაობდა თამადის გვერდით, რომ თვით ახალგაზრდა მოცეკვავესაც კი შემურდებოდა.

შემოქმედი ადამიანის ცხოვრება იმ მდინარესა ჰგავს, პატარა ნაკადულის სახით რომ იბადება მთებში, შემდეგ გზადაგზა იესება და იზრდება სხვა ნაკადულებით, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ერთ დიდ და მრისხანე მდინარედ არ იქცევა...

ლადო გუდიაშვილის მხატვრობაც ერთი პატარა ნახატით დაიწყო, პეიზაჟი რომ ჰქვია და ზეთის ფერებითაა დაწერილი. მისი არსებობა მხატვარს საერთოდ აღარ ახსოვდა და, გამომდინარე აქედან, შესაძლოა, ვერც ვერასოდეს გაეხსენებინა იგი, რომ არა ის ერთი არაჩვეულებრივი და მოულოდნელი დღე, როცა მისი სახელისნოს კარებს ვიღაც კა-

ხელმა მიუკაკუნა, დიდოსტატს თავაზიანად მისალმა და, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მას თავისი ბავშვობის დროინდელი ფერწერული პეიზაჟი გადასცა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მის ოჯახში ინახებოდა...

ლადო გუდიაშვილს ეს პატარა ტილო მაინც თავისი დიდი შემოქმედების თავწყაროდ, რომელიც, შესაძლოა მაშინ დაიწყო, თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში რომ სწავლობდა 1910-14 წლებში. 1915 წელს მისი პერსონალური გამოფენა უკვე იმის დასტური იყო, რომ მხატვრის შემოქმედების თავწყარო პატარა ნაკადული კი არა, მჭქფეარე მდინარე იყო, ხელოვნების დიდ ზღვისკენ რომ მიექანებოდა.

მის ცხოვრებაში ერთგვარი სხივი შეიტანა ფიროსმანთან შეხვედრამ 1916 წელს, რამაც შემდგომ წლებში მხატვარს ფიროსმანისადმი მიძღვნილი რამდენიმე ბრწყინვალე ტილო შთააგონა.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქართული ხელოვნების აბოზოქრებულ ორომტრიალში თავთავიანთი უღელბმულებით ჩაბმული იყვნენ დიმიტრი შევარდნაძე, დავით კავაბაძე, შალვა ქიქოძე, ვალერიან სიღამონ-ერისთავი და მრავალი სხვა, რომელთა მხარდამხარ იდგა ლადო გუდიაშვილიც.

ამ პერიოდს თამამად შეიძლება ვუწოდოთ დიდი ვარდატეხის ეპოქა, რომელშიც ძირძველი ქართული მხატვრობა სრულიად ახალი გზებით წარმართა. ის უამრავი „იზმები“, რითაც მსოფლიო ხელოვნება იყო დაღდასმული, თანდათან ქართულ მხატვრობაშიც იდგამდა ფესვებს. ეს იყო მსოფლიო მხატვრობასთან ზიარება და კარჩაკეტულობის მსხვიწევა, ძველი კალაპოტიდან ახალ კალაპოტში გადასვლა, სულის განახლება და პალიტრის გამარავალფეროვნება.

ლადო გუდიაშვილი, როგორც სული მძებნელი და შემოქმედი, ქართული ტრადიციული ხელოვნების ერთგული გამგრძელებელი იყო და ასეთადაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. ამის დასტური იყო ის 80-მდე ფერწერული ტილო, ნახატი თუ აკვარელი, რომლებიც მან გამოიტანა ქართულ მხატვართა გამოფენაზე 1919 წელს. ყველა იმ ნამუშევარში ასახული იყო ძველი თბილისის ბოჰემური ყოფის ამსახველი სურათები, პეიზაჟები, ისტორიულ პირთა თუ თანამედროვეთა პორტრეტები.

ამგვარად სულჩადგმული და ქართული ფრესკების ემბაზში გადანათლული ლადო გუდიაშვილი თამამად ნარუდგა ხელოვნების მექად წოდებულ პარიზს, სადაც მან 1919-

1925 წლებში მოიმონაფა პარიზის სამხატვრო აკადემიასა და „თავისუფალ აკადემიაში.“

თავისუფლად შეიძლებოდა მისი დაკარგვა ხელოვნების ამ უზარმაზარ მექაში, სადაც თავს იყრიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მხატვრები, ვითარცა ბედის მადიებელი დევრიშები. პარიზი მომავალი მხატვრებისათვის ნამდვილი აღთქმული ქვეყანა იყო, „ტერრა ინკოგნიტა“, სადაც ისინი რაღაც ახალს, ნირვანასავით მიუწვდომელ, მაგრამ მაინც ოაზისივით მშვენიერსა და სიცოცხლის მომნიჭებელ ნექტარს ელოდებოდნენ.

ლადო გუდიაშვილმა ხელოვნების ყველა იქაური გზაჯვარედინი განვლო. ვითარცა ბერძენმა იაზონმა-სკილასა და ქარიბდას შორის, მანაც თამამად გადაჰკვეთა რეალურისა და ირეალურის საზღვრები და ხელოვნების აბოზოქრებული ზღვა, მხატვარს თავად უნდა დაეყუდებინა ეს მღელვარება და ამ ზღვაში ეპოვა საკუთარი თავი, საკუთარი პალიტრა და ხელწერა. სხვისი ნასუფრალით სულის გამოკვება მხოლოდ მათხოვრის ძონძებით შემოსვას დაემგავსებოდა და არა იმ გრძელი, მეფური მოსასხამისა, ძველი დროის მხატვრები რომ ატარებდნენ, მათ შორის რაფაელ სანტიცი.

სკილსა და ქარიბდას შორის მიმავალი გუდიაშვილი მხოლოდ საკუთარი გულის ათინათითა და ქართული სულის იალკიალით ინათებდა გზას ხელოვნების უკიდევანო სივ-



რცეებში, რომლის დასალიერი მენამული იმპერიალის მისტიკური ნათებით იყო გასხივოსნებული.

ლადო არ დაკარგულა პარიზში, სწორედ იქ შექმნა მან ისეთი ტილოები, როგორცაა: „ქეფიფი“, „იდილია“, „კინტოების ქეფი ქალთან“ და „ქეფიფი გარეფრაფზე“, რომლებიც ვატანილი იქნა პარიზის „სამემოდგომო სალონის“ გამოფენაზე. ამ ნახატებმა აალაპარაკეს პარიზი.

ესპანელმა მხატვარმა იგნასიო ზულოაგამ, რომელიც მონმარტრზე ეწვია ლადოს, სურვილი გამოთქვა, უყიდა ყველა ნახატი, რაც კი ქართველ შემოქმედს გააჩნდა ადგილზე.

ასე დაიწყო ლ. გუდიაშვილის შემოქმედების არნახული წინსვლა და მონანილეობა მარსელის, ბორდოს, ლიონის, რომის, ბრიუსელის, ამსტერდამისა და ნიუ-იორკის გამოფენებზე.

შეხვედრები კაფე „როტონდაში“ პიკასოსთან, მატისთან, ფერნან ლეჟესთან, მორის უტრილოსთან, ბრაკთან, დელონესთან, მარკესთან და დერენთან, მეგობრობა ამაღლო მოდილიანთან, ფრანს მაზერელთან, იაპონელ ფუჟიტასთან, ზემოთ ხსენებულ ზულოაგასთან, ურთიერთობა ლუი არაგონთან, ანდრე სალმონთან, მორის რეინალთან.

იმავე წლებში ქმნის იგი ისეთ ფერწერულ ტილოებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ნამდვილი ქართული სული და თბილისური ყოფა: „თევზი ცოცხალი“, „სადღეგრძელო გარეფრაფზე“, „მოქეფენი ეტლში“, „ტყუპები“, „ირმის წყარო“, „ქალწული მთებში“, „ნადირობა“, „ალერსი“, „მობანავე ქალი“, და მრავალი სხვა.

1922 წელს პარიზის „ლა ლიკორნის“ გალერეაში გატანილმა ამ ნახატებმა ყველას დაანახვეს, რომ ლადო გუდიაშვილი იყო და რჩებოდა ქართული ჭეშმარიტების მეხოტბედ. ამის გამო ერთ-ერთი იქაური გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა: „ეს ყმანვილი კაცი ავლენს სასწაულებრივ მისწრაფებას —

დარჩეს ქართველად, თავისი ქვეყნის ხელოვნების ერთგულად“.

დღითი დღე მრავალფეროვანი ხდებოდა გუდიაშვილის პალიტრა და აი, 1925 წელს „ბიიეს“ გალერეაში თავისი ელვარების, ნათებისა და სიმაღლის ნამდვილი ძალა გამოავლინა, მონუსხა და შთააგონა არამარტო ხელოვნების მოყვარულნი, თვით გამოჩენილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნეებიც კი, მათ შორის ანდრე სალმონი და მორის რეინალი. ანდრე სალმონი წერდა: „ლადო გუდიაშვილი თავის მოწოდებად რაცცა, უწინარეს ყოვლისა, იყოს მხატვარი. არადა, მოგვსვენებთ, რას ნიშნავს მხატვრობა დელაკრუსს, კურბესს, სეზანის, სიორას შემდეგ, იგი ამასთანავე საკუთარი ნატურის იდუმალებისა და თავისი რასისმიერი ინსტიქტების წყალობით შესანიშნავად ახერხებს, დარჩეს პოეტად, რისთვისაც იგი მუდამ ეყვარებათ. მე მას ვერავის შევადარებ... იქნებ ლადო გუდიაშვილი მამამთავარი ხელოვნებისა, რომელიც ახალგაზრდა, უწინ ჩაგრულმა ერმა, ხვალ უნდა შექმნას? მე მჯერა, რომ ჩემს თბილისელ ჭაბუკ მეგობარს ბრწყინვალე მომავალი აქვს“.

ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ წიგნში ხელოვნებათმცოდნე მორის რეინალი მიუთითებდა: „ლადო გუდიაშვილის ექსპოზიცი ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომელმაც უაღრესად თავისებური მხატვარი წარმოგიდგინა... გეგონება, ლადო გუდიაშვილი ქართული ფრესკებიდან არის გადმოსული... როგორც ჭეშმარიტად ქართული ხელოვნების წარმომადგენელი, ნამდვილი ხელოვანი, ნაღდი ქართველი“.

მორის რეინალის მონოგრაფია: „ლადო გუდიაშვილი“, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა პარიზში, დღესაც გუდიაშვილის სახელოსნოში ინახება, ხოლო თავად მხატვრის ბრწყინვალე ტილოები დაღემდე ამშვენებენ პარიზის გალერეებს მადრიდის პრადოს მუზეუმს, ინახება ევროპელ თუ ამერიკელ კოლექციონერთა ფონდებში, საქართველოს ასობით ოჯახში...

პარიზულ წლებში ფრთებშესხმულ მხატვარს, საქართველოში დაბრუნებისთანავე კინალამ ეს ფრთები მოაკვეცეს, ლამის ჯვარს აცვეს, ლამის აუტო დაფე მოუსყვეს...

და საქმე იქამდე მივიდა, რომ განერვიულებულმა და სასონარკვეთილმა ბატონმა ლადომ, აუტო დაფე თავად მოუსწო საკუთარ 19 ფერწერულ ტილოს, აგიზგიზებულ ბუზარში შეყარა ისინი და, აივანზე მყოფი, მოთმინებით ელოდა მათ ფერფლად ქცევას... ბაზრიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა ქალბატონმა ნინომ მხოლოდ „ფეია რინა“ გადა-





არჩინა და ეს, ოდესღაც საქუმლაგში მყოფი ფერწერული ტილო, ყოველგვარი აღდგენის გარეშე, გუდიაშვილის სახელოსნოშია გამოფენილი.

დღეს უფროსი თაობებისათვის კარგადაა ცნობილი გუდიაშვილის ამ ტრაგიკული ნლევის შესახებ, ახალგაზრდებმა კი თითქმის არაფერი იციან. აღნიშნული საკითხი საუბრის ცალკე და განსაკუთრებული თემაა. და თუ ორივე სიტყვით მაინც გავიხსენებთ იგი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გუდიაშვილის განვლილი გზისთვის ერთხელ კიდევ გადაგვევლოთ თვალი და გვეგრძნო, რომ ხელოვნება ძალიან მძიმე ტვირთია და მისი ზიდვა ყველას არც ხელეწიფება. მხატვრის გზა დადაფენული არასოდეს ყოფილა, არც იავარდებით მოფენილი. ამიტომაც უთქვამთ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო. ეს მსხვერპლი გუდიაშვილმა პირველმა გაიღო და ხელოვნების საკურთხეველზე მიიტანა საკუთარი გული და უყოყმანოდ შენირა მას.

ლადო გუდიაშვილის ფერწერა, გრაფიკული ნამუშევრები, ფრესკები თუ ილუსტრაციები ჭეშმარიტი ხელოვნების გენიითაა შექმნილი, შეუძლებელია რომელიმე მათგანის გამოყოფა თავისი სრულყოფილების მიხედვით, რამეთუ აქ ყველგან დიდი მავეტროს სული იგრძნობა, ყველგან ერთი სიმაღლეა დაპყრობილი.

მისი ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ნახატები, თავ-თავიანთი პალიტრის სიმდიდრითა თუ კომპოზიციური აგებულებით, არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ფერწერული ტილოების მსგავსად, გრაფიკული ნახატებზე ფერთა სიუხვით ბრწყინავენ.

გავიხსენოთ მხატვრის ფერწერული ტილოები: „სტეკოს დუქანი“, „მანანა“, „ფიროსმანის სიკვდილი“, „მე და ფიროსმანი“, „ავტოპორტრეტი“, „ნინო გუდიაშვილის პორტრეტი“, „ეთერ კაკაბაძის პორტრეტი“, „ლილის დებიუტი“, „პუშკინი თბილისში“ თუ მრავალი სხვა და ჩვენ უმაღლეს დავრწმუნდებით, რომ მისი გრაფიკული ნამუშევრები: „ფერიების სამყარო“, „ცისარტყელა“, „ნინო და ჩუქურთმა“ „მარჩიელი“ თუ „გოგონა თუ-თიყუთი“ არაფრით ჩამოუვარდებიან ზემოთ ხსენებულ ფერწერულ ტილოებს, თავი რომ დავანებოთ პოლანდიური პასტელით შესრულებულ კომპოზიციებს: „ნაზიბროლა არმაზელი“, „მაიმუნი ვარ“ თუ „მარჩიელი მტრედით“, რომელთა ფერები, შესრულების ტექნიკა და იდუმალება მთლიანად განირჩევა მხატვრის ყველა დროის ნამუშევრებისაგან. ეს ნახატები გასული საუკუნის 70-იან წლებშია შექმნილი და ჩვენს ყურადღებას არაჩვეულებრივი ხავერდოვნებით იპყრობენ.

ლადო გუდიაშვილმა ფრესკულ მხატვრო-

ბაშიაც თავისი განუმეორებელი სიტყვათქვა. დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის, სასტუმრო „როკონდას“, კაფე „ქიმიური სახის“ თუ წყნეთში — მხატვრის საკუთარი სახლის კედლებზე შესრულებული ფრესკები — მისი ძირითადი შემოქმედების ერთგვარი გაგრძელებაა, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობი თემებით, თბილისის დაარსების სცენებითა და ბოჰემის აპოლოგითაა შთაბრძნობული.

ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხეველის ცაფქმინილი ღვთისმშობელი, თუ აფსიდაში ხატადებული მოციქულთა ზიარების დიდი კომპოზიცია, მნიშვნელოვნად განირჩევა ტრადიციული კანონიკური ფრესკებისაგან და მათში გუდიაშვილისათვის დამახასიათებელი ხელწერა იგრძნობა.

ცალკე საუბრის თემაა გუდიაშვილის საილუსტრაციო მხატვრობა. მის მიერ მხატვრულად გაფორმებული წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე ბალავანისა“, „სულია და მეჯნური“ და მრავალი სხვა გამაოიჩქევინათავიანთი კომპოზიციური აგებულებით. ისინი სრულებით არ გვიანან სხვა მხატვართა მიერ გაფორმებული წიგნებსა და მათში ჩართულ ილუსტრაციებს.

დასასრულს, ეს წერილი გვსურს დავასრულოთ გუდიაშვილის იმ ნახატების გახსენებით, რომლებზედაც თავებრუდამხვევი ქართული ცეკვებია აღბეჭდილი: „მოცეკვავე ლეილა“, „ცეკვა ციბრეტი“, „ცეკვა სამაია“, „სასახლის მოცეკვავენი“, „წინასაქორწინო განბანება“, „მოცეკვავე ოლოლი“, „ცეკვა აივანზე“, თუ „ცეკვა გასკირება“. აღნიშნული ტილოები ესოდენ დიდი ოსტატობით ვერ შეიქმნებოდა, თავად მხატვარი ზიარებული რომ არ ყოფილიყო იმ დიდ ხელოვნებასთან, ერთდროულად ცეკვა, როკვა თუ საამობა რომ ჰქვია.

მაგონდება გუდიაშვილის გარდაცვალების წინა დღე, როდესაც მე და პოეტი შორის ფოცხიბილენყვით ვესტუმრებთ ბატონ ლადოს და საჩუქრად პოლანდიური პასტელის მდიდრული კოლექცია გადავეცით, მაგრამ მისი გამოყენება აღარ დასცალდა, ვეღარც ჩვენი თხოვნა შეასრულა: ჟურნალ „ცისკრისა“ და აღმინახ „საუფჯისათვის“ სპეციალური ნახატები უნდა შეექმნა. თანხმობა კი მოგვცა, მაგრამ, ვაგლახ, მეორე დღეს ის უკვე საიმსოფლიოს მკვიდრი იყო...

გუდიაშვილის ნეშტი მისივე შემოქმედებამ მთავნინდამთლე ალამალა, ხოლო მისი სახელით გადანათლებული პლანეტა უფლისა და ანგლონთა სამოსახლოებზე დააქროლიბა მის გვარს.

აღიარება, უკვდავება და აპელესის დიდებაც სწორედ ეს არის.



ივანე თარბა, გალაკტიონ ტაბიძე და ფრიდონ ხალვაში. გასული საუკუნის 50-ანი წლები. ფოტოსურათი მოგვანოდა ბატონმა ფრიდონ ხალვაშმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვენიოთ!

**ყურადღება!**

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; სს „მაცნეს“ პუნქტებში და „ინფოსერვისში“.

3 თვით 9ლ.  
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**

თამარ ქიტუაშვილი

გეგა ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4


ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



მცხეთური სერენადა



სინა და წყევლისა ძაჲ ხელთაიშხით